ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N12
12/2010

1522
2010

13

მხატვრობა
ია თვარაძე

მიდგმა
ჭაბუა ამირეჯიბი

ფოტოგრაფია
ვაჟა ოთარაშვილი

ლიტერატურული
მაყვალა გონაშვილი

თეატრი
გიორგი პიპინაშვილი

ოპერა
„დონ ჯიოვანი“

ფილმი
გივი სიხარულიძე



იდა თვარაძე

ლიტერატურა და ხელოვნება

N12(60)

12/2010

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili

Literature And Art

ISSN 1512-3189

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი:

ვაჟა ოთარაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი:

დავით კახაბერი

რედაქტორი:

ვერიკო ზამთარაძე

დიზაინერები:

სალომე ფორჩხიძე
ლექსო ოთარაშვილი

გარეკანის დიზაინი:

იდა თვარაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთავაზობთ რეკლამის განთავსებას ჟურნალის ფურცლებზე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
მობ: 899 25 60 14;
893 58 95 44;

სარჩევი

მოგონება

3. ქაბუა ამირეჯიბი - ჩვენო ეროვნულო მეოთხეველო

ლექსები, ლექსები

4. ვაჟა ოთარაშვილი - ლექსები
7. მერაბ მათიური - ღელა + ღევანი (ჰომანი)
21. მარინა თექთუმანიძე - ლექსები
24. გივი სიხარულიძე - ყომარბახი მიქელგაბრიელთან ერთხელ, ვერაზე
27. აჯაჯი დაუშვილი - მოთხრობები

ხელოვნება

31. ლილინო ცახური - ლექსები

დრამატურგია

33. მაყვალა გონაშვილი - და ნიფარებში ფიოთრდებიან მარგალიტები

ოსტატობანი

39. ვლადიმერ ხლებნიკოვი - ლექსები (თარგმნა ირმა მებუქიშვილმა)

წერილები

41. ალმასზ მენგელია - ქვაკეთხელი ანუ ქართლის ისტორიის მისტერიები
48. გიორგი ჯალაღანია - თეატრული ლიტერატურა
55. მერი ხეხუნაიშვილი-ნიკოლაური - გამოცდილება და გაფერთხილება

ოფლური

58. ნათელა ასვალაძე - ჩემს პროფესიაში ლედაც მყავს და მამაც!..

ოლური

66. დავით გიგინეიშვილი - "დონ ჟუანი" ბერლინში

ფერწერა

69. მაია მიქაია - ქართული ენერგეტიკის ლეგენდარული ნიდერლანდებში

მხატვრობა

73. ეკატერინე ჯინჭარაძე - იდა თვარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რიგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზელა!"

რაფიელ ერისთავი

ძვირფასო მკითხველო, გთავაზობთ საიუბილეო

მე-60 ნომერს.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება"

ხუთი წლის არის!

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის" 2010 წლის გამოცემები





წიგნების შეძენის მსურველები

დაგვიკავშირდით: 31 70 47; 899 25 60 14





ჩვენი ერთგული მკითხველი!

დაფიქრებულხართ, რა არის თქვენთვის და ყოველი ქართველისთვის ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“?..

მოგეხსენებათ, ქართველი ერის, მისი სულიერებისა და მომავალი არსებობა-განვითარების უპირველესი ბერკეტი დედაენა და ხელოვნებაა. დავუკვირდეთ და დავინახავთ, რომ ჩვენი მომავალი ისტორიის, ისევე როგორც უკვე განვლილი ათასწლეულების მასიცოცხლებელი ძალა ჩვენი ერის თავისებური, სხვათაგან მკვეთრად განსხვავებული აზროვნება და გარემოცვის სწორი შეფასების ნიჭიერებაა.

ამისთვის იღვწის ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამომცემელთა გუნდი ბატონ ვაჟა ოთარაშვილის მეთაურობით და იმ დიდი ადამიანის მატერიალური შემწეობით, ვინც ქართული სულის უკვდავებას ემსახურება. მარტო მისგან დაფინანსებული ჩვენი ფერწერის ალბომების გამოცემა რად და რამდენად ღირს!

მადლობას მოვახსენებ დიდ მეცენატს, ბატონ გია ჯოხთაბერიძეს მისი მამულიშვილური მოღვაწეობისთვის.

ვულოცავ „ლიტერატურა და ხელოვნებას“ გამოცემის ხუთი წლისთავს. კიდევ მრავალი სამოცი მიჰმატებოდეს ჩვენი ჟურნალის დღევანდელ, მესამოცე ნომერს.

თბილისი

16.XI.2010 წ.

ბერი-დავითი.

27406



ვახტანგ ოლასაშვილი

„რაზედ მოგიწყენია?“

ცირკთან იდგნენ გოგოები
ძუძუების თახთახით,
როგორც სექსის ლოგოები,
ვითომ არდასანახი...
როგორ ყიდდნენ კოცნას, კვნესას,
მაღლა ფეხის აშვერას...
წყვეტდა ურცხვად ვარდს თუ კესანს
ქონიანი მარჯვენა...
ხოლო ძვირფას სასტუმროთა
აუზსა და საუნას,
უფრო დიდ-დიდ ფულიანთა
დასწოლოდა აურა...
და ტიროდა დაბლა მტკვარი —
ამ ყველაფრის მოწამე,
რომ თბილისი — დედამკვდარი,
დოლარებით მოწამლეს...
ცირკთან იდგნენ გოგოები —
გაყიდული ვნებებით...
ჩემო კარგო ივერიავ,
შენ ხომ არ დანებდები?!

კვლავ ვიმეორებ...

გაფრენა თუ გინდა —
დაცემისათვის მზად უნდა იყო!
უნდა გახსოვდეს,
რომ ერთგული არავინ არის...
უნდა ერიდო ქალის ჭკვაზე
მოარულ ბრიყვებს,
რომ არ გეძგეროს
მოშურნეთა ჭორ-ნიაღვარი...
უნდა იცოდე:
უფლის გარდა არავის ენდო!
რომ არ გეჩვენოს
ღირსეული ზოგჯერ უღირსად...
ფიქრობ, კვერცხები გადაღება
უბრალო ენდრომ?
— არა, ძვირფასო,
ნება იყო მხოლოდ უფლისა!
ბევრი ვეცადე, ბევრს ვეფერე,
ბევრიც ვიომე
და გულ-ნაღვერდალს —
მხოლოდ დარდის ეკალი შვენის...
მაინც მივფრინავ
და შეცდომებს კვალავ ვიმეორებ...
სად დავეცემი, ღმერთო, იცი, ნებაა შენი...

***

ჰაეროვანნო, ბანოვანნო მძიმე მკერდებით,
(გამოერევა ხელოვნურიც
უკვე ამჯერად...),
ცოტა მოუშვით აზღუდები...
ხომ არ ბერდებით?
ჩახმახს გამოჰკრავს
კიდევ ერთხელ ჩემი მარჯვენა...
შემეხეთქება თვალებიდან
ტალღები ვნების
და გამოხედვა მეუბნება:
,,საით? დაიცა!“
თუმც სისხლისფერად მოელვარე
პომადის მთები,
ო, სამწუხაროდ ვერ მალავენ
ასაკს მაინცა...

***

დიდი მადლობა,
რადგან უკვე აღარ გახსოვარ...
დიდი მადლობა,
რადგან უკვე გადამივიწყე...
შემომჯარვია დარდისფერი
მგლების გარს ხროვა
და ვგრძნობ, აცოფებთ
სიყვარულის მწველი სიფიცხე...

***

კიდევ კარგი, კომპიუტერს
არ ერევა ცოფი,
კიდევ კარგი, რომ არ უნდა
ტეტანუსზე აცრა...
გადაღლილა ეს სამყარო
ჩვენი მგლური ყოფით,
ვინ საითკენ მივისწრაფით,
ვერ გაიგო კაცმა...
თითქოს ავად მეღრინება
მონიტორის მინა,
მგონი უკვე პროცესორიც
მიღრჭიალებს კბილებს...
ვაი, ჩვენს თავს,
თუ მანქანამ ერთხელ გააფრინა
და ინტერნეტ კა(მ)ფეტებით
გემოს გაატკბილებს...
კიდევ კარგი, კომპიუტერს
არ ერევა ცოფი —
კაცთა მოდგმამ არ მიიღოს
ფსიქიკური ტრამვა,
გადაღლილა დედამიწა
ჩვენი მგლური ყოფით,
ეკრანზე კი ურწმუნობის
ამოსულა პალმა...

წვიმს...

წვიმს... უფლისაგან წამოსულ ცრემლებს,
გულგრილად ხვდება ცოდვილი მიწა...
ნასაყდრალს ნისლი გარს შემოევლო
და ლიბოს ქვებზე უჩუმრად მიწვა...
თითქოს სამყაროც წვეთად ქცეულა —
დაპატარავდა დრო და მანძილი...
პატარა ბიჭი ცეკვავს ცერულით
და იბადება მთაში არწივი...

***

ღმერთთან იყავი მხოლოდ მართალი,
რად გენაღვლება კაცთა აუგი...
თუმცა მზაკვრობის ჭილოფს ართავენ,
ვინც ვერ გაგიგო, ან ვერ გაუგე...

გააოცნებე უბრალო ნისლიც,
გააუშბე და გაახახმატე...
ისე წმინდაა პოეტის სისხლი,
რომ შეიძლება ღმერთი დახატო...

* * *

ვის გულისხმობდი ნეტა ქაჯებში,
დიდო რუსთველო — ქურუმო-ბერო...
გამოატარეს თავის ლაჯებში,
წამოაჩოქეს ქართველი ერი —
უგვანოებმა ჯიშით და სულით,
უგუნურებმა გენით და რწმენით...
იქნებ ახლოა ცათ აღსასრული
და დაიღალნენ ლერწამნი რწევით?..

***

„გიყვარდეს მტერი შენი“ სახარებიდან

რად ვერ გაგიგო, ალუდავ,
ვერც მოძმემ, ვერცა დუშმანმა...
შენს თვალზე ცრემლებს რა უნდა,
დამშვიდდი, არა უშავრა...
ნუ მოიხედავ უკანაც,
ან მოსახედი რა არი...
ისევ შეგხვდება მუქარა,
ბრბოს ღრენა — გულდამღარავი...
და მოკვეთილი კაცთაგან,
უფალს თავისკენ მიჰყავდა,
შენ გენაცვალე, ალუდავ,
მტერიც რომ ასე გიყვარდა...

***

(დედას)

დედა, ისევ მარტო ვარ,
უშენობა მტანჯავს...
ჟამთა სრბოლამ დამტორა,
ამაოა გარჯა...
ღმერთო, შენი იმედით
მომეც გული წმინდა...
შენი ქერუბიმებით,
შენი სერაბიმებით,
სულ გადიდო მინდა!
დედა, თუკი ღვთისმშობელს
შეავედრებ ჩემს თავს,
იქნებ ღმერთმა მიშველოს —
მომიყვანოს შენთან...
დედა, როგორ გახსოვარ —
მოზრდილი თუ ჩვილი?
მე ლოცვებში გიხსენებ,
ცოდვიანი შვილი...
დედა, ნეტა თუ მიცნობ
დაბერებულს, შეცვლილს?..
— შვილო, განა უმიზნოდ
მოგეც მუზის ცეცხლი...

* * *

ჩემი პაპის პაპის საფლავებთან
ორ კილომეტრში რუსის ჯარია!
ყველა მთავრობამ საქართველო
ისევ გაყიდა,
(უკვე მერამდენედ!),
წმინდაო მარიამ!
ჩემი პაპის პაპის საფლავებთან
ორ კილომეტრში
რუსის ჯარია.
ევროპას ფეხებზე ვკიდივართ,
ამერიკა რა მოსატანია!
იმედი?
უფლისღა! სხვა არავისი!
აღარც ტრაქტორი,
აღარც სახნისი...
დიზელი (საწვავი) 1,80 ლარი,
მოუხვნელ მინდვრებზე
მოთარეშე ქარი...
საქართველოს ოთხივ-კუთხივ
მოღებული კარი...
ჩემი პაპის პაპის საფლავებთან
ორ კილომეტრში რუსის ჯარია.
ეს თეთრი ღრუბლებია, თუ შენი ფრთებია,
დედათა დიდებავ, წმინდაო მარიამ!

* * *

დიდი ხანია არ მოეწვიმა,
ენატრებოდათ ვაზებს სიგრილე...
პაპა ლაზარეს შავ თხას შეწირავს,
მაგრამ ამინდი დგება იგივე...
ფესვებგამშრალი კვნესის ხეხილი,
გადაიხრუკა უწყლოდ სოსანი,
ნაზ იასამანს ტანზე ეხვევა,
გახურებული ქარი სისინით...
მხოლოდ ეკლები გაჰკვრიან ხრიოკს,
თაკარა მზეში გაკაპასებით...
ეკლის შეშურდა ჩამომჭკნარ იას
და დაუწყევლა გრძელი ფესვები...
მინა წვიმაზე ოცნებას იწყებს,
ზეცას რომ ჯანღი გადაეკვრება...
იქნებ ზაფხულის ნამსა და სიცხეს
ყველაზე მეტად გრძნობენ ეკლები?

***

გალობს შაშვი და გალობს ტოროლა,
რა მშვიდად მოდის ბინდი მაისის —
მიიზლაზნება თითო ოროლად
სოფლის ნახირი — უნდო ხალისით...
ჩამორჩენილი შავი ბოჩოლა
ლეხურის გაღმა დედას მიბღავის...
ქვრივის აივანს ღამე მოჭორავს
გაკიდებული თეთრი ნიფხავით...

* * *

თოვდა რიჟრაჟზე... თოვდა მწუხრისას
და თოვლისფერად მაინც დაღამდა...
ხეები ზამთარს ხარკს არ უხდიდნენ
და შიშველ ტოტებს ყინვა დაღავდა...
შენთან ვიყავი და ვბრუნდებოდი
სახლში, რომელშიც არვინ მელოდა...
დათვლილი მქონდა ჯიბის ხურდა და
ჭრელი სიზმრები სოფლის მდელოთა...
თოვლმა ოთახშიც ააელვარა,
მტვერდადებული ყველა საგანი
და ღრჭიალებდა ჩემი საწოლი,
ამოდებული ძილზე ლაგამი...
დღესაც მოთოვა. თოვდა საღამოს
და თოვლისფერად დაღამდა ისევ...
სიზმრადა ვხედავ, თითქოს მაღალი
მთებიდან ჩემი წარსული მიმზერს...
ასე მგონია, თვალებს გავახელ
და დაგინახავ თოვაში მარტოს...
ფიფქები ცვივა... ფანჯარას ვაღებ
და იმ თოვლისფერ ღამეებს ვნატრობ...

დავით გურამიშვილს

(ხალხურ მოტივზე)

ლამისყანასთან, დიდ პაპავ,
რუსისა ჯარი არიო...
ქსანს იქით ველარ გატოპავ,
მტერს დაუკეტავს კარიო...
ჩერქეზ-ღლიღვს, დიდო-ლეკებსა,
სუყველას მოსჭრეს მკლავიო...
როგორაც უნდა იკვნესო —
გამგები არვინ არიო...
ყური დაუხშავს მსოფლიოს
ნარკოტიკული ნაფაზით...
ფეხზე ჰკიდია მოსკოვსაც
ოსიც და შენი აფხაზიც...
ისე, ახია მაგათზე
რუსული ჩექმის ნახაზი...
ლამისყანასთან, პაპაო,
რუსისა ჯარი არიო...
ღმერთსა ვთხოვ,
ქართველთ მყლაპავნი,
სულ ერთმანეთში არიოს!..

მერაბ ჯალიანი

ლელა + ლევანი

(თბილისური რომანი)

VII

თბილისი აგარაკებიდან დაბრუნებული მოქალაქეებით ნელ-ნელა აივსო, მზით გარუჯული გოგო-ბიჭები მომრავლდნენ, ხალისიანად დააბიჯებდნენ და ერთმანეთს ზაფხულის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ.

ეკლესიებს მრევლი დაუბრუნდა, ქალაქს კი ადრინდელი მიმზიდველობა.

ჩემმა მეზობელმა, გაბო სოფრომაძემ, ვისი ველოსიპედითაც თავი გავიმრთელე, სომეხი კარინა მოიყვანა ცოლად; პატარძალის დედა ეროვნებით ბელორუსია, მამა — სომეხი; გადაირივნენ გაბოს მშობლები, სოფრომაძეებს სომხის ქალი გვაკლდაო და, სასტიკი წინააღმდეგობის შემდეგ, თავისას რომ ვეღარ მიაღწიეს — გაბოს მამა რამდენჯერმე მიუვარდა კარინას მშობლებს, ჩემს შვილს თავგზას ნუ უბნევთ, ნუ აჯადოებთ თქვენი სომხის გომბიოთიო — ვაჟიშვილზეც ხელი ჩაიქნიეს, თვალით არ დაგვენახოო; დიდი ხვითოა ეს ჩვენი გაბო, უგერგილო ტიპია, არც წყალია და არც ღვინო; მაგის კარინას თავისივე ძმაკაცები ეკურკურებოდნენ, ახლა, ალბათ, დაითრევენ კიდეც; სხვათა შორის, ამ გაბოსაც აჭრელებული ჰქონდა კარინას საცხოვრებელი სახლის კედლები ისარგაყრილი გულებითა და სასიყვარულო წარწერებით; არა მგონია, სიყვარულის ფასი იცოდეს, ერთი ახმახი დოყლაპიაა; ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, მთელი უბანი ახლა სოფრომაძეების რძალზე ჭორაობს; წყვილმა სადღაც ბინა იქირავა და თაფლობის ხანას იქ ატარებს.

დღეს ჩვენი უბნელი, კანონიერი ქურდი, „კეტე" მოკლეს — საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს, გვერდით ცოლი ეჯდა, რომელიც სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა.

პანაშვიდიდან დავბრუნდი, ლელას დავურეკე და თბილისის ამბები ცხლად მოვუყევი, ბოლოს მთელი სერიოზულობით ვთხოვე, ზღვის ღელვისას სანაპიროზე არ წასულიყო; სიცილით მოკვდა, როცა ღელვაა და კოკისპირული, სანაპიროზე რა ჯანდაბა მინდაო; დავდუმდი, უსაფუძვლო გაფრთხილების გამო შემრცხვა და ქობულეთელი მურთაზისა და ბერძენი ვიოლას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი გამახსენდა, სინანულით ჩამეღიმა, თითქოს ქვეცნობიერად ზღვისადმი შიში დამეუფლა, ლელა არ წამართვას-მეთქი.

ჩვენი უბნის ბიჭებს კეტეს სახლთან მოეყარათ თავი; დაკრძალვის საქმეებს „ბაჯო" თავკაცობს, სახე ჩამოსტირის, დანა პირს არ უხნის, ჩემს ხელში გაზრდილი ბიჭი, როგორ უნდა დავასაფლავოო, სინანულით ჩივის.

ძმაკაცის სიკვდილს ყველაზე მეტად ელეკო განიცდის, დამწუხრებულია, ბავშობის მეგობრის მკვლელობა ვერაფრით მოუნელებია; ელეკო გამხდარი და ოდნავ ბეჭებში მოხრილია, უშიშარი გამოხედვა აქვს; ადრე ქუჩის ბიჭი იყო, ახლა უშიშროების სამსახურშია, თუმცა ძმაკაცებისთვის არასოდეს უღალატია, სხვათა შორის, აფხაზეთში, წინა ხაზზე იბრძოდა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისთვის სიცოცხლეს არ ზოგავდა...

კეტეს დაგრძალვის დღეს მოულოდნელი ამბავი მოხდა, ელეკომ მის საფლავზე ერთ-ერთი კანონიერი ქურდი იარაღით მოკლა, რომელიც ბეწვზე გადარჩენილ ქვრივს შეუცვნია, სწორედ ამან მომიკლა ქმარიო, სასონარკვეთით დაუჩივლია.

როცა ბიჭებს ქვრივის დაჩივლების შესახებ შეუტყვიათ და სამაგიეროს გადახდაზე სასწრაფოდ უმსჯელიათ, თითქმის ყველას ყოყმანი დატყობია, კანონიერი ქურდის შეხების უფლება არავის გვაქვსო; ბოლოს ელეკო წამომდგარა, „მეგობრობას ყველაფერზე წინ ვაყენებ!" გადაჭრით უთქვამს და საქმის მოგვარება თავის თავზე აუღია.

ელეკო მალე დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს, მთელი ქალაქი ლაპარაკობს, ნამდვილი ძმაკაცობა სცოდნიაო, იმას არავინ ნაღვლობს, კანონიერი ქურდის მკლელობას რომ არ აპატიებენ — ყოველ ნაბიჯზე საფთხეს შეუქმნიან.

ლელას თითქმის ყოველდღე ვუკავშირდები და კარგა ხანს ვესაუბრები.

გუშინ დედამისს მოვკარი თვალი, სადღაც მიიჩქაროდა, შემამჩნია, დაკვირვებით შემათვალიერა; დამნაშავესავით გავუღიმე, თითქოსდა შეუფასებელ განძში შეცილებისთვის ხარკი გადავუხადე.

ბაჩო და ნიაზი სამეგრელოდან შემოდგომის მიწურულს დაბრუნდნენ, გარუჯულები არიან, მდინარის პირას ვეყარენით, მთელი დღე ვთევზაობდითო.

გაგრძელება. დასაწყისი N 11

თემო ცოლს გაეყარა — შვილზე დარდობს, შეჩვეული ვარ და უმისობა გამიჭირდებაო; ის გოგო კვლავ არ ასვენებს, დღედაღამ კუდში დასდევს; ბოლო დროს მასთან ერთად ვაჩნაძის ქუჩაზეც გამოჩნდა, მეც გავიცანი, მაკა ჰქვია; სუსტი, შავგრემანი და საშუალო ტანისაა, ჯიუტი გამოხედვა აქვს; თემო ავადმყოფურად უყვარს, ეტყობა, ცოცხალი თავით არავის დაუთმობს, მათ შორის ხშირი დაძაბულობა და შეხლა-შემოხლაა; თემო ნერვიულობს, თავიდან მომწყდიო, მობეზრებით უყვირის.

ჯიმშერი ჯარიდან დავაჟკაცებული დაბრუნდა, ახლა ცოლი უნდა შევირთოო, ვალმოხდილივით გამოაცხადა.

უსტო ციხიდან ახალი წლის დამდეგს გაათავისუფლეს, პატიმრობა პირობითი სასჯელით შეუცვალეს; ერთ ადგილზე ვერ ისვენეს, მიდიმოდის, სულ სადღაც ეჩქარება, ამ ბოლო დროს კოლმეურნის ბაზრის გაყოლებაზე, კომერციულ ჯიხურში ხედავენ ხშირად, გამყიდველი გოგონა მოსწონს და, ღამისთევა რომ გაუადვილოს, მასთან ზის და ლაპარაკით ართობს; ზოგჯერ გადაბმულად სვამს, ზოგჯერაც ნარკოტიკს ეტანება — უსამართლობას ვერ იტანს, დაჩაგრულს ექომაგება და ქუჩის ცხოვრებას მეთვალყურეობს, უბანში თუ გაურკვეველი ამბავი ხდება, ერთს დაიძახებს და ყველა მის გვერდით ჩნდება.

გურამჩიკას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მოსკოვის ნაცვლად დედამისთან, ნიუ-ორკში ამოაყოფინეს თავი; ერთი თვეც ვერ გაძლო, დედამისის საყვარელთან უთახმოება მოუვიდა და უკანვე გამოაბრუნეს; თუმცა მალევე გაუმართლა, ორი კვირის წინ მოსკოვში გაემგზავრა, ამბობენ, ჩასვლისთანავე ოცნება აისრულა, კანონიერ ქურდად მოინათლაო.

ნანუჩის და დათოს მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი, მომეჩვენა, თითქოს ისე კამათობდნენ, ეს ქვეყანა შუაზე ვერ გაუყვიათო — თვალი ავარიდე, უხერხულობა არ იგრძნონმეთქი...

ნაახალწლევს ბათუმში გავემგზავრე; წვიმდა, ქუჩები გუბეებით დაფარულიყო; ლელას კაფეში შევხვდი, გამოდარების იმედით კარგა ხანს დავყოვნდით, მერე ღია ცის ქვეშ უაზროდ ვიხეტიალეთ, გავილუმპეთ, ბევრი ვიცინეთ და საღამო ხანს ერთმანეთს სინანულით დავშორდით.

სოფრომაძეებმა გაბოს თანაკლასელი, მთაწმინდელი გუგუშა კარინას მშობლებს მიუგზავნეს, ერთი ამბავი აატეხინეს, თქვენი ქალიშვილი, როგორც გინდათ, ისე ჩამოგვაშორეთო; თვის ბოლოს კი, ყველასათვის მოულოდნელად, ვაჟს და პატარძალს შინ დაბრუნების უფლება მისცეს, არც ვინმეს მილოცვა მიიღეს და არც წვეულება გამართეს — ისე იბღინძებიან, უთუოდ კარინას თავიდან მოშორება აქვთ განზრახული.

ელეკო თურმე ორგანოს თანამშრომლებისთვის განკუთვნილ სპეცსაკანში ზის, ხმა დაირხა, საქმე ჩაწყობილი აქვს, მცირე სასჯელს აკმარებენო.

ქალაქში შეიარაღებული დაჯგუფებების თარეში თანდათან შენელდა და ახლა უფრო კვალიფიცირებული, კლანური გაერთიანებების სახე მიიღო: შეიქმნა ვერის, მთაწმინდის, საბურთალოსა თუ ვარკეთილის საძმოები; ისეთი ჯგუფები, როგორიც „კულინარები" და „ბოროტებია" მთელ ქალაქს შიშის ზარს სცემენ; დღე ისე არ გავა, ვიღაცამ ვიღაც არ მოკლას — ყველგან სისხლის სუნი ტრიალებს, გავლენის სფეროების გადანაწილება ხოცვა-ჟლეტის გარეშე არაფრით ხერხდება.

რუსთველის გამზირს და მის შემოგარენს სამოქალაქო ომის შემზარავი კვალი დღესაც ატყვია, ხშირად მომიტინგეების, დამხობილი ხელისუფლების მომხრეების ყიჟინი ისმის — ხალხის უკმაყოფილება მოთმინების ზღვარს აღწევს; მათხოვრები ბუზებივით მომრავლდნენ, ნაგვის ბუნკერებთან დილაადრიან რიგი დგას, გაწევ-გამოწევაა, ერთმანეთში ჩხუბობენ, არა მე უნდა გავქექო პირველად და, არა მეო.

არსებობისთვის დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული, თუ არ იყოჩაღე, ისე გაგპუტავენ, როგორც მესერში გაჩხერილ დედალს.

ამ დროს მე ლელა მიყვარს და სხვა საფიქრალი ნაკლებად მაწუხებს; სამების ეკლესიაში ხშირად შევდივარ, ლოცვებსაც ვესწრები, ვფიქრობ, მოძღვარი ავიყვანო და ცოდვების მონანიებით ვიცხოვრო...

ზამთარი თითქმის მიილია, თებერვალი დადგა და მიწამაც ორთქლი აუშვა.

ამ დილით ლუიზა შემხვდა — ფურცელაძის ქუჩაზე ცხოვრობს, ჯიგარი ქალია; მაწანწალა ძაღლების თავგამოდებული ქომაგია და შეძლებისდაგვარადაც კვებავს, ერთი ჩვეულებრივი ეზოს ძაღლი ჰყავს, ჯილდას ეძახის, ჰოდა, საერთო ჭიშკართან მუდამ ამძუვნებული ძაღლების ზედახორაა, მეზობლებს მოსვენება არ აქვთ, თავი სოფლის ორღობეში ჰგონიათ, ჯილდა რომ ყეფასა და წკავწკავს ატეხს, უკმაყოფილოდ ვიშვიშებენ, ლუიზას საყვედურობენ, ბოლოს და ბოლოს, წმინდა ჯიშის ძაღლი მაინც აიყვანე, თორემ ამ წუნკალს მოგიკლავთო, ემუქრებიან; „როგორც ყველა კაცი — კაცია, ასევეა ყველა ძაღლი — ძაღლი!" მოსწრებულად პასუხობს ლუიზა და ჯილდას უცაცხანებს, მართლაც ნუ გაანყალე გულიო.

თბილად მომიკითხა, შეყვარებული როგორ გყავსო; მერე შეწუხებული სახით შემომჩივლა, ჯილდას მოკვლით მემუქრებიანო; დავამშვიდე, მაგათ არ აჰყვე-მეთქი, შევატყვე, ჩემი თანაგრძნობა ესიამოვნა და ლაპარაკის გუნებაზე დადგა.

— ჩემი ქმარი გაიძახოდა, თავადების მოდგმის ვარ, ჩემს ძარღვებში წმინდა სისხლი ჩქეფსო... ისემც იმას გაუხმეს თავი; თუ გინდა, სიმართლე გითხრა, ძაღლები იმის შემდეგ შემიყვარდა და ადამიანებზე მეტადაც მებრალებიან. — წამით შეისვენა, გამომცდელად შემომხედა, უაზრობას ხომ არ ვროშავო და, რაკი ჩემს ტუჩებზე ისევ თანაგრძნობის ღიმილი შენიშნა, ღვარძლიანად განაგრძო: — თავადის მოდგმის კი არა, პირნავარდნილი ნადირი იყო; სახელმწიფო ტელევიზიაში მუშაობდა, თავი მოსწონდა, ყოყლოჩინობდა, შინ მოსული მონასავით მიმსახურებდა, იმ შეჩვენებულს ბორშჩი და სუფი უყვარდა, ერთს რომ დავახვედრებდი, მეორე რატომ არ გააკეთეო; მომდევნო დღეს, დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, სუფს მივართმევდი, ბორშჩი რატომ არ მომიმზადეო, მისაყვედურებდა, ცხვირს ჩამოუშვებდა და ულუფას გვერდზე მისწევდა; შერისხუ-

ლივით გავეცლებოდი, კუთხეში მივიყუჟებოდი და საბრალობლად ვქვითინებდი, გაჩენის დღეს ვიწყევლიდი, თავმობეზრებული ვიყავი; ის ოხერტიალი მამაჩემისეულ სახლში ცხოვრობდა და თავს აქეთ მაყვედრიდა; ბოლოს მოთმინების ფიალა ამევსო, ერთხელაც ორთავე კერძი მოვამზადე, სუფი რომ მივართვი და ბორშჩი მიხსენა, მაშინვე ცხვირწინ ბორშჩიანი თეფში დავუტრიალე, ჩახეთქე შე სასიკვდილე-მეთქი, დავუსისინე; სახტად დარჩა, სათქმელი აღარაფერი ჰქონდა, ვიდრე რაიმეს მოიფიქრებდა და ახალ შარს მომდებდა, სწრაფად აიკარ გუდა-ნაბადი და აქედან მოუსვი-მეთქი... სახლიდან კინწისკვრით გავაგდე და, შენი წმინდა სისხლი გაშრა-მეთქი, მივაძახე; მას შემდეგ კაცის სახსენებელი შემძულდა; რა ვქნა, ამ საბრალო ძაღლების მოვლით ცოტათი ვერთობი, წარმოუდგენლად მეცოდებიან!.. — სინანულით დასძინა და იქვე დაცუცქულ ჯილდას ბავშვივით მიუალერსა, ლაქუცად გადაქცეულს პურის ნატეხი უწყალობა.

მოგვიანებით ლელას დავურეკე, სუფის და ბორშჩის ამბავი ვუამბე, ბევრი ვაცინე.

მაისის ბოლოს ელეკო ციხიდან გამოუშვეს, რამდენიმე კვირაში ახალ უსიამოვნებას გადაეყარა: სასტუმრო „ივერიის" საბანკეტო დარბაზში მისი ახლობელი ბიჭის ქორწილი იყო; ერთი ზურაა, ცნობილი ბიჭია, ელეკოსთან შელაპარაკება მოუხდა; ამან ხელი მოუქნია, იმან კიდევ, როგორც ქურდის მკვლელს, ისე გასცა პასუხი, იქაურობა დატოვა, რამდენიმე ხანში იარაღით მობრუნდა და ჰოლში მდგარ ელეკოს ცეცხლი გაუხსნა, ბარძაყში დაჭრა, ხოლო ბრმა ტყვიამ ახალგაზრდა პროკურორის სიცოცხლე იმსხვერპლა; ზურა მას შემდეგ გაქცევაშია, გამოჯანმრთელებული ელეკო კი ქალაქში თავისუფლად დაიარება, ყველა იმას გაიძახის, ეს ბიჭი ნაღდად გიჟია, ზურა ამ ამბავს ცოცხალი თავით არ შეარჩენსო.

საღამოს ნარიმანს ვეწვიე; ჩემს ეზოში ცხოვრობს, რუსი ცოლი ჰყავს, მასზე ათი-თორმეტი წლით უფროსი — ტომა; ნარიმანს პატარაობიდანვე ვუყვარვარ, ხშირად დამიძახებდა, მეგობრულად გამომელაპარაკებობდა, ხან რას მჩუქნიდა და ხან რას; მამისტოლა კაცის ყურადღება ყოველთვის მსიამოვნებოდა, დროთა-განმავლობაში ისე დავუმეგობრდი, ასაკობრივ სხვაობას სულაც არ ვგრძნობდი.

ნარიმანი მუდამ ფულიან ადგილას მუშაობდა და შინ ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა, ეზოში სუფრას გაშლიდა და მეზობლებს მოსალხენად უხმობდა — პირიდან თაფლი გადმოსდიოდა — უშურველობა და ხელგაშლილობა თითქოს ცხოვრების წესად გაეხადა; ეკლესიაში არასოდეს შედიოდა და არც ის შემიმჩნევია, პირჯვარი გადაეწეროს, ისე კი ნამდვილად ღვთისნიერი ადამიანია, ღმერთს მუდამ მოკრძალებით ახსენებს, კაცობრიობამ დღემდე ვერ ისწავლა, როგორ უნდა უყვარდეს მამაზეციერიო; წარმოსადეგი გარეგნობა აქვს, ფხიზელი ზედმეტ სიტყვას არ ამბობს, დალევს და სიყვარულით დნება.

ერთხელ აივნიდან გამომძახა, „შემოდი, შენთან საქმე მაქვს"-ო, მაცივარი გამოაღო, შამპანური გახსნა, ტომას შემოგებებულ ფუჟერებში დაასხა, მომიჭახუნა და სიყვარულის სადღეგრძელო წარმოთქვა: „ვიცი, რა გრძნობასაც შეუპყრიხარ და ღმერთმა იმედგაცრუებისგან დაგიფაროს"-ო, შთამბეჭდავი პათეტიკურობით მითხრა, თვალები ცრემლით აულიპლიპდა, უპეებში გამოუთქმელი დარდის კვალი დაეტყო; მაშინვე ვიფიქრე, ამ კაცს, ეტყობა, წარსულმა დიდი ტკივილი მიაყენა და სულში მოუშუშებელი ჭრილობა დაუტოვა-მეთქი; დივანზე დასკუპებულ ტომას გავხედე, ჩემს ვარაუდში ნათლად დავრწმუნდი, ქალი ერთ წერტილს ნაღვლიანად მისჩერებოდა, ქუთუთოებზე ცრემლი უციმციმებდა და ტუჩებზე ამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა; ნარიმანს თითქოს ყელში ბურთი გასჩრდა, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, ცოლს დამნაშავესავით გახედავდა — ხანაც წამოენთებოდა, დაჭრილი მხეცივით ბორგავდა, საკუთარ გრძნობებს დიდი ძალისხმევით თოკავდა, თითქოს ცოტაც და, გაგიჟდებაო.

ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს მე და ნარიმანი ერთი ბედის ვარსკვლავზე ვიყავით დაბადებულები, ხოლო მისი საიდუმლოებით მოცული წარსული, ჩვენი მეგობრობის იდუმალ საფუძველს წარმოადგენდა; მას მთელი არსებით ვენდობოდი, თითქმის ყველაფერს ვუმხელდი, რჩევას ვეკითხებოდი; „თუ ჭეშმარიტად გიყვარს, საფრთხეს არ უნდა შეუშინდე, უკან არაფერზე დაიხიო, ყვალაფერი უნდა შესწირო, სიკვდილი რომ დაამარცხო და სიყვარულში გაიმარჯვო"-ო... — მეტყოდა თვალგაბრწყინებული ნარიმანი და თავს სინანულით აკანტურებდა, გამომცდელად მაკვირდებოდა, მამოწმებდა და შიშობდა, გულშემმატკივრობდა, თითქოს თავის თავს ჩემში ეძებდა, მსგავსებას პოულობდა და ამით საკუთარ წარსულს რევანშს უღებდა.

მოგვიანებით მისი სიჭაბუკისდროინდელი თავგადასავალიც შევიტყვე და მის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემითა და თანაგრძნობით განვიმსჭვალე.

შეძლებულ ოჯახში გაიზარდა; მამამისი ერთ-ერთი მდიდარი მეურნეობის დირექტორი, დედა კი კიროვის რაიონის პირველი მდივანი იყო; დედისერთა ვაჟს საზრუნავი არაფერი ჰქონდა, მაგრამ არასოდეს გაყოყოჩებულა, ზემოდან არავის გადახედავდა, ყოველთვის გულისხმიერებითა და უბრალოებით გამოირჩევოდა; გოგონების გარემოცვაში უჩვეულოდ მორიდებული იყო, დამნაშავესავით იბნეოდა — შესაბრალის გამომეტყველებას იღებდა; ქალიშვილებს თურმე ეცინებოდათ, „ნუ მორცხვობ, თვალები გაგვისწორე"-ო, გამომწვევად ეუბნებოდნენ — ენდობოდნენ და ძმასავით უყვარდათ; სკოლის დამთავრების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა და რუსი დამლაგებლის ქალიშვილი, ოლია, შეუყვარდა, რომელსაც მამა არ ჰყავდა და ღარიბად ცხოვრობდა; გოგონა უბრალოდ იცვამდა და თანდაყოლილი მორცხვობით გამოირჩეოდა; თავდაპირველად მის გარეგნობაში ორიგინალურს ვერაფერს ამჩნევდნენ, როცა ნარიმანს დაუახლოვდა, თვალშისაცემად გამოიცვალა, უჩვეულოდ მიმზიდველი გახდა, თითქოს ყვავილივით გაიფურჩქნა და გასურნელოვანდა; ვაჟის გვერდით მიმავალს ოცნების სამყაროში ეგონა თავი, ცისფერი თვალები ბედნიერებით უელავდა, ისეთ კეთილგანწყობას აფრქვევდა, მხოლოდ სიყვარულისთვის გაჩენილთ რომ ახასიათებთ.

ნარიმანი და ოლია ერთმანეთს ხვდებოდნენ და თბილისის ქუჩებში დასეირნობდნენ; მათი სიყვარულის ამბავმა მალე ნარიმანის მშობლების ყურამდე მიაღწია; ყველაფერი დაწვრილებით გამოიკვლიეს, ოლიას წარმომავლობითა და სოციალური მდგომარეობით აღშფოთებულებმა დამლაგებელ ქალს ახლობელი კაცი მიუგზავნეს: „შენი ქალიშვილი ჩამოგვაშორე, თორემ საარსებო წყაროს გადაგიკეტავ"-ო; ასეთი მუქარის შემდეგ ვაჟსაც მკაცრად გამოუცხადეს, იმ რუსის გოგოზე ხელი აიღე, ან კიდევ ჩვენს მშობლობაზე თქვი უარიო; ბიჭი გაჯიუტებულა, ორ ცეცხლშუა მყოფი რამდენიმე დღე შინ არ მისულა; დედამისმა ახლა გოგონას თავისი გვარის წარმომადგენელი მიუგზავნა: „შენი ტოლი და შესადარი ნახე"-ო, შეურაცხყოფილი ოლია მწარედ ატირდა, სკოლას თავი დაანება და დედას გადაჭრით სთხოვა: „აქაურობას გამარიდე, თორემ მოვკვდები"-ო; საგონებელში ჩავარდნილმა დამლაგებელმა ქალიშვილის რუსეთში გაგზავნა გადაწყიტა; ნარიმანმა თავბედი დაიწყევლა, შეძლებულ ოჯახში რატომ დავიბადეო და, ოლიასთან პირობა დადო, სიკვდილის დღემდე არ მიგატოვებო, მშობლებს კი დაუპირისპირდა — ურჩად განუცხადა, ოლიას ცოცხალი თავით არ მივატოვებო; მალე გოგონას გამგზავრების ამბავი შეიტყო, რკინიგზის სადგურს მაშინვე მიაშურა და უჩვეულო მოლოდინით შემკრთალი შეყვარებული გულში ჩაიკრა — „შენთან ერთად მოვდივარ!" გადაჭრით უთხრა; ოლიას თავი სიზმარში ეგონა, მალე გამოფხიზლდა, შიშით მიიხედ-მოიხედა, ვიღაც ბოროტმა ერთად ყოფნის ბედნიერებმა არ წაგვართვასო; ამასობაში ბაქანზე ორი ჯეელი გამოჩნდა — შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები — პირდაპირ წყვილთან მიიჭრა, გოგონა გზიდან უხეშად ჩამოიშორეს და ვაჟს მილიციის განყოფილებაში წაყოლა უბრძანეს; ნარიმანი ყველაფერს მიხვდა, მშობლების მოგზავნილთ წინააღმდეგობა გაუწია, საიმისო არაფერი დამიშავებია, მილიციის განყოფილებაში გამოგყვეთო; ამასობაში თბილისი-მოსკოვის სამგზავრო მატარებელი ბაქნიდან დაიძრა, ბიჭი გამწარდა, არაადამიანურად დაიღრიალა და სიჩქარე აკრეფილი მატარებლის დაწევა განიზრახა — მოძალადეთაგან თავი ვერაფრით დაიხსნა, გაძალიანდა; ამ ამბავს უმწეო ოლია ტამბურიდან უთვალთვალებდა, ხელებშებოჭილ სატრფოს აცრემლებული თვალებით ემშვიდობებოდა და გრძნობდა, საყვარელ ადამიანს ვეღარასოდეს ნახავდა; ნარიმანი შეყვარებულის ვაგონს თვალს არ აშორებდა, ბოლოს მისი არსება საშინელი პროტესტის გრძნობამ შეიპყრო, თავის დახსნას ერთხელაც შეეცადა, გაქანებულ მატარებელს შევახტები და ოლიასთან ერთად შორეულ რუსეთში გადავიკარგებიო, მაგრამ წინააღმდეგობა კვლავ ვერ დასძლია, გამხეცდა, უიმედოდ ამოიგმინა... ოლიას სამუდამოდ ვკარგავო, გაიფიქრა და, უჩვეულო ძალა მოიჭარბა, ერთ-ერთი თანამშრომლისგან ხელი გაითავისუფლა, მეორეს წაუბიძგა და ბაქანზე დაანარცხა, რაღაცნაირად მოახერხა და წაქცეულს ტყავის ბუდიდან „მაკაროვი" ამოაცალა, ვიდრე მეორე თანამშრომელი გონს მოეგებოდა და განაიარაღებდა, გაუაზრებლად ისროლა, მჭიდი თითქმის ბოლომდე დაცალა, მერე პისტოლეტი გვერდზე მოიქნია, მატარებლის ბოლო ვაგონს სინანულით გახედა და იქაურობას სირბილით გაცლია — რკინიგზის სადგურის ტერიტორიიდან ვეღარ გააღწია, მილიციის თანამშრომლებმა ოპერატიულად იმოქმედეს და ადგილზე დააკავეს.

გასროლის შედეგად ერთი თანამშრომელი მძიმედ დაიჭრა; დაკავებული გაასამართლეს და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს; პატიმარმა მშობლები სათოფეზე არ გაიკარა, სატრფოც დაკარგა და ცხოვრების — ხალისიც.

სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ საკუთარი თავი ხელში აიყვანა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო: ბინა შეიძინა და სამსახურიც გამონახა; სულ გულჩათხრობილი დადიოდა, ძმაკაცები, როცა ცოლის შერთვაზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას, სინანულით ეღიმებოდა და თავს მობეზრებით აქნევდა; ბოლოს ტომა გაიცნო და ცოლად შეირთო; მათი წარსულის შესახებ სიტყვა არ დასცდებოდა.

ნარიმანის უიღბლო სიყვარულის ამბავი რაღაცით ქობულეთელი მურთაზისა და ბერძენი ვიოლას ტრაგიკულ ისტორიას მაგონებს: ქობულეთელ ვაჟს შეყვარებული გოგონა აბობოქრებულმა ზღვამ წაართვა, ნარიმანს კი რუსი ოლია ახლობლებმა დააკარგინა; ერთი სტიქიამ არ დაინდო, მეორე — საკუთარმა მშობლებმა...

ნარიმანს ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა, „ყავით გაგვიმასპინძლდი!" ტომას გასძახა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ნარდის თამაში შემომთავაზა; ყავაზე უარი ვთქვი, ნარდი კი გავშალეთ და კამათლები ავახმაურეთ; „ლელა თბილისში გადმოდის საცხოვრებლად!" ცოტა ხნის შემდეგ ჩავილაპარაკე და შაშის კარი ჩავკეტე; გამომცდელად შემომხედა, აუჩქარებლად მკითხა: „უყვარხარ?!" — მხრები ავიჩეჩე, რაც ჰოსაც ნიშნავდა და არასაც; „გაუფრთხილდი, მის სიყვარულს გაუფრთხილდი!" — კარგა ხნის შემდეგ დაარღვია დუმილი და დუიაქე დასვა, დარდიანად ამოიხვნეშა — ადგა, განჯინიდან კონიაკის ბოთლი გამოიღო, ჭიქებში დაასხა, ერთი მე მომაწოდა და რაღაცნაირი კმაყოფილებით წარმოთქვა: „ლელას გაუმარჯოს!" თითქოს რუსეთში გადახვეწილი ოლია იგულისხმა და სულმოუთქმელად გადაჰკრა; „დღესაც უყვარს!" გავიფიქრე და ტომას დამნაშავესავით გავხედე.

იმ საღამოს ნარიმანს ნარდში თითქმის ყველა ხელი მოვუგე.

თბილისში ახალი ამბავი გახმაურდა: ელეკო უგზო-უკვლოდ გაქრა; ბოლო დროს ნარკოტიკს ეტანებოდა, წამლის ასაღებად „ბარიგასთან" მიდიოდა, ვიღაცებმა თურმე „ბმვ"-ში ჩაისვეს და მას შემდეგ აღარავის უნახავს, ყველა იმას ვარაუდობს, მოკლულიაო; მისი გაუჩინარებიდან რამდენიმე ხანში ძებნილი ზურა დაიჭირეს, პროკურორის მკვლელობას ედავებიან, სავარაუდოდ, სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან, არა მგონია, ელეკოს გამო ბევრი აწვალონ, მის წინააღმდეგ ისედაც საკმარისი სამხილი აქვთ; აქებენ, ვაჟკაციაო.

ასეა, ზოგი მეგობრის სიყვარულს ეწირება, ზოგიც — ქალის.

VIII

ბათუმში წვიმა მომაბეზრებელი გახდა; რკინიგზის სადგურიდან მთელმა ოჯახმა გამომაცი-

ლა, მზიულმაც მომისწრო; თვალცრემლიანმა მოხუცებმა, არ დაგვივიწყოო, შემევედრნენ; მზიულიმ გამამხნევებლად გამიღიმა და ყურში ჩამჩურჩულა: ,,იმ შენს ლევანს მიხედე, ვიდრე ორ ფეხზე დადის!" სიცილი წამსკდა, მამაჩემმა ჯერ გაკვირვებით შემომხედა, მერე მხარი ამიბა და ჩემი ხათრით გაიცინა; მზიული მატარებლის გასვლამდე გამომეთხოვა, მომიბოდიშა: "ხომ იცი, მევლუდის ამბავი, მარტო ვერ ვტოვებ"-ო.

თბილისში დილაუთენია ჩავედი; ლევანს წინადღით ველაპარაკე, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, დიდუბის სადგურში თუ დამხვდებოდა; მოულოდნელად კუპეს კარი გაიღო, ზღურბლზე ჯერ ყვავილები გამოჩნდა და მერე — ლევანი, სიხარულისგან ისეთი ხმა აღმომხდა, მგზავრები პირღია მომაჩერდნენ; დიდხანს ვერ ვილაპარაკებდით — მატარებელი წუთი წუთზე რკინიგზის ცენტრალურ სადგურში შევიდოდა; ნაჩქარევად დამემშვიდობა, ვარდების თაიგული ხელში შემატოვა და სხვა ვაგონში გადავიდა.

ბაქანზე დედაჩემს, ბიძაჩემს და ჩემს უფროს მეგობარს, ინეზას მოვკარი თვალი; „როგორ მომნატრებია ჩემი დედიკო!.." ყვავილების არსებობა სულ დამავიწყდა, ბიძაჩემს სამგზავრო ჩანთასთან ერთად ხელში შევაჩეჩე და მშობელს კისერზე ჩამოვეკიდე. „ჩემო კუდრაჭა!" სიყვარულით მომეალერსა და თავი მიაბრუნა, თვალზე მომდგარი ცრემლი არ შეიმჩნია; მერე ინეზას მივვარდი, „შე ქალო, როგორ გალამაზებულხარ?" შეთქმულივით გავუღიმე და ფუნჩულა ლოყაზე ვაკოცე — უცხოური სუნამოს სუნი ვიგრძნი — „შენს სიყვარულზე სხვა დროს მიამბე!" ჩავჩურჩულე და ბიძაჩემს მივუბრუნდი; ინეზა სიცილით მოკვდა, გადმობირების მცდელობამ გაამხიარულა; გიგამ, გასათხოვარი გოგო დამდგარხარო, ღიმილით მითხრა და დედაჩემს დამნაშავესავით გახედა; ამ დროს სავაჭრო ჯიხურს ამოფარებული ლევანი შევნიშვნე, გაფაციცებით მითვალთვალებდა, თითქოს რაღაცას მანიშნებდა; წამით გავშეშდი, თვალი არ შეასწრონ-მეთქი, ვიფიქრე და დედას მივუტრიალდი, ვიდრე რაიმეს მკითხავდა და ჩემს დაბნეულ პასუხს დაეჭვებით მოისმენდა, ყვავილების შესახებ მოხერხებულად ვიცრუე: „ჩემთან ერთად კუპეში ბათუმელი გოგონა მგზავრობდა, თურმე დაბადების დღე ჰქონდა, შეყვარებულმა გამოაცილა და ყველას ჩამოგვირიგა!" ინეზას ფარულად გავხედე; დედამ თვალები მოწკურა, ვარდებიდან მზერა ბაქანზე გადაიტანა და გარშემო მიმოიხედა; ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ლევანი არ დალანდოს-მეთქი; „ბიჭიც ამას ჰქვია, აბა, მარტო შეყვარებულისთვის ხომ არ იზრუნებდა!.." კვერი დამიკრა ინეზამ და ბიძაჩემს თაიგული გამოართვა, სიამოვნებით დაყნოსა; დედაჩემმა მეგობარ ქალს ნიშნისგებით გახედა, „ნავედით!" დაფარული მღელვარებით თქვა და მკლავზე ხელი მომკიდა.

მანქანას ბიძაჩემი მართავდა, დედა რაღაცაზე ფიქრობდა, ხოლო ინეზა სარკმელში იცქირებოდა, დროდადრო ყვავილს ყნოსავდა და ტუჩებზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა; ახლობელ ადამიანებს შორის ვიჯექი და ნათლად ვგრძნობდი, მთელი არსებით მათზე ვიყავი დამოკიდებული, თუმცა სინდისი სულაც არ მქენჯნიდა, ცოტა ხნის წინ რომ ვიცრუე და, ვინ იცის, მომავალშიც რამდენ ტყუილს ვიტყოდი; მათთან თამაშს ვინყებდი და ეს თამაში უჩვეულო რწმენას მმატებდა, დამოუკიდებელ აზროვნებას მიყალიბებდა; სიყვარულის შენარჩუნებისთვის ვცრუობდი და საკუთარ თავთან მართალი ვრჩებოდი — ასე მეგონა, რასაც მოვიმოქმედებდი, ღმერთი მაპატიებდა; სინამდვილეში, დასამალი არაფერი მქონდა, ყველამ იცოდა, ლევანს ვუყვარდი და, იმასაც გრძნობდნენ, არც მე ვიყავი მის მიმართ გულგრილი; თუმცა ისე იქცეოდნენ, თითქოს ვერაფერს ხედავდნენ და ეს ამბავი სულაც არ ანუხებდათ, ასეთი რამ აზრადაც არ მოსდიოდათ — თვალთმაქცობდნენ და ამ იდუმალ ორთაბრძოლაში გამოცდილებას იშველიებდნენ; დედაჩემი ტაქტიანად იქცეოდა, მისი უპირველესი ამოცანა, ახლობელი ადამიანების გადაბირება და თანამოაზრედ გახდომა იყო; ჩემს ფარულ სტრატეგიას კი, ამ ადამიანების ხელიდან გამოცლა და შეთქმულებაში ჩათრევა წარმოადგენდა; ხომ დაინახეთ, დედაჩემმა პირველი მარცხი რკინიგზის სადგურში როგორ იწვნია: ინეზა შეთქმულებაში ჩავითრიე და ჩემს მხარეს გადმოვიყვანე!.. მან კარგად იცოდა, ყვავილები ვისგანაც მივიღე; მე და ინეზას იდუმალ კავშირს ამის შემდეგ ვერავინ დაარღვევდა — მით უფრო, მისი საიდუმლო ვიცოდი და გულწრფელად ვუთანაგრძნობდი: ცოლშვილიანი კაცი უყვარდა და ამ ამბავს ვერავის ეუბნებოდა, ქმარშვილიან ქალს ამის მორალური უფლება არ ჰქონდა; გაკიცხვის კი არ ეშინოდა, საჭორაოდ გახდომას ერიდებოდა, თორემ დაქალებს არ უმალავდა და არც იმას უფრთხოდა, მეგობრები გამყიდიანო; მე მისი ტოლი არ ვიყავი და, შემეძლო, დაუფიქრებლად წამომეროშა; დარწმუნებული ვარ, ამასაც არ ინაღვლებდა და არც გამინაწყენდებოდა; უბრალოდ, მოსწონდა, მის სახიფათო ურთიერთობას ჩემს სასარგებლოდ ვიყენებდი და პირში წყლის დაგუბებას ვაიძულებდი; ქვეცნობიერად ვამართლებდი, იმ კაცთან ყმაწვილქალობის სიყვარული აკავშირებდა, მართალია გათხოვდა, მაგრამ წარსული ვერაფრით დაივიწყა; ახლაც სასიამოვნო გარეგნობის ქალია, მისი ახალგაზრდობის სურათს რომ ნახავ, მაშინვე გაიფიქრებ, ისეთი გამომეტყველება აქვს, უსათუოდ შეყვარებულიაო; იმ ხანად მართლაც უყვარდა კასპელი, გიორგი მაზმიაშვილი; ინეზას მშობლებს თავი გაუგიჟებიათ, ღარიბს და ღატაკს როგორ გაგაყოლებთო და, იმდენი მოუხერხებიათ, ქალიშვილი ვიღაც უნიჭო არქიტექტორზე დაუქორწინებიათ; სამხედროდან დაბრუნებულმა და სიყვარულში ხელმოცარულმა კასპელმაც შეირთო ცოლი და წარსულს ისიც გამოეთხოვა; მას შემდეგ თითქმის ოცი წელი გავიდა, ერთხელაც გიორგი და ინეზა ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ — გულთბილი მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ ცოტა ხნით ბაღში გაისეირნეს, ძელსკამზე ჩამოსხდნენ და ძველი სიყვარული მორიდებით გაიხსენეს, უნებლიეთ მინავლული გრძნობა გააღვივეს და თავდაპირველი სურვილით აღენთენ, განახლებულ სიყვარულს მთელი არსებით მიეცნენ; ახლა გიორგი აღარ იყო ღარიბი და უქონელი, თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა და ქალაქში სამოთახიანი ბინაც ჰქონდა

— მხოლოდ ერთ რამეზე სწყდებოდა გული: სიჭაბუკეში უსამართლოდ მოექცნენ, საყვარელი გოგონა ჩამოაშორეს, არ დაინდეს და აიძულეს, ფხიანობა გამოეჩინა, არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც დაემტკიცებინა, ინეზას სიყვარულის ღირსი იყო და არ დაუჯერეს; ბოლოს, მისი წუხილი, ღმერთმა შეიწყნარა და ოცნებაც აუხდა, საყვარელი არსება დაიბრუნა; ინეზა დაუფარავად ამბობდა: „ქმარი რომ არ მიყვარდა, ამაში გიორგისთან შეხვედრამ საბოლოოდ დამარწმუნა“-ო; ერთი ქალიშვილი ჰყავდა, მისი კეთილდღეობისთვის ყირაზე დგებოდა.

რკინიგზის სადგურიდან რატომღაც სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მივედით, ყველანი შეთქმულებივით დუმდნენ, თითქოს რაღაცას მიმალავდნენ; ჩვენი მანქანა ახალაშენებული კორპუსის წინ გაჩერდა; გულმა რეჩხი მიყო, სიხარულის მოლოდინი ვიგრძენი, მაგრამ დედაჩემს კითხვის თვალით მაინც შევხედე. „გადმოდი, შვილო, ახალი საცხოვრებელი გაქვს!“ ამაყი ღიმილით მითხრა და მანქანის კარი გააღო, ძირს აღარ გადავუშვი, მოვეხვიე და ლოყაზე ვაკოცე.

ჩვენი ოროთახიანი, გემოვნებით გაწყობილი ბინა, ქუჩიდან მეხუთე სართულზეა და, რაც მთავარია, მისი სარკმლები პირდაპირ მამადავითის ეკლესიას და მთაწმინდის თვალწარმტაც ხედებს გაჰყურებს; თაიგული დიდ საყვავილეში მოვათავსე, ეკლესიას გავხედე და პირჯვარი გადავიწერე.

ახალ ბინას მალე შევეთვისე, ქუჩაში გასვლა აღარ მინდოდა; დედაჩემის ერთი დაქალი, ნონა და მისი ქალიშვილი, ხათუნა, თითქმის ყოველღამ ჩვენთან მოდიოდნენ, ყავას შეექცეოდნენ და თბილისურ ამბებს ყვებოდნენ; მოგვიანებით საგანგებოდ გამოპრანჭული ინეზაც შემოგვიერთდებოდა და ისეთ რამეს გვიამბობდა, სიცილით ვიხოცებოდით.

ლევანი, ალბათ, თავს მოუსვენრად გრძნობდა, უბანში დაეხეტებოდა და ჩემს გამოჩენას მოუთმენლად ელოდა.

ბიძაჩემს ორი პატარა გოგონა ჰყავდა; ბიცოლა გარეგნობითაც მომწონდა და ადამიანურობითაც, მისი ნახვა მოვიმიზეზე, პატარებიც მომენატრნენ და, თუ არ მოვესიყვარულე, გული გამისკდება-მეთქი.

დედამ ცოტა იყოყმანა, როგორც იქნა, დამთანხმდა და ბიძაჩემთან ორი დღით გამიშვა.

საღამო ხანს მოვახერხე და „ალექსანდრეს“ ბაღისკენ გავისეირნე, მოვიხედე და, ფეხდაფეხ ადევნებული, კმაყოფილებისგან გაბადრული ლევანი შევნიშნე!..

ბაღში შევედით და ძელსკამზე ჩამოვსხედით; სიხარულს ვერ ამჟღავნებდა, დაბნეულობა რომ დაეფარა, ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანა, საზურგეზე შემოსკუპებული წყვილის საქციელი აღიზიანებდა — „უზრდელები არიან, ჰგონიათ, ყველაფრის უფლება აქვთ!“ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა; მხარი ავუბი: „არც მე მომწონს ცხვირსა და ჭიპში რგოლგაყრილი თანატოლები!“ ვთქვი და ღიმილით მივაჩერდი; მოულოდნელად სიცილი აუტყდა, ძელსკამზე დამახედა, წაიკითხეო; „მაგარი ბიჭი ვარ, დამირეკე“, მეორე წარწერითაც დავინტერესდი: „მეც მაგარი გოგო ვარ, შენ დამირეკე“, რა თქმა უნდა, იქვე ტელეფონის ნომრებიც ამოეტვიფრათ.

— ხომ არ დაგვერეკა? — ხუმრობით იკითხა ლევანმა და სიგარეტს მოუკიდა.

— რა დროს შენი მოწევაა? — უკმაყოფილოდ შევხედე.

— სანერვიულოს მეტი რა მაქვს! — მრავალჭირგამოვლილივით მომიგო და თვალებში თბილად მომაჩერდა.

შევცბი.

— ალბათ, იმას დარდობ, სახელმწიფო გამოცდებს ჩავაბარებთ თუ არა? — მოჩვენებითი მღელვარებით გავექილიკე.

— დარწმუნებული ვარ, ჩაერიცხები! — დამაიმედა.

— შენ არ ემზადები უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად? — წინდაწინ ვიცოდი, რა პასუხსაც გამცემდა, აღარ დავაცადე და გამაღიზიანებლად დავძინე: — თუმცა ქუჩის ბიჭები სწავლაზე როდი ფიქრობენ?

— ჩემი ბიჭობაც შენი სიყვარულია და განათლების მიღებაც! — ისეთი გზნებით მომიგო, სიამოვნებისგან მთელ ტანში გამცრა, შემომხედა, თავი მხარზე მომადო და ლოყაზე მაკოცა. — მეშინია, შენთან დაშორების მეშინია!.. — გადამდები შეშფოთებით ჩაილაპარაკა.

— ნუ გეშინია! — ხმის კანკალით დავამშვიდე, საპასუხოდ მეც ლოყაზე ვაკოცე.

— ერთადერთი, რისთვისაც ამქვეყნად ვარსებობ და რისი იმედიც მაქვს, შენი სიყვარულია! — თავი დახარა და მიწას ამოუცნობი დუმილით დააჩერდა.

— რამე არ დააშავო და ჩემს სიყვარულს არ დაკარგავ! — სიცილით ვუთხარი, გამაფრთხილებლად დავუქნიე თითი.

— ეე!.. — მობეზრებით აიქნია ხელი, მასაც გაეცინა. — ვიცი, ვიცი, ვისი გავლენაც გალაპარაკებს! — გამომწვევად დასძინა.

კარგა ხანს გავერთეთ; ბოლოს ერთმანეთს ჩუმად ვაკოცეთ და გუდიაშვილის ქუჩაზე დავცალცალკევდით.

ბიძაჩემს არაფერი უკითხავს, დედაშენმა დარეკაო, მხოლოდ ეს მითხრა და საძინებელში გავიდა.

დედამ დილაუთენია მომაკითხა, უკმაყოფილება არ გამოუხატავს, ბიცოლას რაღაც მოუყვა, ბევრი აცინა, მერე ჩემთან ერთად ჩაი დალია და ახალ ბინაში წამიყვანა.

მთელი თვე წიგნებში თავჩარგულმა გავატარე — მოცლა არ მქონდა; ბოლოს სახელმწიფო გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და სამედიცინო ინსტიტუტში ჩავერიცხე.

ბიძაჩემმა ხუთასი დოლარი მაჩუქა; დედამ, ინეზამ, ნონამ და ხათუნამ საზეიმო შეხვედრა მომიწყეს, წარმატება მომილოცეს და ტკბილეულით გამიმასპინძლდნენ; ინეზამ ვიღაც ხელაძის ამბავი გაიხსენა, სიცილს ვერ იკავებდა, გაოცებულები მივჩერებოდით, ვიდრე თხრობა არ დაასრულა, რა აცინებდა, ვერაფრით მივხდით.

— ერიჰა... ისეთი კუდაბზიკა ქალიშვილი ჰყოლია დემნა ხელაძეს, ნუღა იკითხავთ, ცხოვრებისგან გამეტიჩრებული გოგო თურმე ყველას საკუთარ ნებაზე ატრიალებს... თუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ფული მაგათ არ აკლიათ და ქონება, — სიცილი წასკდა, თითქოს წინდაწინ შეგვამზადა, ნახეთ, რა მოუვიდა დემნა ხელაძესო, — ერთი სასიძო შეურჩევიათ, ტელევიზიაში ცნობილი გადაცემის წამყვანი, აბა, ნაკლებს როგორ იკადრებდნენ! — ისევ გაიცინა, — მშობლების არჩევანით ქალიშვილიც დაინტერესებულა, ცნობილი ჟურნალისტი ნამდვილად არ მაწყენდაო; დემნას პლეხანოვზე სამოთახიანი ბინა შეუძენია და წყვილისთვის გასაღები უბოძებია, რესტორან „არაგვში" ისეთი ქორწილი გადაუხდია, სუფრას ჩიტის რძეც არ კლებია, ქალაქის რჩეული საზოგადოება მოუწვევია, — ახლა ინეზამ სერიოზული გამომეტყველება მიიღო, ჩვენ კი სიცილისგან ვიჭაჭებოდით — ჰოდა, დემნამ ახალშეუღლებულები თაფლობის თვის გასატარებლად ესპანეთში გაამგზავრა, — ინეზა აფხუკუნდა, მივხდით, კურიოზულ დასასრულს მიუახლოვდა, — ერთი კვირის თავზე ხელაძის ქალიშვილს მამისთვის შემოუთვლია, სასწრაფოდ მოვფრინავთ და აეროპორტში დაგველოდეო; გულგახეთქილი დემნა სიძეპატარძალს პირდაპირ ტრაპთან შეგეგებია, სასურველი წყვილისთვის თვალი რომ მოუკრავს, შვებით ამოუსუნთქავს. „ამ იმპონტენტს ვის გამაყოლე?" უკმაყოფილოდ ჩაულაპარაკია ქალიშვილს და სახტად დარჩენილი მამის წინაშე განრისხებული დადუმებულა; კაცს მუხლები მოკვეთია, კინაღამ წაქცეულა, „შენი მარტო კაცობა მინდოდა და, ისიც თუ არ გქონდა, ვერ თქვი, შე ოჯახქორო?!" გამწარებით გამოუცრია, ქალიშვილისთვის ხელი მოუკიდია და ცნობილი ტელეწამყვანი ზიზღით მიუტოვებია; წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდებოდა დემნა ხელაძე?.. — დასძინა ინეზამ და სიცილით გადაბჟირდა.

— უარესის ღირსია, ის დემნა ხელაძე! — არ შეიბრალა მშობელი ნონამ და ხათუნას მრავლისმეტყველად გახედა.

— თორემ თქვენ გაიმეტებთ ქალიშვილებს უბრალო წრიდან გამოსულ სასიძოსთვის? — ინეზამ ნიშნის მოგებით შეათვალიერა დედაჩემი და ნონა, მერე მზერა მე მომაპყრო, შეთქმულივით გამიღიმა.

— სწორედაც... უვარგისი და უქონელი სიძისთვის არ გამიზრდია შვილი! — გაწიწმატდა დედაჩემი და საყვედურით შემომხედა, ინეზას რატომ გაუღიმეო.

ხმა არ გამიღია.

— მასე ფიქრობდნენ ხელაძეებიც და აკი ხელში ცისფერი სიძე შერჩათ! — ნევრებმომშლელად გადაიკისკისა ინეზამ.

მეც გამეცინა.

— დემნას ქალიშვილს მაგით არაფერი დაშავებია, იმ უბედურმა ბიჭმა იკითხოს, თორემ ის გოგო გაუთხოვარი არ დარჩება! — გამომწვევად თქვა დედაჩემმა და ინეზას დასერიოზულება აიძულა.

— გამოდის, რომ თქვენ, ქალბატონებო, სიყვარულს ანგარიშს არ უწევთ, შვილის ბედს თქვენსავე ნებაზე წყვეტთ! — ინეზამ კარგა ხნის შემდეგ დაარღვია დუმილი და დაქალებს უკმაყოფილოდ გადახედა.

— უყვარდეს, ბატონო, ეს მისი პრობლემაა, თუ შვილი არ დამიჯერებს, კისერიც უტეხია!.. — გადაჭრით დასძინა დედამ და ნონას მრავლისმეტყველად მიაჩერდა.

— შენ, დაუჯერე მშობლებს, როცა თხოვდებოდი? — არ ცხრებოდა ინეზა.

დედამ მწყრალად გააქნია თავი.

— თუ არ დავუჯერე, საკადრისადაც დავისაჯე! — სინანულნარევი ირონიით წარმოთქვა და სიგარეტს მოუკიდა.

— სიყვარულს ჯიბრში ჩადგომა ვერაფერს აკლებს, პირიქით, ამყარებს; ვისაც ჭეშმარიტად უყვარს, ის განქიქებასა და უარყოფითად მიდგომას ვერ ეგუება. — თითქოს საკუთრი გამოცდილება მოიშველია ინეზამ, ნონას და დედაჩემს თვალებში ჯიქურ შეხედა.

— ძნელია, ერთდროულად დედაც იყო და, შვილისთვის შეუფერებელი სიყვარულის მხარდამჭერიც, ე. ი. ვერ იმეტებდე და თან მის დაღუპვასაც შეუწყო ხელი!.. — მშვიდად წარმოთქვა ნონამ და იმანაც სიგარეტს მოუკიდა.

— თუკი შვილს თავდავიწყებით უყვარს?! — თითქოს თავის თავს ჰკითხა ინეზამ, ხმაში სინანული გაერია.

— თუკი ეს სიყვარული შვილისთვის დამღუპველია და ამას დედის გუმანით გრძნობ? — იქით შეუბრუნა კითხვა ნონამ და გამომცდელად მიაჩერდა.

ინეზა დადუმდა, თითქოს არენა დედაჩემს დაუთმო.

— მე, ის ქალი არ ვარ, ვინმეს ქონებას და სოციალურ შესაძლებლობებს დავხარბდე... მართალია, ძალიანაც მინდა ყოველმხრივ განათლებული და საზოგადოებისთვის მისაღები სიძე, მაგრამ, ხელაძეების არჩევანი იქით იყოს და, უქნარა, გამოუსწორებელი, ნარკომანი და ყურშეუსმენელი ნამდვილად ვერ გახდება ჩემი შექების ღირსი, თუნდაც ჩემს ქალიშვილს გაგიჟებით უყვარდეს! — დამაბნეველი ინტერესით მაკვირდებოდა დედა, ბოლოს გამომცდელად იკითხა: — თუ მშობლის გული ცუდს გრძნობს, მაშინ როგორღა უნდა მოიქცეს? — თვალებში ცრემლი აუციმციმდა, ინეზას უკმაყოფილოდ მიაჩერდა.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

ინეზა უხერხულად ცქმუტავდა, ზოგჯერ ჩუმად გამომხედავდა, სახეზე იდუმალი ღიმილი უკრთოდა, ოდნავ შემცბარი ჩანდა, თვითონაც ქალიშვილის პატრონი იყო და, საწინააღმდეგო აზრის გამოთქმისგან თავს იკავებდა.

იატაკს დავჩერებოდი და დედაჩემის წინათგრძნობის ამოხსნას მთელი არსებით ვცდილობდი, თითქოს სიყვარულში ეჭვი მეპარებოდა, ლევანზე ვეღარ ვფიქრობდი, მშობელი მებრალებოდა, გულის სიღრმეში მისი მჯეროდა, თანავუგრძნობდი, ბევრ რამეში ვეთანხმებოდი — ვხდებოდი, მართალს ამბობდა, მაგრამ ქვეცნობიერად იმასაც ვგრძნობდი, იდუმალი ძალა სულ სხვაგან მიმაქანებდა, სული არ ოკდებოდა, მორჩილებას ვეღარ იტანდა, გონება გულზე ვერ ბატონობდა.

თავი წამოვწიე, დედაჩემის ცრემლიან, მრავლისმეტყველ თვალებს წავაწყდი, უნებლიეთ წამოვდექი, მივუახლოვდი და ალერსით ვუთხარი:

— ისე მომჩერებიხარ, თითქოს განწირული ვიყო... შენს ნებას არასოდეს გადავალ, იმას შევიყვარებ, ვინც მოგეწონება!.. — დამამშვიდებლად გავუღიმე, დავიხარე და ლოყაზე ვაკოცე.

სინანულით ამოიოხრა.

— ლელა მართლაც ასე მოიქცევა, ჭკვიანი გოგოა! — კვერი დამიკრა ინეზამ და თავი მრავლისმეტყველად გაიქნია.

— ჯერ სიყვარულისთვის არ მცალია! — რატომღაც ყველას გაოცება გადავწყვიტე და ეს ისეთი კატეგორიულობით გამოვაცხადე, გაოგნებულები მომჩერებოდნენ, თვალებში დაუჯერებლობა ეხატათ.

საძინებელ ოთახში შევედი და დაწოლის წინ შუქი ჩავაქრე, თითქოს საბოლოოდ მივხვდი, მართლაც გონებით უნდა განმესაზღვრა, ჯერ მესწავლა და ექიმის პროფესიას დავვუფლებოდი; როგორც კი თავზე საბანი წავიფარე, იმწუთში ლევანი გამახსენდა და სიყვარულის ოცნებამ გამიტაცა, სწავლასა და მომავალზე ფიქრი სულ დამავიწყდა.

ზოგჯერ გრძნობის ყოვლისმომცველობას ჯიუტად გავურბოდი, ვბრაზობდი, ხან საკუთარი თავის უკმაყოფილო ვიყავი, ხანაც ლევანს ვსაყვედურობდი, უმწეოდ ვეწინააღმდეგებოდი, იმ სავარაუდო, აბობოქრებულ ტალღებში მოქცეულ მსხვერპლს ვგავდი, რომელიც ფონს ვერაფრით პოულობს, ხელებს მონდომებით იქნევს, მაგრამ არაფერი გამოსდის; სიყვარულის მღელვარებაში ჩაძირული, ბოლომდე ვერც მის დინებას ვენდობოდი და ვერც ვემიჯნებოდი; სხვა საშველს ვერ ვხედავდი, მარტო გულით კი არა, გონებითაც უნდა მემოქმედა და ცხოვრების მორევიდან უვნებლად გამეღწია.

ერთი კვირით ბათუმში გასამგზავრებლად ვემზადებოდი და ბიძაჩემთან წავედი; „სამებასთან" ლევანი შემხდა, უცნაურად გამოიყურებოდა, ისე მიღიმოდა, აშკარად რაღაცას მიმალავდა; ამ დროს ფანჯრიდან ბიცოლაჩემმა გამომხედა, ხელი ამიწია და უკან შებრუნდა.

— ახალი ბინის ტელეფონის ნომერს რატომ არ მაძლევ? — საყვედურით მკითხა ლევანმა.

საკუთარ თავს ყოყმანი შევატყვე, რატომღაც დედაჩემს მოვერიდე და გულწრფელად ვუთხარი:

— ხვალ ბათუმში მივდივარ, ჩამოვალ და მერე მოგცემ.

ეწყინა, დაძაბულად დაიქნია თავი.

— დამელოდე, ცოტა ხანში გამოვალ... — დამნაშავესავით ჩავილაპარაკე და იქაურობას გავეცალე.

ვიდრე ბიძაჩემთან შევიდოდი, მეზობელი ქალი შემომხვდა, თბილად მომესალმა, ლევანს ალმაცერად გახედა და საიდუმლოდ გადმომჩურჩულა: „გუშინ უბანში დიდი აურზაური იყო, ლევანმა და მისმა ორმა ძმაკაცმა ვიღაც ბიჭი სასტიკად სცემეს, სამების წინ ქვეყნის ხალხმა მოიყარა თავი..." არაფერი შევიმჩნიე, ლევანს მეზობელ ქალზე ეჭვი არ აღეძრას-მეთქი, შესასვლელში მშვიდად გავუჩინარდი, ცოტა ხანს დავყოვნდი, ბინაში შესვლა არც მიფიქრია, უკანვე მოვბრუნდი.

ლევანი ადგილზე დამხდა, ჩაცუცქულიყო და სიგარეტს აბოლებდა.

— გუშინ გივაჟკაცია! — ცინიკურად ვუთხარი და გამომწვევად მივაჩერდი.

არაფერი გაკვირვებია, წამოიმართა და მშვიდად მომიგო:

— ერთი არაკაცი დაისაჯა, დაიმსახურა! — ნამწვი უკმაყოფილოდ გადააგდო.

— სამისგან, არა?! — მწყრალად შევხედე, სახეზე დამცინავი ღიმილი ამითამაშდა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს! — ნევრებმომშლელი სიმშვიდით მომიგო.

— თუ მაგარი ბიჭი ხარ, მარტო გასწორებოდი! — მეც ნევრებმომშლელად მივაგებე, მინდოდა, მოთმინებიდან გამოსულიყო.

— კიდევ კარგი მისი არაკაცობა სამის უკმაყოფილებაზე გადანაწილდა, თორემ, მარტო რომ ვყოფილიყავი, უსათუოდ მოვკლავდი! — თვალებში მრისხანება გაუკრთა, მე კი სიცივემ დამიარა, რატომღაც დედაჩემი გამახსენდა და ისიც გავიფიქრე, ნეტავ მართლა თუ შეძლებს კაცის მოკვლას-მეთქი.

— წარბს არ შეიხრიდი, თუ ამას სინანულით გააკეთებდი? — მღელვარებისგან ხმა ამიკანკალდა.

— სიამოვნებით გავაკეთებდი!.. — გადაჭრით წარმოთქვა, შემომხედა და ალერსიანად დამიყვავა: — შენ რა, ჩხუბის გუნებაზე ხარ?

— არა, უბრალოდ, შენი დანახვა აღარ მსურს! — დაუყოვნებლივ შევტრიალდი და იქაურობას სირბილით გავეცალე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს პატარა გოგო ვიყავი და დამალობანას ვთამაშობდი, ლევანს ვერ ვიტანდი, სახლის კედლები წარწერებით აეჭრელებინა და, მისგან, რაც შეიძლებოდა, შორს გაქცევას ვლამობდი.

დედაჩემმა რკინიგზის სადგურამდე გამაცილა, მატარებელში ჩამსვა, ვიღაც სანდომიან ქალს ჩემი მეთვალყურეობა სთხოვა და უკან დამშვიდებული გაბრუნდა.

ბათუმში ჩავედი, ბაქანზე უხალისოდ დავდგი ფეხი და ახლა ვინანე, მამაჩემს რატომ არ შევატყობინე-მეთქი.

„დაბადების დღეს გილოცავ, ლელა!" — უცებ ნაცნობი ხმა ჩამესმა და გული დამფრთხალ ჩიტივით ამიფართხალდა, ყვავილების სურნელი ცხვირში მეძგერა და მუხლები კინაღამ მომეკვეთა.

სახლში აღარ წავსულვარ — დილაადრიანად ბულვარში ვსეირნობდი, ხელში ყვავილები მეჭირა, ლევანს კი ჩემი სამგზავრო ჩანთა მოეგდო მხარზე და მთელი სერიოზულობით მიყვებოდა მომხდარი ჩხუბის შესახებ — ზოგჯერ სინანულით შემომხედავდა, რატომ მაშინვე ყველაფერი არ ავუხსენიო.

მის გვერდით მშვიდად მივაბიჯებდი და თავი სამოთხეში მეგონა, მთელი გულისყურით ვუსმენდი და ეჭვი არაფერში მეპარებოდა, ყველაფერში ვამართლებდი და მეამაყებოდა, ავკარგიანი იყო — მისი სუნთქვაც მაიმედებდა და, ქვეცნობიერად იმ ბედნიერებასაც განვიცდიდი, რისი მონიჭებაც მხოლოდ ჭეშმარიტ სიყვარულს შეუძლია.

IX

„სამების" წინ ლევანს მოვკარი თვალი, გოგონასთან ერთად იდგა, გამიღიმა და ხელი ამიწია, „როგორ გიკითხოთ?" დამიძახა — გოგონას რაღაც უთხრა და ჩემკენ გამოახედა; რა მიხვედრა ამას უნდოდა, ლელას ჩემი თავი შორიდან გააცნო; გოგონამ სანდომიანად გამიღიმა; თავი დავუკარი და ფარულად დავაკვირდი, რატომღაც ლევანისეული ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა და შეფასება მომინდა; ქალიშვილის გაცისკროვნებულ გამომეტყველებაში მართლაც შეყვარებული დავინახე — თითქოს მის თითოეულ ნაკვთს საკუთარივე სულის სიდიადე შემობურვოდა და, მივხვდი, ასეთები ყველა დროში თავდადებული რომანტიკოსები არიან; ვფიქრობდი და საბოლოოდ ვრწმუნდებოდი, სიყვარული პროფესიაა და არა ცხოვრებაში — შეძენილი, არამედ ბედისწერით დანათლული, რაც მხოლოდ ღმერთის რჩეულთა ხვედრია.

სიყვარულს, თუკი მყარი არ არის, ბოროტება ადვილად ამარცხებს.

დათოს და ნანუჩის სიყვარული სხვათა დაუფიქრებელი საქციელის მსხვერპლი გახდა — გაუაზრებელ შურსა და უხეშ ჩარევას შეეწირა.

ნანუჩი ბოლო დროს ციცი გულუასთან მეგობრობდა, ხშირად დადიოდა მასთან და მალე მის სანაცნობო წრესაც გაუშინაურდა; ციცის საქმრო ჰყავდა და ნანუჩი მის ერთ ძმაკაცს მოსწონდა; დათომ ეს ამბავი იცოდა, მაგრამ თაყვანისცემას ვერავის დაუშლიდა და ამისთვის ვერც ნანუჩის უსაყვედურებდა.

ერთ დღეს, შემთხვევით, ციცის ქუჩაში შეხვდა და მეგობრულად მოიკითხა; გოგონამ, თითქოს ვაჟის მიმართ კეთილგანწყობას გამოხატავდა, ნანუჩის თაყვანისმცემელზე ჩამოუგდო სიტყვა, იმ ბიჭმა თქვა, ისეთ გოგოს ცოლად არ შევირთავ, რომლის დედაც სხვა კაცთან ცხოვრობსო; დათოს არ ესიამოვნა, ნანუჩის დედის პირად ცხოვრებას რომ ეხებოდნენ, დანამდვილებით იცოდა, ის ქალი მხოლოდ ერთ კაცთან, ლოვა ჯიშკარიანთან მეგობრობდა და, ნინის უკმაყოფილოდ გაეცალა — შეყვარებული იმდღესვე ნახა და გულისტკივილით ურჩია, ციცის წრეს ჩამოცილდიო; ნანუჩიმ ვერ მოისვენა, ციცის მიაკითხა და საქმეში გარკვევა სთხოვა; იმან ყველაფერი სხვანაირად აუხსნა, დედაშენი არავის უხსენებიაო; ახლა ნანუჩი დათოს მიუბრუნდა და, რაში დაგჭირდა ამის მოგონებაო; ბიჭი შეწუხდა, იგრძნო, უხერხულ მდომარეობაში აღმოჩნდა — წინდაუხედავად მოიქცა და შეყვარებული გაანაწყენა — სხვა გზა არ ჰქონდა, ციცის საქმროს უნდა შეხვედროდა: „ვიდრე გვიანი არ არის, შენს საცოლეს სიმართლის თქმა აიძულე!" მუქარის გარეშე ურჩია; ციციმ თავისი საქმრო ადვილად დაარწმუნა, თითქოს ნანუჩის დედა მან კი არა, დათომ ახსენა და, მე უნდა გადმომაბრალოსო; ბოლოს საქმრომ და საცოლემ ეშმაკური გეგმა შეიმუშავეს, ნანუჩი დაარწმუნეს, თითქოს ეს ყველაფერი დათომ შეთხზა, შეყვარებული მათი წრისთვის და, თავისთავად, თაყვანისმცემლისთვის რომ ჩამოეშორებინა; უსიამოვნო საუბრის თავიდან ასაცილებლად, ნანუჩის ურჩიეს: „დათო დაამშვიდე, თითქოს მისი გჯერა, შეცდომა დაუშვი და პატიებას ითხოვო".

დათო ყველაფერს მიხვდა, თავმოყვარეობას ვეღარ სძლია და ნანუჩის დაშორდა, თუმცა, მის სიყვარულს ვერაფრით შეელია; ერთხელ გულახდილად გამენდო და მთელი სერიოზულობით მითხრა: „ნანუჩის შემდეგ სხვას ვერასოდეს შევიყვარებ!" სინანულით გამეცინა, „მოვა დრო და შეიყვარებ!" გადაჭრით მივუგე; „არასოდეს, ეს მხოლოდ ერთხელ იყო და მორჩა!.." დარწმუნებით მომიგო, ნაღვლიანი სიჯიუტით მომაჩერდა; გამიკვირდა, მამაკაცური შურით ვიფიქრე: „ბედნიერია ის, ვის გულშიც სიყვარული წარუშლელ კვალს ტოვებს!"

ამ ამბის შემდეგ თვე არ გასულა, ლოვა ჯიშკარიანმა, ერთ-ერთ წვეულებაზე, სამი ახალგაზრდა კაცი სიცოცხლეს გამოასალმა, მეოთხე კი მძიმედ დაჭრა; ეს ტრაგედიაც ადამიანურ გრძნობებთან უდიერად მოპყრობამ გამოიწვია; ნანუჩის დედა მომხიბვლელი ქალი იყო — წვეულებაზე ყველა მანდილოსანი დაჩრდილა; შეზარხოშებული ბიჭები მისი ვინაობით დაინტერესდნენ, შეიტყვეს, ქმარს გაცილებულია, ახლა საყვარელი მამაკაცი ჰყავს და მის გარდა არავის იკარებსო; თითქოს საბაბი გაუჩნდათ და ქალთან დაახლოება მოინადინეს, არ მოასვენეს, წარამარა საცეკვაოდ იწვევდნენ, აქედან პრესტიჟულ რესტორანში გავაგრძელოთ მოლხენაო; ამ დროს საყვარელ ქალს ლოვა ჯიშკარიანმა მოაკითხა და მანქანისკენ წარუძღვა — მთვრალი მოაშიკენი უკან აეტორღიალენ, მანდილოსანს გზა გადაუღობეს, ამ გოიმს სად მიყვებიო; ლოვას ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, დაამცირეს და, ესეც არ აკმარეს, ბოლოს ფიზიკურად გაუსწორდნენ, ცხვირპირიდან სისხლი ადინეს, პერანგი სულ შემოახიეს; ნაცემმა და შეურაცხყოფილმა ჯიშკარიანმა მანქანამდე ძლივს მიაღწია, სალონის საბარგულიდან პისტოლეტი გამოიღო, უკან მობრუნდა და ოთხიდან სამი მოძალადე ადგილზე მოკლა; მერე უკვალოდ გაქრა, ხმა დაირხა, რუსეთში გადაიხვეწაო.

ასე დააკარგვინეს კაცს, როგორც საყვარელი ქალი, ასევე საკუთარი სამშობლო და ამ ყველაფერს თავადაც შეეწირნენ.

ადამიანი, რომელიც მკვლელობას ჩაიდენს და კანონის წინაშე პასუხისგებას გაურბის, ქვეცნობიერად მკვლელობის სენით ავადდება და, თუ ხელმეორედ არ მოკლა ვინმე, წნეხის ქვეშ ექცევა, ველარ უძლებს ამ სენთან ჭიდილს და ახალი მკვლელობებით იკვებება; ასეა სიყვარულით დასნეულებული ადამიანიც — თუკი ხელმეორედ შეყვარებას ვერ შეძლებს, მორჩა, წარსულ სიყვარულს ეწირება, სულიერად ეცემა და ჩაჩანაკდება.

მკვლელი ერთ მძიმე ცოდვას თითქოს მეორე ცოდვის ჩადენით გაურბის, მეორეს — მესამეთი და, ასე არსებობს, ვიდრე მისი აღსასრულის ჟამი დადგება; პირველი სიყვარულიც პირველ მკვლელობასავითაა, მეორე და მესამე შეყვარება თავის მოტყუება და არსებობისთვის დროის ფუჭად ფლანგვაა.

ადამიანის მეხსიერება ვერასოდეს ივიწყებს ორ რამეს: სიყვარულს და მკვლელობას.

როცა ლელას და ლევანის სიყვარულზე ვფიქრობ, ერთი ცნობილი რომანი მახსენდება

და თავში უჩვეულო აზრი მიჩნდება: რა მოხდებოდა, ღმერთს, შეყვარებულთათვის ცალკე კუნძული გამოეყო და მათი ბედნიერებისთვის ყველა პირობა იმ კუნძულზე შეექმნა.

გუშინ ლევანმა, დათომ და ნიაზმა ვიღაც პლეხანოველი ბიჭი გალახეს — ვერ მოვუწონე, ვერც ჩხუბის მიზეზს ჩავხვდი და დათოსგანაც ვერაფერი გავიგე.

X

დათო და ნანუჩი ერთმანეთს დაშორდნენ; ბიჭი გიჟს ჰგავს, „სამებასთან" დამინახა, მოვიდა, ქვაზე ჩამოვსხედით; არაფერი მიკითხავს, აღსარებაზე ვფიქრობ-მეთქი, ვუთხარი და მოძღვრის ვინაობაც დავასახელე; მოწონების ნიშნად თავი დამიკრა, სიგარეტს მოუკიდა, ისეთი დამძიმებული ჩანდა, უხერხულობას ვგრძნობდი, „ლელას ვთხოვ და ნანუჩის ყველაფერს აუხსნის..." ველარ მოვითმინე, თანაგრძნობით გავუღიმე; არაო, თავი გაიქნია, „ისე გამოიყვანეს, თითქოს ნანუჩისა და მის თაყვანისმცემელს შორის ჩორტი ჩავაგდე... სადაც გასაწყვეტია, იქ გაწყდეს!.." კარგა ხნის შემდეგ გამოცრა, ხელი ჩაიქნია და ნაღვლიანად გააბოლა.

ამ დროს ერთი ჩემი ნაცნობი ბიჭი მოგვიახლოვდა — საშკა ტოროშელიძე — გადამკოცნა, დათოს ხელი ჩამოართვა და საკუთარი ვინაობა ამაყად დაუსახელა; მართალია, საშკასთან არ ვძმაკაცობდი, მაგრამ კარგი დამოკიდებულება მაკავშირებდა, შორიდან ლელასაც იცნობდა და ჩვენი ურთიერთობის ამბავიც იცოდა.

— ცოლი ხომ არ მოიყვანე? — უადგილოდ მკითხა.

— რა დროს ცოლის მოყვანაა!.. — არც ისეთი კმაყოფილებით ვუპასუხე და დათოს სიგარეტი გამოვართვი.

— ისევ შეყვარებული ხარ?! — საქმედალეულივით შემომიჩნდა.

რატომღაც დათოს შევხედე და, მის თვალებში, სიმშვიდე რომ ამოვიკითხე, მეც მშვიდად მივუგე:

— ვარ, ძამიკო, ვარ!.. — სიგარეტს მოვუკიდე და გავაბოლე.

— ერთი შენნაირი შეყვარებული ვიცი, ვერელია, ამიკოს ეძახიან! — უკბილოდ იხუმრა საშკამ, ხმაში შეფარული ცინიზმი გაერია და ქუჩაში მიმავალ გოგონას ავხორცულად გააყოლა თვალი. — იფ, რა ნაშაა!.. — ხარბად დასძინა.

მე და დათომ ერთმანეთს მრავლისმეტყველად გადავხედეთ, თითქოს ვერელი ამიკოთი დავინტერესდით.

— იმ ამიკოს კი არ ვიცნობ, უბრალოდ, ნაცნობი გოგონა უყვარს! — ისევ დაცინვა გაერია ხმაში.

— საიდან იცი? — გამომწვევად იკითხა დათომ, ისე შეაგულიანა, თითქოს რასაც ამბობდა, ტყუილი იყო.

— ის გოგო ჩემი მეზობელია, ქეთი... ბავშვობიდან მევასებრდა, ისეთი თეძოები და მკერდი აქვს, ეშმაკს გადააცდენს! — გადამდები ვნებიანობით აგვიხსნა საშკამ.

დათომ სიგარეტის ნამწვი გვერდზე მოისროლა; მე უხერხულად შევიშმუშნე, თითქოს ვიგრძენი, საშკა რაღაც სისულელეს წამოროშავდა.

ამასობაში ვაჩნაძის ქუჩიდან ნიაზი შემოგვიერთდა, მოგვესალმა, საშკაც გაიცნო, ამოვისუნთქე, ვიფიქრე, მეშველა, პლეხანოველი დაწყებულ საუბარს აღარ გააგრძელებს-მეთქი.

— ის გოგო ამას წინათ ეზოში შემხვდა, შენთან რაღაც საქმე მაქვსო, — თითქოს ჩემს ჯიბრზე დაიწყო საშკამ, — ვიფიქრე, ალბათ, ვიღაცამ აწყენინა და დახმარება უნდა მთხოვოს-მეთქი, ნახევარი საათის შემდეგ კარზე მომიკაკუნა, — პლეხანოველი ნერვებმომშლელად დადუმდა, დათოს სიგარეტი სთხოვა, იმანაც უხალისოდ გაუწოდა, ნიაზი მაინცდამაინც ახლა დადუმდა, სიტყვა რომ ჩამოეგდო, საშკას შეგნებულად გავაჩერებდი, — ჰოდა, ოთახში შევიყვანე, ნამტირალევი ჩანდა, შეწუხებული თვალებით მომაჩერდა და წინდაწინ მომიბოდიშა, ბიჭების ბუნება ჩემზე უკეთ იცი და რჩევა უნდა გკითხოო... რას მებოდიშები, ერთ ეზოში გაზრდილები ვართ-მეთქი, შევაგულიანე, დივანზე დავსვი და გვერდით მივუსკუპდი, მოსასმენად მოვემზადე, თან მის მკერდს ვუჭვრეტდი, ნეტავ ხელში მომაჭმუჭნინა-მეთქი. — ამ დროს სამების ეკლესიიდან მღვდელი გამოვიდა, თავი დაგვიკრა და ხმამაღლა დაგვლოცა, — „ვერელ ამიკოს ვუყვარვარ, წელიწადია ერთმანეთს ვხდებით, სამი დღის წინ ვაწყენინე, აღარ მირეკავს..." ტკეპნა-ტკეპნით ამბობდა ქეთი და ნერვიულობისგან თითებს იმტვრევდა; ასეთი რა მოხდა?.. მოჩვენებითი გულისხმიერებით ვკითხე და თანაგრძნობის ნიშნად მუხლზემოთ ხელი დავადე; არ შემკრთალა, მთელი არსებით ამიკოზე ფიქრობდა. „კინო-თეატრ ამირანში თანაკურსელ ბიჭთან ერთად დამინახა, იეჭვიანა, დავურეკე, ყველაფერს აგიხსნი-მეთქი, მაგრამ არ მომისმინა... მოკლედ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე და რა გზას დავადგე..." ასლუკუნდა ქეთი და ცრემლებად დაიღვარა; „ერთი ნელი ხვდებოდით?!" ვკითხე და ხელის თითები წელქვემოთ შევუცურე; დაბნეულად შემომხედა, ვიდრე გონს მოეგებოდა, დივანზე გადავაწვინე... გამიძალიანდა, თევზივით აფართხალდა, ვიყვირებო დამემუქრა; დაგუდული კედლებია, ხმას ვერავის მიაწვდენ-მეთქი, იმედი გადავუწურე და საცვალი შემოვახიე, ამიკოს დედაც ვატირე, ბავშვობიდან მევასები-მეთქი, ყურში ჩავჩურჩულე და მისი ქორფა მკერდი თითებში მოვიმწყვდიე... აუჰ, როგორ არ დამკაწრა, დამკბინა, მაგრამ მაინც ვერ გამექცა, ბოლოს სიამოვნების ცრემლები ღვარა... ქალწულთან არასოდეს მიცხოვრია, სამოთხე ყოფილა, ძმაო... სისხლი რომ დაინახა, თვალები გაუფართოვდა, მერე ვედრებით შემომხედა და სასოწარკვეთილმა მისაყვედურა; მას შემდეგ ორჯერ შევხვდი, თავი მოიკლა და აღარ დამნებდა; ამიკოს აღარ ახსენებს, აწი ცოლად აღარ წამიყვანსო, შემომჩივლა; წაგიყანს-მეთქი, დავაიმედე და სახლიდან გავაგდე...

საშკას რაღაცის თქმა კიდევ უნდოდა, მაგრამ დათომ არ დამასწროს-მეთქი, ისეთი ვთხლიშე სიფათში, ცხვირიდან სისხლი თქრიალით წასკდა; ერთმანეთს აღარ ვაცლიდით, სამივე უმოწყალოდ ვცემდით, „კაცი კი არა, ახვარი ყოფილხარ!" გამწარებით დავძახოდით; თვა-

ლებგადმოკარკლული მოგვჩერებოდა, თითქოს უკვირდა, ამათთვის რა დამიშავებია, ასე სასტიკად რამ მისწორდებიანო; ბოლოს წიხლქვეშ გავიგდეთ, თავზე ხელები წაიფარა და ყვირილი მორთო: "მიშველეთ, მკლავენ!" მთელი უბანი გარეთ გამოეფინა, ზოგმა ხმამაღლა გაგვლანძღა, ხულიგნები გვეძახა, ახლავე პოლიციას გამოვუძახებთო.

იმ დღესვე ვერის უბანში წავედით, იქაურ ბიჭებში ამიკო ვიკითხეთ, დავადგინეთ, შევხვდით, გავიცანით და ბაღში გავნაპირდით — ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ყველაფერი პირდაპირ ვუთხარით.

ამიკო პატიოსანი ბიჭი გამოდგა, ერთხანს შერისხულივით დუმდა, სიმწრით ოხრავდა, ცრემლებს ყლაპავდა, ბოლოს მადლიერებით შემოგვხედა და, დღეიდან ჩემი ძმები ხართო, გულწრფელი კმაყოფილებით მოგვიგო.

„იმ პლეხანოველზე გული არ დაგწყდეს, ერთი კვირა ლოგინიდან ვეღარ ადგება!" დავამშვიდეთ. „ქეთის მივხედავ!" ყველაფერს მიგვიხვდა, სინანულით გაიქნია თავი და სათითაოდ გადაგვეხვია.

ერთი კვირის შემდეგ უბანში ლამაზ გოგოსთან ერთად მოგვაკითხა, „გაიცანით, ეს ქეთია, ჩემი საცოლე!" ამაყად წარგვიდგინა და კაფეში დაგვპატიჟა.

ამიკოსა და ქეთის შერიგების ამბავმა ძალიან გაგვახარა.

„სამების" ეკლესიის მღვდელთან, მამა ალექსისთან, კარგი ურთიერთობა მაკავშირებს, ჩხუბის შესახებ მკითხა და მეც აღარ დავუმალე; შეწუხდა: „ეს რა ჩაუდენია იმ უღვთოს!" — პირჯვრისწერით თქვა, რაღაცნაირი კმაყოფილებით შემომხედა და, „უფალმა შეგიწყალოს"-ო, დამლოცა.

სოფრომაძეებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს, რძალი სახლიდან გააგდეს — გამკიცხავი საბაბით თავიდან მოიშორეს; სოფრომაძეების რძალყოფილმა მალე წამლის ბარიგობა დაიწყო; გაბოს დასიცხულ კუროსავით დაუღია პირი და ახალ საცოლეს ეძებს, ამჯერად, ალბათ, მშობლების რჩევასაც გაითვალისწინებს.

ბებიაჩემი პენსიაში გავიდა, მზესუმზირით ვაჭრობა დაიწყო, დილიდან დაღამებამდე კოლმეურნის მოედანზე დახეტიალობს და პურის ფულს შოულობს; რაღაც უნდა ვიღონო, თორემ თუ დაუძლურდა, მერე რა მეშველება.

ბაჩოს სულ ამერიკის საელჩოსკენ უჭირავს თვალი, ერთი გოგო უყვარს, არაფერს ვეკითხები, თუ საჭიროდ ჩათვლის, ყველაფერს მეტყვის.

თემო მესამე მასივში დადის, ღამით ვიღაც რუს გალიასთან რჩება, შეგნებული ქალიაო, იზო დეიდამ მითხრა; ის მაკა დღესაც არ ასვენებს, სულ კუდში დასდევს; ამას წინათ თემო შემხვდა, „გალია ფეხმძიმედაა, ამ მაკამ კიდევ სისხლი გამიშრო, რაღაც გზებით მისი ტელეფონის ნომერი შეიტყო, წარამარა ურეკავს, ჩემი ქმრის ბავშვი მოიშორე, შე გათახსირებულოო, მოთმინებიდან გამოყავს, ემუქრება და შეურაცხყოფას აყენებს!" შეწუხებული სახით დასძინა.

ჯიმშერიმ ცოლი შეირთო, მალე ბავშვიც შეეძინება.

ნიაზი კი „ვორონცოვისკენ" დაეჩვია სიარულს, იქ, სადღაც, ბინა იქირავა, ერთი გოგო უყვარს და იმასთან ერთად ცხოვრობს.

დათო ვიღაც კონსერვატორიის ქერათმიან სტუდენტს გადაეკიდა, თითქმის ყოველდღე ინსტიტუტში აკითხავს, მერე სადღაც იკარგება, საყვარელ გოგონასთან ერთად გვიანობამდე უჩინარდება, უბანში საერთოდ ვერ ვხედავ.

წუხელ გურამჩიკა მამასთან ერთად მოსკოვიდან ჩამოფრინდა; უბნის ბიჭებმა პატარა შეხვედრა მოვუწყეთ, „მეგრელებში" სუფრა გავშალეთ და წავუქეიფეთ; მაგარი ზმანები ეცვა, კისერს, მაჯას და თითებს ოქროს მსხვილი ნაკეთობები უმშვენებდა; ღვინოს არ სვამდა, წამლის კაიფში იყო, ძვირადღირებული მობილურით წარამარა საუბრობდა, ვიღაცებს შეხვედრებს უნიშნავდა; დათო რატომღაც არ გამოჩენილა, გურამმა ერთი-ორჯერ გაკვირვებით იკითხა, რატომ არ მოვიდა, რამე ხომ არ შეემთხვაო; სუფრას უსტო თამადობდა, სიყვარულის, ძმობისა და პატიოსნების სადღეგრძელოებს მთელი გრძნობით წარმოთქვამდა.

დილით სადალაქოში შევედი, გურამჩიკა თმას იკრეჭდა, "სასწრაფოდ მოსკოვში მინდა გავემგზავრო და აეროპორტამდე გამაცილეო", სარკიდან მთხოვა; ამ დროს სადალაქოში გურამის მამა შემოვარდა, განრისხებული ჩანდა, „მოსკოვში წასვლა არ გაბედო, თორემ ყოფას გიტირებ!" შვილს თვალები დაუბრიალა — „როგორც კი მარტო დაგიგულებენ, ეგრევე დაგათოხლავებენ!" კანონიერ ქურდებს გულისხმობდა; გურამჩიკა ხმას არ იღებდა, დალაქი გაშეშებული იდგა, აღარ იცოდა, მაკრატელი ჯიბეში ჩაედო თუ თმა გაეკრიჭა; არც მე ვინძრეოდი, შვილის ბედით აფორიაქებულ მამას გაოცებული მივჩერებოდი; ბოლოს გურამი ადგა, სარკეში თმა გაისწორა და მშობელს დამნაშავესავით გაჰყვა.

მეორე დღეს ფანჯარასთან მომდგარი ვნახე, ნიკაპი ხელისგულზე ჩამოედო და თვალი დატუქსულ ბავშვივით გაშტერებოდა, შემებრალა, ერთხანს ვერ შემამჩნია, ბოლოს უხერხულად გამიღიმა; ამ დროს დათო მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და თბილად მოგვიკითხა. „შემოდით, რას უდგეხართ?" გურამმა შინ შეგვიპატიჟა და ფანჯარას მოშორდა, კარი გაგვიღო, დათოს გადაეხვია და დივანზე ფეხმორთხმით მოკალათდა; „ნანუჩის და შენი ურთიერთობა როგორ არის?" მრავლისმეტყველი ღიმილით იკითხა, დეიდაშვილის სახელი ფარული საყვედურით ახსენა, თითქოს ძმაკაცს რაღაცისთვის მოუბოდიშა; „ბავშვია, მაგას გონზე მოყვანა უნდა!" თითქოს გამოსავალი თვითონვე ნახა და სიგარეტს მოუკიდა; დათომ არაფერი თქვა, მხრები აიჩეჩა, სახეზე დაეტყო, ამ თემაზე საუბარი არ სიამოვნებდა.

— ბარიგა თუ გეგულებათ, წამალი ავიღოთ და გავიჩხიროთ! — შემოგვთავაზა გურამმა და ცხვირი მოიფხანა.

— წამალთან არაფერი გვესაქმება! — ჩემი სათქმელიც დათომ უთხრა.

გურამჩიკა დადუმდა, უაზროდ გაუშტერდა თვალი.

— რა ვქნა, დედის სიყვარული არ ვიცი... პატარა ვიყავი, მამას გაეყარა, თავისი ცხოვრება ააწყო... ქალია, ვერასოდეს გამიგებს; ხან ერთ ბებიასთან ვიზრდებოდი, ხან მეორესთან; როცა

27406

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაჩემის სახლში ვიყავი, მთელი სანზონის ბიჭიბი კუდში დამდევდნენ, პატივს მცემდნენ და საჩუქრებით მანებივრედნენ, მამაჩემის ხათრით სურვილებს მისრულებდნენ, მის სახელს მორიდებით ახსენებდნენ... მოკლედ, სულ მეამაყებოდა, ასეთი მამა რომ მყავდა... ყველგან მისი სახელი მმფარველობდა და არსებობას მიადვილებდა; ასე გავხდი მასზე დამოკიდებული, მისი გზა ვარჩიე, პირველობა მომინდა, მამისნაირი ავტორიტეტი უნდა მქონდეს-მეთქი, დღედაღამ ამას ვოცნებობდი... აგერ, დათოს მამამ, — ამ დროს ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა და მზერა ჩემკენ მომართა, — რა არ იღონა, უნივერსიტეტში მოგაწყობო, შემპირდა, კარგი ბანკირი გახდი და შენი შესაძლებლობები სულ სხვა მხარეს მიმართე, მამაშენის გაკვალული გზით ნუ გაიადვილებ არსებობასო, თუკი მამაშენი სიკეთეს თესავს და ადამიანების პატივისცემას იმსახურებს, არც ის დაგეკარგება სადმეო; არ დავუჯერე, ამერიკიდან მოსკოვში გავიქეცი და მამის გზას დავადექი — მეც ქურდი გავხდი, ყველაფერში მას მივბაძე, წამლის კეთებაც დავიწყე, ორი ქორწინებაც და განქორწინებაც მოვასწარი... არც ერთი ცოლი მიყვარდა, ორივე ფულის გამო შევირთე; ახლა ნარკოტიკის გარდა არაფერს ვეთაყვანები და არც არაფერი მაინტერესებს. — დათოს დამნაშავესავით მიაჩერდა, — მამაჩემს ახლა ეშინია, გამოუცდელია და ქურდებთან იაღლიში არ მოუვიდესო, ათასი მტერი მყავს და შენით მიპირებენ გაფუჭებასო; ჩემი იმედი არ აქვს, იცის, სინამდვილეში, სხვა ტიპი ვარ და ქურდობისთვის არ გავჩენილვარ, ამიტომაც ვერ ეტევა საკუთარ კანში... უკვე გვიანია, უკან ვეღარ დამაბრუნებს... მე მას მივბაძე და მის ავტორიტეტს ამოვეფარე, ახლა მისი პიროვნების დანამატივით ვარ!.. — მოულოდნელად დადუმდა, კარს მიაყურადა, ვინმე არ მისმენდესო, მერე მომდევნო სიგარეტს მოუკიდა და ისეთი შვებით გააბოლა, თითქოს აღსარება თქვა და მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდა.

დათო დაძაბულად დუმდა, ძმაკაცს თანაგრძნობით მისჩერებოდა; ამ დროს მულოდნელმა სევდამ შემიპყრო, დედის სიყვარული არც მე ვიცოდი და, უფრო მეტიც, მამის სახელი სულაც არ მეამაყებოდა, მისგან მშობლური არაფერი მახსოვდა; გურამის კარგად მესმოდა და ვგრძნობდი, გულში რა ბალღამიც უდუღდა; უცებ ლელა გამახსენდა და სულში სინათლის შემოჭრა ვიგრძენი, კმაყოფილებისგან გამაჟრჟოლა, თითქოს საკუთარ თავს ზემოდან გადმოვხედე, ჩემ გვერდით კი ლელა დავინახე და ყოველგვარი შიში დავძლიე; ღმერთო ჩემო, მე იგი მთელი არსებით მიყვარდა და სიყვარულში პირველი ვიყავი — ეგ იყო ჩემი ბედისწერაც და დიდების მწვერვალიც...

ამის შემდეგ თვე არ გასულა, რუსეთიდან გურამისა და მამამისის ცხედრები ჩამოასვენეს — მკვლელებმა მამა ბინაში დაცხრილეს, შვილი კი მანქანაში ჩაისვეს და შუბლგახვრეტილი ტყეში დააგდეს; კაცს თითებში სიმწრის ნიშანი, საკუთარი თმის ბღუჯა აღმოაჩნდა... მიცვალებულები სანზონაში, საგვარეულო სახლში დაასვენეს.

ჩარგალის ქუჩა სავსე იყო ხალხით; მე და დათო მოტირალთა პროცესიას შევერიეთ და განსვენებულებთან ძლივს შევაღწიეთ, თალხად მოსილი ნანუჩი ჰოლში იდგა და ვიღაც ახლობელ ქალს დამწუხრებული სახით უსმენდა, დათოს დანახვისას თითქოს შეცბა, მოსაუბრეს ზრდილობიანად გაეცალა და ჭირისუფლის ადგილი დაიკავა, გაიტრუნა, ეტყობოდა, ჩვენგან მისამძიმრებასა და თანაგრძნობის გამოხატვას დაელოდა; დათო მღელვარებას ძლივს ფარავდა, ძმაკაცის ტრაგედიას ახლა შეყვარებულის ნახვა დაემატა და მთლად დაიბნა — საქციელი წაუხდა და დაწყვილებულ კუბოს ისე შემოუარა, თავი არ აუწევია.

უნებლიეთ, ნანუჩის ნაღვლიან, განაწყენებულ მზერას წავაწყდი.

მამისა და შვილის ცხედრები თბილისის ზღვისკენ წაასვენეს; სამგლოვიარო დინებას ფეხით მივუყვებოდით; ნანუჩის ნაღვლიანი გამოხედვა არც სასაფლაოზე გამომპარვია, სამარის პირას დასვენებული დეიდაშვილის ცხედრიდან აქეთკენ გამოურბოდა თვალი; დათო გაოგნებული დასჩერებოდა ძმაკაცის უკანასკნელ სახეს და ნანუჩისკენ ისიც მალულად იხედებოდა; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს შეყვარებულები ახლობელ ადამიანთან ერთად სამუდამოდ დაკარგულ სიყვარულსაც გლოვობდნენ.

XI

თბილისში ცივი ზამთარი დადგა, ახალი წელი ახლოვდება; გუშინ ბათუმში დავრეკე, შინაურები მოვიკითხე და იქაური ამბები შევიტყვე: მზიულის მამამთილი გარდაცვლია; საწყალი ქალი, ახლა ოჯახის სიმძიმე მარტო მას დააწვება, მევლუდსაც უნდა მოუაროს და მტერ-მოყვარესაც პასუხი გასცეს.

ლევანს ფიჭური ტელეფონით ველაპარაკე, უხასიათობა შემატყო, ჩამაჯინდა, ხომ არაფერი შეგემთხვაო; ჩემი დაქალის უზნეობის ამბავს ხომ არ მოვუყვებოდი, პირში წყალი დავიგუბე, უბრალოდ, გადაღლილი ვარ-მეთქი.

ერთი ჯგუფელი მყავს, რუსკა ამაღლობელი, გაცნობის დღიდან დავახლოვდით და ერთმანეს შევეთვისეთ; გარეგნობა არ აკლია და კარგ ოჯახშიც აღზრდილია; მეგობრობაში არაფერი შეშლია, თუმცა ამ ბოლო დროს ისეთი რამ ჩაიდინა, ყველაფერზე წარმოდგენა დამაკარგინა; ერთ უფროს კურსელს, ბათო სურმავას, უყვარდა თუ, მასთან ურთიერთობით ერთობოდა, არ ვიცი, ამ ბიჭის გამო თავმოყვარეობაზე ხელი აიღო და, უკადრებელი რამ ჩაიდინა; ბათოს მამა რომელიღაც მსხვილი კორპორაციის თავჯდომარეა და, რა თქმა უნდა, ვაჟიშვილს არაფერს აკლებს — ოცი წლის ბიჭი ინსტიტუტში ახალი „მერსედესით" დასრიალებს; რუსკას სულ ვაფრთხილებდი, ეგ ბათო გაყოყოჩებულია, შენს სიყვარულს ნაკლებად გაიგებს-მეთქი; იხტიბარს არ იტეხდა, ყურს არ მიგდებდა და ბათოს მანქანით წინ და უკან დასეირნობდა; ერთხელ მათ წრეში აღმოვჩნდი და წყვილის საქციელს დავაკვირდი, აშკარად დავრწმუნდი, ერთმანეთი კი არ უყვარდათ, თითქოს აზარტულ თამაშში ჩართულიყვნენ და თითოეული მათგანი საკუთარი მიზნისკენ მისწრაფოდა; „რუსკა, იცოდე, ცეცხლს ეთამაშები, ვაჟის შესაძლებლობებს ეხარბები, მან ეს კარგად იცის და ისიც გეთამაშება, შენი გაცურება უნდა, წადილს აისრულებს და მიგაგდებს... დაიმახსორე,

ამ თამაშში უსათუოდ დამარცხდები!" არაერთხელ ვუთხარი და, გონს მოსასვლელად, კიდეც გავუბრაზდი; არაფერი შეისმინა, ბათოსთან ტორღიალი თავდაჯერებით განაგრძო და მთელი ინსტიტუტის საჭორაო გახდა; მთლად სულელი არ მეგონა, ბათოს თავს ადვილად არ გააბრიყვებინებს-თქო. „თუ ერთმანეთი გვიყვარს, ეს მარტო ცოლ-ქმრობით როდი დადასტურდება, მთავარია, ერთად ვიყოთ და მაგის დროც დადგება", უთქვამს ბათოს და რუსკასთვის სექსუალური კავშირი შეუთავაზებია; „თუ ნამდვილად გიყვარვარ, ამას ოჯახის შექმნით უფრო დამიმტკიცებ", უპასუხია რუსკას და დამაიმედებლად გაუღიმია; ბათო ამის შემდეგ ქალიშვილს სათოფეზე არ გაეკარა, სულ საქმეს იმიზეზებდა, მამაჩემმა რაღაც დამავალაო და, სადღაც გარბოდა; ბოლოს მესამე კურსელ გოგონას დაუახლოვდა, ხელს გადახვევდა და აუდიტორიებში მასთან ერთად მიმოდიოდა, რუსკას გულზე ხეთქავდა — აეჭვიანებდა; „ყურადღება არ მიაქციო, ნერვიულობად არ ღირს!" ვურჩევდი რუსკას, მაგრამ — ამაოდ, დარდობდა და მოსვენებას ვერ პოულობდა.

ჩვენს კურსზე ერთი ბორჯომელი ბიჭი სწავლობდა, მორიდებული და უპრეტენზიო — ზაზა არველაძე, ათასში ერთხელ თუ ამოიღებდა ხმას; მას საქციელის წახდომამდე მოსწონდა რუსკა; მის დანახვაზე წითლდებოდა, მონუსხულივით შესციცინებდა; ბუნებით ჩუმი და მუდამ სამეგობროდ განწყობილი ბიჭი გულისნადებს ვერ ამხელდა და რუსკას უიმედოდ შეტრფოდა.

მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა: რუსკა ბორჯომელს დაუახლოვდა, ბოლო დროს სულ ერთად იყვნენ, თითქოს რაღაც საიდუმლო გაუჩნდათ, შეთქმულებივით ჩურჩულებდნენ; „რა ხდება?" გაკვირვებით ვეკითხები რუსკას. „თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამა!" ნიშნისგებით მპასუხობს იგი და თვალებიდან შურს აფრქვევს; მივხვდი, ბორჯომელით ბათოს უხდიდა სამაგიეროს — გამოწვევა სურდა.

— კი მაგრამ, ამ საწყალ ბიჭს რას ემართლები? — უკმაყოფილება არ დავუმალე რუსკას.

— მე საკუთარი ინტერესი მამოძრავებს და, გთხოვ, შენს საქმეს მიხედო! — გაღიზიანებით მომიგო.

— ის ხომ მსხვერპლია... სიმართლე არ გითხრა?! — ხმაში წყენა გამერია.

— ეს ჩემი პირადი საქმეა და, ამაზე პასუხს თავადვე ვაგებ! — გადაჭრით მითხრა.

— ეს უზნეობაა და, ცხვირს რომ წაიტეხ, ყველაფერს მერე მიხვდები!.. — მოთმინების ფიალა ამევსო.

— შენი ზნეობრიობით თავი ნუ მომაბეზრე! — ხელი ჩაიქნია და აშკარად მაგრძნობინა, ამ თემაზე საუბარი არ მსურსო.

რამდენიმე დღის შემდეგ მთელ ინსტიტუტში მოულოდნელი ამბავი გახმაურდა: რუსკა და ბათო გაიპარნენ!.. ჩემი ჯგუფელები ყოყმანითა და ეჭვით შეხვდნენ რუსკას გაბედნიერებას და ქვეცნობიერად საპირისპირო ამბის შეტყობინებას დაელოდნენ; ბორჯომელი ცოცხალმკვდარი დაიარებოდა, აუდიტორიაში ნაცემივით მოიძურწებოდა და თვალებში ვერ გვიყურებდა — ყველას გვეცოდებოდა, მაგრამ, რა გვექნა, რითი გვეხუგეშებინა?..

ჩვენი წინათგრძნობა მალე გამართლდა: ბათოს მამამ გაპარულ წყვილს აგარაკზე მიაგნო, დაუყოვნებლივ რუსკას მშობლებს დაუკავშირდა და კატეგორიულად განუცხადა, თქვენს ქალიშვილს რძლად ვერ დავისვამ, ბიჭმა ჯერ უნდა ისწავლოს და დაოჯახებაზე მერე იფიქროსო; ბათომაც მამის მორჩილება გამოამჟღავნა — მის ნებას დაჰყვა და რუსკას გამო თავი აღარ გამოიდო; ქალიშვილის მშობლებს სხვა რაღა ექნათ, გაჩუმება არჩიეს, თავი მოგვეჭრებაო, მით უფრო, ძალადობას ადგილი არ ჰქონია და, ამ მხრივ, არც რუსკა გამოთქვამდა პრეტენზიას.

გულწრფელად შემეცოდა; მივაკითხე, სასოწარკვეთილი დამხვდა, „თავს არ ვიცოცხლებ"-ო, შემომჩივლა.

რამდენიმე დღის შემდეგ ინსტიტუტში გამოჩნდა, ყველა გაგვაოცა, თავი ისე ეჭირა, თითქოს სანატორიუმიდან დაბრუნდა; სახეზე იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა — ეშმაკური ჩანაფიქრის მაუწყებელი; ვიფიქრე, ამას თუ ბორჯომელისთვის ეჟვნის შებმა აქვს განზრახული, მაშინ სამუდამოდ დავკარგავ-მეთქი; ისემც ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ჩემი ვარაუდი გამართლდა: ამ ჩემმა დაქალმა ბორჯომელი ნელ-ნელა შემოირიგა, თავბრუ დაახვია და იმდენი მოახერხა, დეკემბრის ბოლოს მასზე ჯვარი დაიწერა — არნახული ქორწილი გადაიხადეს; წვეულებაზე მისვლა არც მიფიქრია, ჯგუფელებმა მისაყვედურეს, შენ რაღას ნაღვლობ, ეს ქვეყანა ვის გაუსწორებიაო.

გუშინ რუსკა ქიმიის კათედრაზე შემხვდა, გამოწვევად შემომხედა, „გაბედნიერებას არ მილოცავ?" — მრავლისმეტყველი ღიმილით მკითხა; „მომილოცავს!" — ნყნარად, დამნაშავესავით ჩავილაპარაკე და გულში გავიფიქრე, შენს ქმარს რომ შევხდები, იმას გაუბედურებას მივულოცავ-მეთქი; ცივად გავეცალე, აშკარად ვაგრძნობინე, მისი ნდობა აღარ მქონდა და აღარც პატივს ვცემდი.

ბავშვობაში სხვაგვარად ვფიქრობდი, არ მეგონა, მოზრდილები ასეთი ორპირები და ორგულები თუ იყვნენ; რუსკას რომ ვიხსენებ, საშინელი მელანქოლია მეუფლება, უჩვეულო დაღლას ვგრძნობ, თითქოს საკუთარი თავი მაღიზიანებს — ცხოვრების იმ წესებს ვერაფრით ვეგუები, რასაც სხვები ეთვისებიან; იმასაც ვხვდები, მომავალში გამიჭირდება, მეშინია, გულგრილმა და გრძნობებზე მოთამაშე ადამიანებმა, ჩემს სიყვარულს, ღვარძლითა და ეშმაკობით ზიანი არ მიაყენონ; თითქოს გარიყულივით ვარ, ზოგჯერ ყველაფერი მბეზდება, ეს მეტიჩრული, ზღვარგადასული ტელე-გადაცემები და ათასი სისულელით აჭრელებული ჟურნალ-გაზეთები ნერვებს მიშლის, ირგვლივ ყველაფრი უფასურდება — უზნეობა ზნეობად საღდება; ამ ბოლო დროს უჩვეულო აზრი ამეკვიატა, ვიდრე უხამსობასთან ჭიდილში არ დავმარცხებულვარ და გადამდები, საყოველთაო ზედაპირულობით არ დაავადებულვარ, ლევანიკოს სიყვარულს უნდა ჩავეჭიდო, მასთან ერთად შორს გაქცევაზე ვოცნებობ — უკაცრიელ ადგილას დავსახლდებით და ყველასგან მივიწყებულნი ბედნიერად ვიცხოვრებთ.

ერთხელ ლევანს ჩემი აკვიატებული ოცნება გავანდე და გამომცდელად ვკითხე: რა აზრის ბრძანდებით, ბატონო ჩემო?.. „შენთან ერთად

ჯოჯოხეთში წამოვალ და ეს ჩემთვის სამოთხე იქნება!" დამამშვიდებლად მომიგო, თბილად გამიღიმა და ფიქრიანად დასძინა: „თუმცა საზოგადოებისგან თავარიდება ეგოისტობაა და მეტი არაფერი... უგუნურები უნდა ვიყოთ, გარიყულებმა ვიარსებოთ, პირიქით, ჩვენი სიყვარული სამაგალითო უნდა გავხადოთ, ყველას დავანახოთ, ამქვეყნად სიცოცხლე მხოლოდ სიყვარულისთვის ღირს!.." — კარგა ხანს ხმა არ გავიღე, დავფიქრდი, ბოლოს სერიოზულად ვკითხე: „ჭეშმარიტ სიყვარულს საზოგადოება ყოველთვის უპირისპირდება და, ხშირად ეს დაპირისპირება ტრაგიკულად მთავრდება... მსხვერპლის გაღება საჭირო რომ გახდეს?.." ლევანს ხმამაღლა გაეცინა, ხელზე მაკოცა და გამოცდილივით მითხრა: „დიახ, სიყვარული მართლაც მსხვერპლს მოითხოვს და ამისთვის ჩვენც მზად უნდა ვიყოთ!" დაკვირვებით შემომხედა, თითქოს შემამოწმა, ვეთანხმებოდი თუ არა. „მე სიყვარული და სიცოცხლე მინდა!" უნებლიეთ წამომცდა, შინაგან კარნახს ავყევი და ჩემივე ხმის სიუცხოვემ თვითონვე გამაკვირვა; მისთვის აღტაცება არ შემიტყვია, მხოლოდ გაიღიმა, შემაჩერა, ირგვლივ მიმოიხედა და პასუხის ნაცვლად ხანძლივი კოცნით დამამშვიდა.

მისი სიტყვების დიახაც მწამდა, მაგრამ ზოგჯერ მეჩვენებოდა, თითქოს ქარის წისქვილებთან მებრძოლი რაინდი იყო — ვგრძნობდი, მთელი არსებით ვუყვარდი, საკუთარ სიცოცხლეს მანაცვალებდა და არც ჩემს სოციალურ შესაძლებლობებს დახარბდებოდა; ისიც კარგად იცოდა, დედაჩემი, ჩვენს ურთიერთობას, თავგამოდებით ეწინააღმდეგოდა, ამიტომაც მისი სიმშვიდე და თავდაჯერებულობა ზოგჯერ საგონებელში მაგდებდა, სამსახურსა თუ სწავლის გაგრძელებაზე არ ფიქრობდა, ჩვენი მომავლის უზრუნველყოფას რა სახსრით მოახერხებდა, ამის წარმოდგენა მიჭირდა; ვიწრო, საკუჭნაოსავით ბინაში ცხოვრობდა და ერთი მარჩენალი, მზესუმზირის გამყიდველი ბებია ჰყავდა, რომელიც პურის ფულს ძლივს შოულობდა.

როცა ამაზე დავფიქრდებოდი, საყრდენს ვკარგავდი, მართლაცდა გამოქვაბულში ხომ არ ვიცხოვრებდით, ფოთოლშემოსილები კენკრითა და ველური პანტით ხომ არ დავნაყრდებოდით?..

„რომეო და ჯულიეტა ყოფით პრობლემებზე სულაც არ წუხდნენ!" ღიმილით მიპასუხა, როცა ჩემი სადარდებელი შევაპარე. „ისინი მდიდრები იყვნენ და მეორეც, ცხოვრებას ვეღარ მოესწრნენ, თორემ, შვილები გაუჩნდებოდათ, იფიქრებდნენ კი არა, ყირაზეც დადგებოდნენ!" წყენაშეფარვით მივუგე და მის რეაქციას დაველოდე; ერთხანს ხმა არ გაიღო, ბოლოს თვალმონკურვით შემომხედა და ნაღვლიანად მკითხა: „მდიდარი რომ ვიყო, მომავლის შიში გექნებოდა?" სიგარეტს მოუკიდა; შევიშმუშნე, ჩიხში მომწყვდეულივით ავცქმუტდი: ყოველთვის ვგრძნობდი, სოციალური პირობები მის არსებაზე დამთრგუნველად მოქმედებდა, გულშემატკივარი და ხელის გამმართავი არავინ ჰყავდა; „სისულელეს ნუ მეკითხები, სიმდიდრე და ქონება აქ არაფერ შუაშია, როგორიც ხარ, ისეთივე მიყვარხარ!" ვუსაყვედურე და სხვა საზრუნავის თავარიდებაში დავადანაშაულე. „უპატრონო კი ვარ, მაგრამ შენი სიყვარული ყველაფერს შემაძლებინებს, ბოლოს და ბოლოს, კაცი მქვია და ცხრა ტყავში გავძვრები!" დამამშვიდებლად მომიგო, ოპტიმისტური განწყობით თავის თავიც დააშოშმინა; „თუ დროზე არ იზრუნე, მერე გვიანი იქნება!" საშველი აღარ მივეცი და წამიერად ჩაფიქრებულს გამოფხიზლება ვაიძულე.

ისეთ ასაკში ვიყავით, ყველა საჭირბოროტო საკითხი მალევე გვავიწყდებოდა, ამქვეყნიური საზრუნავი ნაკლებად გვადარდებდა, სულის თავისუფლებას მეტ უპირატესობას ვანიჭებდით და ჩვენს სიყვარულს მომავლის რწმენით ვასაზრდოებდით...

დროდადრო მაინც ვეძლეოდი საფიქრალს, ვგრძნობდი, თუკი ლევანი უპასუხისმგებლო ცხოვრებაზე ხელს არ აიღებდა, მაშინ მის სიყვარულზე მე უნდა ამეღო ხელი, სხვანაირად ორივე დავიღუპებოდით, ყველაფერი ძვირად დაგვიჯდებოდა — წმინდა გრძნობას ვეღარ შევინარჩუნებდით; გონიერებისთვის დროზე უნდა მოეხმო, თორემ ამყაყებულ ჭაობში აღმოვჩნდებოდით, ვერც ოჯახს შევქმნიდით და ჩვენს ურთიერთობას გაუტანლობად, მომაბეზრებელ კინკლაობად ვაქცევდით.

წუხელ უგუნებოდ ვიყავი, მე და დედაჩემი ტელევიზორს ვუყურებდით; ამ დროს ზარის ხმა გაისმა, კარი გავაღეთ, ზღურბლზე ცოცხალმკვდარი ინეზა გამოჩნდა — მისმა გამომეტყველებამ დაგვაფრთხო, ბუნებით მხიარული ქალი დამწუხრებულ ჭირისუფალს ჰგავდა, სავარძელში მკვდარივით ჩაესვენა და გულმოკლულმა ამოიხვნეშა.

— რა მოხდა, შე ქალო?! — წუხილით იკითხა დედამ და უჩვეულო მოლოდინით მიაჩერდა.

— გიორგი მოკვდა!.. — ძლივს გამოცრა ინეზამ.

— როდის და როგორ? — შეიცხადა დედამ.

— წუხელ, ავარიაში... კოჯორში ერთად ვიყავით, გვიან დავბრუნდით, სახლთან მოშორებით ჩამომსვა, თვითონ კასპში, ცოლ-შვილთან წავიდა და გზაში... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა და ცრემლად იღვრებოდა. — მორჩა, ჩემი ქალობა დასრულდა... ჩემი სიყვარული სამუდამოდ დასამარდა... ამქვეყნად უგულოდ უნდა ვიცხოვრო... მართალია, სხვას ეკუთვნოდა, მაგრამ ზეზეულად ევლო, ცოტა ხნით მაინც მეგრძნო ქალობა... ჯერ არ ვარ მოხუცი... დატირების უფლებაც არ მაქვს, თქვენთან თუ მოვიოხებ გულს, ნამდვილ სიყვარულს დამნაშავესავით უნდა გამოვეთხოვო... ღმერთო, რატომ არის ცხოვრება ასე უკუღმართად მოწყობილი?.. — მწარე სინანულით დასძინა ინეზამ და არა მარტო საყვარელი ადამიანის დაკარგვა გამოიტირა, არამედ ის ცხოველმყოფელური გრძნობაც, რაც იმ ადამიანთან აკავშირებდა და რაც იმ ადამიანივით ერთხელ ეწვია.

ცრემლს ძლივს ვიკავებდი, დედაჩემიც თანაგრძნობით გატრუნულიყო.

მარინა თუქოუმანიძე

მონატრება

იგივე შუკაა,
ისევ ის ჭიშკარი,
თუმც დროის საღებავს გასვლია აქ ყავლია.
„ქუხნასთან“, კველაზე, აღარ ზის ბებია,
არც ცხელი ღუმელიდან ამოდის კვამლი.
და მაინც აქ დარბის ჩემი სიყმაწვილე
ვოცნებობ
— კვლავ სიყრმეს და სასწაულს ველი
და ცხადად ვხედავ, რომ...
წარსულის ქვაბიდან
ისევე ამოჰყავს ბებიას ის ყველი.
სტუმრები ბაბუას ღვინოს შეუქებენ,
და სითბო თვალებში მაჭარად დუღდება,
მზე ჩამოიხედავს ეზოში ცხრა თვალით
და ეზოს შემთვრალი სიმღერა უხდება!
ოდის ერთ ოთახში
ჰკიდია ხალიჩა,
იქვე დგას ის ჩემი პატარა საწოლიც,
მგელი ნითელქუდას ისევ უჯავრდება...
იმ წასულ ბავშვობას აწმყო ვერ დაწონის.
„ქოგალე“, „ჩქიმ ცირა“, „სქან
გოლუაფირო“ —
თბილად მეფერება „იმ ბიჭის“ ბებია,
ვაი, რომ დამთავრდა ის ტკბილი სიზმარი...
დღეს კი ეს კედლები სხვა ბავშვებს ელიან.
დღეს ჩემი თოჯინით სხვები თამაშობენ,
მე სევდა მიყურებს იმ სათამაშოდან,
მალე ყველა ჯეებირს წალეკავს ტკივილი,
წავიდა ბებია, თან გაჰყვა ბავშვობა.
ამ სახლს ნასახლარი თუმცა არა ჰქვია,
მაგრამ აქ „სხვა ხალხის ისმის ჟრიამული“,
სოფლის სასაფლაო შორს არა, აქვეა,
და, როგორც არასდროს, ტკბილია მამული...

უსიყვარულობა

ხელიდან დავუსხლტი ავადმყოფობას,
მეტასტაზებივით რომ მომედო სხეულზე
და ყველაფერს მატკიებდა შეუბრალებლად...
მგონი, გადავრჩი!
დაავადებას ძველისძველი,
გაცვეთილი სიტყვა ჰქვია:
სი-ყვა-რუ-ლი...
ჩემი გული ისევ აივსო გულგრილობით და
ამ გულგრილობით ვარ ბედნიერი...
როცა მიყვარდა, სიძულვილი ავსებდა
ჩემს სულს,
მძულდა ის ქალი, მეტოქე რომ ჰქვია
სახელად...
არა მჯეროდა მისი ცრემლის,
მისი სიკეთის და გულწრფელობის,
ყველაფერ ამას მე ვარქმევდი
თვალთმაქცობას
და მაქციობას,
თავს არ ვუტყდები, მაგრამ
ხანდახან, მის სიკვდილსაც ჩუმად
ვნატრობდი...
საოცარია!
სიყვარული წავიდა ჩემგან
და მოიტანა:
სიმშვიდე,
მიტევება,
თანაგრძნობა,
თვით სიყვარულიც მეტოქის მიმართ...
განვიკურნე უხსოვარი, მძიმე სენისგან —
სიყვარულისგან!
და სიყვარულის უსიყვარულობით
ვარ ბედნიერი...

ბავშვობანას თამაში

ბავშვობა მაშინ დავკარგე,
როცა მივხვდი, რომ საჩუქრები
თოვლის პაპას კი არა,
მამაჩემს მოაქვს.

ბავშვობა მაშინ დავკარგე,
როცა ეჭვი შემეპარა სხვის ნათქვამში.
ბავშვობა მაშინ დავკარგე,
როცა ოქროსკენ გამექცა თვალი.
ბავშვობა მაშინ დავკარგე,
როცა გაზეთში წაკითხულმა
სამგლოვიარო განცხადებამ
არ ამატირა.
ბავშვობა მაშინ დავკარგე,
როცა ფერადი სიზმრების გამა
შავ-თეთრ ფერებად გადაიშალა...
დავდივარ ახლა ბავშვობადაკარგული
და ყველა ბავშვში ჩემს თავს ვეძებ,
მგონია ვპოულობ,
როცა ტყუილი სიმართლე მგონია,
როცა გულით მინდა, რომ თოვლის პაპები
არსებობდნენ,
როცა ოქროს ნივთებზე მეღიმება,
როცა გაზეთში წაკითხულ სამგლოვიარო
განცხადებებზე
კვლავ მეტირება...
ეს ყველაფერი
მხოლოდ ოცნებაში ხდება,
რადგან ბავშვობა აღარ არსებობს
და ზოგჯერ,
ბავშვობანას ვთამაშობ ხოლმე...

შენ გელოდები

სიბერის შიში რომ ამიტანს,
შენ გელოდები...
სიღარიბეშიც, წინ რომ მიდევს,
შენ გელოდები...
როცა მღალატობს მეგობარი,
შენ გელოდები...
როცა მკილავენ გულმოდგინედ,
შენ გელოდები...
ჩემს გულწრფელ გრძნობებს დასცინიან —
შენ გელოდები...
ორპირობენ და თვალთმაქცობენ —
შენ გელოდები...
დედა რომ ძლიერ მენატრება,
შენ გელოდები...
უხეში სიტყვით გულს მიკლავენ,
შენ გელოდები...
ანგარებით რომ „უყვარდებათ“,
შენ გელოდები...
ფიქრში მოდიხარ სასოებით —
შენ გელოდები...
დამამშვიდებ და დამიყვავებ... —
შენ გელოდები...
მოდი, სიკვდილო, მოდი, ბარემ,
ნუ დაყოვნდები!

ღალატის სუნი მცემს...

ღალატის სუნი მცემს...
როგორ დავიჯერო, რომ ღალატს
მეგობრის სუნი აქვს...
მას, თურმე, მეზობლის სუნიც
შეიძლება ჰქონდეს,
იქნებ — ნათესავისაც...
მეშინია, არ დამახრჩოს,
რადგან ყველაზე ამაზრზენია
სუნებს შორის, ღალატის სუნი...
დღეს ჩემი ოთახი
სავსეა მეგობრებით,
მათი ერთგულების სურნელით,
და ამ სურნელით
ასატანი ხდება სიმყრალეც...

ვერ შეგელევი

მე მახსენდება შორი ბავშვობა...
ვკრთები და თრთიან თეთრი ხელები,
არ დამიღონდე, არ დამიღონდე,
შენ ვერასოდეს ვერ შეგელევი.

ვერ შეგელევი ისე, ვით ოდეს
ვერ შეველიე მღვრიე იალომს*,
ვერ შეველიე — შენს ფიქრთან ერთად
სადღაც ზეცაში ვიხეტიალო.

მერე, იქ, ცაში გადვიხდით ქორწილს,
დედამიწაზე რომ არ გვეღირსა,
ციცინათელა — ღამის მნათობი
გზას გაგვინათებს ციურ ქვეყნისას.

და ქალწულებრივ მიამიტობით,
დღევანდელ ყოფის გადავიწყებით,
აღმაფრთოვანებს სხივთა მატება
და მაყრიონი გალაქტიკები.

ბავშვობაში რომ მოვმკვდარიყავი

ბავშვობაში თავზე საბანს წავიფარებდი,
წარმოვიდგენდი საკუთარ თავს
გულხელდაკრეფილს,
დედაჩემს — უბედურსა და გამწარებულს,
ბებიაჩემს — კივილით რომ იხოკავს
ღაწვებს,
ჩემს დას — გაოგნებულს,
მამაჩემსა და ბაბუაჩემს — გაფითრებულებს
და საბანქვეშ მოთქმით ვტიროდი...

** იალომი — განთიადი.*
სულხან-საბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობაში რომ მოვმკვდარიყავი,
ახლა ჩემი კლასელები დანანებით
გამიხსენებდნენ:
— გახსოვთ მარინა? რა კოხტა იყო, თანაც
ჭკვიანი
(ზუსტად ისე, ჩვენ ახლა ლევანს რომ
ვიხსენებთ, ვაშალომიძეს).
ჩემი და ახლაც მოთქმა-ტირილით დაისიებდა
ლამაზ თვალებს და
ნათესავები, ჩემს ხსენებაზე, თავს
კანტურით გადაიქნევდნენ...

ბავშვობაში რომ მოვმკვდარიყავი,
ვერ დავივლიდი მთელ საქართველოს და
ასე ვეღარ შევიყვარებდი.
ვერც შვილის სიყვარულს შევიგრძნობდი და
ვერც ახლობლების გამო — სიხარულს...

ბავშვობაში რომ მოვმკვდარიყავი,
დაქუცმაცებულ საქართველოს ვერ
ვიხილავდი,
ძმათამკვლელ ომსაც არ განვიცდიდი,
არც მეგობრის ღალატი შემაწუხებდა და
იმ პირველ სიყვარულსაც თან წავიღებდი...
არ დამტანჯავდა ბოროტება, გაუტანლობა,
არც ცრემლიანი ღამეებით ვიტორტმანებდი და
შვილზე დარდი გულის კარსაც არ
შემინგრევდა.

ბავშვობაში რომ მოვმკვდარიყავი...
ბავშვობაში რომ მოვმკვდარიყავი...
ბავშვობაში რომ...

მოლოდინი

კარტოფილს ვთლი და ბეთჰოვენს ვუსმენ...
და სიჩუმეში „მთვარის სონატით“ მღვრიე
დილას ვშლი...
შენ კი ისე გშლი ჩემი ხსოვნიდან,
როგორც შეცდომით დაწერილ სიტყვას...
გალაკტიონს ჰგავს „მთვარის სონატა“—
ამბობს ჩემი და.
ცრემლები მომდის, თითქოსდა, ახლა, მწარე
ხახვს ვჭრიდე...
უფლის ნებას რომ ზურგი ვაბრუნე
და ჩემი ნეკნით კაცად გაქცივ,
სასოწარკვეთის ღია თვალებით გიცქერ,
ესეც კი ვერ შეამჩნიე...
ალბათ, ამიტომ ახლა შენ გელი,
ვისაც არა გაქვს სახელი, გვარი,
ვინც ვერასოდეს გამოგიგონე,
რომ მოვუსმინოთ ლუდვიგ ბეთჰოვენს,
ვინაც მომიტან რვეულს — ნოტების,
ერთად დავუკრავთ „მთვარის სონატას“...
შენ არ მოდიხარ...
და მელოდია ავსებს ხელახლა მთვარის
ხელადას —
ლოდინით დაღლილ, უმწეო სხეულს
და...
გელოდები...
ბეთჰოვენის...
დავიწყებამდე...



გივი ლისტოფორიძე

ყომარბაზი მიქელ-გაბრიელთან

(ერთხელ, ვერაზე)

ღამის 2 საათია. ირგვლივ სამარისებული სიჩუმე სუფევს. ქიაჩელის ქუჩაზე, აქა-იქ, კაცის ფეხის ხმა ისმის. სისხლიანი ცხრა აპრილის შემდგომი პერიოდია. თბილისი წყვდიადს მოუცავს. ამავე ქუჩის 14 სახლის კარის ჭრიალის ხმა გაისმის. ბელეტაჟის კიბის საფეხურზე მომცრო ტანის კაცი გამოჩნდა, ავადმყოფობისგან დასუსტებულ ფეხებს ძლივს მოათრევდა და კიბეზე დაშვებას ცდილობდა. თითქოს მუხთალ ბედთან ერთად, რომელსაც კაცი უკურნებელი სენით „დაეჯილდოებინა“, ფეხმაც უმუხთლა, ერთი წაიფორხილა და ეზოში, კიბესთან გაიშხლართა. ამ დროს მიწაზე გაფანტული კამათლები და ასდოლარიანის კუპიურები გამოჩნდა. სიმწრისაგან ერთი დაიგმინა, ჩემი ბედის დედა მო.....ო, თქვა და ნელ-ნელა კამათლებს დაწვდა, ცრემლიანი თვალებით გულში ჩაიხუტა, კოცნა დაუწყო, თითქოს სამარადისოდ ემშვიდობებაო. შემდეგ კი, გაფანტულ ფულს ზიზღით დაუწყო შეგროვება, ფულს, რომლის ყომარხანაში მოგების, ან წაგების შემთხვევაში არც არასდროს გაუხარებია და არც გული დაუწყვეტია. თამაში უყვარდა, მორჩა და გათავდა! მთელი ქალაქის ყომარბაზები მასზე ერთ საარაკო ამბავს ჰვებოდნენ:

შუაღამისას, როცა 500 000 დოლარში იყო წაგებული, უცბად მაგრად გაიზმორა და ყველას გასაგონად წარმოსთქვა, იუზგრებო, მაგრად მეძინება, „გავკარი“ ამ ფულს, ამის გულისთვის მე ახლა ძილი არ გავიტეხოო. შეტრიალდა, კარი გამოიჯახუნა, ვითომცდა, არაფერიო, მანქანაში ჩაჯდა, მძღოლს ხელი მხარზე გადაადო და უთხრა, აშოტ-ჯან, წავიდეთ, ერთი ხოშიანად გამოვიძინოთო. მძღოლმა მორიდებით შეაპარა, ბიჭი-ჯან, რა დროს ძილია, 500 000 თავანი ჩასაბარებელი გაქვსო.

— ე, აშოტ-ჯან, ფული ზღვის ტალღას წააგავს, ხან მოვა და ხან წავა. მოთამაშეები კი ის უიღბლო „რიბაკები“ ვართ, რომლებსაც გვგონია, რომ თევზი ყოველთვის ანკესზე უნდა გვყავდეს გამობმული. რას იზამ, დღეს ჩემს ანკესს იმისამ აჯობაო.

ის, რომ წაგებულ ყომარბაზს ძილის გამო თამაში მიეტოვებინოს, მსგავსი შემთხვევა არავის ახსოვს.

ჰოდა, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბიჭიკომ შეგროვილი ფული რის ვაივაგლახით პალტოს ჯიბეში ჩაიწყო, ეზოს კარი გამოიხურა, მანქანაში ჩაჯდა, მძღოლს სევდიანი თვალებით შეხედა და მწარედ წარმოსთქვა: — ნელ-ნელა დავდნი, არა, ჯიგარო?!

— არა, არა, რა დადნი, „აგურჩიკივითა“ ხარ!

— ეჰ, „აგურჩიკს“ კი არა, დამპალ „აგურეცსა“ ვგავარო, — სინანულით უპასუხა მძღოლს ბიჭიკომ და ფურცელი გადასცა, სადაც იმ ყომარბაზების მისამართები ეწერა, ვისთვისაც წაგებული ფული ჰქონდა ჩასაბარებელი.

თითქმის დილის ხუთ საათამდე ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში დადიოდნენ. იმის გამო, რომ მევალეებთან თვითონ ასვლა არ შეეძლო, მძღოლი ადიოდა და ნახევრად მძინარე ყომარბაზები ბიჭიკოსთან ჩამოჰყავდა. ყველა ერთი და იმავეს ეუბნებოდა: — რა იყო, ბიჭიკო, ამ შუაღამისას მოსწრებაა? მაიტანდი რა, როცა იქნებოდაო. ბიჭიკოს კი ამ სიტყვებზე მწარედ ეღიმებოდა და თითქმის ყველას ერთნაირად პასუხობდა: — ალბათ, ფიქრობთ, მიქელ-გაბრიელს გამოვატანდიო, არა?

ასე მივიდნენ ავლაბრამდე, ხორჯევანის უბანში. მძღოლმა სახლიდან ერთ-ერთი ტიპი ჩამოიყვანა.

— ბუთხუზ-ჯან, — მორიდებით უთხრა ბიჭიკომ, — მართალია, ვალის გადახდა ცოტა შემაგვიანდა, მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ასეაო და ფულის შეკვრა გაუწოდა. ბუთხუზამ ერთი ალმაცერად შეხედა, გამოწვდილ ხელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი აუკრა: — ბიჭი-ჯან, მე შენ, ყომარხანაში დედიკოს ბიჭები რომ ყომარობენ, იმათში ხომ არ გეშლები?! მაპატიე, ჯიგარო, ყოველდღე შენთან მოსვლას ვაპირებდი, რომ ეს შენთვის გადმომეცაო. ბუთხუზამ ჯიბიდან 10 000 დოლარი გააძრო, ეს ფული წამლებში მოიხმარე, სანამ გამოჯანმრთელდებიო. ბიჭიკოს თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა. — ბიჭო, იქ, სადაც მე მივდივარ, ის მიმაქვს, რაც საჭიროაო, — თქვა ბიჭიკომ და ჯიბიდან კამათლების დასტა ამოიღო, — კამათლებს არ ვიცილებ, იქნებ, მიქელ-გაბრიელმა ჩემთან ყომარი გააგოროს და სიკვდილ-სიცოცხლეზე მეთამაშოს. მოვიგებ —სიცოცხლეს მჩუქნის, წავაგებ და... მაინც ვკვდები, რა მენაღვლებაო.

მერე, ალალად თავი თავზე მიადო: — ბუთხუზ-ჯან, ყოველთვის ვიცოდი, რომ კაცი იყავი და შენი კაცობა სამარეშიც თან მიმყვებაო. მერე, ბუთხუზას ნაჩუქარი ფულიც და თავისიც აშოტას გადაულოცა:

— აშოტ-ჯან, ვიცი, შენი ცოლი ფეხმძიმედაა, ჰოდა, ორი ქართველისაგან ერთი სომხის გაზრდაში მაიხმარეო.

მერე ბუთხუზას ძმაკაცურად გადაეხვია. მძღოლს კი უთხრა, მანქანა დაძარიო და უკანმოუხედავად გეზი სახლისკენ აიღო. დილის ექვსისნახევარი იქნებოდა, ისევ ბნელოდა. ბიჭიკომ, აშოტას დახმარებით, კიბე აიარა, ისე, დედამისს არ გაეგო, სახლში ჩუმად შევიდა და ავადმყოფობისგან გაცვეთილი სხეული სასთუმალს მიანდო.

ბიჭიკოს თითქმის მთელი თბილისი იცნობდა. მაგარი თავმოყვარე იყო. ავადმყოფობის გამო, სარკეშიც აღარ იხედებოდა, თავისი ნაცრისფერი სახის დანახვა აღარ უნდოდა. დედას მნახველთა ოთახში შეყვანა აუკრძალა, არ უნდოდა, ვინმეს ამ მდგომარეობაში დაემახსოვრებინა. ის კი არა, დაიბარა, მეურაცხყოფა არ მომაყენოთ, კუბოს თავი ღია არ დატოვოთ, თორემ თავიდან გარდავიცვლებიო.

დღის სამი საათი იქნებოდა, როცა რის ვაივაგლახით, დაუძლურებული ხელებით ტელეფონს დასწვდა, ორ უახლოეს მეგობარს დაურეკა, მოდით, ბიჭებო, სალაპარაკო მაქვსო. ბიჭები უმალ მის სასთუმალთან გაჩნდნენ.

— ზინტილ, ბიჭოო, — უთხრა ერთერთს, — ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მთელი ცხოვრება შენ და ალეკოს თვალდახუჭული გენდობოდით... ამ ღამით მივდივარ...

— სად მიდიხარ, ბიჭი-ჯან? — ჰკითხა ალეკომ.

— იქ, სადაც ჩვენი წასული ბიჭები მელოდებიანო... და სახელები ჩამოთვალა.

— მაიცა, თუ ძმა ხარ, სისულელეებს შეეშვი, რის მიდიხარ, რა მიდიხარ, ხომ არ გაგიჟებულხარო?!

— „მიქაილსაიუზებში“ საგზური უკვე გამოწერილიაო, — თქვა ბიჭიკომ და მიმქრალი მზერით ორივეს თვალებში ჩახედა, — იცოდეთ, ჩემი „კასტის“ ხალხი ყველაფრის მკადრებელია, ვინმე რომ მოვიდეს ყომარბაზებიდან და გითხრათ, წაგებული ჩასაბარებელი ჰქონდაო, ბლეფი იქნება. დღეს, დილის ექვსის ნახევრისთვის მე და აშოტამ ყველას ვალი გავისტუმრეთ, ბუთხუზას გარდა. მივდივარ და თან ერთადერთი კაცის სიყვარულის ვალი მიმყვება, რომლის გასტუმრებაც თქვენთვის მიმინდვია, იცოდეთ, ბუთხუზა ჯერ კაცია და შემდეგ — მოთამაშე.

მერე, ძმაკაცებს, შეხვედრამდეო, უთხრა და თავისი სული, ეტყობა, ყომარში მოგებულ მიქელ-გაბრიელს მიაბარა.

გასვენების დღეს, მთელი საქართველოს ძველბიჭური სამყაროდან დაწყებული, ყომარბაზებსა და კაცებადწოდებული ბიჭებით დამთავრებული, გამოსათხოვებლად მოსულიყვნენ. ვერის სასაფლაოსკენ ხელით მიასვენებდნენ კაცობის, ქალაქელობის, თბილისური ჯიგრისმატარებელ, სიკეთისათვის დაბადებულ მომცრო ტანის ბიჭიკოს ნეშტს. ვის არ ნახავდით აქ — პროფესორიდან დაწყებული, როსკიპი ქალბატონებით დამთავრებული.

— გოგო, — გადაულაპარაკა ერთმა ლამაზი შესახედაობის ქალმა მეორეს, — რაც მაგას ჩვენთვის ფული უჩუქნია, ჭკვა რომ გვქონოდა, ბოზობა აღარ დაგვჭირდებოდა, კარგ ბიზნესს ავაწყობდითო...

— ჯიგარი იყოო, — უპასუხა მეორემ, — ქალის ფასი იცოდა, მაყუთის — არა, ეგ მოთამაშე კი არა, სულის მესაიდუმლე იყოო.

— გოგო, — ჩაერია ლაპარაკში მესამე, — გახსოვს, საწყალ ზესტაფონელ ცისანიას ვორონცოვზე ოროთახიანი ბინა რომ უყიდა?

— მახოვს, მა რა, ცისანამ იფიქრა, ავშენდი, ბიჭიკოს ვყვარებივარო. როცა კეკლუცობა დაუწყო, ბიჭიკომ ერთი კარგად გადაიხარხარა, ციცო-ჯან, ეს ქალაქური საჩუქარი ცისანა ზესტაფონის ასულ იმერეტინსკაიასო. ცისანა დაბნეული უყურებდა და ვერ გაერკვია, საჩუქრის სანაცვლოდ მისგან რას ითხოვდნენ.

— ციცო-ჯანო, — უთხრა, — ყომარბაზებში ერთი სიტყვა არსებობს, „რასხოდი“, ჯიგარო. ჰოდა, შენც „რასხოდში“ ხარ, დღეიდან ჩემი ვალი არა გაქვსო.

— კაცი იყო, კაციო, — გაიძახოდნენ ქალები და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით სდიოდათ.

როცა კუბოს სახურავი ლურსმნებით დააჭედეს, მისმა უახლოესმა მეგობრებმა და ყომარბაზებმა სასახლეს წრე დაარტყეს. — დავიწყოთო, — თქვა ვაჟა ნუცუბიძემ და კუბოს თავზე კამათელი გააგორა. შემდეგ, წავაგეო, ბიჭი-ჯანო, თქვა და იქვე ათასი დოლარი დადო. ეგ იყო და ეგ... კუბოს თავზე კამათლების წვიმა წამოვიდა. — წავაგეთ, წავაგეთო, — იძახდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აქეთ-იქიდან ასდოლარიანების კუპიურები მოფრინავდა. მერე, ზინტილამ ყომარბაზებს ცრემლიანი თვალებით გადახედა, არწაგებულებისაგანო, თქვა და საძმოს სახელით კუბოს თავზე ასდოლარიანების შეკვრა დიდი მოწიწებით დადო. შემდეგ, შესძახა, ლამარა, სადა ხარო?

ვერელი ძველი „ბარდელშა" ლამარა თავისი ფუმფულა ტრაკით შემობაჯბაჯდა. ისეთი სევდიანი სახე ჰქონდა, თითქოს საკუთარი შვილის დასაფლავებას ესწრებაო. ზინტილამ ლამარა გულში ჩაიკრა, — ლამარ-ჯან, ვიცი, ჩვენგან მოცემული „მაყუთი" გოგოებისთვის არასოდეს „გადაგიღუნია", ბიჭიკოს მაგრად უყვარდი, სულ გვეუბნებოდა, ლამარას არ აწყენინოთო.

ბიჭიკო, მართალია, ტაძარსა თუ მონასტერში არასოდეს დადიოდა, მაგრამ ლამაზი ქალების სავანის ხშირი სტუმარი გახლდათ. სწორედ ამიტომაც, სიკვდილის წინ დაიბარა, ჩემს გოგოებს მიმიხედეთო... ზინტილამ შეგროვილ ფულს თავი მოუყარა და ლამარას უკვე დაბერებულ, მოცახცახე ხელებში ჩაუყარა... ქალების ისეთი ვაი-ვიში და მოთქმა-გოდება გაისმა, დაქირავებულ მეგრელ მოტირალებსაც რომ შეშურდებოდათ, — ჩვენო ბიჭიკო, სიცოცხლეში და სიკვდილშიც ჩვენზე მაფიქრალოო. ლამარა კი, ბიჭების დახმარებით, სასახლესთან მუხლებზე დადგა, ბიჭიკოს კუბოს ეამბორა, გმადლობთ, ბიჭი-ჯან ამ საჩუქრისთვისო. მერე, ოთხ მესაფლავეს მოუხმო, ეს მთლიანი თანხა მათ გადასცა და უთხრა: — ეს თქვენ, ბიჭიკოს სულის მოსახსენებლად, ბიჭიკოსაგან და, როგორც თვითონ იტყოდა, მისი ბოზანდარებისაგანო. ლამარას ამ საქციელმა ყველა გააოცა. შემდეგ, ნელ-ნელა წელში გასწორდა, ბიჭებს ცრემლიანი თვალებით გადახედა და დასძინა, რა ბედნიერი ვიქნები, თუ ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ჩემი ბოზანდარები ამის მეოთხედი პატივით გამაცილებენო. მერე შესძახა: „ალიურა, გოგოებოო!" და წრეში ლამაზმანები შემოიჭრნენ. ახლა კი, ცოტა ხანს დაგვტოვეთო, თქვა ლამარამ. კაცებიც გვერდზე გადგნენ... იდგა ცხედართან ოცი უწმინდური მშვენიერება და ცხედარს ყვავილთა გუნდს სათითაოდ აფრქვევდა. როცა ლამარას საქციელით მადლიერმა მესაფლავეებმა ბიჭიკოს ცხედარი კრძალვით ჩაუშვეს სამარეში, ირგვლივ ისეთი ჩხრიალის ხმა გაისმა, თითქოს კამათლების წვიმა წამოვიდაო...

ერთმანეთთან იდილიაში შესულიყვნენ სევდიანი ცრემლები და კამათლები. არ ვიცი, იმ წუთას რა რას სჯობდა — სევდის ცრემლის წვეთები თუ კამათლის ჩხარაჩხური, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ერთმანეთს შეერთებოდნენ განუყრელი მეგზურები... ხან სევდის, ხან სიხარულის კამათლები და ხან კი სევდის და სიხარულის ცრემლები...

მიდიოდა ბიჭიკო გზაზე, საიდანაც უკან არ ბრუნდებიან და თან მიჰქონდა კაცურკაცობით აღსავსე მადლიანი გუდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასკილ დაუშვილი

სულის შეხავანდი

უბანში ბესოს ყველა გიჟს ეძახდა და მისი გამოჩენა ოხუნჯობის ხასიათზე გვაყენებდა. ორმოცი წლის ბესო, თითქოს სულელებს წლები არ ემატებათო, ისევ ბიჭად მიგვაჩნდა. ჩვენი ლაზღანდარობით შეწუხებული, მაჯაზე გაკეთებულ ძველ, მექანიკურ საათს დახედავდა, თავს უკმაყოფილოდ გაიქნევდა, სქელ, სველ ტუჩებს გამოიშვერდა, მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ხელს გადაისვამდა და აჩქარებული ნაბიჯით გვშორდებოდა.

მზე აცხუნებდა და ასფალტზე ჩამოყრილი, გამვლელთა ფეხებითა და ავტომანქანების საბურავებით გასრესილი თუთის სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. გზაჯვარედინის ერთ კუთხეში შენობის ჩრდილს ვეფარებოდით და ლუდს ბოთლიდან ვსვამდით. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ბესო გამოჩნდა, რომელსაც უზარმაზარი სარკე ამოეღლიავებინა და სწრაფი ნაბიჯით გვიახლოვდებოდა. მის დანახვაზე გავხალისდით. ბესომ ქუჩა გადმოჭრა. ზედაპირდალაქავებულ სარკეს, სიძველისაგან დაზიანებული, ხის მოჩუქურთმებული ჩარჩო ამშვენებდა. დავუძახეთ, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცია და სწრაფად გაგვშორდა. სახტად დავრჩით, ასე არასოდეს მოქცეულა. ერთი ფიქრი მოსვენებას არ გვაძლევდა, რაში სჭირდებოდა ვეება სარკე? ისევ ლუდის სმა განვაგრძეთ. გასრესილ თუთაზე პატარა გოგონას ფეხი დაუცდა და საჯდომით დავარდა. გულგახეთქილმა დედამ გოგონა წამოაყენა და დასვრილი ქვედაკაბა გაუწმინდა. ვიღაცამ ჩუმად ჩაიცინა. ერთ-ერთი სახლის აივანზე ბესო დავინახეთ, მას სარკე გამოეტანა და აივნის ბოძსა და მოაჯირზე ჩარჩოთი ამაგრებდა. ამან მთლად დაგვაბნია. მისი ქცევა ვერაფრით აგვეხსნა. მან სარკე გაამაგრა და მზერა სივრცეს გაუსწორა.

მომდევნო დღე ასევე მზიანი გათენდა. მოწმენდილი ცა მერცხლებს გაევსოთ. ამოჩემებულ სახლთან ვიდექით, ლუდს ვსვამდით და ფეხბურთსა და პოლიტიკაზევსაუბრობდით. უეცრად, სახურავებს შორის ამოჩრილი ეკლესიის გუმბათი ძლიერი სინათლის სხივმა გაანათა. ვერაფრით მივმხვდარიყავით რა ხდებოდა. ანაზდად გონებაში ერთმა ფიქრმა გამიელვა, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადავედით და აივანს შევხედეთ. ბესოს მოაჯირზე ხელის გულები დაეყრდნო და სარკიდან არეკლილი მზის სხივით განათებულ ეკლესიის გუმბათს მონუსხული უყურებდა. ნანახმა გაგვაოგნა. მზის ნათელი გუმბათს ბესოს სულიდან ასხლეტილი შარავანდივით ედგა. თავი არარაობად ვიგრძენით, ლუდის ბოთლები თუთის ხესთან მივაწყვეთ, გუმბათს მიჩერებულებმა პირჯვარი გადავიწერეთ და ეკლესიისკენ აჩქარებით წავედით.

დედის ფოტოსურათი

სალომემ მამისა და ქმრის შავჩარჩოიანი ფოტოსურათები სასტუმრო ოთახის კედლიდან ჩამოხსნა და ძველებური კარადის თავზე სათუთად შემოდო. დედაბერმა კედელზე მხოლოდ დედის ფოტოსურათი დატოვა და ვაჟიშვილსა და რძალს მავედრებელი თვალებით შეხედა. დუმილი ისეთი შეურაცხმყოფელი იყო, რომ სალომემ დედის გადიდებულ ფოტოსურათსაც კარადაზე მიუჩინა ადგილი.

ვინ არის ეგ ქალი? — კითხულობდნენ სტუმრები და ხელს ფოტოსურათისკენ იშვერდნენ. დედაჩემის დედაა, ბებიაჩემის დედაა, დედამთილის დედაა, — ორი სიტყვით ამოიწურებოდა ფოტოსურათზე გამოსახული ქალის ცხოვრება. ასეთ დროს დედაბერი ცხადად შეიგრძნობდა ამქვეყნიური ყოფის ამაოებას და სევდას შვილებსა და შვილიშვილებზე ფიქრში იქარვებდა.

იმ ღამით ძილი გაუკრთა, — დედის ხმის, მისი ალერსიანი გამოხედვის გახსენებას ცდილობდა, მაგრამ წარსულის ეპიზოდები ერთმანეთში ირეოდა და დედის სახის ნაცვლად სიკეთისა და სითბოს ულამაზესი ხატება ესახებოდა.

სალომე დედის ფოტოსურათის ჩამოხსნის შემდეგ თავს დამნაშავედ გრძნობდა. იგი ტახტზე წამოჯდა, შიშველი ფეხებით ფლოსტები მონახა, ხელის გულები მუხლებზე დაიწყო და წელში ოდნავ მოიხარა. სიკეთისა და სითბოს ულამაზესი ხატება მხოლოდ მისთვისღა ასხივებდა, შთამომავლობას კი ხატის დანახვა არ სურდა — არაფერში სჭირდებოდათ. ცხადად წარმოიდგინა, როცა მოკვდებოდა, მისი გადიდებული ფოტოსურათი შვილებისა და შვილიშვილებისთვის ზედმეტ ნივთად იქცეოდა, ნივთად, რომლის მოშორება გინდა, მაგრამ რაღაც გბოჭავს და სურათს გადაგდების ნაცვლად

ყველაზე მოუხერხებელ ადგილას ინახავ, დასავიწყებლად შეგნებულად იმეტებ.

დედაბერი ტახტიდან წამოდგა, სკამის საზურგეზე გადაკიდებულ ხალათს დასწვდა და მხრებზე მოისხა. ქუჩაში, ხის ბოძზე დამაგრებული ქუჩის ფარნის შუქი ოთახში აღწევდა და საგნებს მკრთალად ანათებდა. სალომე ძველებურ კარადას მიუახლოვდა, სხეული დაძაბა, ფეხის წვერებზე შედგა და ერთმანეთზე დაწყობილ შავჩარჩოიან ფოტოსურათებს ორივე ხელი ჩაავლო. კიდურების დაძაბვისგან ტერფებში მწვავე ტკივილი იგრძნო და სხეული მოადუნა. იგი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მერე გარდაცვლილი დედის, მამისა და ქმრის ფოტოსურათები მაგიდაზე დააწყო. უეცრად ღამის მდუმარებაში კედლის საათის გონგის ხმა ავბედითად გაისმა, — საათმა ხუთჯერ ჩამოჰკრა; უნდა ეჩქარა, თორემ მალე გათენდებოდა.

ფოტოსურათების მინები ქუჩის ფარნის შუქს სარკესავით ირეკლავდა. დედაბერმა ხის ჩარჩოებიდან პატარა ლურსმნები მაკრატლით ამოაძრო, მინისგან გათავისუფლებული სურათები ცალკე დააწყო და უჯრიდან საოჯახო ალბომი ამოიღო. პირველ ფოტოზე ახალშეუღლებულ ქმართან ერთად იყო გადაღებული. სურათი მაკრატლის პირებს შორის მოაქცია, მცირე ხნით გაირინდა, მაკრატლის პირები სწრაფად შეაერთა და გულში მწვავე ტკივილმა გაჰკრა. კვლავ კედლის საათი ახმიანდა. ქალი სურათებს შეუჩერებლად, გაშმაგებით ჭრიდა და, როდესაც უკანასკნელი ფოტო აიღო, თითები აუცახცახდა: — სურათიდან დედა სევდიანი თვალებით შემოსცქეროდა. სალომემ მაკრატელი გადადო, ფეხზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩის ფარნის შუქზე თოვლის წვრილი ფანტელები დაინახა. ფანჯარაში შემოჩრილ ტოტს გვიანი შემოდგომის სუსხს გადარჩენილი რამდენიმე დამჭკნარი ფოთოლი შერჩენოდა. ქალს ტანში სიცივის ჟრუანტელმა დაუარა. მან კარგად იცოდა, რომ ფოტოსურათებს მის სიკვდილამდე არავინ მოიკითხავდა, არც არავინ დაუწყებდა ძებნას... დამთრგუნველმა განცდამ დაუძლურებულ სხეულში ელვასავით დაუარა და დაცარიელებული საოჯახო ალბომი კარადის უჯრაში ჩადო. მერე დაჭრილი ფოტოები, ხის შავი ჩარჩოები და მინები პარკში ჩაალაგა და ეზოში ჩავიდა.

ქალაქს ნათელი შეეპარა აღმოსავლეთით. თოვლის წვრილი ფანტელები ისევ უღიმღამოდ ცვიოდა... დედაბერი აჩქარებული ნაბიჯებით აბრუნდა სახლში, ტახტზე გულაღმა დაწვა, დედის ფოტოსურათი ჩამჭკნარ მკერდზე დაიდო და დაღარული ხელები ზედ დაიკრიფა... კვლავ ულამაზესი სიკეთისა და სითბოს ხატება წარმოუდგა თვალწინ, — გათოშილი სხეული გაუთბა და სასიამოვნოდ მოუდუნდა... გუმანით იგრძნო, რომ გულგრილობის ტყვიით დატენილი თოფი სულ მალე უხმაუროდ გავარდებოდა და სხეულზე შვებად მოასკდებოდა.

ღუმა ბუჩი

ეს ამბავი მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა.

ბაჩანა და მისი მეგობარი ტყვედ ჩავარდნენ. საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილებს, ყველაზე მეტად, ძვლადქცეული ხალხის შეხედვა უჭირდათ, რომელთაც ლოყებჩაცვენილი სახეები თავის ქალებს მიუგავდათ. ტყვეთათვის გამომავალ გაზეთის ერთ ნომერში, ზურგშექცევით მდგარი, შინელმოსხმული კაცის სურათის ქვეშ დიდი ასოებით ეწერა: სტალინის შვილი ტყვედ ჩაგვბარდა. ამ ამბით აღელვებულმა თემომ საკუთარი აზრი ხმამაღლა გამოთქვა: პროვოკაციაა, ეს სტალინის შვილი არ არისო. მცირე ხნის შემდეგ, ვიღაც გარეწრისგან დაბეზღებული, ზედამხედველებმა რკინის კიბის ქვეშ მოწყობილ პატარა ოთახში ჩაამწყვდიეს. მერე ტყვეებს ნალიანი ჩექმები ჩააცვეს და კიბეზე სირბილი უბრძანეს. ჩექმები ბაჩანასაც ეცვა და სხვებთან ერთად აღმა-დაღმა დარბოდა. მას წარმოდგენილი ჰქონდა, რა საშინელი და მონოტონური ხმაური იდგებოდა პატარა ოთახში, საიდანაც ტყვეები მკვდრები, ხოლო უკეთეს შემთხვევაში ჭკუაზე შეშლილები გამოჰყავდათ. ასე ეგონა, უამრავ ჩექმას შორის, მეგობრის სმენას ყველაზე მტკივნეულად მისი ფეხის ხმა ხვდებოდა. მიუხედავად ამისა, გაჩერებას ვერ ბედავდა და თავჩაღუნული განაგრძობდა სირბილს. უეცრად გული შეუქანდა, თითქოს მეგობრის ხმა გაიგონაო: ბაჩანა, გაჩერდი, შენ მაინც შემიბრალე. მუხლები მოეკვეთა, მაგრამ უკანიდან ტყვეები მოაწყდნენ, ზურგში უბიძგეს და ისიც აჰყვა თავდაცვის ინსტინქტით მოძრავ ბრბოს, თავადაც ამ ბრბოს ნაწილად ქცეული და თვალებიდან უმწეობის ცრემლი გადმოედინა.

უეცრად ბავშვობის ერთი ეპიზოდი გაახსენდა. ის და თემო ოთხსართულიანი სახლის კიბეებზე თავქუდმოგლეჯილები არბოდნენ, თან ერთმანეთს შარვლის ტოტებსა და პერანგის სახელოებზე ეჭიდებოდნენ. მეოთხე სართულის ბაქანზე კი თეთრბაბთიანი გოგონა იდგა და მოაჯირზე გადმოხრილი წითელ ცხვირსახოცს იქნევდა. ბოლოს თემომ იმარჯვა, დაწინაურდა და ის იყო ცხვირსახოცისთვის უნდა ეტაცნა ხელი, რომ გოგონამ თითები გაშალა და თხელი ქსოვილის ნაჭერი ძირს ფარფატით დაეშვა. ბიჭები საფეხურებს ახლა დაღმა დაუყვნენ, მაგრამ მეორე სართულის ბაქანზე შედგნენ და ხვნეშით ამომავალ ხანშიშესულ კაცს შლაპაზე დააცქერდნენ. შლაპაზე წითელი ცხვირსახოცი დაფრენილიყო. კაცი გაკვირვებული მიაჩერდა პირდაღებულ ბიჭებს, შემდეგ კართან მივიდა და ჯიბეებში გასაღები მოიჩხრიკა. მიუხედავად დიდი სურვილისა, სიმორცხვის გრძნობა ვერც ერთს ვერ დაეძლია.

კაცმა კარი გახსნა და ის იყო წინკარში უნდა შესულიყო, რომ ბაჩანას ხმამ შეაჩერა:

— ძია, ერთი წუთით, თქვენს ქუდზე ჩემი ცხვირსახოცი გდია.

კაცმა მის წინ ასვეტილ ბიჭს ერთხანს ეჭვის თვალით უყურა, შემდეგ შლაპა მოიხადა და დაბლა დაუშვა. ბაჩანამ წითელ ცხვირსახოცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფად დაავლო ხელი, გამარჯვების გრძნობა დაეუფლა და საფეხურებზე სიამაყით აირბინა.

ჩექმების მონოტონურმა ბრაგუნმა იგი სინამდვილეს დაუბრუნა. ახლაც კიბეებზე არბოდა, მაგრამ ზევით, თეთრბაბთიანი გოგონას ნაცვლად, იარაღმომარჯვებული ჯარისკაცი იდგა. რკინის საფეხურების ქვეშ, ფეხების გამალებული მოძრაობით ბაჩანა ბავშვობასა და წარსულს ანადგურებდა.

ტყვეები ზედამხედველის ბრძანებაზე შეჩერდნენ. ქანცგაცლილები სულს ძლივს ითქვამდნენ, მუხლები უცახცახებდათ და ძირს რომ არ დაცემულიყვნენ ერთმანეთს მჭიდროდ ეკვროდნენ. ჯარისკაცებმა კარი გააღეს და მკვდარი ტყვე გარეთ გამოათრიეს. თემოს თმები სანახევროდ დაეგლიჯა, თვალები საზარლად გადმოკარკლვოდა და ყურებზე აფარებულ თითებს შორის გამონაჟონი სისხლი ხელის ზურგზე სქლად შედედებოდა. ერთ-ერთ ტყვეს პირსაქმება დააწყებინა. იგი ხელისგულებით კედელს მიეყრდნო და შუბლი მკლავებს დააბჯინა. ხანგამოშვებით სხეული ზამბარასავით ეძაგრებოდა, მაგრამ ცარიელი სტომაქიდან ლორწოს მეტი არაფერი ამოსდიოდა.

მიწაზე გართხმული მეგობრის ახლოს მდგარ ბაჩანას, თავისდა უნებურად წითელი ცხვირსახოცის ხელში ჩაგდებისას გაჩენილი გრძნობა დაეუფლა და საკუთარი თავი შესძაგდა. ნალიანი ჩექმებით რკინის კიბეებზე სირბილის შემდეგ, სხეულთან ერთად ეტყობა სულმაც იწყო ლპობა. ტყვეებს ჩექმები გახადეს და ბარაკებში გარეკეს.

— პური! — ხმამაღლა იყვირა ტყვემ, რომელსაც ცოტა ხნის წინ ლორწოს აზიდებდა. მერე ხის მაგიდისკენ გალასლასდა და ღონემიხდილი მოცელილივით დაეცა. მაგიდასთან ბაჩანა მივიდა, მაგრამ პურის მაგივრად ხელში აგური შერჩა. ზედამხედველები გულიანად ახარხარდნენ. იგი შეცბა. მოეჩვენა, თითქოს ჯარისკაცები გადაგვარების, ჯალათად ქცევის გამო დასცინოდნენ. მან ხომ მეგობარი ფეხებით გათელა. ბაჩანამ საფეთქლებში სისხლის მოწოლა იგრძნო, მთელი ხმით იღრიალა და აგური მაგრად ჩაბღუჯა. ზედამხედველები ერთხანს დადუმდნენ, მაგრამ იმავე წამს კიდევ უფრო ხმამაღლა და დამამცირებლად განაგრძეს ხარხარი. მას რკინის კიბეებზე ჩექმების მონოტონური დარტყმების ხმა ჩაესმა და მოეჩვენა, თითქოს მეგობრის გვამზე მარტოდმარტო აგრძელებდა სასიკვდილო როკვას. მერე აკანკალებული ხელით აგური პირთან მიიტანა. ხარხარი უმალ შეწყდა და ბარაკში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. იგი აგურის კიდეს კბილებს გამეტებით უჭერდა.

— გემრიელია? — დამცინავად თქვა ზედამხედველმა.

პირის კუთხეებიდან სისხლმა წვეთ-წვეთად იწყო დენა.

— გემრიელია? — იყვირა ჯარისკაცმა.

ბაჩანა ვეღარაფერს ხედავდა.

— გემრიელია?! — იღრიალა ზედამხედველმა.

მან აგური მოწყვეტით ძირს დაიქნია. გასისხლიანებულ, დამტვრეულ კბილებს შორის აგურის ნატეხი მოჩანდა. ბაჩანამ თითები ყელზე შემოიჭდო და სახე არაადამიანურად დაემანჭა. წამით, გონების თვალი მოფარფატე წითელ ცხვირსახოცს მოჰკრა. შემდეგ მთელი სხეული დაეჭიმა, კიდურები აუცახცახდა და აგურის ნატეხის გადაყლაპვისთანავე უსულოდ, მომჩვარულივით დაეცა ხის იატაკზე.

— ღორი, — ზედამხედველმა კიდემოჭმული აგური ჩექმის წვერით გვამს ზიზღით გაარიდა.

ყვავილები ანასთვის

ამ დღეს ორმოცდაათ წელიწადს ელოდა. ბერიკაცი აღმართს ასაკისათვის შეუფერებელი სიმსუბუქით, წელგამართული აუყვა; სუფთად გაპარსულ სახეზე ღიმილი დასთამაშებდა და ჭაღარა, შეთხელებულ თმას მალიმალ ისწორებდა. მერე მუქი ფერის ცელოფანის პარკიდან თავამოყოფილ ყვავილებს ხელი გადაუსვა და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, მდიდრულად მოჩუქურთმებულ აივნიან ძველ სახლს აღელვებით გახედა — არავინ ჩანდა. არადა, თითქოს გუშინ იყოო, ქალმა რომ უთხრა:

— გურამ, თუ მართლა გიყვარვარ, ყვავილები ზუსტად ორმოცდაათი წლის მერე მომიტანე, დაბადების დღეზე. საღამოს ექვს საათზე აივანზე გამოვალ.

— ხუმრობ? — გურამმა გაღიმება სცადა.

ქალმა თავი გაიქნია.

— ანა! ორმოცდაათი წლის მერე ეს სიტყვები აღარ გემახსოვრება, შესაძლოა ცოცხლებიც აღარ ვიყოთ, — ოდნავ შემცბარმა თქვა გურამმა.

— თუ მართლა გიყვარვარ, მომძებნი.

— ანა, ცოლად გამომყევი! — ბიჭმა ქალიშვილს თაიგული გაუწოდა.

— გურამ, ყვავილები ზუსტად ორმოცდაათი წლის მერე მომიტანე! — გადაჭრით თქვა ანამ, მერე შეტრიალდა და მოჩუქურთმებულ აივნიანი სახლის სადარბაზოში გაუჩინარდა.

ცხადად ახსოვს, უეცრად მოვარდნილმა ბოღმამ ყელი მტკივნეულად დაუსერა. უფრო იმაზე ბრაზობდა, რა ლამაზად მითხრა უარი, ეს რა კოხტად მომიცილა თავიდანო. გულმოსულმა ყვავილები აკაციის ხის ტოტზე შემოდო და დაღმართზე სწრაფად დაეშვა. რამდენიმე ღამესძილი არ გაჰკარებია. ცხადია, ანას არ უყვარდა, მაგრამ მიხვდა, ქალიშვილის იდუმალ პირობაზე ფიქრს თავს ვერასოდეს დააღწევდა და გადაწყვიტა, ორმოცდაათი წლის შემდეგ, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაბადების დღეზე, შეყვარებულისთვის ყვავილები მიერთმია, იქნებ სასწაული მომხდარიყო და ანა მართლაც აივანზე გამოსულიყო. როცა ცხოვრება ბრჭყალებს მაგრად მოუჭერდა, როცა ასაკი სახეზე უხეშ, გაუგებარ იეროგლიფებს უკანრავდა, წამით ეჭვი ეპარებოდა თავის განზრახვაში, მაგრამ უცნაური და ძლიერი გრძნობა ყვავილების მიტანის დათქმულ დროს არ ავიწყებდა და შვებით ფიქრობდა, ანას სიბერე ვერაფერს დააკლებს, აივანზე კვლავაც მშვენიერი გადმოდგებაო. სიყვარული სასწაულია, ზეიმია, ათასფრად ამო-

ფრქვეული შუშხუნებია, სიყვარულზე რკინიგზის სადგურის დიქტორის ხმით ვერ ილაპარაკებო.

გურამმა აღმართზე ოდნავ კოჭლობით ამომავალ, მასსავით მოხუც, ქუდიან კაცს ეჭვით გახედა. ქუდიანს მინდვრის ყვავილების თაიგული გულთან მორიდებით მიეკრა და მოჩუქურთმებულ აივნიან სახლს გაჰყურებდა. მერე ქუდი მოიხადა, მელოტ თავზე ხელი გადაისვა, გურამის ყვავილებს გაკვირვებით დააცქერდა და თაიგული ხელში უხერხულად შეათამაშა. მოხუცებს ყველაფერი გაახსენდათ — ორმოცდაათი წლის წინ ანას გულისთვის ერთმანეთი უმოწყალოდ სცემეს.

— თედო, ანამ შენც ნახევარი საუკუნის მერე გთხოვა ერთგულების დამტკიცება? — ღიმილით ჰკითხა გურამმა.

— კი, — მოკლედ უპასუხა თედომ და მელოტ თავზე ქუდი დაიხურა.

— ანა ძალიან ლამაზი იყო! — თქვა გურამმა და ამოიოხრა.

— ძალიან, — დაუდასტურა თედომ.

— ორიგინალურად ჩამოგვიცილა, მეტად რომანტიკულად.

— გვაიძულა, მთელი ცხოვრება მასზე და ყვავილებზე გვეფიქრა, — თედო თავისუფალი ხელით აკაციის ხეს მიეყრდნო და ტანის სიმძიმე ჯანმრთელ ფეხზე გადაიტანა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ცოლ-შვილი გეყოლება, შვილიშვილებიც, — სასხვათაშორისოდ იკითხა გურამმა.

— შვილთაშვილიც! შენ?

— მეც.

— როგორ ფიქრობ, აივანზე გამოვა? — თედოს ხმა აუთრთოლდა.

— ექვს ხუთი წუთი აკლია! — გურამმა მაჯის საათს დახედა და აივანი ყურადღებით შეათვალიერა.

— ხანდახან ეს ყველაფერი სასაცილოდ მეჩვენება. გიჟები ვართ, ერთი სიტყვაც აღარ ემახსოვრება, — დაეჭვებით თქვა თედომ.

— აქ იმედმა მოგვიყვანა, იმ იმედმა, რომელიც ნახევარი საუკუნეა ახალგაზრდული სიხალისით გვავსებს.

— უხელჯოხოდ აღმართი ძლივს ამოვიარე, რაღაც გულისცემა ამიჩქარდა, — თედომ აკაციიდან ხელი აიღო და მაჯა მოისინჯა.

— წნევის ბრალი არ უნდა იყოს, — გურამს გაეღიმა.

ბერიკაცები მონუსხული სახით იცქირებოდნენ აივნისკენ. ერთ-ერთი ფანჯრის ფარდა ოდნავ, შეუმჩნევლად შეტოკდა.

— შვიდის ათი წუთია, — გაწბილებით თქვა თედომ.

— ანამ ნახევარსაუკუნოვანი სასიყვარულო ექსპერიმენტის მონაწილეებად გვაქცია, — მოტყუებული კაცის სინანულით თქვა გურამმა.

— ანასადმი ვნება წლებმა და მძიმე ცხოვრებამ ნელ-ნელა ჩააცხრო. ახლა ის უფრო გვაინტერესებს აივანზე გამოვა თუარა. რაღაც, სპორტული აზარტივითაა. უფრო წარსულთან, ახალგაზრდობასთან დაბრუნების სურვილმა მოგვიყვანა.

— სანამ შემეძლო, ამოვდიოდი, აკაციის ხეს ვეფარებოდი და აივანს შევყურებდი. ანა სულ რამდენჯერმე შევნიშნე. ნუთუ, ამ ძველი სახლივით დაუძლურდა?

— იქნებ აქ აღარ ცხოვრობს? ეგებ მახსოვრობა ღალატობს? იქნებ ცოცხალი აღარცაა? აგერ, იმ ქალს ვკითხოთ! — თედომ მეზობელი სახლიდან გამოსულ ქალს გახედა.

— არ ღირს, არ მინდა მასზე ცუდი გავიგო. ანაზე ოცნებამ სიბერე გამილამაზა, — თქვა გურამმა და ნაღვლიანად დაღუნა თავი.

ბერიკაცები დაღმართს მძიმედ დაუყვნენ, წეღანდელი სიხალისე სადღაც გამქრალიყო. თედო ცალ ფეხს ითრევდა და უშნოდ მიირწეოდა, წელში მოხრილ გურამს კი ხელები ზურგზე შემოეწყო.

* * *

— ბებო, რატომ ტირი? — შეშფოთებით იკითხა პატარა ბიჭმა.

— ფარდას ვასწორებდი და მზემ თვალი დამწვა.

— ბებოს მზემ თვალი დასწვა! — ბიჭი გვერდით ოთახში სიცილით გავარდა.

ანამ თვალზე ცრემლი შეიმშრალა, ფარდა გადასწია, აკაციის ხის ტოტზე შემოდებულ ყვავილების თაიგულებს ღიმილით დააცქერდა და სევდიანად ჩაილაპარაკა:

— ამ დღეზე ფიქრი გულში სანთლად მენთო და მათბობდა! ნეტავ, ჩემიანებს თუ გაახსენდებათ, რომ დღეს ჩემი დაბადების დღეა?!.



ლიტონ ცანავა

***

ვიწყებ ეპიკურ პოემის წერას,
თუმც ჯერ არ ვიცი ხელთ რა შემრჩება,
უპირველესად ფურცელს ვდებ ცერად
და ვჯღაბნი, კალამს უნდა შეჩვევა.
წვეთავს ვენიდან სისხლის წვეთებად
ქართლ კახეთს წლები ლეკიანობის,
დაცემულია სულისკვეთება,
ძმა ძმას ემიჯვნის ეკლიან ღობით.
კოლხიდას წუნკლავს მუჰაჯირობა,
იანიჩრები ძრწიან სამცხეში,
მეფეებს შვენით ცრუ გარჯილობა,
თავადნი ათ ყმას ცვლიან ცხრა ცხენში.
აბნეული აქვს თავგზა ქვეყანას
და განცვიფრებას იწვევს სინდისი,
ვახტანგ მეექვსემ ჯარი შეჰყარა,
ცრუ უფლისწული მდგარა შინდისში.
ახლა განსაჯე მტყუან-მართალი,
დროა შევეშვა სანამ ჭკვაზე ვარ,
სიონში ულვთოდ სწირავს თათარი,
მღვდელი მარილზე მიდის აღზევანს.
აღემატება ყველა ძალ-ღონეს,
გამოარჩიო მჭადში ნახშირი
და ჩემი ქვეყნის მოჭირნახულე
დგას სულხან-საბა დასჯილ ბავშვივით.
აზრი არა აქვს არაფრის წერას,
თავს ვერ მოაბავს რადგან ეშმაკიც,
ქვეყნის იღბალი და ბედისწერა
სთვლემენ გართულნი გრძნეულ ხელსაქმით.
და გულზე მხეთქავს ეს მყუდროება,
ჩამოვარდნილი ზამთრის წკვარამში,
დგას უსასრულო ამაოება,
ისეც სისხლგამშრალ ჩემს ქვეყანაში.

29. 03. 86 წ.

ამირანის ნათქვამი ლექსი

კლდე მოვარღვიე რაზეც ვეკიდე
და მოვაბიჯებ მიწის ზანზარით,
წმინდა გიორგის ნათლულ-შეგირდი,
იმავე ღმერთის ძრწოლა-თავზარი.
ნუ განგაცვიფრებთ ჩემი შემოსვლა,
მთაში მყვირალი ხარის გამზირზე,
ვაჟა-ფშაველამ ნაბდით შემმოსა
და არწივივით მხარზე მაზის მზე!
დაბუჟებული, ბორკილნაცმევი,
არ მომრჩენია ჯერაც მხარ-მკლავი,
ღმერთსაც ემჩნევა ისევ ნაცემი,
ყბაზე ამ მჯილით შემონაკრავი.
კლდე მოვარღვიე რაზეც ვეკიდე
და მოვაბიჯებ მიწის ზანზარით,
შენი გლახა ვარ ღმერთო, შემინდე
ეს ქართვლია თუ შუაბაზარი??

3. 04. 86.

აპრილი არტანუჯში

ერთს გაიღიმებს მტირალ ქალივით
უცებ აპრილი ფერმკრთალ ცალურჯით
და ღვთაებრივად სათნო არილით
ახასხასდება მზედ არტანუჯი.
გამობრძანდება ტაძრით თამარი,
გადმოანათებს ლაშქარს ტლად დამდგარს,
და წარუძღვება ცხრა ძმის ამალით
წარბგაჩეხილი მოყმე, მარაბდა.
თავს დაბლა ჩახრის მორცხვად კრწანისი,
ბიჭი წამხდარი ძმათა ღალატით,
დგას ბაზალეთი გამქრქალ ხალისით
ხრესილი მხნეობს ძალის-ძალათი.
სახე უბრწყინავთ დიდგორს, ბასიანს,
ჰქუხან მომავალ დროთა ძლევანიც,
გახედე მამულს რა ლამაზია,
მჭიდროდ შეკრული ქუმსი მტევანი!
ერთს გაიღიმებს უცებ აპრილი,
ფერმკრთალ ქალივით, მერე კი მორჩა,
გადაევლება ირმის ბღავილით
ქედებს და ბიბინს დაიწყებს ნორჩად.

15. 04. 86.

პარადოქსი

გურამ დოჩანაშვილს

ქუჩას მივყვები და ვეძებ ბოთლებს
ჭიქა არაყში რომ გადავცვალო,
ღმერთო მიხედე მგოსნებს და ლოთებს,
მიეცი დარდი და საწანწალო!
ამდევნებია მშიერი ძაღლი,
დავუგდე პურის ლუკმა ჩემს სვიანს,
ავიკრებ ძვალ-რბილს ცოდვებით დაღლილს,
ჯვარს უნდა ვეცვა, როგოც მესია.
წუმპეში ვგდივარ და სისხლის სუნი
ამძაფრებს ყოფას, ისეც საძაგელს,
მოთხიპნილი მაქვს სხეული ფუნით,
თან თბილადა ვარ, თან მაძაგძაგებს.
წავეპოტინე რაღაცას, კაცის
აღმოჩნდა ფეხი, ხმლით წაკვეთილი,
აღარაფერი არ მინდა აწი,
დრო არის, უნდა დავსვა წერტილი.
სულ ბოლო წუთზე დამიცდა ფეხი,
მივდივარ ფრენით უფსკრულის ფსკრისკენ,
და დავენარცხე მიწას ვით ნეხვი,
კაცი რომელიც ვილტვოდი ცისკენ.
აღარ გათავდა და მკვდარი მაინც
ვიყო, ვერ ვგრძნობდე აღსასრულს, მცივა,
ო, ვხედავ ირგვლივ, მაჟრჟოლებს რაიც,
ჩემნაირები ასობით ცვივა.
გაუთავებელ კირთებით კვდება
გული და სისხლის ბოლო წვეთს იწრეტს,
ისევ მისივე სურვილით ხდება,
რაც ხდება და ავს ვაბრალებთ სიზმრებს.
თითქოს ახდენა იყოს ყოველი
წინათგრძნობის და არა განზრახვის,
და უპოვარი, სიბრძნის მპოვნელი,
აღვესრულები სამფა მათრახით.
გაუგონარი კირთებით კვდება
გული და სისხლის ბოლო წვეთს იწრეტს,
და მისტიური ასკეტის კდემა
გულ-ბოყვს სიზიფეს ლოდის ქვეშ მისრესს.
ჰე, ამის აღქმას სჭირდება ყოფა,
სწორედ ისეთი რაც გვაქვს და რაც ვართ,
„ოპლა ჩვენ ვცოცხლობთ", თუმც სულში ლპობა,
შემოგვპარვია ზესწრაფის ნაცვლად.

19. 11. 95.

მთაში

ღამეს აღრჩობს მგლების ყეფა
და წყვდიადში ზვავი წვება,
ღვინისფრად რომ შეიღება,
ე, იმ მთაზე ცა იწყება.
არაგვისპირს რქაგრეხილა
ჩამომჯდარა ირმის რემა,
დღემდი ასე არ მეხილა
ზეცის გადაყირმისება.

მგლის ყმუილი ღრუბელს წველის,
ცურს უსრისავს გრძლად და დინჯად,
ქალი რაა, თურმე მგელი
ტირის - კაცი გამაგიჟა.
ეს ცა იყო, თუ ხვთისმშობელს
მოუჩანდა კაბის კალთა,
მეგონა რომ დამწვდებოდა
და ყრმასავით ამიყვანდა.

6. 01. 84.

ჰელჲსადმი ნატვრით და კრძალვით

ანაწყოლ მაინც რომ მწყალობდეს ახლა მე
ბედი,
მეტი რა? ტვინში მიდუღს ფიქრი დროულად
გაცლის,
და გამცრის ხოლმე გულის გულში ჯერ
ისევ ნედლი,
კეთრივით გულზე მიხავსული ცოდვები ამ
წლის.
გამოწანწალდენ ოცნებები თეთრი
საცვლებით,
წაწლების სითბოგამოყოლილ ნორჩ
სხეულებით,
ბროწეულების გვირგვინებით, თმებზე
ნაწნევით,
ნამცვრევის კიმპვლით, მაგ შენს მზერას
მომშეულები.
ანაწყოლ მაინც რომ მწყალობდეს ახლა მე
ბედი,
მეტი რა? ტვინში მიდუღს ფიქრი სურვილად
დაცლის,
და გამცრის ხოლმე გულის გულში წყურვილი
მდედრის,
შენი თვალების სიყვარულის ტკივილით
აცრილს.

15.04.2000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა კონაშვილი

და ნიჟარებში ფითრდებიან მარგალიტები

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:
მაკა — 30 წლის (ცოლი)
გოგა – 35 წლის (ქმარი)
ირმა — მეზობელი
მათხოვარი ბიჭუნა

1993 წლის ზამთარი

ზამთრის მილეულმა მზემ მაინც შემოატანა გაყინულ ოთახში, სადაც ნემსიც კი ვერ ჩავარდება, ისეა ერთმანეთთან მიჯრით მიდგმული სამუშაო მაგიდა თუ წიგნების თაროები, ორი სავარძელი თუ ტელევიზორი, ძველებური ტახტი თუ გასაშლელი მაგიდა. რას არ იტევს ეს ერთოთახიანი, ჩვეულებრივი ბინა, სადაც უჩვეულო მხოლოდ კედელზე გაკრული ერთადერთი ნახატია. მაგიდაზე ნიღბები ყრია.

მაკა — **(ხან გაღიმებულ ნიღაბს ირგებს სახეზე, ხან სევდიანს)**
ბატონებო და ქალბატონებო,
ასე იწყება, იცით, ძველი კომედიები,
ტრაგედიები, ანდა ტრაღიკომედიები,
ეგ სულ ერთია.
მთავარი არის რომ მივიპყრო მე თქვენი სმენა
და გინდ ჩამთვალეთ ტრაგედიის უიღბლო გმირად,
გინდა მასხარად
და გინდ კეთილ, მოხუც მეზღაპრედ.

(საათი რეკავს, ქალი ნიღბებს მაგიდაზე მოისვრის)

გოგა — გაიღვიძე, გაიღვიძე, რა! გოგა... გოგა.

გოგა – დამანებე რა თავი!

მაკა – უკვე ათი დაიწყო.

გოგა — ვინ გთხოვა ჩემი გაღვიძება, რა გინდა? გამთენიისას ძლივს ჩამეძინა გემრიელად.

მაკა — აბა, აბა, საწყალი, მთელი ღამე მეცნიერულ ნაშრომებს წერდი... რა არის, ძილისგუდად იქეცი.

გოგა — მაინც რა გინდა, რატომ არ მასვენებ?

მაკა – სულ დასვენებული არა ხარ? უკვე ათი დაიწყო.

გოგა – გაიგე, მაკა, რომ დრო აღარ არსებობს, გაიყინა. გაქვავდა.

მაკა – შენ, გეტყობა, დღესაც არ აპირებ აკადემიაში წასვლას.

გოგა — როგორ წავიდე, ჩექმებში წყალი შემდის, ეტყობა მართლა ვუყვარვარ ღმერთს, ამდენი ხანი სურდო რომ არ ავიკიდე.

მაკა – იქნებ დღეს მუშაობს მეტრო?!

გოგა – აუდიტორიაში ისეთი ყინვაა, ორი სტუდენტიც თუ მოვიდა ლექციაზე, ისიც საოცრებაა, ჰოდა, ღირს ორი ტვინგაყინულისთვის იქ წასვლა?

მაკა — გოგა, რა გემართება, ადრე ასეთი არ იყავი.

გოგა – ადრე? ადრე არც შენ გამოიყურებოდი ასე მოყვითალოდ და თუ მეხსიერება არ მღალატობს, ყვავივით კი არ დამჩხაოდი, ადექი, ადექი, კოცნით მაღვიძებდი.

მაკა – და ლოგინში თაფლიანი წყალი მომქონდა.

გოგა – ო, თაფლიანი წყალი... რა წყალში ჩავვარდეთ? წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, წყალნი წავლენ და წამოვლენო...

მაკა – თაფლიანი კი არა, დღესაც მოგიწევს უშაქრო ჩაის დალევა.

გოგა – ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა, განა ჩაის დალევის საშუალება მაინც არის?

მაკა – გოგა, იცი, გუშინ კიდევ მოვიდა ის ამერიკელი, აი იმ დღეს ჯემომ რომ მოგვიყვანა. შვიდას დოლარს გიხდის ამ ნახატში, გესმის, შვიდას დოლარს...

გოგა – რით ვერ გაიგე, რომ ამ ნახატის ფასი გაცილებით მეტია და საერთოდ არ ვყიდი.

მაკა – ჰო, გოგა, მაგრამ...

გოგა – რა მაგრამ, ერთი ნორმალური ნახატი მაინც ხომ უნდა შემრჩეს. სულ ასე მათხოვრები ხომ არ ვიქნებით? გავა ხუთი, ათი, თუნდაც ორმოცდაათი წელი და საქართველოში არცერთი შედევრი აღარ დარჩება.

მაკა — აბა სანამდე ვიყოთ ასე, სანამდე. როგორმე გავათრიოთ ეს ზამთარი, მერე კიდევ დახატავ რამეს.

გოგა – რაც მხატვრის სახლში ჩემი ნახატები დაიწვა, სულ აღარ მინდა რაიმეს დახატვა. ეს ჩემი უკანასკნელი ნახატია. თუმცა, შენ რას გაიგებ!

მაკა – ვითომ რატომაო, **(ტილოსთან მივა, ხელს გადაუსვამს)** ასეთები იყვნენ ადამიანები წარღვნის წინ დღეს. გინდა, წავიკითხო ეს ნახატი?

გოგა – რა უნდა ქნა?

მაკა – წავიკითხო.

სიზმარი. ზღვა. ბავშვების ხუმრობა.
მტრედი ფეხებდაჭრილი.
ცისკენ გზა ეკარგება მტრედს...
და ზღვასი ვარდება.
ზღვა წითელი, ცა წითელი, მტრედი წითელი...
და იცინიან ბავშვები ისე,
ტითქოს პირიდან სცვივათ ყინული.
ზღვა კი დიდდება, ისე დიდდება,
რომ გულშიაც აღარ ეტება,
აღარ ეტევა სიზმარ-ცხადში, აღარ ეტევა.
და ისმის ციდან, საოცარი ხმა ისმის ციდან,
ახლა მაინც ხომ აგისრულეთ დანაპირები?
და გამორბიან სიზმრებიდან სახეშეშლილი
იერშეცვლილი და დამფრთხალი უფლის
შვილები.
ზღვა დიდდება და მიწის მკერდში დედდება
სისხლი,
მკრთალი ტალღები ცას ფხოჭნიან სველი
თითებით
და დედამიწა ეძებს დედას... სადა ხარ დედა?
იქ, ნიჟარებში ფითრდებიან მარგალიტები.
— ასეა?

გოგა — ასეა, ასეეე! **(წაუმღერებს)** როგორ თქვი? ასეთები იყვნენ ადამიანები წარღვნის წინა დღესო?

მაკა – იცი, გოგა, მე პიესის წერა დავიწყე.

გოგა – როგორ, ასეთ ყინვაში კიდევ გაქვს წერის სურვილი? ყოჩაღ, ჩემო მაკა, ყოჩაღ!

მაკა – გუშინ მაცნეში გამოაცხადეს, ტელეპიესაზე კონკურსი ტარდება. პირველი პრემია ოთხიათასი დოლარია. გესმის შენ, ოთხიათასი დოლარი.

გოგა – ადრე შენ ფულისთვის არ წერდი.

მაკა – იცი, რა გამახსენდა, ამ ათიოდე წლის წინ საბჭოელი ინტელიგენციის წარმომადგენლები ვიეტნამში ნაგვიყვანეს ხელოვნების ფორუმზე. მე ყველაზე ახალგაზრდა დელეგატი ვიყავი, ოცი წლის. ახლაც მიკვირს, როგორ მოვხვდი იმ ჯგუფში.

გოგა – სიმპატიური, იმედისმომცემი, თანაც ხელოვანი ქალი...

მაკა – ჰო, ალბათ მაგიტომ. ერთ იქაურ მწერალს ვკითხეთ, როგორ აგინაზღაურეს ახალი რომანის ჰონორარიო? ერთი ტომარა ბრინჯი მომცესო. რაო, რაო, ერთი ტომარა ბრინჯი. აღვშფოთდით მეტად. იმ დღეს კი, პიესის ჰონორარი რომ ავიღე, ერთი კილო ყველი ვიყიდე, ეს იყო და ეს.

გოგა – მაინც რაზე აპირებ ახალი პიესის დაწერას?

მაკა – რა ვიცი, აბა...

გოგა – გაიხედე სარკმლიდან, შეხედე, როგორ უხდება ნაგვის ბუჩქებს თოვლის თეთრი ვარდები.

მაკა – აგერ ეს კაციც, როგორ ჩაუბღუჯია პური და სახლისაკენ მიიჩქარის.

გოგა – ღიპზე დაცურებული ჯვარი ალბათ ჭირის ოფლში იწურება.

მაკა — როგორ შემორჩა ნეტავი რწმენა?

გოგა – როგორ შემორჩა ნეტავი ღიპი?

მაკა – როგორ იშოვა ნეტავი პური?

(იცინიან)

— მე მგონი, შენ მართლა დამეხმარები პიესის წერაში. მოდი, რაიმე მიამბე შენი ცხოვრებიდან.

გოგა – მაინც რა, მხატვრობაზე?

მაკა – არა, რაღაც უფრო საინტერესო.

გოგა – ეროვნულ აღტკინებაზე?

მაკა – არა, არა... აი, რამე სექსუალური...

გოგა – ოჰო, შენი სექსუალური გამოცდილება არ ჰყოფნის პიესას?

მაკა – მოდი, შენს პირველ ქალზე მიამბე რამე,ხო?

გოგა – პირველი ქალი... სურამში ვისვენებდით. ჩვენს მეზობლად ერთი გოგო იყო მდგმურად.

მაკა – ლამაზი?

გოგა – ლამაზი? რა ვიცი, ისე კი მახსოვს დიდი მკერდი და უფრო დიდი გავა ჰქონდა. ის ქალაქელი იყო, მე სოფლელი. თანაც, ჩემზე უფროსიც იქნებოდა. რაღაცნაირად მეღლაბუცებოდა, ვერ გამეგო, მეპრანჭებოდა თუ დამცინოდა. თვალებს ისე შემომაბრიალებდა, ვწითლდებოდი.

მაკა – მგონი ახლაც გაწითლდი.

გოგა – აბა, საწყალი. ო, როგორ მძულდა ეს სიწითლე, რას არ მივცემდი, ოღონდაც არ ამჭარხლებოდა ყურები და ლოყები.

მაკა – ამ ნახატსაც?

გოგა – ამ ნახატსაც და ზედ შენს უკვდავ ლექსებსაც დავაყოლებდი.

მაკა – მერე, მერე?

გოგა – მერე გადავწყვიტე, რაც იქნება იქნება დღეს სოკოზე წავიყვან ტყეში და ვაჩვენებ, როგორ უნდა კისკისი მეთქი. ჰოდა, ბოლომდე და ბოლომდე, ბოლომდე და ბოლომდე, ვიმეორებდი გულში.

მაკა – **(პატარა გოგონასავით კისკისებს და ხმას იცვლის)** სოკოებით საკრეფად, მე რომ არ ვიცი, რომელია შხამა სოკო და რომელი ქამა?

გოგა – მე ვიცი.

მაკა – კიდევ რა იცი?

გოგა – კიდევ? მკლავები მოვხვიე და ჯერ გაუბედავად ვაკოცე, მერე წინააღმდეგობა რომ არ გამიწია, გავთამამდი, იქ, ნაძვნარში მზის თვალი ვერ ატანდა და ალბათ ჩემი სიწითლეც არ ჩანდა. ხესთან მივიმწყვდიე და მთელი ძალით მივაწექი. ისეთი გრძნობა მქონდა, მეგონა ხესაც გადავანგრევდი, ხელები მიკანკალებდა, მთელი სხეულით ვთრთოდი. მკერდს ნავეტანე, კი არ ვეალერსებოდი, თითქოს მტევანს ვწურავდი. მინდოდა, რაღაც სტკენოდა, მინდოდა, მისი კისკისი ტირილში ჩამეხმო. კაბა ავუწიე და ხელი ნელ-ნელა ქვემოთ ჩავაცურე. რაღაც ხავერდო-

ვანი ვიგრძენი და უცებ, მთელი ჩემი აღტკინება გადმოიღვარა. მერე ტყიდან თავქუდმოგლეჯილი გამოვრბოდი, იმდღესვე დავტოვე სურამი და სოფელში წამოვედი.

მაკა – **(კისკისებს)** ეგეც შენი ბოლომდე, ბოლომდე.

გოგა – გამოგადგება რამეში?

მაკა – აბა რა ვიცი...

გოგა – მაინც რაზე გინდა დაწერო პიესა?

მაკა – ჩემზე, შენზე, იმათზე... ადრე თემებს ვეძებდით პიესისათვის, რაღაცეებს ვიგონებდით, ახლა კი ისე გაასწრო ცხოვრებამ მწერლობას, სტენოგრაფიული ჩანაწერების გაკეთებასაც ვეღარ ვასწრებთ. აი, თუნდაც ჩვენს პარლამენტზე მშვენიერი ტრაგი-კომედია დაიწერებოდა.

გოგა – ჰო, იმ დღეს ვახტანგს ვთხოვე, თეატრში წავიდეთ მეთქი, იცი, რა მიპასუხა, სადა მცალია, ცირკში მაგვიანდებაო, პარლამენტის სხდომა ჰქონიათ.

მაკა – წუხელის რაღაც-რაღაცეები მივჯღაბნე, წაგიკითხო?

გოგა – აბა, მიდი.

მაკა – მოქმედების ადგილი და დრო, თანამედროვე თბილისი, ქალაქი-ბაზარი.

მოქმედი პირნი:

— მათხოვრები, მათხოვრები, მათხოვრები,
უმწიკვლო მათხოვრები, იარაღიანი მათხოვრები,
ინტელექტუალური მათხოვრები,
მჩხიბავნი, ცრუმეტყველნი, მისანნი,
გადარჩენა, ცხოვრების მიზანი.
გიშრის მძივები, ავგაროზები,
უსახელო გმირები, სახელოვანი ბოზები.
რაიკომის მდივნებივით გასუქდნენ გამგებლები,
ცხვრების სპონსორია კეთილი, გამგე მგელი.
— რას ჭამს ხალხი?
— ერთმანეთს.
— სადაა მთავრობა?
— თათბირობს.
სესია, თათბირი, კრებები,
დაშლილი მიტინგი,
ჩამქრალი ვნებები,
გახლეჩილი გული,
გახლეჩილი ერი.
შებმია ძმა ძმას,
იხილეთ ბოლო რაუნდი,
აკადემიკოსის ერთი თვის ხელფასით
იყიდეთ ბაუნთი.
თვალებში შიში, სულში ღამე.
სიმღერა – იყიდეთ, იყიდეთ რამე!!!

გოგა – ნამეტანი გრძელი დასაწყისია, სიუჟეტი.

მაკა – აი, სიუჟეტის მოფიქრებაა, რომ მკლავს. პიესა ასე იწყება: - ბაზრად ქცეულ ქალაქშიც ცასაცდენილი ანგელოზი ჩამოვარდება. ხალხი ისეა დამშეული და გაბოროტებული, ღმერთსაც რომ გარეთ დარჩეს ფეხი, მოაჭამს. ჰოდა, ამ თვალებდათხრილ ხალხში ისე დაამძიმებს ანგელოზს ფრთები, გადაწყვეტს, მოიჭრას.

გოგა – მერე, მერე?

(ისმის ზარის რეკვა, მაკა კარს აღებს და ოთახში მეზობელი ქალი შემოდის)

მაკა — შემოდი, შემოდი, ირმა.

ირმა — გამარჯობა...

მაკა – რა უცხოსავით იყურები, მოდი, დაჯექი.

ირმა — რაღაც სათხოვარი მაქვს, გოგასი კი მერიდება მაგრამ.

გოგა – ასეთ ყინვაში ძაღლსაც არ გააგდებენ, მაგრამ შენი გულისთვის ირმა, მზად ვარ მსხვერპლი გავიღო.

ირმა – არა, არა, პირიქით, იქნებ შენ მიშველო...

გოგა – რა გაქვს გოგო საშველი?

მაკა – ცუდი ხომ არაფერია, რა ფერი გადევს...

ირმა – თორმეტ საათამდე ოთხასი დოლარი უნდა ვიშოვო, მაკა, გოგა, თქვენი ჭირიმე, იქნებ როგორმე დამეხმაროთ.

მაკა – ოთხასი დოლარი? ოთხასი დოლარი კი არა, ოთხასი კუპონიც კი სანატრელი გვაქვს.

ირმა – რა ვქნა ახლა, რა მეშველება, ვისთან არ მივედი, ვინ არ შევანუხე, მაგრამ...

მაკა – ახლა ყველას უჭირს. რად გინდა ეს ოთხასი დოლარი?

ირმა – ოთხასი კი არა, ექვსასი მჭირდება. ორასი, როგორც იქნა, ვიშოვე. ბებიაჩემის ნაქონი ალმასისთვლებიანი ქინძისთავი გავყიდე. ხუთასი დოლარი მაინც იყო იმისი ფასი, მაგრა ხომ იცი, როცა გიჭირს.

მაკა – თუ საიდუმლო არაა, მითხარი, რისი შეძენა გინდა ასე გულით?

ირმა – შეძენა კი არა, აი, ჩენს ზემოთ მდგმური რომ ცხოვრობს.

მაკა – რომელი, ლტოლვილი?

ირმა – ჰო, იმაზე გეუბნები, იმ დღეს ერთმანეთს ვეწუწუნებოდით და ისეთი რამე მითხრა, სამი ღამე არ მძინებია. თურმე თბილისში ვიღაც ავსტიელი ჩამოსულა, დონორები სჭირდება.

მაკა – ამ ჩვენს სისხლგამშრალ ხალხს სადა აქვთ ავსტრიელებისათვის მისაცეი სისხლი?

ირმა – სისხლი კი არა, სხეულის ნაწილები სჭირდება, ამით ვაჭრობს.

მაკა – რითი ვაჭრობსო? რა სჭირდება?

ირმა – კარგი თირკმელები, ფილტვები, თვალები, რა ვიცი ყველაფერი, რისი გადანერგვაც შეიძლება.

მაკა – ეს ხალხი სრულ ჭკუაზე არაა.

ირმა – ჰოდა გადავწყვიტე, თირკმელი უნდა გავყიდო მარტო ერთ თირკმელში 30.000 დოლარს იძლევიან.

მაკა – როგორ თუ გაყიდო, ბაზარია? რაებს ამბობ?

ირმა – ეს ყველაფერი საიდუმლოდ კეთდება შუამავალი ქართველია, ის ეძებს დონორებს, მერე ავსტიაში წაგვიყვანენ, ვითომ ტურისტული ჯგუფია იქ გაგვიკეთებენ ოპერაციას, და ერთ კვირაში ყველა სახლში დავბრუნდებით. ექვსასი დოლარი ბილეთისთვის მჭირდება, წასვლა-წამოსვლის ხარჯებს ჩვენ თვითონვე ვიხდით წინასწარ. ოპერაციის გაკეთებისთანავე მოგვცემენ კუთვნილ თანხას.

მაკა – ისეთ რაღაცეებს ლაპარაკობ, დაუჯერებელი მგონია.

გოგა – კი, მაგრამ, არიან მსურველები?

ირმა – მსურველის მეტი რაა, ოცდახუთ

კაცს უკვე გადახდილი აქვს გზის ფული, მაგრამ მე ვერ ვიშოვე ეს წყეული დოლარები; აბა გავიქეცი, იმ ორას დოლარს მაინც მივუტან, იქნებ ცოტა კიდევ დამაცადონ.

მაკა — ისეთი რა გაგიჭირდა.

ირმა – მაკა, ახლა ვერაფერს გიამბობ, ძალიან ვჩქარობ, შენი ჭირიმე, არავისთან წამოგცდეს, ჩემმა ქმარმა რომ გაიგოს გაგიჟდება.

მაკა – არა, რას ამბობ.

(ირმა ოთახიდა გადის)

გოგა – ამ ხალხმა სულ გააფრინა დოლარებისაგან.

მაკა – სამაგისო რა აქვს, ნეტა ვიცოდე.

მაკა – ალბათ პროცენტიანი ვალი დაედო, ხო იცი, ახლა მთელი ქალაქი ვალს იღებს და ვალს იხდის.

გოგა – იმიტომ შიშობს, ქმარმა არ გაიგოს.

მაკა – ვინ იფიქრებდა ადამიანი ეშმაკთან დადებდა ხელშეკრულებას? ღმერთო, გვიშველე!

გოგა – შენ რაღაც ძალიან გაგიტაცა ამ იდეამ, ხომ არაფერი გაგვეყიდა, ჰა?

მაკა – მაინც რას გაიმეტებდით?

გოგა – **(ცოლს ეალერსება)** – აი თვალები, ლოცვასავით თვალები, მშვიდი და ამავდროს სიცოცხლით სავსე, ასეთი თვალები 50.000 დოლარი მაინც ეღირება... მკერდი, თეთრი შროშანები, ვინ იცის რა ღირს ასეთი მკერდი... და აი... თონე გაუნელებელი.

მაკა – **(ქმარს კისკისით იცილებს)** — თონეზე გამახსენდა... ბავშვობაში ბებიაჩემი დიდ შოთის პურს რომ დააკრავდა, მერე თონეზე ფიცრებს გადააწყობდა ხოლმე, შებინდება უჟმური და ცივი იყო. ჩვენ, ბავშვები იმ ხარიხებზე გადავჯდებოდით, ფეხებს თონეში ჩავაწყობდით და საამოდ გვეწვოდა წვივები, აუ, რა კარგი გრძნობა იყო... ცა, ვარსკვლავებით დაჭორფლილი... მხრებზე სიგრილე და თბილი, თბილი წვივები, ასეთი სიამოვნება არასოდეს განმიცდია.

გოგა – ამაზე კარგი?

მაკა – თითქმის ასეთი.

გოგა – მე, მეც ხომ არაფერი შემეთავაზებინა ავსტრიელებისთვის? აი, ჩემი ეროვნული სიამაყე.

მაკა – მილიონი კუპონიც თუ გადაგიხადეს, ისიც დიდი ფასია.

გოგა – კუპონიო?!

მაკა – ქართული ეროვნული ვალუტა.

გოგა – ასე, ხომ, მე შენ გიჩვენებ მილიონ კუპონს.

(მაკა სიცილით გაუსხლტება ხელიდან)

მაკა – მოვიფიქრე, მოვიფიქრე.

გოგა – რა მოიფიქრე?

მაკა – როგორც იქნა მოვიფიქრე სიუჟეტი, მისმენ?

გოგა – სხვა რა გზაა?

მაკა – ცასაცდენილ ანგელოზზე რომ გიამბობდი, ხომ გახსოვს.

გოგა – ჰო, მერე?

მაკა – ჰოდა, ეს ანგელოზი ბაზრად ქცეულ ქალაქში ხვდება. იყიდება ყველაფერი, ყველაფერი, რასაც სახელი მოეძებნება. მიათრევს ანგელოსი უშველებელ ფრთებს, მტვრისა და ტალახისგან გაშავებულ, შელახულ ფრთებს. ასეთ ქალაქში მხოლოდ ძაღლი თუ ცნობს პატრონს. ჰოდა, ანგელოზის დარდი ვისა აქვს, ვერავინ ამჩნევს. ანგელოზი ერთ უშველებელ შენობას მიადგება. შენობა ნაცრისფერია, ისეთი ნაცრისფერი, სეტყვის წინ რომ დაჰკრავს ცას. ყიდვა-გაყიდვისა და გაცვლის ბიურო აწერია კარზე.

გოგა – არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...

მაკა – ეს იყო მაშინ, როცა სიტყვები წამღერბით წარმოითქმოდა, დღეს მოისმინეთ დამსხვრეული ჩემი სიმღერა:

ვცვლი მეტროვ ვაგონებში დაგუბებულ
ოფლის სუნს
ნებისმიერ ფრანგულ სუნამოზე.
ვცვლი ჩემს დღეებს
სიზმარას ღამეებზე.
ვცვლი ჩემი ბავშვობის ფოტოებს
ოქროსჩარჩოიან სარკეზე.
ვცვლი სპილენძად ქცეულ სტუმარს
მავთულებიდან მოპარულ სპილენძზე,
ვცვლი პავლიაშვილის სიმღერას
მაიკლ ჯეკსონის სიმღერაზე,
ვცვლი მათხოვარი ბავშვის ჩახლეჩილი ხმით
ნამღერ დარი-დურის
ჯაბა იოსელიანის კოპლებიან ბაფთაზე.
ვცვლი ომში დაკარგული მეგობრის სურათს
შვარცნეგერის ფერად ფოტოზე.
ვცვლი ეკალს უფლის გვირგვინიდან
ელისაბედ დედოფლის მარგალიტის
ყელსაბამზე,
ვცვლი გია ჭანტურიას მეწამულ პერანგს
ზაიცევის მოდურ კოსტუმზე,
და ვცვლი, თვით სამშობლოსაც ვცვლი
სხვა ქვეყნის სადედინაცვლოზე.

გოგა – ანგელოზს არაფერი ებადა ფრთების გარდა, მხოლოდ ფრთების გაყიდვა ან გაცვლა შეეძლო. ან რაღაში სჭირდებოდა ფრთები, როცა ცის ყველა კარი უკვე გადარაზული იყო. შავი ფრთები შალივით მოიხურა დაღლილ მხრებზე და უსასრულო რიგში ჩადგა.

მაკა – უცნაურად მოერთოთ ყიდვა-გაყიდვის ოთახი. ვერ გაიგებდი, აქ რომელ რწმენას ემსახურებოდნენ. კედელზე ერთად მიეხატათ ჯვარი და მთვარე, ვარსკვლავი და მზე, ნამგალი და ურო, ვერც იმას მიხვდებოდით მაღალ სკამზე მჯდარი კაცი რა ენაზე საუბრობდა, აი, კარისკაცი კი, რომელიც ყველას მზრუნველად ექცეოდა, ნამდვილად ქართველი იყო, ის კი არა და გულზე საქართველოს დროშაც კი ეკეთა. თანაც ისეთი სევდიანი ხმით ეკითხებოდა მომსვლელთ, რა გიჭირსო, თითქოს ყელში სიმწრის ბურთი გასჩროდა, ანდა თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. ოღონდ თვალები არ უჩანდა, მუქი სათვალე ეკეთა თვალებზე.

(გოგა და მაკა იწყებენ იმ სცენის გათამაშებას, რაც იქ, ყიდვა-გაყიდვის ოთახსი შეიძლება მომხდარიყო)

გოგა – აბა პირველი, ვინ არის პირველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობრძანდით, მობრძანდით, ქალბატონო.

(ქალს შავები ეცვა, გულზე კი ახალგაზრდა ბიჭის სურათი ეკეთა)

მაკა – გავიგე, დონორთა სიებს ადგენთ, იქნებ მეც ჩაგეწერეთ.

გოგა – რამდენი წლის ბრძანდებით?

მაკა – ორმოცდაათი ახლა შემისრულდა.

გოგა – მაინც რის გაყიდვას აპირებთ?

მაკა – ორმოცდაათის კი ვარ, მაგრამ კარგი მხედველობა მაქვს, თუ გინდათ შემამოწმეთ, გაზეთს უსათვალოდ ვკითხულობ, არ ვიცი, ერთ თვალში რამდენს მომცემენ, მეორეს მაინც დავიტოვებ, სხვის მინათად ხომ არ ვიქცევი, ისე კი სულ რომ არ ვუყურო ამ ცხოვრებას, იქნებ ჯობია კიდეც.

გოგა – აი, ახლავე ვნახავ პრეისკურანტს, ერთი თვალი ოცდაშვიდი ათასი დოლარი.

მაკა – თანახმა ვარ, ჩამწერეთ.

გოგა – ასეთი რა გაგიჭირდათ.

მაკა – ვაჟი დამეღუპა ომში, საფლავიც ვერ გავუკეთე ხეირიანი, ეს მარმარილოო, ეს შემოღობვაო, დედა მოუკვდეს, რად მინდა რომ ცოცხალი ვარ. ან ეს თვალები რატომ სულ არ დამეთხრება. მე მზეს ვუყურო, ის კი...

გოგა – სახელმწიფო არ დაგეხმარათ?

მაკა – კი, ორი მილიონი კუპონი მოგვცეს მაშინ, მერე ძმაკაცებმაც მოიტანეს ცოტა, მაგრამ, ქელეხიო, ორმოციო.. იცით, სატირალში რომ მოდიოდნენ, რას მეუბნებოდნენ, როგორ მისამძიმრებდნენ. რატომ გაუშვი ომშიო, გაიგეთ, ომში რატომ გაუშვიო, ოცდაშვიდი წლის ბიჭი ქვად მექცა და ერთი არავის დასცდენია, სამშობლოს შეენირა შენი ვაჟკაცი, გმირის დედა ხარო, ვაი შვილო, გმირის დედა ხარო, ომში რა უნდოდაო... მერე დავიტირე, არ შემოხვიდეთ ხალხო, თქვენი ცრემლი არ დამანახოთ, ვისაც შვილის სიმწარე არ გინახავთ, სამძიმარს ნუ მეტყვით მეთქი...

გოგა – კარგი ქალბატონო, დამშვიდდით.

მაკა – ერთი ხეირიანი საფლავი გავუკეთო, ერთი თავის ტოლბიჭებსი იქ მაინც არ დავჩაგრო სიღარიბით და მერე გული, გული არავის უნდა, გულსაც ჩავაბარებ და დავისვენებ მაინც.

გოგა – (ხმას იცვლის, ახლა იგი ხან კარზემდგომის ხმით საუბრობს, ხან ახალგაზრდა ბიჭის.)

— შეიძლება?

— მობრძანდით.

— რთი ეგ სია მომაწოდე!

— ინებეთ. გაეცანით პრეისკურანტს?

— ჰო, რა.

— ასეთ ახალგაზრდას ასეთი რა გაგიჭირდათ?

— ამ ცხოვრების დედა რომ ვატირე, გოგოს რომ კინოში ვერ წაიყვან, ცხოვრებაა, ერთ ფირმა მაროჟნს რომ ვერ უყიდი, ცხოვრებაა?

— რომელ ასოს შეელეოდით?

— ამ ასოს გარდა რომელიც გინდა მომაჭერით.

— აბა, შემდეგი, მობრძანდით, მობრძანდით.

მაკა — მე მაინტერესებს, ყველაზე ძვირადღირებული ნაკვთები რომელია?

გოგა — ფილტვები, თირკმელები, სასქესო ორგანოები, მით უმეტეს თუ დონორი თქვენისთანა ახალგაზრდა ქალბატონია.

მაკა – თირკმელი რა ღირს?

გოგა – ოცდაათი ათასი დოლარი.

მაკა – კარგით, თანახმა ვარ. თირკმელი იყოს.

გოგა – ასეთ ლამაზ ქალებსაც უჭირთ?

მაკა – მე ლტოლვილი ვარ სოხუმიდან, ანუ უფრო სწორად როგორც ახლა გვეძახიან იძულებით გადაადგილებული პირი. ჰოდა ასე იძულებით ერთი წელია მე და ჩემი ქმარი მოსკოვში ვმუშაობდით, მონებიც არ იქნებოდნენ იმ დღეში, რაც ჩვენ იქ ჯაფა გვადგა, რას არ ვაკეთებდით. სუთიათასამდე დოლარს მოვუყარეთ თავი, აქ ბინა გვქონდა შეგულებული თბილისში, ერთოთახიანი, ვფიქრობდით საკუთარი ჭერი მაინც გვექნებოდა, ქმარი ჯერ ისევ დარჩა მოსკოვში, მე სენაკში ჩავფრინდ, იქ ახლობლები გვყავს, გზაში დაგვაყაჩაღეს ყველა, პირწმინდად გაგვცალეს. ეს რომ გივიმ გაიგოს, ვერ გადაიტანს, მეც არ ვიცი, სხვა რა ვქნა, რითი რა ვიშოვო.

გოგა — დამშვიდდით, ჯერ ახალგაზრდა ხართ, სოხუმსაც დავიბრუნებთ, საკუთარ ჭერსაც.

მაკა — დაფერფლილ წარსულსაც?

გოგა – რას?

მაკა – ჰო, თქვენ მართალი ხართ, ყველაფერს აქვს დასასრული, უბედურებასაც, ცრემლსაც, სახლიც აშენდება, ქალაქიც დამშვენდება, ჭრილობებიც მოშუშდება, მოსისხლე მტრებიც დაშოშმინდებიან, ბოლოსდაბოლოს ცხრაჯერ შეცდენილიც გაქალწულდება, მაგრამ ალბომში ჩამალული ჩემი ბავშვობა, დიდთვალება და ზღვისპირას მოთმაშე და საბავშვო ბაღში... სკოლის ეზოში. ვინ დამინვა ფოტოებზე გარინდული ჩემი ბავშვობა. ანდა ფერფლს, ფერფლს მაინც ვინ დამიბრუნებს, დამწვარ ქალაქში ერთადერთი დაუმწვარი მოგონებაა. მე გადავიღებ ათას სურათს და ათიათასს, იქნება ერთში მაინც მქონდეს ბავშვობის სახე.

გოგა – ოთახში ძალაგამოლეული ანგელოსი შემოლასლასდა, თქვენ რისი გამეტება შეგიძლიათ, ჰკითხა სათვალიანმა კაცმა.

მაკა – ფრთების.

გოგა – რაო, ფრთების?

მაკა – ჰო, მაინც აღარაფერში მჭირდება.

გოგა – რომ არ გვყავს ასეთი რეციპიენტი.

მაკა – რა არ გყავთ.

გოგა – ფრთების მსურველი, მთხოვნელი.

მაკა – ნუთუ არავის უნდა ფრენა, ნუთუ არავის უნდა ფრთები?

გოგა – ფრენა არ ვიცი და ისე მტვრის გადასაწმენდად შეიძლება გამოდგეს. ჰო თუ კარგად გარეცხავს კაცი, იქნებ მარაოდაც ივარგოს.

მაკა – ნუთუ დაჰკარგეს ადამიანებმა ფრენის სურვილი?

გოგა – როგორ გეკადრებათ, ახლა მაგისთვის ვისა სცხელა. ისე მაინც რამდენად გაყიდდით მაგ თქვენს ფრთებს?

მაკა – ერთ ღიმილად, შეყვარებულის ერთ ღიმილად, წრფელ, უდარდელ, წმინდა ღიმილად.

გოგა – აქ ჩვენში მასეთი კლიენტი არ გამოჩნდება, ისევ იქ, უცხოეთში თუ დაინტერესდა ვინმე, ვნახოთ, ჩავინიშნავ, კიდევ შემოგვიარეთ.

მაკა – მგონი გამოდის ჩვენი პიესა.

გოგა – ერთი მითხარი რა უნდა უყო ამდენ-

დოლარებს, მაგ პიესასი რომ მოგცემენ?

მაკა – უკვე ყველაფერი მოფიქრებული მაქვს.

გოგა – მაშ ვმდიდრდებით?

მაკა – აბა, რა!

(იწყებენ სიმღერას კინოფილმ „კაბარე-დან“) ისმის კვლავ ზარის ხმა.

— გააღე რა გოგა კარი.

გოგა — შენ თვითონ გააღე, ხომ ხედავ, ყოველი ზარის დარეკვაზე შენი ნათელი გონება ახალ-ახალი იდეებით ივსება.

მაკა – ო, შენ ხომ არაფერში გამოადგები კაცს.

გოგა – როგორ თუ არაფერში. პიესის ნახევარი ჰონორარი მე მეკუთვნის.

მაკა — აბა, ელოდე. **(კარს აღებს) ოთახში ირმა შემოდის და სავარძელზე მოცელილივით დაეშვება).**

გოგა – რა ქენი, ირმა, როგორაა საქმე?

ირმა – დავიღუპე!

გოგა – უარი გითხრეს?

ირმა — შე რომ იქ ყოფილიყავი, შენ რომ იმათი საცოდაობა გენახა.

მაკა – წარმომიდგენია, რა ამბავი იქნებოდა.

ირმა — ვინ იფიქრებდა ასეთ რამეს, ვინ იფიქრებდა.

მაკა – აღარ იტყვი, რა მოხდა?

ირმა — მოგვატყუეს, გაგვამასხარავეს. აფერისტები აღმოჩნდნენ, გამოცანცლეს ხალხს ვითომ გზის ფულად ექვსას-წქვსასი დოლარი და მოტყდნენ. სახლის პატრონმა გვითხრა, მე რაშუაში ვარ,.რა ვიცი ვინ იყვნენ ის კაცებიო, ერთი თვით იქირავეს ჩემი ბინა, გუშინ ქირა პატიოსნად გადამიხადეს და წავიდნენო.

მაკა — კიდევ კარგი ის ექვსასი დოლარი რომ არ მიაფშუკე.

გოგა – იმ საწყალმა ხალხმა რაღა თქვა?

ირმა – რა უნდა ეთქვათ, რა უნდა ექნათ, გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო, ზოგი ტიროდა, ზოგი იმუქრებოდა, ზოგიც იდგა გამშრალი და გამტკნარებული.

მაკა – კარგი იმ ოცდახუთ კაცს ჰქონდა სატირლად საქმე, შენ სამაგისოდ რა გაგიჭირდა.

ირმა – (ცრემლებს იმშრალებს და დაკარგული ხმით ამბობს) ჩემი ბიჭია ძალიან ცუდად.

მაკა – ლასიკო?

ირმა — ჰო, ლაშიკო. სისხლის გათეთრება აქვსო. მე იმის საშუალება ვინ მომცა საზღვარგარეთ წავიყვანო სამკურნალოდ, სახლიც რომ გავყიდო, ან რაღაც ორი სამი ბეჭედი შემრჩენია, მაინც არ მეყოფა გზის ფულად. ექიმმა მირჩია, მოსკოვშიაც აქვთ ამბოლო ხანებში კარგი შედეგები, იქ წაიყვანეო. იქნებ იქ მაინც ეშველათ ამ დაწყევლილი ავადმყოფობისთვის. მინდოდა იქ მაინც ჩამეყვანა. ახლა რა ვქნა, ახლა რა მეშველება?

გოგა — კარგი, ნუ ტირიხარ ირმა, რამეს მოვიფიქრებთ, ჩემს ძმაკაცებსაც ჩამოვუვლი, თითო-თითო კაპიკს ისინიც წაგვაშველებენ, რაღაცა მოგროვდება, მართლა ხომ არ გაქვავებულა ყველა.

მაკა – ხო, ირმა, ხო, მეც იქნებ რამე მოვახერხო.

ირმა – წავალ, ვნახავ, შუბა ჩავაბარე საკომისიოში, იქნებ ის მაინც გაიყიდა. **(ირმა ოთახიდან გადის)**

მაკა – ღმერთო, იქნებ მართლა გამიმართლოს და ოთხიათასი დოლარი ავითო, ღმერთო.

გოგა – მე წავედი, მაკა.

მაკა – სად მიდიხარ.

გოგა – ჯემოსთან გავალ, წავიღებ ამ სურათს, შვიდასი დოლარიც ფულია, იქნებ ცოტა შეეშველოს.

მაკა – (მარტო რჩება ოთახში, მაგიდიდან ნიღბებს იღებს, ჯერ გაღიმებულ იღაბს მოირგებს სახზე, მერე ატირებულს.)

ტყუილისგან კითხვისნიშანივით მოხრილი და გაწამებული ადამიანები ვერც კი ამჩნევდნენ მათ გვერდით მდგარ ფრთებშელახულ ანგელოზს.

— ჩალით მიანც გადახურონ ეს ქვეყანა! — იყვირა ერთმა.

— მერე სადაა ამდენი ჩალა? – სიმწრით გაიცინა მესამემ.

— ის ჩალა უკვე გამოგვავლეს პირში! ესაა სიცოცხლე? — კითხულობდა მესამე.

— გადმოგვხედე უფალო, გადმოგვხედე! — ჩურჩულებდა მოხუცი ქალი.

ცაში გაქცევა მოუნდა ანგელოზს, უმწეოდ დაიქნია ხალხის ცრემლისაგან დასველებული ფრთები, თვალები ცისკენ აღაპყრო და გალობა დაიწყო:

უფალო, მათთვის მაინც იუფლე,
ვინც ისევ გნატრობს, ვინც ისევ გელის,
თორემ საკინძეს მიხსნის ეშმაკი,
თორემ კისერზე მეხვევა გველი.
თორემ ეს ფრთები, შენ რომ მიბოძე,
მხოლოდ ბარგია, სხვა რაფერი,
თუ კაცი დარდით ჭაღარავდება,
მე გამიშავდა ბოღმისგან ფრთები.
დაწყევლილია სხეული ვნებით,
დაკარგულია ყველა გზაწვრილი,
მე დამეღალა თეთრი ხელები
სააღსარებოდ ცისკენ გაწვდილი.
გაგვწირა ძმამა და გაგვწირა ბედმა
და თუ შენგანაც გავინირებით,
დადგება ღამე მარადიული,
მიწას ცრემლებად ჩავეწვიმებით,
გამოქცეულნი დედის საშოდან
კვლავ მიწადედას დავუბრუნდებით,
თუ არ გაგვიხსენ ზეცის კარიბჭე,
თუ არ შეგვიხსენ ეჭვის ხუნდები.

თვალისმომჭრელმა სინათლემ გადაანათა ცა. დარდისგან მოხრილი ადამიანები მხოლოდ მიწას ხედავდნენ.

— ცა გაიხსნა, ყველა ნატვრა აგიხდებათ! — იყვირა ანგელოზმა.

ხალხი მხოლოდ მიწას ხედავდა.

— ინატრეთ, ინატრეთ, ნუთუ ნატვრის ხალისიც აღარა გაქვთ. ანგელოზმა ფრთა ისე დაიქნია, კაცი რომ ხელს ჩაიქნევს ცხოვრებაზე, მერე მიწას მოცილდა, ცისკენ წავიდა და უცებ პატარა ბიჭმა აღტაცებით წამოიძახა.

— დედა, დედა, ანგელოზი, ხედავ, ანგელოზი მიფრინავს ცისკენ.

ადამიანებმა ცას ახედეს და პირჯვარი გადაისახეს.

ველიმირ ხლებნიკოვი

ველიმირ ხლებნიკოვი საკუთარი ბედის განუმეორებლობამ და უცნაურობამ აქცია XX საუკუნის რუსული პოეზიის ისტორიის ლეგენდად. ხლებნიკოვი უპირველესად რეფორმატორია. მაძიებელი ახალი გზებისა ლირიკაში, ეპოსში, პროზაში და დრამატურგიაში მისი ლიტერატურული ტალანტის მრავალმხროვობა არ თავსდება არც ერთ მანამდე არსებულ თეორიაში, არ იზღუდება ფუტურიზმის ჩარჩოებით. მისი შემოქმედების წყურვილი განუყოფელია მისი თეორიული და იდეური ძიებისაგან. ხლებნიკოვმა განსაკუთრებული როლი შეასრულა XX საუკუნის რუსულ პოეზიის ახალი მოდელის ჩამოყალიბებაში. ხლებნიკოვის ცხოვრების შემოქმედებითი გზა მიზანსწრაფული და მოკლეა (1885-1922) მთავარი ღირსება ამ თავგანწირული მოღვაწისა — პოეტის, პროზაიკოსის, დრამატურგის, ენის თეორეტიკოსისა იყო შეუდარებელი, პარადოქსალური ორიგინალურობა. ნეტარებას განიცდიდა სამყაროს შემოქმედებითი შეცნობისას.

შეხვედრების ირონია

შენ უკარებამ გაიცინე,
იმ მოკრძალებულ, დამატყვევებელ
სიტყვებზე
და წახვედი, არც მოიხედე ისე,
სინანულიან ფიქრით აღსავსე.
დიახ, კადნიერებაა დედოფალს სთხოვდე
დაგთანხმდეს თუნდაც,
ამაყ ბაგეთა — მბრწყინავ სიცილით.
ახლა მე შეგხვდი, და ბედს უნდა
გიმუხთლოს: შენ ძველი გვამი ამოიცანი.

1912

შელოცვა სიცილით

ო, იცინეთ, ცინიკოსნო!
ო, გაიცინეთ, ცინიკოსნო!
სიცილებით რომ იცინიან და სულ ეცინებათ
სასაცილოდ.
ო, გაიცინეთ ჯერ — გაუცინრად!
ო, მეტად სასაცილო დასაცინთა სიცილი —
გაუცინარ ცინიკოსებს!
ო, მთლად ამოიცინეთ — უსასაცილოესად
სიცილი დამცინავ — მცინავთა!
სიცილეთი, სიცილეთი.
უცინე, შეიცინე, ჩაცინება, ჩაცინება.
ცინიკები, ცინიკები.
ო, იცინეთ, ცინიკოსნო!
ო, გაიცინეთ, ცინიკოსნო!

1908-1909

***

ცეცხლ — მახვილთ გამოვკვეთე ქვეყანა,
მკრთალი — ღიმილი ტუჩებს მივაკარი,
და რხეულ — ხვატით ველი ვაღაღანე,
და წარსულს ავადინე ტკბილი კვამლი.

1908

***

ოდეს მე სალამური — ავასალამურე
ქვეყანაც ვისურვე — როგორც მოვისურვე,
ჩემი გამგონე ვარსკვლავები მეხვეოდნენ
მოციაგე ცურვით.
და მე სალამური — ავასალამურე და სამყაროს
ბედისწერა შევასრულე.

1908

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ტომრიდან
იატაკზე ნივთები დაცვივდა
და ვიწყებ ამის გამო ფიქრს —
სამყარო —
ესაა დაცინვა მხოლოდ —
ჩამომხრჩვალის ღიმილში რომ გამოკრთის.

1908

***

ვგოდებდი მიყვარდა და ვთვლიდი ჩემად
მას, ვისი უმანკოებაც ზღაპრად იქცა,
მას, ვინც ჩემით ყვაოდა და სულიც ჩემით ედგა
და ბედნიერებას მიგვცა (...)
მაგრამ იკივლა ვირთხების მჟლეტელმა
ილბლის — „ვირთხამ“
და დაედევნა გახელებული ყეფით „ვირთხას“,
მოიმწყვდია თათებში — უილბლო კიდეც და...
ირწევიან სანთლები კუბოსთან.

1908

***

როცა კვდებიან ცხენები — ხვნეშიან.
როცა კვდებიან ბალახები — ხმებიან.
როცა კვდებიან მზეები — ქრებიან.
როცა კვდებიან ადამიანები — მღერიან.

1912

***

სპილოები ერკინებოდნენ ეშვებით ისე,
რომ ჩანდნენ თეთრი ქვის მსგავსნი,
ხელში მხატვრისა.
ირმები გადაიხლართნენ რქებით ისე,
რომ ჩანდნენ ძველი ქორწინებით
შეუღლებულთა მსგავსნი —
გატაცებებით და ღალატით ერთმანეთისა
მდინარეები შეედინებოდნენ ზღვაში ისე,
თითქოს ერთის ხელი დასახრჩობად
წასწვდენოდა მეორეს კისრეს.

1910-1911

***

ცოტა რამ მინდა
პურის, ყუა,
წვეთი რძე — კიდევ
ეს ცა — წმინდა
და ღრუბელი ცივა.

1912-1922

***

ზეცა დახუთულია და აფრქვევს სურნელს
მტრედისფერს და
ჯიქნების.
ო, შემიყვარეთ, შემიბრალეთ — რა იქნება!
უკვე ვიცლები ჩემგანვე და თქვენგანაც
მრჩება არაფერი.
უკვე ჯვარცმული ვარ სტეპით და ტირიფებით.

1912

თარგმნა ირმა მებურიშვილმა



რამაზ შენგელია

გამოვიდა რამაზ შენგელიას საინტერესო საისტორიო ესსე **„ქვაკუთხედი ანუ ქართლის ცხოვრების მისტერიები“**. ავტორი ცდილობს საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპები მსოფლიოში მიმდინარე თანადროული პროცესების ფონზე საკუთარი, ორიგინალური თვალთახედვით დაინახოს. ჩვენის აზრით ეს წიგნი ქართული სულიერების მნიშვნელოვანი შენაძენია.

(გთავაზობთ ნაწყვეტს წიგნიდან)

სახიერი საფლავის გამოსვნა

1025 წელს უფლისწული ბაგრატი კონსტანტინოპოლის სამწლიანი მძევლობიდან დაბრუნდა. ასე იყო ბასილი II შეპირებული და აღასრულა სიტყვა, მაგრამ სანამ ბაგრატი საქართველოს მოუახლოვდებოდა, ეს სასტიკი და თავკერძა იმპერატორიც აღესრულა. კონსტანტინემ, ძმამ მისმა, ბაგრატის უკან დაბრუნება მოინდომა და კარგა მოზრდილი რაზმიც გაგზავნა, მაგრამ ბაგრატს უკვე საქართველომდე მოეღწია. აქ მას დიდებულები ელოდებოდნენ და ბერძნებმა ვეღარაფერი გაბედეს. ბაგრატი ქუთაისს მიჰგვარეს გახარებულ მშობლებს. „გიორგი აფხაზთა მეფემ„ მიირქვა პირმშო მისი და დადინჯებულმა განაგრძო დაწყებული საქმენი.

პირველი ის იყო, რომ მელქისედეკ კათალიკოსი გაამგზავრა კონსტანტინოპოლს და ახალ იმპერატორს აახლა. ალბათ, იმედი ჰქონდათ, რომ ბასილზე მეტი მშვიდობისმოყვარე იქნებოდა კონსტანტინე. ჯვარ-ხატი, სამღვდელმთავრო და სამღვდელო სამკაული, ეკლესიათა შესამკობელი სთხოვა მელქისედკმა. ესეც გააზრებულ ნაბიჯი იყო: ერთმორწმუნეობასაც ახსენებდა, „უფროსობასაც“ უთმობდა და სამეგობრო ხელსაც უწვდიდა იმავდროულად. სხვა არაფერი უნდოდათ ქართველებს: ზურგიდან არ დაეცათ ხანჯალი ძველ მოკავშირეებსა და ნათესავებს.

დაბრუნებულმა მელქისედეკმა ოცამდე სოფელი იყიდა ტაო-კლარჯეთს, კოლა –არტაანს, ჯავახეთსა და შავშეთს. ამ უკანასკნელში სოფელს დიდი სხლობანი ერქვა, „აგარას“ მისსას-ნაღვარევი. ყველა ესენი სვეტიცხოველს შესწირა. საქართველოს უპირველესი ტაძარი უზრუნველყოფილი იყო. აღარ უნდა გასჭირვებოდა.

უდიდესი ეროვნული საქმე გასრულებული ჩანდა, ანუ ანი უნდა დაწყებულიყო, რომ... „ქართლის ცხოვრება“ მოულოდნელ და დამაფიქრებელ ცნობას გვაწვდის: „შემდგომად ორისა წლისა გარდაიცვალა გიორგი მეფე, სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვანებითა, ჭაბუკობითა და სიქველითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე განგებითა სახელმწიფოთა, ქრონიკონსა ორას ორმოცდაშვიდსა, თუესა აგვისტოსა თექუსმეტსა, ქვეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ენოდების მყინვარი გინა იწრონი. და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკვიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა, იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა, და სიჭაბუკისა, და ახოვანებასა მისისათვის. ნარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა“.

ოთხი შვილი დარჩა გიორგის: ბაგრატ, საქართველოს მომავალი სახელგანთქმული და ქველი მეფე – ბაგრატ IV, დემეტრე, ოსი ქალის, ალდესგან ნაშობი და ოსი ბაგრატიონების შტოის ფუძემდებელი. სხვათაშორის, „ცხოვრება“ არაფერს ამბობს ამ ალდეზე, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეზე. როგორც ჩანს, ამ საოცარ და მართალ მატიანეს თავისი ინტერესების სფერო აქვს, რომელსაც მიჰყვებოდა და ემსახურებოდა (ბიბლიური მოდელით და იდეოლოგიით) სიმართლის დაურღვევლად, თვინიერ უნებლიე შეცდომებისა. ქალი ორი დარჩა გიორგის: გურანდუხტ და კატაი.

1027 წელს გარდაცვლილი გიორგი 25 წლისა იყო. მემატიანის აღწერა ამ ახალგაზრდა კაცისა თითქმის ზღვარგადასულია. მისი სამხედრო წარმატებები თვალსაჩინო არ იყო. მაშ რისთვის აქებენ მას ასე ძლიერ, ასე სრულყოფილად რისთვის ხატავენ?

აქ მხოლოდ მისი სულიერება და ქრისტიანობის წინაშე დამსახურება უნდა იყოს მიზეზი. სხვა — არაფერი. „ქართლის ცხოვრება“, ბიბლიური მოდელიდან გამომდინარე, მხოლოდ ამ

შემთხვევაში იქნებოდა ასე გულუხვი.

ეს დამსახურება კი, მხოლოდ სვეტიცხოვლის შენება შეიძლებოდა ყოფილიყო. სხვა არაფერი მომხდარა იმ პერიოდში და ვერც ეს ყმაწვილი კაცი მოასწრებდა რასმე.

რითი უნდა აღსრულებულიყო გიორგი მეფე? „ქართლის ცხოვრების" ტრადიციით, წესით, აღნიშნული უნდა იყოს, რომ „სენითა" ან „სალმობითა" ან „სასიკუდინე" რამითა მომხდარა ყოველივე. მკვლელობა გამორიცხულია: აუცილებლად დაწერდა მატიანე. გიორგის აღწერაში ხინჯი რამ გარეგნობისა, ან ჯანმრთელობისა არ ჩანს. პირიქით, ღვთივმოვლენილი ანგელოზია, უძლიერესი მხედარი და ახოვანი. ჩემი სამედიცინო ცოდნიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, უფრო მეტი ეჭვია მის სიკვდილში, ვიდრე რისკი იმ მოსაზრების გამოთქმაში, რომ გიორგი მეფე არ მომკვდარა. მე მესმის მკითხველის (პროფესიონალის, თუ მოყვარულის) აღშფოთებისა, მსგავსი „მკრეხელობის" გამო, მაგრამ ვცადოთ და მოთმინებით გავყვეთ ჩემს მოსაზრებათა, ეგება ლოგიკურ გზაზე.

მე თითქმის მთლიანად შევისწავლე (ყოველ შემთხვევაში მე-15 საუკუნემდე მაინც) „ქართლის ცხოვრების„ ტექსტები და ერთი ფრიად საინტერესო კანონზომიერება დავინახე. აბსოლუტურ უმრავლესობაში (90%-ზე მეტ) ბიოლოგიური სიკვდილის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება სიტყვა „მოკუდა". განსაკუთრებით, ადრეულ ნუსხებში. სიტყვა „გარდაიცვალა/მიიცვალა" ადგილმონაცვლეობის, გადაადგილების მნიშვნელობით გამოიყენებოდა. მაგალითისთვის, მურვან-ყრუს შემოსევისას: ... „და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს, ეგრისად და მუნით კვალად მიიცვალნეს აფხაზეთად. შეუდგა კვალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი..."

მოგვიანებით „მოკუდას" ინტენსიურად ენაცვლება „გარდაიცვალა" და საბოლოოდ ეს მკვიდრდება სხვა სინონიმებთან (აღესრულა, განისვენა და ა.შ.) ერთად. ასე, რომ დახელოვნებულ, მითოსურად მეტყველ მემატიანეს, შეეძლო, ერთი სიტყვის ქვეშ დაემალა ორი მნიშვნელობა: ჭეშმარიტად ბიოლოგიური სიკვდილისა და წასვლისა, გაუჩინარებისა, სახეცვლილებისა. შეიძლება მემატიანე აქ არაფერ შუაში იყოს და დაწერა ის, რაც იცოდა, თუმცა, ალბათ მასაც ბევრი კითხვა გაუჩნდებოდა. ამიტომაცაა ასე საკვირველად გვერდი-გვერდ მოტანილი ამბავი გიორგის ახოვანება-ჯანმრთელობისა და მოულოდნელი სიკვდილისა. მაგრამ რაში სჭირდებოდა ყველაფერი ეს გიორგი I-ს?

შევეცადოთ ვუპასუხოთ ამ კითხვას. მე მგონი, დამაჯერებელია ის თეზა, რომ გიორგი I ცხოვრების უმთავრესი მომენტი და ალბათ ცხოვრების აზრიც 25 წლამდე სვეტიცხოველი იყო. მან ტაძარი ამ დროისთვის პრაქტიკულად დაასრულა. მელქისედეკ კათალიკოსმა უამრავი სოფელი და განძეული შესძინა სვეტიცხოველს. ბიზანტიიდან ბაგრატ უფლისწული დაბრუნდა. მელქისედეკი მასაც ისევე აღზრდიდა – უზადოდ, მაღალი სულიერებით, მამულის სიყვარულით.

ქვეყანა მეტ-ნაკლებად მშვიდად ცხოვრობდა. ბასილი II-ის შემდგომ, ბიზანტიის ტახტზე შედარებით უპრეტენზიო კონსტანტინე იჯდა. სხვა რამ საფრთხე, ჯერ-ჯერობით, რეალურად არ ჩანდა.

არადა, გასაკეთებელი იყო უდიდესი მნიშვნელობის საქმე: პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად, ქართველების კუთვნილ გონმიუწვდომელ სიწმინდეზე მოკრძალებული ტაძარი იდგა, რომელიც ბედიის, ქუთათისისა და სვეტიცხოვლის ჯუფთი ქმნილებით უნდა შეცვლილიყო. სვეტიცხოველი და ჯვრის მონასტერი, რომელნიც ღრმა საკრალური ფესვებით იყვნენ გადაჯდობილნი, უნდა გაერთმთლიანებულიყვნენ, პირდაპირი კავშირი უნდა აღმდგარიყო. ამისათვის კი სვეტიცხოვლის დარი ტაძრის მშენებლობა იყო საჭირო.

ამას გიორგი ბაგრატიონის გარდა ვერავინ შეძლებდა.

მეფის რანგში პალესტინაში წასვლა არ ეგებოდა. მაშინ სხვანაირად უნდა მოქცეულიყო გიორგი. მშენებლობას ვერ მოჰკიდებდა ხელს: ვერც გონიოს დაიჭერდა ხელში და ვერც საჭრეთელს. მეფურად უნდა გარჯილიყო, საფუძველი ჩაეყარა, ოსტატები და მუშები უნდა დაეყენებინა, საფასე დაეტოვებინა და წამოსულიყო. ასე, ჯვრის მონასტერი, მას და მელქისედეკ კათალიკოსს რომ სურდა, ვერ აშენდებოდა. ის მადლი არ იქნებოდა, გიორგის რომ შეეძლო, თავისი გონითა და მარჯვენით გაეღო. გარდა ამისა, მეფური მოგზაურობა ხარჯებთან და ხიფათთან იყო დაკავშირებული. მავანი თავქარიანობად ჩაუთვლიდა და ქვეყნის აოხრების სურვილი გაუჩნდებოდა.

სხვა გზა არ რჩებოდა.

გიორგი ამქვეყნიური ცხოვრებიდან უნდა წასულიყო.

ძნელი წარმოსადგენი არ არის: თრიალეთს, მივარდნილ ადგილას ნაშენებ საყდარში, როგორ აიყრის სამეფო ინსიგნიებს პირმშვენიერი, ახოვანი, ოცდახუთი წლის ვაჟკაცი. გაფითრებულ-ჩაფიქრებული და შინაგანად მოზეიმე. ბერად ის მოგვიანებით აღიკვეცება.

ქუთაისს კი ყველასათვის სამწუხარო ამბავი მოვა.

დამარხავენ ბაგრატ III-ის ნაშენ ტაძარში. სხათაშორის, ქართულად „დამარხვა" – შენახვას, საიდუმლოს დაცვას ნიშნავს (აქედან – „მარხვა") და გიორგის „ქუთაისსს დამარხვა„ შეიძლება მის ბერად ქუთაისში აღკვეცასაც გულისხმობდეს, ანდა საიდუმლოს ამ ტაძარში ფიცით დათქმას.

აქვე მცხეთური ლეგენდა მახსენდება:

„ხეკორძულას წყალი მისვამს
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია..."

ასე გასინჯეთ, ეს ხალხური ლექსი იგივეს ჰყვება, ოღონდ ანგარიშმიუცემლად და გულუბრყვილოდ. „ხეკორძულას წყლის სმა" ინიციაციაა, ხელდასხმაა, მაღალ სულიერებასთან წილნაყარობაა, ხე-კორძულა ისევ ხის სახესთან დაბრუნებაა. „დამიჭირეს" – დაჭირვება, გარკვეულ კანონიკასა და მორჩილებაში ყოფნას და აქედან გამომდინარე, შესაძლოა ალეგორიულად ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად აღკვეცასაც ნიშნავდეს, ხოლო „მკლავის მოჭრა“ ხელისუფლებას ჩამოშორებაა, – სხვა არაფერი.

ბაგრატის ტაძარში კი 1025 წელს ცარიელი საფლავი გაიჭრება, რომელსაც 2006 წელს აღმოაჩენენ არქეოლოგები და დარწმუნებულები, რომ ეს ლეგენდარული გიორგი I საფლავია, მთელ საქართველოსთან ერთად გაწბილებულები დარჩებიან. საფლავი მართლაც ცარიელი იყო და მისმა სურათებმა ტელეეკრანები და გაზეთების ფურცლები მოიარა.

ასე, რომ ჩვენს წინ დილემაა. ან 1025 წლის 16 აგვისტოს გიორგი I ბაგრატიონის გარდაცვალება ვინამოთ, ან კიდევ ჩემს ახირებას ავყვეთ და პრაქტიკულად დეტექტიური ჟანრის ვერსია მოვისმინოთ. პირველი ადვილია და შეგვიძლია, თავი აღარ შევიწუხოთ წერითა და კითხვით. მეორე ვერსიაში კი ჯერ თავი უნდა დაირწმუნო და მერე სხვა დაარწმუნო. ამის გაკეთება, ალბათ, საჭიროა. ასეთი აზრი რადგან გაჩნდა, შევეცადოთ, კიდეც დავიცვათ ის. ჩემი აზრით, ისტორიული მეცნიერება ზოგადად იმდენი სტერეოტიპითა და ცრუ დოგმებითაა სავსე, რომ დიდი ხანია ის უფრო თავისუფალ და ღია მოპყრობას იმსახურებს. კატეგორიულობაა, ოღონდ, სიმართლის მტერი.

იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტერი

სულიერების, გონიერებისა და დაუსრულებელი ბრძოლის ამ საყდრის ამშენებლად ყველა დროის მკვლევარი ერთხმად გიორგი-პროხორეს ასახელებს. პირველი, რაც თვალში გვხვდება, ორმაგი სახელია, ქართული ტრადიციისთვის არცთუ ხშირი: იოანე-ზოსიმე, სულხან-საბა, იოანე-თორნიკე ... მეტი არც მახსენდება. ჩემი აზრით, ეს უმეტესად მაშინ ხდებოდა, როცა მავანი სახელოვანი საერო ცხოვრების მერე იწყებდა სულიერ მოღვაწეობას: ბერად აღიკვეცებოდა და მეორე სახელსაც შეიძენდა. თუ პროხორე, საერო ცხოვრებას გარიდებული გიორგი I ბაგრატიონი იყო, მაშინ რაღად დაიტოვებდა ადრინდელ სახელს? საქმე იმაშია, რომ „პროხორეს ცხოვრების“ მიხედვით: „...იყო ღმერთშემოსილი ეს მამაჲ ჩვენი პროხორი ნათესავით ქართველი ქუეყნით შავშეთით და ვიდრე ყრმაღა იყო წარვიდა იგი მონასტერსა კლარჯეთისასა, რომელსა ჰქვიან წყაროსთავი... და ვითარცა განმწესნრე აკურთხეს დიაკონად... დაემოწაფა მოძღუარსა სულიერსა, რომელსა ეწოდა არსენი, და მის მიერ შეიმოსა სახე მონაზონებისაჲ და მერე აკურთხეს ხუცად“.

შეიძლება, ასე წარმოვიდგინოთ, რომ გიორგი, სამეფო ინსიგნიებაყრილი, თრიალეთიდან თავის სამემკვიდრო მამულში, შავშეთ-კლარჯეთში გადადის, გაივლის სასულიერო სწავლების სერიოზულ სკოლას, რასაც გარკვეული წლები დასჭირდებოდა და ოცდაათს გადაცილებული უნდა გამოჩენილიყო პალესტინაში. ეს მართლაც ასე ჩანს ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიიდან, სადაც ძირითად ეყრდნობიან „გიორგი ათონელის ცხოვრებას“, ჯვრის მონასტრის ანდერძ-მინაწერებს, სინას მთის სულთა მატიანეს, „პროხორეს ცხოვრებას“ და ა.შ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს საკმაოდ თვითნებურად უწოდებენ „ცხოვრებას“. არადა, ხელნაწერს სათაურად აქვს: „მიცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა პროხორისი“. მე აქ ისევ ჩაქარაგმაგებულ აზრს დავინახავ მკითხველის ნებართვით. როგორც უკვე ითქვა, „მიცვალება“ ძველ ქართულად ადგილის მოცვლას, გადაადგილებას ნიშნავს, ხოლო სიკვდილს ის განსაკუთრებულ კონტექსტში აღნიშნავდა. „ცხოვრება“ ამ ერთგვერდიან სვინაქსარს მკვლევარებმა აბსოლუტურად სწორად (თუმცა ვიმეორებ, თვითნებურად) უწოდეს. აქ მოკლედ ყველაფერზეა მოთხრობილი, დაბადებისა და ეკლესიაში მისვლამდე პერიოდების გარდა. ხომ არ ნიშნავს სვინაქსარის სათაურში სიტყვა „მიცვალების“ ხსენება ჩემეული ვერსიის გამართლებას? ეს ჩვეული „ცხოვრება“ არ იყო. ეს იყო „მიცვალება“ მეფისა ბერად. „ხოლო როდესაც ნეტარმა გიორგი-პროხორემ დატოვა მატერიალური სამყარო, როდესაც ბიოლოგიური სიკვდილი დგება, სვინაქსარი წერს: „ცხორებისა ამისაგან განვიდა და უფლისა მიმართ მიიცვალა ფებერვალისა იბ, დღესა კვირიაკესა“ ე.ი. გიორგი-პროხორე უფალთან მიიცვალა, უფალან მივიდა. ეს ნიშნავს სწორედ დატოვებას ამა ქვეყნისა და არა იმას, რაც რამდენიმე ათეული წლის წინ მოხდა თრიალეთში. იქ, ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, 25 წლის სახელგანთქმული მხედარი და „უშიშარი ვითარცა უხორცო„ ასე საეჭვოდ ვერ მოკვდებოდა. ის მიიცვალა, ანუ წავიდა თავის მამულში და იცვალა ნირი და წესი ცხოვრებისა, რათა ეკეთებინა ის, რაც ყველაზე კარგად იცოდა: ეშენებინა მონასტრები და ემრავლებინა სულიერი სიმდიდრე. სამეფოს უმისოდაც მიხედავდნენ: ბაგრატიონთა ოჯახში შემცვლელის მოძებნა არ გაჭირდებოდა. თუ გაჭირდებოდა და უკანვე გამოხმობასაც არაფერი დაუდგებოდა წინ. ეს არავის უნდა სცოდნოდა. რამდენიმე წელიწადში, კლარჯეთს გადასული და ბერულ კუნკულში გამოწყობილი კაცი ვეღარავის უნდა ეცნო. ანუ, იმას, ვისაც უნდა ეცნო, მას ვეღარ შეხვდებოდა. ვისაც ამ შეხვედრის შანსი ჰქონდა, მან საიდუმლოს შენახვაც იცოდა და ყველაფერი ეს სახელმწიფოებრივის რანგში იყო აყვანილი.

მამ ასე, გიორგი-პროხორე XI საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა პალესტინაში, გარკვეული ხანი საბაწმინდის ლავრაშიც დაჰყო და შემდგომ ჯვრის მონასტრის მშენებლობას მიჰყო ხელი. რა დახვდა გიორგი-პროხორეს იერუსალიმის მახლობლად და როგორ დაინახეს თვითონ აღმშენებელი დამხვდურებმა?

პირველი კითხვა ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩემთვის პირადად ფრიად პატივსაცემი მეცნიერი, პროფესორი ლევან მენაბდე ცალსახა და კატეგორიულ პასუხს იძლევა, რაც იმავე კატეგორიულობითაა მიუღებელი. მას სურს დაამტკიცოს, რომ იერუსალიმის დასავლეთით, იქ სადაც იესო ქრისტეს ჯვარცმისთვის ხე იქნა მოჭრილი, პროხორემდე არაფერი აშენებულა, არცა მდგარა და ყველაფერ ამასთან არც ქართვე-

ლებსა და არც სხვებს არავითარი კავშირი აქვთ. ამისთვის კი მკვლევარს ბევრი რამის უარყოფა დასჭირდა. იგი წერს: „ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის კედელზე გამოსახული ყოფილა სამი ქართველი მეფე – მირიანი, ვახტანგი, ბაგრატი, მაგრამ ამ მხატვრობიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა კავშირში არიან ეს მეფეები ჯვართან, რატომ მოათავსეს მათი პორტერტული გამოსახულებანი ამ ნაგებობის საპატიო ადგილას. მხატვრობის მიხედვით დაბეჯითებით ვერც იმას ვიტყვით, ამ მეფეებს რა ღვაწლი მიუძღვით ჯვრის მონასტრის დაფუძნებაში, თუ ისინი გამოსახული არიან ვითარცა თავისთავად გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი“.

ჩემი აზრით, სამწუხარო მსჯელობაა. ტაძრის კედელზე თვინიერ წმინდანთა, გამოსახავდნენ ხოლმე მხოლოდ ქტიტორების ან უიშვიათეს შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი დამსახურების, მაგრამ მაინც კონკრეტულ ტაძართან დაკავშირებულ პირებს. ეს ტრადიცია კი არა, კანონი იყო, რომელიც პრაქტიკულად არ ირღვეოდა.

ლ. მენაბდის ეჭვის, რომელიც შემდგომ მის ხელში ორიოდე გვერდის მერე თეზად იქცევა, გასამართლებლად დასჭირდება უარი თქვას „ქართლის ცხოვრების“ სანდოობაზე საერთოდ, ზეპირ გადმოცემებზე და ტრადიციულ შეხედულებებზე, მოგზაურთა ჩანაწერებზე და ა. შ.

მკვლევარი ყველაფერ ამას ნაყალბევად მიიჩნევს.

ძნელი გასაგები კია, რატომ.

ასე ხვდებიან „შერისხულ“ ავტორთა სიაში ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ქართველთაგან აღწერა ჯვრის მონასტერი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო ჩუბინაშვილი, თედო ჟორდანია, შალვა ნუცუბიძე, სარგის კაკაბაძე და სხვანი. მათ გაიზიარეს ის მოსაზრება, რომ ისევე, როგორც სვეტიცხოვლის შემთხვევაში, აქაც (პალესტინაში) შესაძლებელი იყო იგივე თანმიმდევრობებით განვითარებული აღმშენებლობა: ჯერ მირიანი, შემდგომ ვახტანგ გორგასალი, და ბოლოს – ბაგრატი. ამის საფუძველს ზემომოყვანილი ავტორებისთვის იძლეოდა ტ. გაბაშვილის მიერ აღწერილი სამფიგურიანი ფრესკა (მირიანი-ვახტანგი-ბაგრატი), არსებული ურყევი ტრადიცია და ის გადმოცემაც კი, რომლის მიხედვითაც გოლგოთის ირგვლივ მოსახლე ხალხი, თითქოსდა, ვახტანგ გორგასალს ჩამოეყვანოს და ქრისტეს საფლავის მცველად დაეყენებინოს. მირიანის მიერ ჯვრის მონასტრის ასაშენებელი ადგილის „მოგებაზე“ „ქართლის ცხოვრება“ არაფერს წერს. ეს გასაგებია, რადგან ხის კვეთისა და მისგან ჯვრის (ან ძელი ცხოვლის) შექმნის მისტერია ორჯერ ერთ ლიტერატურულ ქმნილებაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოთხრობილი. ასე არ ივარგებდა. ეს ყველანაირ კანონსა და გემოვნებას აუქცევდა გვერდს. ეს ორი, ტყუპი მისტერია ერთმანეთს ავსებს, აძლიერებს და ეს დუბლირება ხდის სწორედ მას უეჭველს. რაოდენ გასაკვირია, რომ ზოგიერთი მკვლევარი აქ ეძებს სისუსტეს და სიუჟეტის ურთიერთნასესხობაზე ლაპარაკობს.

არადა, ფაქტია: ორივე ეკლესია, ღვთის მადლით, ადგილზეა და ორივე ამბავი ცხოველმყოფელი ხის შესახებ კიდევ მეტი ძალით ცოცხლობს ყველა ქრისტიანის გულსა და გონებაში. სრულიად წარმოუდგენელია, რომ მეოთხე საუკუნეში იმ ხის კვეთის ადგილი, რომლიდანაც მაცხოვრის ჯვარი დამზადდა, უყურადღებოდ ყოფილიყო დარჩენილი. აქ, თუ ჩვენი არაფერი გვჯერა, უცხოურის მაინც უნდა დავიჯეროთ და მათ მატიანეებს გადავხედოთ. არც ბერძნულში, არც სომხურში, არც კოპტურსა, თუ სირიულში არაფერია ნათქვამი ამ ადგილას მათი სალოცავის არსებობის შესახებ.

ნუთუ, ასე ადვილად შეელეოდა მას რომელიმე ქრისტიანული თემი? ჯვრის მონასტრის ქართულობას არავინ უარყოფს და ეს, ვფიქრობ ყველაზე ძლიერი არგუმენტია. ეს „ქართულობა“ თუ მეოთხე საუკუნიდანვე არ მოდის, ძნელი დასამტკიცებელი იქნებოდა.

პირიქით, ეკლესიის მიტაცებასაც დაგვწამებდნენ. განსაკუთრებულ გაღიზიანებას ზოგიერთი მკვლევარებში „ქართლის ცხოვრების“ და საერთოდ, ტრადიციად არსებული ის სიუჟეტი იწვევს, სადაც ვახტანგ გორგასლის მიერ იერუსალიმის პრაქტიკულად აღება, მოლოცვა და იქ სავარაუდოდ გარკვეულ პრაქტიკულ საქმიანობაზეა მოთხრობილი. ეს უარყოფითი დამოკიდებულება სათავეს იღებს ივანე ჯავახიშვილის მიერ ადრეულ ეტაპზე გამოთქმული სკეპსისიდან ჯუანშერის ისტორიული ოპუსისადმი. დიდი მეცნიერისთვის ამ ნაწარმოებში დაძებნილი ზოგიერთი ქრონოლოგიური და ფაქტობრივი შეცდომა, რაც არავინ იცის რა წარმოშობისაა და ავტორის ზეაწეული პათოსი, გახდა მიზეზი იმისა, რომ ეთქვა: „ისეთი კილოთი არის გამსჭვალული და იმგვარი დაუჯერებელი ცნობებით არის აღსავსე, რომ ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას“ და „ვახტანგის დროის ისტორიისათვის, ზოგიერთი მცირეოდენი ცნობის გარდა, თითქმის გამოუსადეგარია და საყურადღებოა მხოლოდ როგორც დამამტკიცებელი იმისა, თუ რა ცნობები და წარმოდგენა ჰქონდათ XI საუკუნეში განათლებულ ქართველ წრეებს ვახტანგ გორგასლის პიროვნებასა და მეფობაზე“.

ივანე ჯავახიშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი პირველი გზის გამკვალავი გახლდათ და კარგად უნდა გავიაზროთ მისი შესაძლო შეცდომები და არასწორი შეფასებები. ამის შესახებ ის თვითონვე წერდა მოგვიანებით და ახლა ამის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ ერთს დავამატებდი: ჯუანშერს, თუნდაც რომ მიუტევებელი შეცდომები ჰქონოდა ქრონოლოგიურობის თვალსაზრისით და ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მხოლოდ XI საუკუნის განათლებული ქართველების განწყობას რომ გამოხატავდეს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. განა ცოტაა აღმავლობის გზაზე დამდგარი მართალი საქართველოს აზრი? შეიძლება ეჭვი შევიტანოთ წმინდა ტაძრებში დაწერილი ფოლიანტების სისწორეში?მათ ხომ წესიერი, განათლებული და ჩვენზე არანაკლებ (!) მოაზროვნე ადამიანები წერდნენ. ვის ვუჩლიქავთ ენას და ვის ვასწავლით ზღაპრისა და ნამდვილის გარჩევას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმეორებ, თუ რამ შეუსაბამობა და აღრევაა, დასადგენია ამის მიზეზი და წარმომავლობა და არა მთელი ნაწარმოების ნაყალბევად შერაცხვა. „ქართლის ცხოვრებისა" და საერთოდ ქართული წყაროების სწორად წაკითხვასა და სხვა უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს ეხება ოთარ ქვრივიშვილის წიგნი „სვეტიცხოვლის მისტერია" (თბილისი, 2000). სამწუხაროდ, წინამდებარე წიგნი უკვე აწყობილი იყო, როდესაც ეს საეტაპო წიგნი ჩამივარდა ხელთ. დაწვრილებით მას ვეღარ შევეხები და ამჯერად ეს მიზანი არც მაქვს. წინამდებარე ნაშრომსა და ო. ქვრივიშვილის წიგნს შორის იმდენივე საერთოა, რამდენიც განსხვავება, მაგრამ, ვფიქრობ, სულისკვეთება მაინც მონათესავეა.

დავუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს. ჯუანშერი წერს: „ვახტანგს ევედრნეს დედა და დაი მისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს. წარიტანნა და წარუდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო გზასა ადარბადაგანისასა; და მუნით, წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაი მისი იერუსალემს და ხუასრო ელოდა ანტიოქიას. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველი ადგილნი წმიდანი, და შევედრნეს წმიდასა აღდგომას, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას". ძალიან ძნელია ამ სიტყვების სისწორეში რაიმე ეჭვი შეიტანო და თანაც ამის არავითარი საფუძველი არ გქონდეს. მკვლევარისთვის კიდევ უფრო მიუღებელია ფრაზა ჯუანშერისა, რომელიც გვაცნობებს, რომ ვახტანგს „პირველად გამოუარნია იერუსალიმი, წმინდა ქალაქი და შემდგომად ყოველი საქრისტიანო დაუხსნია მოოხრებისაგან".

არ სჯერა. ეს დაუჯერებლობა ძლიერდება კიდევ ერთი შეცდომით, ჯუანშერის ცნობის არასწორი გაგებით, რომლითაც ხუასრო მეფეს იერუსალიმი ვახტანგისთვის კი არა, ბერძენთა მეფისთვის დაუმკვიდრებია, თურმე. ვნახოთ, რას წერს ჯუანშერი. მას შემდეგ, რაც ვახტანგმა ხუასროს ბერძენთა მეფესთან შერიგება და მშვიდობიანი მორიგება სთხოვა, სპარსთა მეფე ფრიად შეწუხდა, რადგან არ ენდობოდა ბერძნებს და არც მათთან მოყვრობას აპირებდა. ის ხათრს ვერ უტეხს ვახტანგ გორგასალს და მიდის ძალიან დიდ დათმობაზე, რასაც ვახტანგთან თავისი ნათესაობით ხსნის, ხოლო შემდგომ ამისა შუამდინარეთს ანაწილებს:

„შენ უწყი, რამეთუ ზღუასა მოღმართ ჩუენი არს საზღვარი, განყოფილი ნოესითგან, და აწ იგი მბრძავს ჩუენ ჯაზირსა და შამსა და მოოხრებულ არიან ქალაქნი, ხოლო შამი სამეფო ჩუენი არს. არამედ ჯაზირისა ნახევარი, განწესებული მამათა ჩუენთა, შენი არს ხვედრი, და მიუღებიეს იგი ბერძენთა და მე ესერა შევიდოდე უკმოღებად მისა. აწ რომელი ნაწილი მამათა შენთა არს, შენ განუყავ, შენ იცი და ბერძენთა. ხოლო სხუა ჯაზირისა მომცენ მე ბერძენთა, და რომელი ვითხოვე მე შენგან".

კომენტარი თითქოს საჭირო არ არის, მაგრამ მაინც მინდა, ვთქვა: ხუასრომ მთელი შუამდინარეთი (ჯაზირი) და მისი მიმდებარე ტერიტორია ვახტანგს მისცა გასაყოფად. ბერძნებს, რაც გინდა ის მიეციო. თვითონ სირია (შამი) დაიჩემა. ასე რომ პატივცემული მკვლევარის საბუთები, რბილად რომ ვთქვათ, არაზუსტია. ალ. თვარაძე საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს ჯუანშერის ქრონიკას, აღნიშნავს ნებსით თუ უნებლიე შეცდომებისაც, მაგრამ არსად შეაქვს ეჭვი ნაწარმოების ძირითად ქარგასა და აქცენტებზე. არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ არ ვენდოთ წმინდა ტაძარზე გამოხატულ ფრესკებს... ამ ფრესკებს მინაწერებიც ჰქონიათ. წაშლილი და ფრიად ნაკლული დახვედრია ეს წარწერები ალექსანდრე ცაგარელს: „ქ. მირიან... კონსტანტინე... მეფემ ეს ჯვარი... მოვიდეს... და დაიჭირა იერუსალიმი და ააშენა ეს ჯვარი". თედო ჟორდანიამ ასე გაიგო ეს წარწერა: „ქ. მირიან [მეფეს წმიდამან] კონსტანტინე[დიდმა იმპერატორმა უბოძა] ეს ჯვარი. [შემდეგ] მოვიდეს[სპარსნი და დაიპყრეს იერუსალიმი. მაშინ მეფე ქართველთა მხედრობით წარმოემართა] და დაიჭირა იერუსალიმი და აღაშენა ესე ჯვარი".

ცაგარლის ჩაწერილი მეორე წარწერა ასე გამოიყურებოდა: „ესე წმინდა და ყოვლად პატიოსანი მონასტერი... მადლითა და შეწევნითა... სალს აუშენებია". ჟორდანიამ ასე წაიკითხა: „ესე წმინდაᲫ და ყოვლად პატიოსანი მონასტერი [ჯუარისაᲗ] მადლითა და შეწევნითა [ღმრთისაᲗთა მეფესა ვახტანგ გორგა] სალს აღუშენებია". თუ პირველ შემთხვევაში თ. ჟორდანია დიდი დოზით აძლევს თავს უფლებას (რაც ასევე არ არის საფუძველმოკლებული), მეორე შემთხვევაში მისეული რეკონსტრუქცია ზუსტი უნდა იყოს და მისი სკეპტიკური შეფასება აღარაფერს ემყარება.

ყველაფერი ეს საკმარისზე მეტია.

მითუმეტეს, სხვა წყარო, უარმყოფელი ამისა არ ჩანს.

მინდა, შევაჯამო: წმინდა ხის კვეთის ადგილზე მირიანის დროს, როგორც ჩანს, მცირე სამლოცველო, ალბათ, ხისა უნდა აშენებულიყო. საუკუნის შემდგომ, იერუსალიმში, მხედრული წყობით შემოსული ვახტანგ გორგასალი აქ ქვის ბაზილიკას ჩადგამდა, რომელიც მრავალ ქარტეხილს, შემოსევასა და აოხრებას გადაიტანდა. აქაურობას, ეტყობა მომლოცველი არ აკლდებოდა და ის გამოხატულად ქართულ სავანედ რჩებოდა ყოველთვის. საბუთი სხვა ეკლესიის აქ არსებობისა არ არის. მომხვდურთაგან მრავალჯერ იავარქმნილი ეკლესია, ფაქტია, XI საუკუნის საქართველოსთვის შესაფერისი ვეღარ იქნებოდა. მას სერიოზული მაშენებელი და ქტიტორი სჭირდებოდა, სულიერადაც განბრძობილი, ფიზიკურად შემძლე, სისხლით შესაფერი და საფასით განძლიერებული.

ჯვრის მონასტრის სანახებში ასეთი კაცი მართლაც გამოჩნდა, რომელსაც თურმე ბერულ კუნკულაზე გარედან ხმალი ჰქონია შემორტყმული. თვითონ ტანადაც დიდი ყოფილა და ამ უცნაურ ბერს სწრაფად შემოუკრებია თანამოაზრეები. ბარატ IV დიდი საფასი გაუღია მონასტრის ასაშენებლად. ასე რომ არავინ იცის, ტიმოთე გაბაშვილმა და ნიკო ჩუბინაშვილმა მირიანისა და ვახტანგის გვერდით ვისი გამოსახულება იხილეს, რომელი ბაგრატ კურაპალატისა, მესამისა თუ მეოთხისა. გიორგი I ერთის

მამა იყო, მეორესი კი – შვილი, რომელსაც ტახტი და სიმძიმე გვირგვინისა დაუტოვა. ის ორივეს თანაბრად, სიყვარულით და დამსახურებისამებრ განადიდებდა.

მთელი ეს ახირებული ვერსია გიორგი-პროხორეს გიორგი I ბაგრატიონთან გაიგივებისა მაინც ერთმა უცნაურმა ამბავმა შთამაგონა:

გიორგი I-ის მეუღლე, სომეხთა მეფის ასული მარიამი გახლდათ. ძნელი წარმოსადგენი არ არის მისი მწუხარება, როცა ის 25 წლის პირმშვენიერ და ყველა ქალისგან სანატრელ გიორგის უნდა დასცილებოდა. გავიდა წლები და თუ ჩვენეულ ვერსიას გავყვებით, იერუსალიმში გამოჩნდა ხმლიანი და ახოვანი ბერი, რომელიც თავიდანვე ჩაფიქრებული მისიის გახორციელებას შეუდგა. მარიამისთვის, უნდა ვიფიქროთ, რომ ცნობილია ან ცნობილი ხდება უცნაური ბერის ვინაობა. იგი დიდი საფასით მიემგზავრება ჯერ ანტიოქიას და იქიდან სურს იერუსალიმში გადასვლა, რათა ჯვრის მონასტრის მშენებლებს შეეშველოს. პატრიარქმა ნება არ დართო მარიამს იერუსალიმში შესვლისა: „არა კეთილ არს, აღმოსავლისა მეფეთა დედაჲ რაჲთამცა სარკინოზეთს წარვიდა, ვინაითგან ცოდვათა ჩვენთაგან იგინი უფლებენ ქუეყანასა მას“.

თუ მოტანილ ციტატას დაკვირვებით გავიაზრებთ, ადვილად მივხვდებით, რომ აქ ლაპარაკი არ არის მარიამის უსაფრთხოებაზე, როგორც ამას შემდგომ ისტორიკოსები ხსნიდნენ, არამედ, შესაფერისი ტონითაა გადმოცემული საყვედური და სარკინოზთა მიზეზის მოხმობა სუფთა დიპლომატიური დემარშია და დედოფლისადმი ვალდებულებითი მოკრძალებითაა გამოწვეული.

კათალიკოსი ნაწყენია. როგორც ჩანს, მარიამ ჯერ ანტიოქიას თვალისასახვევად გაემგზავრა და იქიდან იერუსალიმს ჩასვლა მოულოდნელად გადაწყვიტა. ამას საქართველოს სამეფო კარზე არ ელოდნენ. დაუოკებელი იყო ახალგაზრდა, ლამაზი ქალის ლტოლვა ასევე ახალგაზრდა და ვაჟკაცი მეუღლისადმი. ოღონდ თვალი მოეკრა, შორიდან დაენახა. სხვა არაფერი უნდოდა...

მარიამი შეაჩერეს. არ შეიძლებოდა ბერთან მეუღლის მიახლოვებაც კი. ამას, შესაძლოა, საიდუმლოს გამჟღავნებაც კი მოჰყოლოდა. არ შეიძლებოდა. სხვანაირად ვერ აიხსნება კათალიკოსის განაწყენება, დედოფლისათვის იერუსალიმში ჩასვლისა და მოლოცვის აკრძალვა. მით უმეტეს ის უკვე ანტიოქიაში იყო და თუ რამ საფრთხე შესაძლებელი იყო, აქაც არ ასცდებოდა. საფრთხე კი, რასაკვირველია, ყოველთვის და ყველგან არის, მაგრამ იმ პერიოდში, ვფიქრობ, გაცილებით ადვილი იყო ქართველთა დედოფლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ვიდრე მისი ტირილითა და ვიშით უკან გამობრუნება. საფასი ანტიოქიიდან იერუსალიმში გიორგი ათონელმა ჩაიტანა და მშენებარე მონასტერს შესწირა. გიორგი-პროხორესა და გიორგი ათონელს შორის მეგობრობა და კავშირი გაგრძელდება. მარიამ დედოფალი კი, უკვე საბოლოოდ გამოიტირებს თავის პირველ და უკანასკნელ სიყვარულს და საქართველოში დაბრუნდება, რათა თავის პირმშოს, ბაგრატს, მოახმაროს მთელი ენერგია. ის მართლაც დიდ სამსახურს გაუწევს შვილსაც და მთლიანად საქართველოსაც.

და კიდევ ერთი, მე მგონი, არცთუ უმნიშვნელო მომენტი — ლევან მენაბდეს მოჰყავს მოსაზრება (თუმცა არ აზუსტებს საიდან), რომლის მიხედვითაც ჯვრის მონასტრის მშენებელად „ქართველთა მეფესა თუ მთავარს ტატიანს“ მიიჩნევდნენ. იგი იმდენად უაზროდ თვლის ამ თვალსაზრისს, რომ არც განიხილავს და „ტატიანი“ ლევან დადიანთან (1611-1657 წწ.) ჰყავს გაიგივებული. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ძალზე დიდი ალბათობაა, ვინაიდან ლევან II დადიანს ჯვრის მონასტის აღდგენა-შეკეთებაში მეტად წონადი ღვაწლი მიუძღვის. თუმცა-ღა, არსებობს სხვა მხარეც. აქ ნათქვამია „აშენება“ და არა „შეკეთება“, რასაც სხვა შემთხვევაში პროფ. ლ. მენაბდე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ხოლმე. ის, რომ ტაძარი მეფის აშენებულია (და არა –ქტიტორია) ძალზე საინტერესოდ მეჩვენება, ხოლო ტატიანი /დადიანის ხსენება სულაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ტერმინი „დადიანი“ უძველესია და ის დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების მისამართითაც გამოიყენებოდა. გიორგი I კი, ალბათ გვავიწყდება, რომ იწოდებოდა „მეფე აფხაზთა და ქართველთა“. ეს ტიტულატურა შემდგომ საუკუნეებშიაც გაგრძელდება. ასე რომ, გიორგის ვინაობის დასაფარავად, მაგრამ თავისი უპირატესობისა და წარმომავლობის, განსაკუთრებულობის დასადასტურებლად, სავსებით შესაძლებელია „დადიანობით“ ესარგებლა. მისი მეფური წარმომავლობის შესახებ კი მისი თანამედროვენი, ალბათ, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ კიდეც.

ძალზე საყურადღებო და ნიშანდობლივია ისიც, რომ პ. ინგოროყვა ჯვრის მონასტრის ქტიტორების გამოსახულებებს და საერთოდ, ფრესკული კომპლექსის მიმოხილვისას გიორგი-პროხორეს განსაკუთრებულ, უჩვეულო ადგილზე მიუთითებს. მომყავს ამონარიდი: „როგორც გამოირკვა მიმოხილვიდან, ჯვარის მონასტრის დასავლეთი კედლის მხატვრობაში, რომლის ორი ფრთა წარმოადგენს ერთს მთლიანს კომპოზიციას, გამოსახულნი არიან ჯვარის მონასტრის მაშენებელნი – ქტიტორნი:

მარჯვენა ფრთაზე:

1-3. მეფეთა ჯგუფი: მირიანი; ვახტანგ გორგასალი; ბაგრატ კურაპალატი;

4. პეტრე ქართველი, ივერიის მეფის (ბუზმირის) ძე, ეპისკოპოსი პალესტინისა (მაიუმისა), თანამოღვაწე ვახტანგ გორგასალისა.

მარცხენა ფრთაზე:

5-6. ეფთიმე და გიორგი მთაწმინდელნი;

7. ჯვრის მონასტრის ძმობა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მთავარ კომპოზიციაში, რომელიც საგანგებოდ მაშენებლებისთვის განკუთვნილ ადგილას, მხატვრობის ქვედა სარტყელში არის მოთავსებული და სადაც წარმოდგენილი არის ჯვრის მონასტრის მაშენებელ-ქტიტორთა მთელი სინკლიტი – არ არის ცალკე ფრესკა ჯვარის მონასტრის მთავარი აღმაშენებლისა პროხორესი.

პროხორეს ცალკე ფრესკა არის არა იქ, სადაც იგი უნდა ყოფილიყო, აღმაშენებელ-ქტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორთა ამ ჯგუფში, მხატვრობის ქვედა სარტყელში (რაც, როგორც მოვიხსენიეთ, მაშენებელ ქტიტორთათვის იყო განკუთვნილი, რადგან უფრო ადვილად მოსახილველი იყო მნახველთათვის), არამედ ეს ფრესკა არის სხვა ადგილას, მხატვრობის ზედა სექტორში, ისიც არა მეორე სარტყელში, არამედ მესამე სარტყელში, დასავლეთის მთავარი შემოსასვლელი კარის ზემოთ. სახელდობრ, აქ, კარების ზემოთ, წარმოდგენილია შემდეგი ფრესკები: მეორე სარტყელში წარმოდგენილია კომპოზიცია: (1)გამოსახულია მარიამ ღვთისმშობელი, რომელსაც ხელში უჭირავს ჩვილი იესო, და ანიშნებს იქვე მდგომარე თორმეტ ბავშვზე, რომელთაც წარუდგენს დასალოცავად თავის ძეს. მესამე სარტყელში წარმოდგენილია (2) ფრესკა პროხორესი. რით აიხსნება ეს გარემოება, რომ პროხორეს ფრესკა მოთავსებულია არა იქ, სადაც მოსალოდნელი იყო, მაშენებელ-ქტიტორთა მთავარ ჯგუფში, პირველ სარტყელში, არამედ მესამე სარტყელში?

ეს აიხსნება იმით, რომ ჯვარის მონასტრის მხატვრობის ძირითადი ნაწილი, სადაც წარმოდგენილნი არიან ჯვარის მონასტრის მაშენებელ-ქტიტორნი, შესრულებულია პროხორეს სიცოცხლეში. როგორც ქვემოთ გამოირკვევა, ჯვარის მონასტერი მოხატულია 1050-იან წლებში, როდესაც პროხორე ცოცხლი იყო და ხელმძღვანელობდა, თავის მოწაფეებთან ერთად, ჯვარის მონასტრის მშენებლობის დამთავრებას.

პროხორეს არ მიუჩნევია საჭიროდ ცალკე წარმოედგინა თავისი თავი; ამის ნაცლად მას მოუთავსებია სურათი ჯვარის მონასტრის ძმობისა; პროხორე წარმოდგენილია არა მარტო, არამედ თავის მოწაფეთა შორის, რომლებთანაც ერთად იგი ხელმძღვანელობდა ჯვრის მშენებლობას.

უფრო გვიან, როდესაც გარდაიცვალა პროხორე, მის მოწაფეებს დაუხატვინებიათ მისი ცალკე ფრესკა, როგორც მოვიხსენეთ — მესამე სარტყელში, თავისუფალ ადგილას, მთავარი შესასვლელი კარის ზემოთ; ფრესკას ახლავს წარწერა: წმიდა პროხორე ქართველი".

პ. ინგოროყვასეული ახსნისთვის ალტერნატივის მოძებნაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს მთავარი არ არის. ჩემთვის პროხორეს მუდმივი და თანამდევი უჩვეულობა და განსაკუთრებულობაა მთავარი.

კიდევ ერთი რამ: ქართული წყაროები და უცხოელი ავტორები (ნეოფიტე კვიპრელი, პროკოპი ნაზიანზელი, ზეპირი გადმოცემებიც) აღნიშნავენ, რომ XI საუკუნეში ქართველთა მეფემ გიორგი I-მა წმიდა მიწაზე წმ. იაკობ მოციქულის მონასტერი დაარსა. ის მოგვიანებით სომხებმა ქრთამით ჩაიგდეს ხელში. მურავიოვი თავის ნაშრომში — „მოგზაურობა წმინდა მიწაზე" (1830 წ.) წერს: „წმ. იაკობის მონასტერი დაარსებული იქნა ქართველთა მიერ, კეთილდღეობის ხანაში და უკვე სამასი წელია მას სომხები ფლობენ".

გიორგი-პროხორესა და მისი თანამოაზრის — გაბრიელ თბილელის ნამოღვაწარად მიიჩნევენ იორდანიაში, შეჰანის უდაბნოში აგებულ მონასტრებსაც.

მაშ, გიორგი I გამორჩეულად მაშენებელი მეფე ყოფილა.

საინტერესოა, როდის მოასწრო, რომელ წელს დააარსა მან წმ. იაკობის მონასტერი? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ბევრ რასმე მოჰფენდა ნათელს. საყურადღებოა ქართული ტრადიციისთვის უჩვეულო შემთხვევა წმ. იაკობის სახელზე ეკლესიის აგებისა. იაკობი ბაგრატიონთა ხორციელი ნათესავი იყო. მაცხოვრის ძმა იოსებ მართალის მხრიდან. ისინიც დავითის ჩამომავლები გახლდნენ. იქნებ ეს იყო გიორგის განსაკუთრებული ყურადღების მიზეზი ამ მოციქულისადმი?

გიორგი-პროხორემ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი აღაშენა, „ცით დაამშვენა", საბაწმინდის ლავრის ტიპიკონი დაუმტკიცა. წიგნებით აავსო მონასტერი, მერე მოხუცდა, დაუძლურდა...

თანამოაზრენი მოიხმო. წიმნამძღვრად თავისი რჩეული, ისევ სახელად — გიორგი განაწესა და საკუთარი სულის საოხად და ამჯერად უფალთან მიცვალებისთვის არნონის უდაბნოში გაემგზავრა. თან წაიყვანა ერთი ხუცესი და ერთი მონაზონი. იქ ეწია სიკვდილი. ეს იყო 1066 წლის 12 თებერვალი, კვირადღე. წავიდა დაღლილი და ღვაწლმოსილი. თვითონ ასე შეაფასა მისგანვე ქმნული: „ღირს ვიქმენ მე, გალახაკი და ფრიად ცოდჳლი გიორგი-პროხორე, სახელად ოდენ მღდელი, ხოლო საქმითღა არ ღირსი, რომელთა შემძლებელ ჳქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმინდასა მას ცხოველმყოფლისა ჯუარისა ადგილსა".

წმიდანად შერაცხეს გიორგი-პროხორე.

მელქისედეკ კათალიკოსიც.



ბოლო ბოლო ... ბოლო

თუჩქული დღიური

(გადაცემა "ჩვენებურების" ტელეექსპედიციის ანგარიშები)

ეს თავისებური ჩანაწერები, რომლებიც წლების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს გაკეთდა, პირველად ქვეყნდება. ჩემი საექსპედიციო დღიურის ბევრი გვერდი სატელევიზო გადაცემის სცენარად იქცა, ბევრი კი კადრს მიღმა დარჩა. ჩვენებურთა მისამართით დიდმა სიყვარულმა და წარუშლელმა შთაბეჭდილებებმა გადამაწყვეტინა ყოველივე დამეწერა და დღის სინათლეზე გამომეტანა. ამ რთული ამოცანის განხორციელებას ალბათ ვერასოდეს შევძლებდი, რომ არა ჩემი უფროსი მეგობრის ნინო ნატროშვილის დახმარება რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებ. მკითხველს კი ჩვენებურთა სამყაროში დაუვიწყარ მოგზაურობას ვთავაზობ

ტაოში ჩვენებურებს და წინაპართა ნაკვალევს ვეძებდით, საუკუნეების წინათ მათ მიერ აგებულ ტაძრებს, ციხეებს, არხებს ვათვალიერებდით, ქართულ წარწერებს ვიწერდით, საქართველოს ძველ საზღვრებს ვავლებდით თვალს. ახლაც თურქეთში მივდივართ, მაგრამ ახლა სხვა მხარეს და სხვაგვარად დაშორებული მოძმეების სანახავად ვიჩქარით — მუჰაჯირების შთამომავლებს ვეძებთ.

. მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და ქართულად ემიგრანტს, გადახვეწილს, სამშობლოდან წასულს ნიშნავს. გამოთქმა „მუჰაჯირი ქართველი" XIX საუკუნეში გაჩნდა. თითქოს გამაჰმადიანებულ ქართველობას საუკუნეთა განმავლობაში ტკივილი და ვაება დაჰკლებოდა, ახალმა ეპოქამ ახალი განსაცდელი მოუტანა. ქართველები სამშობლოდან გადაიხვეწნენ, მუჰაჯირები გახდნენ.

პირველი ქართველი მუჰაჯირები 1828-1829 წლებში გაჩნდნენ, როდესაც რუსეთის იმპერიამ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ძველი სამცხე-საათაბაგოს ათი რაიონი შეიერთა. მათ შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. სავარაუდოდ, იმ დროს ოსმალეთში გადასახლებული ქართველობა მკვიდრ მოსახლეობაში გაითქვიფა. (მ.სვანიძე. „ქართველების მუჰაჯირობა თურქეთში". თბ 1996. გვ. 5)

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად აჭარა და ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი საქართველოს დაუბრუნდა. ამ ფაქტის გამო ილია ჭავჭავაძემ საქართველოს მოსახლეობას საგანგებოდ მიმართა: „ქართველობავ, ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შეეწივნეთ, რითაც შეგიძლიათ, ფულით, საჭმელით, სასმელით, საცმელით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე... აბა ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო". (ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. V. გვ. 31).

აღტაცება არ დაუმალავს გრიგოლ ორბელიანსაც: „ჩვენნი ძმანი, ძველი ქართველნი, რუს-ქართველთა მხედრობის ძალით განთავისუფლდა ოთხასის წლის ტყვეობიდამ, შეუერთდა დედასაქართველოსა და აღსრულდა იგი სასნაული, რაცა არა გვეგონა!"

1878 წლის ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ბათუმის ოლქის დეპუტაცია, ქართულმა საზოგადოებამ დიდი პატივით მიიღო და ნადიმი გაუმართა. ვახშამს დაესწრნენ გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, დავით ყიფიანი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი, ივანე კერესელიძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვანი. დეპუტაციის მხრიდან ესწრებოდნენ: შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ჰუსეინ ბეჟანოღლი (ბეჟაშვილი), ჰუსეინ ბეგ აბაშიძე, ჰასან ბეგ ბეჟანოღლი და სხვა. (მ.სვანიძე. „ქართველების მუჰაჯირობა თურქეთში". თბ 1996, გვ. 3). ნადიმზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, მაგრამ მალე ეს სიხარული და აღფრთოვანება ავმა განგაშმა შეცვალა. საქართველოსთან შემოერთებული ადგილებიდან მოსახლეობამ ოსმალეთში მასობრივი გადასახლება, ანუ მუჰაჯირობა დაიწყო. „მუჰაჯირობა ქართველი ხალხის ისტორიაში იყო ერთ-ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმძიმესი ტრაგედია. არც ერთ შემოსევას, არც ერთ ბარბაროს დამპყრობელს არ მიუყენებია იმოდენა ზარალი ისტორიული ზემო ქართლის (სამცხე-საათაბაგოს) კუთხეებისათვის, რაც მუჰაჯირობამ მოუტანა. ძირძველი ქართული მინა დაიცალა მოსახლეობისაგან. თითქმის დაიცალა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა, მურღული, მაჭახელი, ტაო, აჭარა, ქობულეთი. დაცარიელებულ სოფლებში გაჩანაგდა მეურნეობა, ბევრი სოფლის სახსენებელი სამუდამოდ წაიშალა. (შ. ფუტკარაძე. „ჩვენებურების ქართული". ბათუმი. 1993. გვ 9)

რუსეთის იმპერატორის მითითებითა და ოსმალეთის სულთნის ხელშეწყობით ასახლებდნენ ყველას. გაასახლეს აჭარლები, გურულები, მეგრელები, მესხები და აფხაზები. ასახლებდნენ ხან ძალით, ხან მუქარით, ხან კი მოტყუებით. ხალხიც ტოვებდა ყველაფერს, სახლ-კარს, სარჩო-საბადებელს, საქონელს, მამა-პაპათა საფლავებს, ტოვებდა, რადგან ეშინოდა. ძირითადად მიდიოდნენ ზღვით, ზოგი კი ხმელეთით. ბევრმა აღთქმულ ადგილამდე ვერ მიაღწია, გზაში შიმშილითა და ავადმყოფობით გარდაიცვალა. საქართველოს ზღვისპირეთი თითქმის დაცარიელდა, გავერანდა დაბები და სოფლები. გასახლებულთა უმეტესობა მაჰმადიანი იყო.

ქართველების ოსმალეთში გადასახლების მრავალი მიზეზი არსებობდა. ერთი მოსაზრებით, შემოერთებული მიწების მუსულიმანმა მოსახლეობამ ქრისტიანულ იმპერიაში ცხოვრება ვერ აიტანა. „აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება ოსმალეთში გადასახლება, რას მივაწეროთ ეს მოვლენა? — კითხულობდა გრიგოლ ორბელიანი — ყირიმი დაცარიელდა, ჩერქეზები 200 ათასზე მეტი გადასახლდნენ ყუბანიდან, აფხაზეთი დარჩა მოსახლეობის გარეშე, ახლა ყარსისა და აჭარის მოსახლეობა გარბის ჩვენგან, როგორც ჭირიანისაგან, ნუთუ ყოველივე ეს ფანატიზმით აიხსნება?" (გაზ. „Голос", 1879 წ. 96)

ცხადია, გადასახლების დროს რელიგიურმა ფაქტორმა იმოქმედა, მაგრამ ერთადერთი მიზეზი ეს არ ყოფილა. მუჰაჯირობა რომ რელიგიური ფანატიზმის ნიადაგზე არ მომხდარა, ამას ერთი ფაქტი კარგად ცხადყოფს: „მარცხის შემდეგ ქრისტიანმა აფხაზებმაც გადაწყვიტეს თავშესაფარი ოსმალეთის ტერიტორიაზე ეძებნათ, ლტოლვილი ქრისტიანი აფხაზების რიცხვმა 1865 წლის აგვისტოსათვის 40 ათას კაცს მიაღწია. კაპიტნები, რომლებსაც ლტოლვილები გადაჰყავდათ, მგზავრებს ეუბნებოდნენ: „თქვენ ჩვენი სულთნისა და ხალიფას ქვეყანაში მიდიხართ, თუ ასე პირჯვარი იწერეთ, ხალიფა არ მიგიღებთო." აფხაზები კისრიდან ჯვარს იხსნიდნენ, შავ ზღვაში ყრიდნენ და ისლამის რელიგიას იღებდნენ". (ჰ.ნებილერი. „ჩრდილოკავკასიელთა გადასახლება ოსმალეთში". გაზ „ხიდი", 1996. 24/11)

ცხადია, გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი შემოერთებულ ტერიტორიაზე შექმნილი მძიმე და აუტანელი სოციალურ-ეკონომიური პირობები გახდა. ამაში კი მთავარი დამნაშავე რუსეთის იმპერია იყო. მას არ აინტერესებდა, ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებული ქართველებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობები შეექმნა. პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა, ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალეთში გადახვეწილიყო, გათავისუფლებულ ადგილებზე რუსი კოლონისტები დაესახლებინა და საზღვრის დასაცავად საიმედო საყრდენი შეექმნა. ნაცვლად იმისა, რომ დახმარება აღმოეჩინათ და ხელი გაემართათ შემოერთებული მოსახლეობისათვის, რუსეთის მთავრობამ და რუსმა მოხელეებმა ქართველებს დაუწყეს დევნა და ადგილობრივი მკვიდრნი ოსმალებად და თათრებად გამოაცხადეს, რითაც დიდად შეუწყვეს ხელი მათ ოსმალეთში გადასახლებას. (მ.სვანიძე. ქართველების მუჰაჯირობა თურქეთში. თბ 1996. გვ.7).

მუჰაჯირობის ერთ-ერთი მიზეზი იმდროინდელი ქართული საზოგადოების გულგრილობაც იყო. უდავოა, მაშინდელმა საქართველომ სათანადოდ ვერ შეაფასა მომხდარი ფაქტის ისტორიული მნიშვნელობა და ახლადშემოერთებულ თანამოძმეებთან ურთიერთობაში მხოლოდ სიტყვიერი განცხადებებით შემოიფარგლა: „ჩვენ არა თუ ვერ გავაფართოვეთ ის ეროვნული საგანძური, რომელიც თან მოიტანეს დაკარგულმა მოძმეებმა, ვერ გავაძლიერეთ, დავკარგეთ, ხელიდან გავუშვით ისიც კი, რაც მაშინ გვქონდა. დავკარგეთ მიღებული, ჩაბარებული და ჩვენს ხელში, ჩვენთან ყოფნის დროს მაჰმადიანი ქართველები კიდევ უფრო დაშორებულნი შეიქნენ, ვიდრე იყვნენ ჩვენთან მოსვლამდის..." (ს. ფირცხალავა. "სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი". ქართული მწერლობა. ტომი 27.)

ცხადია, ახლადშემოერთებულ ხალხს მოძმეთაგან უფრო მეტი ყურადღება და სითბო სჭირდებოდა. იმ მძიმე ჟამს არც ერთ საზოგადო მოღვაწეს ფეხი არ შეუდგამს იქაურ სოფლებში და სანუგეშო სიტყვა არ უთქვამს სასოწარკვეთილი ხალხისათვის. სამართლიანად შენიშნავდა ექვთიმე თაყაიშვილი მოწინავე საზოგადოების ერთ მთავარ ნაკლზე: „არავინ იცოდა, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში, ნაოხარზე ხომ ათასი ჯურის გადამთიელი სახლდებოდა... რომ გეკითხათ, ყველა გეტყოდათ, დიდი პატრიოტები ვართო, მაგრამ გოლოვინის პროსპექტსა და ქუთაისის ბულვარს იქით ფეხს არ გადაადგამდნენ. ხალხს კი პატრიოტიზმი მათ ყოველთვის პრაქტიკულ საქმიანობაში ჰქონდათ გამოხატული და ბევრ რამესაც მიაღწიეს (ე.თაყაიშვილი. „დაბრუნება", გვ. 436).

მართლაც, ისტორიული ტაო-კლარჯეთი თითქმის ორმოც წელზე მეტი საქართველოს ფარგლებში იყო და თითქმის არც ერთ დიდ მწერალსა თუ პოეტს არ მოუწადინებია სტუმრებოდა ძირძველ ქართულ მიწას, გაევლო ხანძთელის ნაკვალევზე, სანუგეშო სიტყვა ეთქვა ათას ჭირგამოვლილი ქართველებისათვის და როგორმე ეზრუნა აქ ქართული სულის აღორძინებისათვის, ქართული სკოლების გახსნისათვის. (შ. ფუტკარაძე. „ჩვენებურების ქართული". ბათუმი. 1993. გვ. 13)

საქართველოს უმოქმედობას მკაცრი განაჩენი გამოუტანა პუბლიცისტმა სამსონ ფირცხალავამ: „ჯერ ვერ გაგვითვალისწინებია, რომ სამაჰმადიანო საქართველოს საკითხი, მისი ერთობის აღდგენა დანარჩენ საქართველოსთან —

ეს მთელი საქართველოს ეროვნული საკითხია. ჩვენი ბედი და მომავალი არასოდეს იქნება უზრუნველყოფილი, თუ არ მოხდება ეროვნული გაერთიანება სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოსი... ჩვენი აღდგენის მზე მხოლოდ მაშინ ამოვა, როცა ქართველ მაჰმადიანს და ქართველ ქრისტიანს შორის არავითარი განსხვავება არ იქნება გარდა სარწმუნოებისა, რომელიც სინდისის საქმეა და ყოველ ქართველს ისე შეუძლია ადიდოს ღმერთი, როგორც საუკეთესოდ მიაჩნია.... ყველაფერს ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, არაფერს ვაკეთებთ და გვინდა, ჩვენი უმოქმედობა ჩვენგან დამოუკიდებელ, გარეშე მიზეზებს გადავაბრალოთ, ჩვენი უგულობა ხელშემშლელი პირობებით გავამართლოთ, ჩვენი სიზანტე და უძლურება სხვას მოვახვიოთ თავზე. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველობას, როგორც საზოგადოებას, არა გაუკეთებია რა მაჰმადიან მოძმეებისათვის: არც სკოლები და სამკითხველოები გაგვიხსნია, არც წიგნები მიგვიწოდებია, არც ნუგეში გვიცია, როგორც შეჰფერის გულშემატკივარ ძმას. ისიც კი ვერ შევძელით, რომ პირადად გვენახა და დაგვეთვალიერებინა სამაჰმადიანო საქართველოს კუთხეები, შეგვესწავლა, გამოვლაპარაკებოდით იქაურ მკვიდრთ, თაყვანი გვეცა ჩვენი დიდების ნაშთებისათვის...“ (ს. ფირცხალავა. “სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი”. ქართული მწერლობა. ტომი 27.)

გულგრილი სამშობლოდან ათიათასობით ადამიანი გარბოდა... ოსმალეთში გადასახლება სათანადო მომზადებისა და ორგანიზაციის გარეშე მიმდინარეობდა. მუჰაჯირები შავი ზღვის ნავსადგურებიდან უვარგისი გემებით გადაჰყავდათ, ნაწილი სახმელეთო გზით, ურმებით მიდიოდა. მრავალი მათგანი გზაში ეპიდემიამ, შიმშილმა და სიცივემ იმსხვერპლა. (მ.სვანიძე. „ქართველების მუჰაჯირობა თურქეთში“. თბ 1996. გვ.7)

ოსმალეთში ჩასული ქართველი მუჰაჯირები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ტანჯვა პირველივე პორტში, ტრაპიზონში დაიწყო. ქალაქი ამდენი ლტოლვილისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. თურქეთის ხელისუფლებამ თავშესაფარი მხოლოდ რამდენიმე ასეულ გაჭირვებულს მისცა, ხალხის დანარჩენი ნაწილი კი ბედის ანაბარა დარჩა: მოხუცები, ქალები და ბავშვები ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ, შიმშილობდნენ, ავადდებოდნენ და, უმეტეს შემთხვევაში, იღუპებოდნენ.

ოსმალეთის მთავრობა, თავის მხრივ, დაინტერესებული იყო ქართველი და, საერთოდ, კავკასიელი მაჰმადიანების ოსმალეთში ჩასახლებით. მშრომელი და თავდადებული ქართველები საკუთარი სახელმწიფოს მოსაწყობად სჭირდებოდა. იმ დროს მცირე აზიის მოსახლეობა ომებისა და ეპიდემიების გამო ძალზე შეთხელებული იყო. თანაც ოსმალეთი ცდილობდა, მომთაბარე თურქი ტომები ერთ ადგილას დაემკვიდრებინა, ამიტომ ხშირად მათ გვერდით ქართველებს ასახლებდნენ და ამით თანამემამულეებს საუკეთესო მაგალითს აძლევდნენ. ის, რაც საქართველომ ვერ გამოიყენა, სხვა სახელმწიფოს მშენებლობისათვის აუცილებელი აღმოჩნდა.

სხვა სახელმწიფოში კი დასახლდნენ, მაგრამ ქართული ხასიათი და ბუნება ვერაფერმა შეუცვალათ, უცხოობაში სიამე ვერ ნახეს.

„შვილო მევლუდი, შენ თავს ვენაცვალე, შენ უნახავს ნუ მომკლავ, აქ მუჰაჯირად არ დამტოვო. ცოტა ფარა მომაშველე და მაშინვე წამოვალ ღმერთის ძალით. მანდ შენთვის ვიქნები. დუნია წახდა, დეიღუპა ჩვენი საქმე, მუჰაჯირი წახდა. აქეთ ნუღარავინ წამოვა, თორემ თლათ წახდება მათი პური. აქ ვერას იშოვნიან, ისევ მანდ იყავით, ჯობია. ჩვენც სულ ვკვდებით შიმშილით და სიტიტვლით. ჩვენი ქვეყანა კარგი არის, ყველა მუჰაჯირს თვალი მანდიდ გვიჭირავს. მანდ შიმშილით მოვკვდე, ის მირჩევნია, აქ დარჩენასა. უბედურება ვნახეთ, დეიღუპა ჩვენი საქმე.“ — ეს ქართველი მუჰაჯირის წერილია, საქართველოში 150 წლის წინათ იმ იმედით გამოაგზავნილი, რომ სამშობლოში დაბრუნდებოდა.

1915 წლის 8 თებერვალს მაჰმადიანმა ქართველმა გულო კაიკაციშვილმა აკაკის კუბოს აკანკალებული ხმით მიმართა: „გეევედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღგვდგენინონ ჩვენი ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც ნამეტურ ეხლა ვიმყოფებით.“(ს. ფირცხალავა. “სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი”. ქართული მწერლობა. ტომი 27. გვ. 477). (კრებული „ძმური სიტყვა“, 1915, გვ.59)

ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის ხელშეკრულების შედეგად 1882 წლის 3 თებერვალს ოსმალეთმა საზღვარი ჩაკეტა და მუჰაჯირობა შეწყდა.

ბელინო

თურქეთში ერთი უნიკალური სიმღერა მოვისმინეთ — გელინო. გელინო პატარძალს ნიშნავს და მღერიან მაშინ, როცა ქალიშვილი ოჯახიდან მიდის. მღერიან მშობლები ერთი იმედით, რომ შვილი ფუძეს არასოდეს მოსწყდება, ოჯახსა და სამშობლოს არ დაივიწყებს.

ბურსა

ჩვენი ტელეექსპედიცია უპრეცედენტოა, მუჰაჯირი ქართველების შთამომავლებთან ტელეკამერით პირველად მივდივართ. 2005 წლის ივლისია. ჯგუფში ვართ მე, გიორგი კალანდია, ისტორიკოსი ბუბა კუდავა, ოპერატორი ბესიკ გაფრინდაშვილი, მეგზური და თარჯიმანი ბარიშ ალთუნი და მძღოლი გია ბარნაბიშვილი. ცხადია, სანახავი და გადასაღები უამრავი იქნება. გეზი სტამბოლის მახლობლად მდებარე ქალაქ ბურსისაკენ ავიღეთ. სხვადასხვა ცნობის მიხედვით აქ თურქეთში ქართველების ერთ-ერთი დიდი დასახლებაა. 2000 წლის აღწერისას ამ რეგიონში 380 ათასმა დედაენად ქართული დაასახელა. ბურსაში ჩვენს სტუმრობას კიდევ ერთი მიზეზი აქვს. ვიცით, რომ ქალაქში საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალია დაგეგმილი და იმერხეველთა ანსამბლიც მონაწილეობს. იმედი გვაქვს, ანსამბლის წევრების გარდა ბევრ ჩვენე-

ბურს ვიხილავთ.

ბურსა გამორჩეული ქალაქია. ორი მილიონი მცხოვრებით. ოსმალეთის პირველმა სულთანმა ოსმანმა 1302 წელს სწორედ ბურსის ბიზანტიელი გამგებლის დამარცხების შემდეგ ჩაუყარა საფუძველი ძლევამოსილი იმპერიის მშენებლობას. მისმა შვილმა ორხანმა კი ოსმალეთის სახელმწიფოს დედაქალაქი ბურსაში გადაიტანა და აქვე მოჭრა ახჩა — პირველი თურქული ვერცხლის ფული. ბურსა მუდამ მდიდარი სავაჭრო და სატრანზიტო ცენტრი იყო. ქალაქის ყველაზე მაღალ მთაზე მდებარეობს სულთან ოსმანისა და ორხანის საფლავები, მათ თურქები წმინდა ადგილებად მიიჩნევენ. სადაფით ულამაზესად მოპირკეთებულ სამარის ლოდებს ყოველდღე ათასობით მომლოცველი და ტურისტი აკითხავს. აქვეა რესპუბლიკის დამაარსებლის ქემალ ათათურქის ბრძანებით აშენებული კოშკი – თოფჰანე და ზარბაზანი, რომელსაც ყოველი რამაზანის დაწყების წინ ისვრიან. ბურსის ვილაეთშივეა სულთან ოსმანის ბრძანებით აგებული ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ლამაზი მეჩეთი. მის ეზოში დღესაც იხილავთ ოსმალეთის დამაარსებლის თანამებრძოლთა საფლავებს. როგორც აქაურებმა გვითხრეს, ამ მეჩეთში ხშირად დადიან მუსლიმი ქართველები და მათი ამოცნობა არცთუ ძნელია, ჩვენებურებს წარმომავლობა გარეგნობაზეც ეტყობათ.

ბურსის საერთაშორისო ფესტივალს დასკვნით დღეს მივუსწარით. ქალაქის კულტურის პარკში გახურებული სამზადისი დაგვხვდა. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ანსამბლები ბოლო რეპეტიციას ცის ქვეშ გადიოდნენ. გრანდიოზული ზეიმი ერთი კვირა მიმდინარეობს და უცხოელ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, მხოლოდ შემოქმედება კი არ წარმოჩინონ, არამედ დაახლოვდნენ და ერთმანეთი გაიცნონ.

ამბავი, რომ ფესტივალს ქართველთა გადამღები ჯგუფი დაესწრებოდა, უმალ გავრცელდა, ამიტომ ირგვლივ სასიამოვნო მოულოდნელობით გაოცებული ადგილობრივი ქართველები შემოიკრიბნენ.

— ჩვენ ასე ვართ — მეუბნება კაზიმ ალთუნი (წითელაშვილი) და ორივე ხელის თითებით მუშტს კრავს. — აქ (თურქეთში) ქართველს გურჯს ეტყვიან, იქ (საქართველოში) თურქიეს. ჩვენ იმერხევიდან ვართ. ჩვენ და თქვენ თეილი (მთლიანად) ერთი ვართ. ეს თითები მოწყდება აქედან? არა! ჩვენც თქვენს უკან ასე ვართ.

აქვე გავიცანით ინეგოლის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე მეჰმედ ნური თაიანი (მამია დუმბაძე). მან კარგად იცის ქართველ მუჰაჯირთა თავგადასავლი.

— აჭარიდან თურქეთში რომ შემოვიდენ, ზოგმა ანტალიის მხარეს წევიდა, ზოგმა იქით, აქეთ, მაგრამ იქ არ მოწონდათ. ჩემი ბაბუა 12 წლის იყო. მერსინი, ქალაქია ანტალიას იქით, ახლა მდიდარი ქალაქია და იქ რო ჩავიდნენ, არ მოწონდნენ, სიცხეა, კოღებია და აქ ბურსაში მოვიდნენ. აქ ნახავთ, ჩვენი სოფლები იმფერ ალაგებზეა, რომ შენი თავი გეგონება ხულოში და შუახევში და საქართველოში. აი, იმეფრ ალაგებზე ბინეები გააკეთეს და იქ ცხოვრობენ.

უმძიმესი წლებიც გაიხსენეს, სწორედ ის წლები, როცა აქაური ქართველები გადაშენების რეალური საშიშროების წინაშე იდგნენ:

— ჩვენ 30 წლის წინ საქართველო თუ იყო, არ ვიცოდით. მართლა გევბნები, არ ვიცოდით. ჩვენ გვეგონა, რომ ინეგოლში ჩვენ ვართ მარტო ქართველები. რო გვკითხევდნენ, ვინა ხართ? ჩვენ რუსეთიდან ჩამოსულები ვართ, კავკასიადან ჩამოსული ქართველები ვართ, ისე ვიტყოდით. აჰმედ ოზქან მელაშვილი იყო, იმან მერე ერთი წიგნი დაწერა „საქართველო," თურქულად ქვიოდა „გურჯისტან". უკვე მაშინ ვისწავლეთ, რომ საქართველო ყოფილა, ქართული ასოები ყოფილა, საქართველოს ისტორია ყოფილა, მერე ვისწავლეთ აგერ 25-30 წელია.

ჩვენს საუბარს თვალყურს ერთი ახლაგაზრდა ადევნებდა. ომარ ფარუჰ დემირტაში (მახარაძე). ფესტივალზე იმერხეველთა გულშემატკივრად არის მოსული და ქალაქ ინეგოლის ქართველთა ანსამბლისა და საზოგადოების წევრია. მას ერთი დიდი სურვილი აქვს:

— მიყვარს ქართული ლაპარაკი, ცეკვა, საქართველოში წასვლა ძალიან მინდა. წავიდენა ოდესღაც.

მეჰმედ ნური (მამია დუმბაძე) საქართველოში ნამყოფია, ის მხოლოდ შორიდან არ შესცქერის ისტორიულ სამშობლოს, სხვაგვარ კავშირს ეძებს, უფრო სასარგებლოს.

— უკვე თურქეთში მყოფ ქართველებს შეუძლია, რომ ქართული პასპორტი მიიღონ. ეს ახალგაზრდას როგორ უხარია, იცით? ძალიან უხარიათ, რო წავიდეს მის სამშობლოში, ნახოს მისი დედამიწა, დედაქალაქი, წინაპრები საიდან წამოვიდნენ, ის სული და მისი ქართული სისხლი უმფრო დაინტერესდეს. ახლა ჩვენ ვებნევით, საქართველო ასე ლამაზია, ისეა. რამდენიც რომ უთხრა, იმან უნდა დაინახოს, იქაური წესები უნდა დაინახოს, იქაური პურ-მარილი უნდა ნახოს, სადღაგრძელოები უნდა დალიოს, თითო-ოროლა ჭიქა ღვინო უნდა დალიოს, რომ ქართული წესები და ის სილამაზე მიხვდეს. ლაპარიკით არაფერი არ გამოვა.

საღამოს პარკი უფრო გამოცოცხლდა, იქვე შორიახლოს ნაცნობი ჰანგები მოგვესმა, კონცერტზე მოსული გურჯი მაყურებელი თავს ქართული „ჯილველოითი" იქცევდა.

ბურსის კულტურის პარკის ღია ესტრადა ხალხს ვერ იტევდა. დასკვნით კონცერტზე დასასწრებლად ქალაქის თითქმის მთელი ახალგაზრდობა მოვიდა. უამრავ გამომსვლელთა შორის ჩვენც ყველაზე მეტად ერთ ნომერს ველოდით. იმერხეველთა ანსამბლის მიერ შესრულებულ ცეკვას. გვეუბნებოდნენ, იმერხეველი ბიჭები ცეცხლოვან ხორუმს სამობენ ანუ ცეკვავენო. მათ აქაურებისათვის ჩვეული, თავისებური ჟინით აქვთ.

მართლაც, იმერხეველთა სცენაზე გამოჩენამ მოლოდინს გადააჭარბა, მათი ნომერი ბევრი რამით იყო საინტერესო. ამ ხორუმში ქალებიც მონაწილეობენ, თუმცა ძირითადად მაინც მამაკაცები ცეკვავენ. დოლის რიტმული ხმაა წამყვანი. სამოსი სოლიკო ვირსალაძის შექმნილ აჭარულ კოსტიუმს ჰგვას, ოღონდ უფრო აღმოსავლური იერი დაჰყვება. მოცეკვავე ვაჟები რთულ ილეთებს არ აკეთებენ, მაგრამ ენერგიულად და

მწყობრად ირჯებიან.

ცეკვის დასრულების შემდეგაც მაყურებელი ემოციას დიდხანს ვერ თოკავდა. აფორიაქებულნი იყვნენ ჩვენებურებიც, ქართულმა ხორუმმა სულ სხვა გრძნობები აუშალა. აზიზ ბაირამ თოზაქმა (ბექა ნებიერიძემ) ბევრი თანამემამულის აზრი გამოხატა:

— საქართველო გამახსენდა და ჩვენი წინაპრები. ეს ცეკვა რამდენიმე საუკუნისაა, ძალიან ძველი და ჩინებულია. ის ჩვენი წინაპრების კულტურა და ტრადიციაა.

ვერც ჩვენ შევძელით ემოცია დაგვემალა. ამ ლამაზსა და ამაყ სახეებში დარდიც მოჩანს და სიმტკიცეც. ეს ის ცეკვაა, რომელიც არც შემსრულებელს და არც მაყურებელს სამშობლოს დავიწყების საშუალებას არ აძლევს.

როდესაც მასალას გამოსაცემად ვამზადებდი, რადიო „თავისუფლებით" მოვისმინე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის იულონ გაგოშიძის დღიურის ჩანაწერები, რომელიც თურქეთში ვიზიტზე მოგვითხრობდა და ძალიან მესიამოვნა, რომ ბატონმა იულონმა ასეთი რამ თქვა: „ქართული ცეკვა და სიმღერა ქართველობისა და საქართველოს ხსოვნის შენარჩუნების ერთადერთი გზა ჩანს ჯერჯერობით."

ინეგოლი

მეორე დილით ქართველთა საზოგადოებას ვეწვიეთ. ის თურქეთში ერთ-ერთი პირველია და ქალაქ ბურსის მახლობლად ქალაქ ინეგოლის ცენტრში პატარა და კოხტა შენობაშია მოთავსებული. ოფიციალურად კავკასიის საზოგადოება ეწოდება. ამ ოთახში თითქმის ყოველდღე ათობით ქართველი იკრიბება და, როგორც ამბობენ, სათვისტომოს სამომავლო საქმეს აწყობენ. ოთახის ყველაზე გამორჩეულ ადგილას სტენდია, სადაც საზოგადოების დამაარსებელთა და წევრთა ფოტოებია გამოფენილი.

საზოგადოების ამჟამინდელი თავმჯდომარე ჩვენი ნაცნობი ბატონი მამია დუმბაძეა. ყოველდღე მოდის, საქმე არ ელევა. ზოგი სათვისტომოსგან დახმარებას ითხოვს, ზოგი წინაპრებზე ინფორმაციას ეძებს, ზოგს კი ახალი ღონისძიების მოწყობა უნდა. საზოგადოებაც ხომ სწორედ ამისთვის არის შექმნილი.

— ეს საზოგადოება 1977 წელში უფროსებმა გააკეთეს. რატო გააკეთეს? პირველად ახალგაზრდეებმა ისწავლონ ქართულად. ქართული ცეკვები სიმღერები არ დეივიწყონ, ქართული კულტურა არ დეივიწყონ. უფროსთან როგორ უნდა დაჯდნენ, პატარასთან როგორ უნდა იყვნენ. ეს პირველი და მეორე — აქ ქართველები სოციალურად, კულტურულად, ეკონომიურად ერთმანეთს დაეხმარონ. ცუდ დღეში, კარგ დღეში ერთად იყვნენ. საღამო რომ გახდება, ყველა მის საზოგადოებაში მოვდნენ.

ინეგოლის ქართულ საზოგადოებასთან ხალხური ცეკვის ანსამბლი არსებობს, აქ რვა ბიჭი და ხუთი გოგონა ცეკვავს. ანსამბლი თურქეთში ერთ-ერთი გამორჩეულია. მათ გასულ წელს საგანგებოდ თურქეთის პრემიერი რეჯებ თეიფ ერდოღანიც ესტუმრა. ანსამბლი მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი პრიზის მფლობელია. ინეგოლში თითქმის არცერთი ღონისძიება მათ გარეშე არ ტარდება. ბავშვები რეპეტიციებს საზოგადოების ეზოში გადიან და მათი გამოჩენა ხშირად სახალხო ზეიმს ემსგავსება. ასე მოხდა იმ დღესაც. საღამოს მოცეკვავეები სავარჯიშოდ შეიკრიბნენ. მეორე დილით ინეგოლის საკრებულოს სხდომა მათი გამოსვლით საზეიმოდ უნდა გაიხსნას.

საზოგადოების წინ საკმაოდ ფართო და კეთილმოწყობილი პარკია. ქორეოგრაფი საღამოს რეპეტიციას სწორედ იქ ატარებს. ახლომახლო სახლებიდან და ეზოებიდან მაყურებელი გამოდის, ისინი ინეგოლელი გურჯები არიან. რა ჯობია ხეებქვეშ სიგრილეში ჯდომას, ნაცნობი რიტმის მოსმენას და ახლგაზდების ცეკვის ცქერას. ბოლოს გული არც მაყურებელს უთმენს და რეპეტიცია სახალხო ზეიმს ემსგავსება. ცეკვავს ყველა ასაკის ადამიანი, უფროსებს პატარები ცვლიან.

განსაკუთრებით ერთმა, ექვსიოდე წლის ბიჭუნამ იყოჩაღა და ჩვენც სამუდამოდ დაგვამახსოვრა თავი. პატარა ტანისაა, ზამბარასავით მოქნილი, ცეკვისთვის საკმაოდ მოუხერხებელი, რეზინის სანდლები აცვია, მაგრამ ისე მარჯვედ ატრიალებს ფეხებს, ისეთ რთულ მოძრაობებს აკეთებს, გავოცდით. უფროსებიც მოწადინებითა და სიამყით უკრავენ ტაშს.

ცეკვა აქაურებისთვის ბევრს ნიშნავს, თურქეთში ქართველობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანი, გამოსარჩევი თვისებაა, ტრადიცია, წინაპრებისაგან რომ მიიღეს და შთამომავლობას გადასცემენ.

და ერთი დეტალი, რომელსაც ყურადღება გვიან მივაქციეთ. ბევრ ახალგაზრდას გულზე ვერცხლის მედალიონი ჰკიდია, მედალიონზე კი მოცეკვავე გოგო და ბიჭია გამოსახული, სუხიშვილების ანსამბლის სავიზიტო ფოტოდან აღებული. ეს ქართველობის ერთგავრი ნიშანია, ერთმანეთი რომ იცნონ.

სუათა დიდაჭარელი ოკორდიონზე უკრავს. მას ვკითხეთ, სად ისწავლა ან მელოდია, ან ცეკვა.

— მე პატარა ვიყავ, სოფლებში დიდვანებიდან დევინახე, იმათ ცეკვობდენ, იმათგან ავწიე ისე.

— რა ჰქვია ბოლო ცეკვას?

— ბოლო ცეკვას ხორუმს ვუძახით. დელი ხორუმი, ბეჩური (ახალგაზრდული) ხორუმი ჩვენებურად.

— რა დროს ცეკვავთ?

— ქორწილებზე ვცეკვობთ. გოგოებს რომ დენიშვნენ, იმაზე ვცეკვობთ. ასე მევიყრებით ხანდიხან სკოლაში, მოგვინდება და მაშინაც ერთად ვცეკვობთ. ძველებური რაცხა რომ დევინახავთ, ნუ მოკვდება, ვაცოცხლებთ.

აზრს ახლა აზიზ ეფა (ანზორ მამულაძე) გამოთქვამს:

— ესე ჩვენ სოფლებში ვცეკვობდით. დიდვანები ცეკვობდნენ, იქიდან დევსწავლით. პაწნობიდან დევიწყვეთ და აქნობაში ცეკვით მოვედით.

ყველა ცდილობს, თითო სიტყვა გვითხრას:

— ყოველ წელიწადს ვიკრებვით. გვიხარია, ჩვენ ასე მევიკრიბებით. ჩვენთვინ უმფრო კაია.

— აჰმედ საიგი (არიფაშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველო ძალვან გვიყვარს. ამ წესსაც აქ ვატარებთ. რაცხა არის დერნეგი (საზოგადოება) გვაქვს და ვატარებთ. — ნიზამეთ ილმაზი (ფუტკარაძე).

— ეს ცეკვები ჩვენ ქართველებში შეგხვდება, სუყველამ იცის. ჩვენი ბაბაები ჩამოსულან საქართველოდან, ჩვენ ეს ცეკვობა, ქართული ლაპარიკობა ჩვენ ბავშვებს ვასწავლით. ჩვენ ქართველი ვართ, ქართველად დევიბადეთ, ქართველად მოვკდეთ უნდა. — არიჯან ჭაღელიძე.

ზეიმი ინეგოლში დიდხანს გაგრძელდა. ერთად ყოფნითა და ურთიერთობით გული გვიან ღამემდე ვერ მოიჯერეს. მართლაც, გასაკვირი შემართებით ცეკვავენ, საკმაოდ ენერგიულ ილეთებს აკეთებენ, სწრაფად მოძრაობენ, არ იღლებიან. ცეკვავს ყველა, ასაკისა და აღნაგობის, წონისა და ზომის მიუხედავად. ალბათ საქართველოშიც კი გაგიჭირდებათ მოძებნოთ სოფელი თუ ქალაქი, სადაც ერთად ამდენ მოცეკვავე მამაკაცს მოაგროვებთ.

დილით ინეგოლის საკრებულოს შენობის წინ ვიყავით. დეპუტატები, რომელთა უმეტესობა წარმოშობით ქართველია, განსაკუთრებით ჩვენებურების ანსამბლის გამოსავლას ელოდნენ. ქართულ კაბებსა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი გოგო-ბიჭები დღეს სხვანაირები ჩანდნენ. ცეკვისას კი იმ სისხლის ყივილი გვესმის, რომელსაც დრომ ვერაფერი დააკლო. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად პროფესიონალები არიან, ცეკვაში რთული ილეთები აქვთ — ცერებზე დგომა, ჰაერში შეხტომა, მუხლებზე ტრიალი, შეჯიბრი.

ისევ ბატონ იულონ გაგოშიძეს დავიმოწმებ: „ამბობენ, ყველა ბავშვი ლამაზი და ნიჭიერიაო, მაგრამ აქაური ბავშვები განსაკუთრებულად ლამაზები და ნიჭიერები მეჩვენა“.

საადეთი – ბედნიერთა ახალშენი

ქალაქ ინეგოლს 16 ქართული სოფელი აკრავს. მათ შორის ყველაზე გამორჩეული საადეთია. ჩვენც იქით მივეშურებით. შორიდანაც კარგად ჩანს, რომ მუჰაჯირებს საცხოვებლად საქართველოსთან მიმსგავსებული ლამაზი ადგილები შეურჩევიათ, ისეთივე მაღალმთიანი და ტყიანი, როგორც აჭარაშია. სოფელში რომ შეხვალთ, ვერ დაიჯერებთ, რომ თურქეთში ხართ. ნალიები, კრამიტით გადახურული სახლები. ოღონდ ერთია, ეტყობა, ხელმოკლედ ცხოვრობენ. სოფლის შარაგზა მოუკირწყლავი, მოუწყობელია. აქა-იქ მესერიც გატეხილა, კრამიტიც დაცურებულა, სახლებიც ბოლომდე გამართული არ არის. აი, ერთ-ერთი ქალბატონი დამლა-ხანუმი აივნის მოაჯირს დაყრდნობია, ცალი ხელი თავზე აქვს მიდებული და რაღაც გამორჩეული სიმშვიდითა და სიდარბაისლით გველაპარაკება:

— ჩვენ გურჯები ვართ. ჩვენ თურქჩა არ ვიცოდით, ეხლა დავისწავლეთ. მთლად გურჯი ვიყავით.

— ბავშვმაც იცის გურჯული?

— მთელმა იციან. აქ ჩემ ბაბას სახლი ქონდა და ამოვედი აქა. ბათუმიდან ვართ. იქ ხისიმები (ნათესავები) გვყავს. ჩვენა ბათუმიდან მოვედით. სახლები გიიკეთეს, იქიდან აყრილან და აქ მოსულან, ტყეში დამჯდარან.

აქ ქალბატონმა გადმოცემით იცის, რომ ხისიმები ანუ ნათესავები აჭარაში მრავლად ჰყავს. თუმცა მათ სანახავად საქართველოში სიშორის გამო წასვლა ვერ მოახერხა:

— გურჯისტანიდან მოდიან და ჩვენ ვერ მივდივართ. ახლაო გზა გეიხსნაო, ახალი გზაო და იქიდანა სწრაფად არისო, თქვეს. ჩვენც მემრე ვეღარ წეველით.

— ამ სოფელს რა ჰქვია?

— ადრე ფაზარალანი, ახლა საადეთი.

— რამდენი ოჯახი ცხოვრობს?

— სამოცი. — სამოცის წარმოთქმა გაუჭირდა, ჯერ ჩუმად რაღაც დაითვალა და მერე გვითხრა.

სოფელში მამაკაცები არ იყვნენ. ისინი ყოველ დღე მთაში ადიან ხეების საჭრელად, მწყემსებსაც საქონელი საძოვრებზე აჰყავთ. პატრონად კი ერთი მოხუცი, ოსმან ყაზანჯიშვილი დაუტოვებიათ, რომელმაც სოფელ საადეთის ანუ ბედნიერთა ახალშენის ცხოვრებაზე გვიამბო:

— საქონელ ყავდნენ გაშენებული, ტყეში საქმობდნენ, იაილაში (საძოვარზე) ევიდოდნენ. კარტოფაი, სიმინდი, პური იმათ თესევდნენ იშთე ისინიც.

— აქ სულ ქართულად ლაპარაკობთ?

— სოფელში დიდვანები ჩვენებურა ვილაპარაკებთ. ჰამა (მაგრამ) წვიტებმა არ იციან. იციან და ვერ ლაპარაკობენ. ჩვენ იმფერი ნენეები გვყავს სოფელში, რომე თურქჩა არ იციან.

ტელეკამერის გამოჩენისას სოფლის გოგონებმა დაიმორცხვეს, თავიდან დაიმალნენ, ჩვენთან საუბარზე უარს ამბობდნენ, თუმცა უფროსების ჩარევის შემდეგ ყინული გალღვა. განსაკუთრებით ერთმა ქალიშვილმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება, გაზაფხულივით თეთრად აყვავებულმა, მკერდსავსე აიშემ. თავზე ჭრელი თავსაფარი ახურავს, ოღონდ ბოლოები შეკრული არა აქვს, ამიტომ ხშირად ისწორებს. არ ვიცი, ამით უხერხულობას მალავს, თუ ლამაზი თმის გამოჩენა უნდა. ჩვენსავით კამერაც ვერ აშორებს თვალს და ამიტომ ლამის ყველა კადრში ხვდება. აი, ახლა პურს მთავაზობს, შორიდან უხმოდ მაწვდის:

— გემრიელია?

— ოჰო.

პურს აქ ფურნეში აცხობენ, მეტი არომატისათვის ნიგოზს ურევენ.

— ფქვილი, წყალი, მარილი შუურევთ. პურია ემე ფურუნში. იქ პურია, გემეიღეთ! – ეს აიშეს დაა, უკვე გათხოვილი, შვილებიანი.

თვითონ გამოიღო, კარგად აფუებული, სქელქერქიანი, დიდი პური. ნელ-ნელა ახალგზრდა ქალები და მათი შვილები შემოიკრიბნენ. საუბარში სიმორცხვეც თანდათან გაქრა:

ჰიიმედ ჰარიქი (ვეზირიშვილი):

— გურჯი ვართ, ბითავე (ყველა) გურჯი ვართ. დედეები გურჯი ყოფილან, ჩვენც ვიცით. ჩვენ სახლში ვართ, ძროხა, ხბოო იმას ვუყურებთ. კაცები ტყეში არიან.

სოფლიდან წამოსვლა დავაპირეთ. საადეთელებმა საღამომდე დარჩენა გვთხოვეს, ჩვენებური მწყემსები კარგად მღერიან და მთიდან მათ

ჩამოსვლას დაელოდეთო. გვეჩქარებოდა და ვერ დაველოდეთ. წამოვედით და თან აქაური ბავშვების, ქალიშვილებისა და ახალგაზრდა დედების სახეები წამოგვყვა. თუ ინეგოლში მოცეკვავე მამაკაცების სიმრავლემ გაგვაკვირვა, აქ ულამაზესმა ოქროსფერკულულებიანმა ბავშვებმა, მართლაც რომ, გაგვაოცეს. დამერწმუნეთ, ამდენი და ასეთი შუქმფენი, კამკამა წყლისფერი თვალები არსად მინახავს. ძნელია დაივიწყო, ინტერესით სავსე, გაფაციცებით მომლოდინე მზერა. საადეთი ლამაზი სოფელიაო, ვთქვით, მაგრამ აქ ცხოვრება მძიმეა — მამაკაცები თითქმის მთელი ზაფხული ტყეში არიან, ქალები უვლიან საქონელს, საკარმიდამო ნაკვეთს, ოჯახს, ზრდიან შვილებს, ქართულს ასწავლიან. რა იქნება ათიოდე წლის შემდეგ, როდესაც ეს უმანკო ბავშვები ცხოვრების გზაჯვარედინზე დადგებიან? ცივილიზაციის ძახილი დიდი ქალაქებისაკენ მიუხმობთ და იქ იმ ორიოდე ქართულ სიტყვასაც დაივიწყებენ, რაც ახლა იციან, თუ წინაპართა სამშობლო გაუღებთ კარს და ორი ქვეყნის მეგობრობის სამსახურში ჩადგებიან? სად გამრავლდება მათი სილამაზე, გულწრფელობა? ეს ლამაზი თვალები ნახავენ მათ საკადრის მშვენიერებას?

ოილათი

საადეთის შემდეგ ოილათისაკენ გავეშურეთ. შორიდან რომ გახედავ, სოფელი მაღალ მთებს შორის პეშვისოდენა ადგილზეა გაშენებული. ბარიდან ამოსულმა მუჰაჯირმა ქართველებმა დაახლოებით საუკუნის წინათ დაარსეს. დღეს ოილათი თურქეთში ერთ-ერთი ლამაზი და პოპულარული კურორტია. აქაური თბილი წყლები განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა, ამიტომ ცხოვრების დონით საადეთისაგან სრულიად განსხვავდება. ოილათი პატარა ქალაქია. კურორტი ზამთარ-ზაფხულ მუშაობს, წყლის ტემპერატურა + 40 გრადუსს აღწევს. აბანოებში მოსული ხალხი რევმატიზმს, კანის დაავადებას, მოტეხილობასა და უშვილობას მკურნალობს. აბანოები მთლიანად მარმარილოთია მოპირკეთებული, ცხელი წყალი ლომის ხახებიდან გადმოდის. აქ ყველა სასტუმროს მფლობელი ქართველია, მათ ეს ქონება მემკვიდრეობით მიიღეს.

— იქაც ამფერებში ყოფილან, მაღალ იერებში (ადგილებში) ყოფილან. აქ მოსულან, აქაც მაღალ იერებში მოსულან. კაი ქნილა. — კარგად მოქცეულანო, იწონებს წინაპართა გადაწყვეტილებას ფაჰრი ექრანი (ბაზიერაშვილი).

— დედეები 120 წლის წინ მოსულან აქა. წამოსულან, ქვეით ჰილმიე, სოფელი ყოფილა. იმას იქინ ამოსულან აგერ აქა, აქაურობა მოუვლიათ, თიბილი წყლები უნახავთ აქა. მარა აქაურობა ტყე ყოფილა, გაფუჭებული ყოფილა. მემრე უცნობია აქაურ თავდიდებისათვის, ამოსულან, წასულან, გზები გუუხსნიან, გუულამაზებიან. — ეს ომარ ერქანმა (მანჯავიძემ) გვიამბო. მის სასტუმროს „ვარდი“ ჰქვია.

ისევე როგორც საადეთი, იოლათიც ძალიან ჰგავს მთიან აჭარას. ჰაერიც კი ისეთია, როგორც საქართველოშიო — ირწმუნებიან აქაურები. ყველგან გურჯები მუშაობენ, ქუჩაში ხშირად საუბარიც ჩვენებური ისმის, ამიტომ სოფელს პატარა საქართველოსაც ეძახიან.

— ჩვენი ბაბაები რომ ჩამოსულან, საქართველოსნაირი ტერიტორია მუუძებნიათ. აქაურობა კარქათ რომ გავს, აქაურობა მოწონებიათ, აქ დამჯდარან. დიდი მადლობელი ვართ იმათზე. ახლა ჩვენ ქალაქში, ინეგოლში ხომ თექვსმეტი სოფელი არის ქართველი. ქართველ წესებს ყოველ წელ ვიგონებთ. იმიტომ ჩვენ ინეგოლსა პაწა საქართველოს ვუყურებთ, ისე გვაჩვენდება. — სოფელ ოილათის გამგებელი მუსტაფა შეენი (ჯაველიძე) იმასვე ამბობს, რასაც თვითონაც ვხედავთ და აქ ყოველ ნაბიჯზე გვესმის. სამშობლოდან გადმოხვეწილები უცხო მხარეშიც სამშობლოს ეძებდნენ და ვიდრე მსგავს ადგილს არ იპოვიდნენ, არ მკვიდრდებოდნენ, გული არ უჩერდებოდათ, ვერ ეგუებოდნენ.

ოილათის მონახულების შემდეგ ბარისაკენ დავეშვით. ჩვენი გადამღები ჯგუფის შესახებ აქაურმა გურჯებმა უკვე იცოდნენ, ამიტომ გაჩერება და მათთან გასაუბრება გვინევდა. ყველას თავისი, ხშირად სევდიანი სათქმელი თუ დასაბარებელი ჰქონდა. ჰუსეინ აიბარმა (გიორგი ხაზინადარმა) ისეთი რამ გვიამბო, ფილოსოფოსის ნათქვამს რომ შეედრება.

— დიდი ბაბუა ჩამოსახლდა თურქეთში, მარა მაგის ძმა დარჩა ბათუმში და ერთმანეთის ნახვა ხო არ ჰქონდათ. აქ ჩამოსახლებული ბაბუა ეუბნება ძმას: — ძმაო, ჩვენ უკვე ველარ ვნახავთ ერთმანეთს, ამიტომ შენ მზეს უყურე, მეც უყურებ და ვითომ ერთმანეთს ვნახავთ, ერთმანეთს დაველაპარაკებით.

ჰუსეინ აიბარმა ქართული კარგად იცის, ეს კილოზეც ეტყობა და აზრსაც გამართულად გადმოგვცემს. ვინც საქართველოში ერთხელ მაინც ნამყოფია, ანდა ქართველებთან ჰქონია ურთიერთობა, ადვილად უღებს ალღოს და ითვისებს ჩვენებურ მეტყველებას.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოსდილება და გაფითხილება

„ჩვენ სასტიკი ადამიანების თაობა ვართ, ზოგჯერ — დაუნდობელიც''.

სულიკო ხაბეიშვილი

ამ ორიოდე თვის წინათ ქართველმა მკითხველმა მიიღო ერთ გამოცემად შეკრული ორი პატარა წიგნი:

ერთია სულიკო ხაბეიშვილის პოეტური კრებული "ციხის ლექსები", ხოლო მეორე — ამ კრებულის ავტორის მეუღლის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ქალბატონი გიული ურუშაძის „თითქოს სხივმა გადაკვეთა სხივი'', რომელიც დოკუმენტური პროზის უჩვეულო და მეტად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. იგი ეხება სულიკო ხაბეიშვილის ცხოვრების უაღრესად რთული და პოლიტიკური წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდს.

დიდი ინტერესით გავეცანი ორივე ამ წიგნს და წინამდებარე წერილის დაწერაც წაკითხულის შედეგად აღძრულმა ფიქრებმა და ემოციებმა განაპირობა. საბჭოთა საქართველოს თითქმის ერთსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არაერთმა სახელმწიფო მოღვაწემ თუ მოხელემ გაიზიარა ანალოგიური ბედი, მაგრამ სულიკო ხაბეიშვილის თავგადასავალი, გარდა იმისა, რომ განსაკუთრებულია, ჩემთვის უფრო ახლოსაცაა: ის არ არის მხოლოდ ბატონი სულიკოს და მისი ოჯახის ტრაგედია, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოების ტრაგედია და დიდი სირცხვილიც. ბატონ სულიკოს პირადად ვიცნობდი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამსახურებრივად მის დაქვემდებარებაში ვმუშაობდი. ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, მკითხველს გავუზიარო ჩემი მოსაზრება და ვთქვა ის, რისი თქმის უფლებასაც ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მაძლევს.

როგორი იყო ბატონი სულიკო და როგორი მახსოვს ის? იგი მე-20 საუკუ-ნის 60-იანელთა იმ თაობას განეკუთვნებოდა, რომელთა რიგებშიც ბევრი ნიჭიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი იყო, მათ შორის – სულიკო ხაბეიშვილიც: ერუდირებული, მასშტაბური, არაჩვეულებრივი ორგანიზატორი, ამავე დროს არცთუ უბრალო და მარტივი პიროვნება. პოლიტექნიკური განათლების მქონე სულიკო ხაბეიშვილი თანაბრად ერკვეოდა და ჰქონდა კომპეტენტური მოსაზრება ნებისმიერ სფეროსა თუ დარგში.

ბატონ სულიკოს ჯერ კიდევ ჩემი მოსწავლეობის პერიოდიდან ვიცნობდი (შორიდან), როგორც თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის ლიდერს. პირადად 1978 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიცანი, როცა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ამირჩიეს ჟიული შარტავას პირადი რეკომენდაციით, რადგანაც ამ დროისათვის სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც მუშაობის გარკვეუ-ლი გამოცდილება მქონდა. ბატონი სულიკოსაგან პირველი დავალებაც მივიღე — წარმომედგინა ჩემი მოსაზრებები, როგორ დაგვეძლია სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებული კორუფცია და როგორ აგვემაღლებინა სწავლის დონე. ფუნქციონალურად იგი ამ სფეროს არ კურირებდა: ის პარტიულ და სახელმწიფო კადრებს ხელმძღვანელობდა, მაგრამ განათლება მისთვის პრიორიტეტი იყო.

1982 წელს, როცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადავედი სამუშაოდ მისდამი დაქვემდებარებულ განყოფილებაში და, როგორც ინსპექტორს, რამდენიმე რაიონის კონტროლი დამევალა, მისგან მიღებული პირველი დავალება იყო სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის შექმნა ექსპერიმენტის სახით, კერძოდ, ყაზბეგის რაიონში. მანამდე რაიონის კოლმეურნეობები ,,წამგებიანი'' იყო — სახელმწიფოს ხარჯზე არსებობდა, ისევე როგორც მრავალი საბჭოთა მეურნეობა იმ დროს, ამიერიდან კი მეცხვარეებს საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ კოლმეურნეობების კუთვნილი ცხვარი, რათა ჰქონოდათ დაინტერესება — მოგება, ხოლო მოგების გარკვეული პროცენტი მათ სახელმწიფოს ბიუჯეტში უნდა შეეტანათ. ამ გაბედულმა წინადადებამ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებიც და მეცხვარეებიც დააფრთხო და მათ უარი თქვეს (ათქმევინეს) ამ შეთავაზებაზე. უარის მიზეზი მათი სახელმწიფოსადმი უნდობლობა იყო, — მოგვატყუებენო. ბატონი სულიკო არ ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობას, მაგრამ ამ დარგის სავალალო ბედი აწუხებდა და გამოსავალს ეძებდა. ამგვარი ნოვატორული მოსაზრებები და პროექტები მრავლად ჰქონდა, რაც მეც მაიძულებდა, უფრო ღრმად ჩამეხედა და მეფიქრა, რომ ქვეყანაში ცვლილებები უნდა მომხდარიყო.

მახსენდება უკანასკნელი შეხვედრა, როცა ,,დემოკრატიისა და აღორძინების'' ფონდში მუშაობდა, სვეტლანა ჩერვონაიას წიგნის — ,,აფხაზეთი. 1992 წლის პოსტკომუნისტური ვანდეას'' — ინგლისურენოვანი გამოცემის სათხოვნელად მივედი (ეს წიგნი მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გამოიცა). ა-გიდაზე ბევრი ქაღალდი ეწყო: — ახალ დროში ვცხოვრობთ, ახალი რეალობებია და ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის კომპლექსური გეგმის პროექტზე ვმუშაობ; თუ დაინტერესდები, შემოგვიერთდიო, — მითხრა. აღვფრთოვანდი

მისი შემართებით.ახლა კი ვაცნობიერებ, რომ დიდი რომანტიკოსი იყო. ჯერ ხომ ისევ ცოცხალ-მკვდარ საბჭოთა სისტემაში ვცხოვრობდით და განა შეიძლებოდა მისი გაკეთილშობილება?!

მინდა შევეხო სულიკო ხაბეიშვილის ცხოვრებისეული ტრაგედიის წინაპირობებს და ჩემეული ხედვა გაგიზიაროთ. ქალბატონი გიული აღნიშნავს, მის დასაჭერად ნიადაგი რამდენიმე ხნით ადრე მომზადდაო. ამას მაშინ მეც ვგრძნობდი. „ჩვენ დაავადებული თაობა ვართ. პიროვნება დაიმსხვრა... ადამიანი, რომელიც გაჩნდა იმისთვის, რომ იყოს შემოქმედი, — უკეთეს შემთხვევაში შემსრულებელი გახდა", — წერდა ბატონი სულიკო ერთ-ერთ ინტერვიუში.

თვით საბჭოთა რეჟიმის პირობებშიც კი სულიკო ხაბეიშვილი შეძლებისდაგვარად ცდილობდა შემოქმედი ყოფილიყო, თორემ მაღალი დონის შემსრულებელი ხომ ისედაც იყო. იმ დროს საბჭოთა საქართველოს საკავშირო წარმატებებში ლომის წილი მასზე მოდიოდა. იგი ბრეჟნევის გუნდთან დაახლოებული იყო, მას ენდობოდნენ მოსკოვში, მის სიტყვას უსმენდნენ, რაც, ბუნებრივია, საქართველოში მის გავლენას აძლიერებდა და ამავდროულად პარტიულ ელიტაში შურს აღძრავდა, ვინაიდან შესაძლებელი იყო, მომავალში ქვეყნის პირველი პირი გამხდარიყო. არა მარტო მას, არამედ სხვა პარტიულ და სახელმწიფო ლიდერებსაც ჰყავდათ თავიანთი მფარველები მოსკოვში, ზოგს ფარულად, ზოგსაც — ღიად. (მაშინდელი პოლიტიკური ვითარება დიდად მაგონებს დღევანდელი ოპოზიციური პარტიების ლიდერების მდგომარეობას. სავალალოა, რომ ისინი საბჭოური წესებით აგრძელებენ საქმიანობას, დინების საწინააღმდეგოდ „მიცურავენ" და კრემლის მოიმედენი არიან). ბევრი პარტიული ლიდერი თავის თავს პირველ პირად მოიაზრებდა მომავალში. ამიტომ ერთპარტიულ ქვეყანაში დაპირისპირება შიდაპარტიული იყო, რაც მოსკოვს ხელს აძლევდა. რატომ არ აღკვეთა მაშინდელმა ხელისუფალმა ეს დაპირისპირება? პასუხი მკითხველისთვის მიმინდვია.

ამ დროს კრემლის ნაწილი „პერესტროიკისთვის" ემზადებოდა, გორბაჩოვი და მისი გუნდი მოდიოდა, რომელსაც კომუნისტური სისტემის „დემონტაჟი" უნდა მოეხდინა ისე, რომ საბჭოთა კავშირი შეენარჩუნებინა, რუსეთის იმპერიაში უკანონოდ შეყვანილ ქვეყნებს ე. წ. საბჭოთა რესპუბლიკებს დამოუკიდებლობაზე არც კი უნდა ეფიქრათ. ამ მიზნით ჩაიდო სეპარატისტული ნაღმები, ეროვნულ მოძრაობებს ოსტატურად შეუგზავნეს „ეროვნული" აგენტურა, პროვოკატორები — რადიკალური ქმედებებითა და განცხადებებით. შევარდნაძე მოსკოვში იხმეს, მან მოასწრო გორბაჩოვის „პერესტროიკის ნავში" გადაჯდომა და დატოვა დაპირისპირებული ხელისუფლება. საქართველოს ხელისუფლებაშიც, ბუნებრივია, ის მოვიდოდა, ვინც გორბაჩოვთან მოასწრო დაახლოება; საჭირო იყო კონკურენტის ჩამოშორება და მომზადდა ე. წ. „ხაბეიშვილის საქმე". ასეთი იყო კრემლის თამაშის წესები (იქ დღესაც ასეა). საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა ბატონი სულიკო, მას რომ მოესწრო გორბაჩოვის „ნავში" ჩაჯდომა? მჯერა, რომ მსგავს თამაშს ის არ ითამაშებდა.

ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას ქართული საზოგადოება დაპირისპირებული შეხვდა. აქ იყო, ერთი მხრივ, სახელისუფლებო შიდა დაპირისპირება, ხოლო, მეორე მხრივ, მთავრობისა და ეროვნული მოძრაობის დაპირისპირება, რომელსაც ხელისუფლებისგან განაწყენებული ბევრი შემთხვევითი ადამიანი მიეტმასნა. როგორც ახლა ირკვევა, მოსკოვი სრულად აკონტროლებდა სიტუაციას თბილისში, მართავდა 9 აპრილის პროცესებს, რათა ნაჩქარევად, პოლიტიკურ სიტუაციებში ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელი ხალხის მასის თვალის ასახვევად, მოეყვანა ქვეყნის სამართავად სრულიად მოუმზადებელი ეროვნული მთავრობა, რომელსაც შიგ შეპარული თავისი აგენტურის წყალობით იმგვარ შეცდომებს დააშვებინებდა, რომ დაემსხვრია ერის ჯანსაღი ნაწილის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წმინდა ოცნებები, არასოდეს ეფიქრა დამოუკიდებლობაზე და საბჭოთა „წესრიგი" მონატრებოდა. კრემლმა მაშინ ამ მიზანს მიაღწია.

სწორედ ამ დროს გამოვიდა ციხიდან ბატონი სულიკო და ენთუზიაზმით შეუდგა ცხოვრებისა და საქმიანობის გაგრძელებას. სამწუხაროდ, იგი „რეანიმირებულ საბჭოთა საქართველოში" აგრძელებდა მოღვაწეობას, სადაც კვლავ კრემლის თამაშის წესები მოქმედებდა, რომელმაც დიდი დარტყმა მას უკვე მიაყენა. ის ვიღაცისთვის ისევ ხელისშემშლელი აღმოჩნდა და ამ თამაშის წესების სასიკვდილო მსხვერპლი აღმოჩნდა...

ქალბატონი გიული ურუშაძის წიგნი მისი მეუღლის, სულიკო ხაბეიშვილის ტრაგიკული ცხოვრების შესახებ დოკუმენტურად და გაბედულად გვიამბობს კრემლის რეჟიმის ბინძურ თამაშებზე გასული საუკუნის საქართველოში, კარგად წარმოაჩენს ქართული მმართველი საზოგადოების ზნეობრივ სახეს.

ჩემი აზრით, ეს წიგნი ძალზე აქტუალურია დღეს — არა იმიტომ, რომ ვინმეზე შური ვიძიოთ, არამედ იმისთვის, რომ გამოვაფხიზლოთ ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ „მოსკოვის ცრემლებისა სჯერა", მათ შორის, ის პოლიტიკოსებიც, რომლებიც კრემლის თამაშებში ჩაბმას ასე ეშურებიან; მათ უნდა იცოდნენ, რომ ამ თამაშებიდან გამარჯვებული მათგან ვერავინ გამოვა.

მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური



ნათელა სარაძე

ჩემს პროფესიაში დედას მყავს და მამას!..

გიორგი პიპინაშვილი ძლიერი, მთლიანი, გამოკვეთილი პოზიციის, მიზანმიმართული პიროვნებაა. ის მომავალი თაობის ხვედრზე, ბავშვების ბედზე, მათ სულიერ სიმდიდრეზე, ზნეობრივ სიმრთელეზე, მორალურ სიწმინდეზე მოფიქრალი მოქალაქეა.

გიორგი პიპინაშვილი მაღალი რანგის, საინტერესო ბიოგრაფიის, ნიჭითა და ოსტატობით, პროფესიული თვითშეგნებითა და ღირსებით გამორჩეული მსახიობია. ის მოკრძალებას, ყურადღებას, თანადგომას იმსახურებს, როგორც პიროვნება, მოქალაქე, ხელოვანი, მეგობარი და კოლეგა. გულმხურვალე და მოყვარული, მომთხოვნი და შემწყნარებელი მასწავლებელია, პატიოსანი და მტკიცე მოქალაქეა, ჭეშმარიტი პროფესიონალი და სცენის ტრფიალია. მაძიებელი, რისკის მოყვარული, აზარტული ბერიკაა!.. მას მელპომენაც სწყალობს და ფორტუნაც. თავად გამოჭედა თავისი მიზანი, სავალი გზაც, ხელოვნებაში ცხოვრების ფორმაც. ბედისწერასთან შერკინებაც ძალუძს და საკუთარ შესაძლებლობათა შეფასების უნარიც აქვს. მას წარმატება ვერ წაახდენს და მარცხი ვერ დათრგუნავს, რადგანაც გონიერი ადამიანია, ადამიანურ თვისებათა, სისუსტეთა და სიძლიერეთა მცოდნე, დაკვირვებული შემსწავლელი და სცენაზე, როგორც ხელის გულზე, უზადოდ გამომხატველია.

***

გიორგი პიპინაშვილი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის წარმატებული დასის წარმატებული წევრია, ხელმძღვანელობს თავისსავე ძალისხმევით დაარსებულ სტუდიას — ხელოვნების საყმაწვილო ცენტრს (არტ ჰოლს), ამასთანავე, არის ფონდის თავმჯდომარეც.

ჩვენ მის სტუდიაში შევხვდით. მიუხედავად იმისა, რომ კარგახანია ვიცნობთ ერთმანეთს და მეტად კეთილგანწყობილი ურთიერთობაც გვაქვს, ასე გულღიად და ამდენ ხანს არ გვისაუბრია. ჩვენ ხუთი საათი დავუთმეთ დიალოგს და რომ არა სტუდიის განრიგი, კიდევ გასტანდა ეს შეხვედრა. მან გულწრფელად გამანდო საწუხარიც, სიხარულიც, გეგმებიც; ვისაუბრეთ თეატრზე, სტუდიაზე, რეჟისურაზე, სამსახიობო ხელოვნების დღევანდელ პრობლემებზეც, მომავალი თაობის აღზრდაზეც და ჩვენთვის ეგზომ მტკივნეულ საკითხზეც. ის საუბრობდა სიამოვნებით, გახსნილად, გატაცებით, ტემპერამენტით, გადამდებად. ჩვენ ვსაუბრობდით, მაგრამ საგრძნობი იყო, რომ მსახიობი საკუთარ თავსაც ებაასებოდა, ამონმებდა პირად განცდებსა თუ შეხედულებებს, შესაძლოა, რამდენიმე საჩოთირო საკითხზე პირველად გამოსთქვამდა ხმამაღლა თავის აზრს. ამ დიალოგით ჩვენ კიდევ უფრო ახლობელნი აღმოვჩნდით, კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდით სათეატრო პრობლემებს და ორივემ გადავამოწმეთ საკუთარი მიგნებები, აზრი, შეფასებები.

გიორგი პიპინაშვილს რთული გზა აქვს გავლილი, ახლაც ძალზე გადატვირთულია: მძიმე ყოფა, თეატრი თუ სტუდიის პრობლემები, ადმინისტრაციული თუ შემოქმედებითი წინააღმდეგობანი — ყველაფერი მისგან მოითხოვს ძალთა მობილიზებას, დროის რაციონალურ განაწილებას, საზრიანობასა და სიბეჯითეს. ახლაც დაღლილი ჩანდა, მაგრამ დიალოგის შეწყვეტა არც უფიქრია. უამრავი საფიქრალი აქვს: დედის ავადმყოფობა, შვილის პრობლემები, სტუდიისათვის საკუთარი შენობის ძიება, როლზე მუშაობა, კინომსახიობთა თეატრის მდგომარეობა, საერთოდ პროფესიონალიზმისა, თუ კერძოდ, საკუთარი პროფესიის საჭირბოროტო ვითარება, საქვეყნო ვითარება... ის არ ცდილობს გვერდი აუაროს მწვავე ან საჩოთირო პრობლემებს, არ კეკლუცობს თავისი მდგომარეობით, თვითრეკლამისთვის ვერ იმეტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთებს, თუმცა საკუთარი მონაცემებისა თუ მიღწეულის ფასიც იცის და რეალურად აფასებს მოვლენებს; მოუცლელობის დემონსტრაციას არ ახდენს, ესმის ჩვენი შეხვედრის მნიშვნელობა, უბრალოდ, ხმამაღლა ფიქრობს, ეჭვისა თუ ორჭოფული დამოკიდებულების გადამოწმება სურს, გულწრფელია, ე. ი. მენდობა! ამ ნდობისათვის მადლიერი ვარ და ახლა მსურს გულღიად გამოვთქვა ჩემი მოსაზრებები: მას ყოველთვის სერიოზულ, გონიერ, ანალიტიკური აზროვნების პროფესიონალად ვთვლიდი, მიმაჩნდა, რომ მას გაცნობიერებული აქვს არა მარტო პროფესიის არსი, თანამედროვე მდგომარეობა, პერსპექტივა, არამედ ამ თეატრის ადგილი და მნიშვნელობა ჩვენი სათეატრო ცხოვრებისათვის. ამ შეხვედრამ გაამყარა ჩემი შეხედულება და სხვა თვალითაც შევაფასე თანამოსაუბრე. მოულოდნელი აღმოჩნდა? ვერ ვიტყოდი! მაგრამ ძალზე სასიამოვნო რამ აღმოვაჩინე — მას შეიძლება ენდო! ჩვენს პირობებში, როდესაც ასე გაშიშვლდნენ ადამიანები და გარანტირებული არა ხარ, ვინ როდის გიმუხთლებს, ყოფილი თანამოაზრე (თურმე შენ რომ გეგონა თანამოაზრე, სულაც არ ყოფილა ასე)! დუშმანი გამხდარა და უბრალოდ, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გაგწირავს, როცა ამის საშუალება მიეცემა, ასეთი ნდობა მეტისმეტად ფასეულია! და კიდევ აღმოვაჩინე, რომ სიჭარმაგეშიც შეინარჩუნა ჭაბუკური უშუალობა, დემოკრატიული ცხოვრების წესი, თავმდაბლობა: მას კოლეგები, მეგობრები, პარტნიორები, თანაკურსელები მიმართავენ უბრალოდ — გოგა, ან მეტსახელით — პიპიჩა. სტუდიის თანამშრომლებიც ასე ეძახიან — გოგა! ეს არ არის ფამილიარობა, ან „ახლობლობის თამაში", ეს სწორედ იმ ცხოვრების ფორმის, იმ სულიერი კონსტიტუციის გამოძახილია, რომლითაც გამოირჩევა გიორგი პიპინაშვილი. მისდამი მოკრძალება და პატივისცემა შეიგრძნობა ყველგან — თეატრშიც, სტუდიაშიც, სცენაზეც, გადასალებ მოედანზეც, ყოველდღიურ ყოფაშიც. ასე ხდება იმიტომ, რომ ის პიროვნებაა, პროფესიონალია, სიტყვის კაცია, თავისი ფასიც იცის და სხვისიც, უღალატო მეგობარია, უფრთხილდება ადამიანურ ურთიერთობებს, სიკეთეს იქმს და მისდამი გამოჩენილ ყურადღებას, ამაგს, კეთილგანწყობას არ ივიწყებს! არა, ის ფრთიანი ანგელოზი, უგონო ალტრუისტი, თავქარიანად ხელგაშლილი სულაც არ არის. ცხოვრებაში — რეალისტია, პროფესიაში ანალიტიკოსი, მეგობრებთან — რომანტიკოსი. დარდიმანდიც არის და, იმავდროულად, რაციონალურიც. ბეჩავი არასოდეს იყო და არც იქნება. ადვილად არ დაეჩაგვრინება არავის, ვერც გაუშინაურდები მეტისმეტად. გახსნილიც არის და გულჩათხრობილიც, გულითადიც და გულფიცხიც. ჩინებული პარტნიორია და ამით იფარება ყველა ის ნაკლი, თუ შეცდომა, რაც აქვს ან შეიძლება დაუშვას. გიორგი პიპინაშვილი, როგორც პიროვნება, მოქალაქე, ხელოვანი, კოლეგა — მისდამი პატივისცემით განგაწყობს.

ახლა ის შეპყრობილია ხელოვნების საყმაწვილო ცენტრის პრობლემებით, მისი მომავალით, იმ თაობის ბედით, ხვალ რომ უნდა ჩაუდგეს სათავეში სახვადასხვა სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, ორგანიზაციებს, თუნდაც, გასწიოს ქვეყნის მართვის ურთულესი ჭაპანი. შეხვედრისთანავე სიხარულით მითხრა: „ამ სტუდიის აღზრდილები უკვე პროფესიად ირჩევენ მსახიობობას. შარშან ჩვენმა ოთხმა მოსწავლემ სპეციალობაში უმაღლესი ქულები დაიმსახურეს, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. გახარებული ვარ, წელსაც აღმოჩდნენ მსურველები. გუშინ გათენებამდე ვმუშაობდით... იცით, როგორი დაღლილები, მაგრამ როგორი ბედნიერები ვიყავით! ასეთი წუთებისთვის ღირს ამდენი ენერგიის, დროის გაღება. ჩვენი პროფესიის არსში მინდა გავარკვიო მოწაფეები, პროფესიის ფლობა — ეს ძალზე მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ნიჭი და უნარია მთავარი, მაგრამ ახლა მხოლოდ ამ საგზლით შეუძლებელია გამორჩეული და უაღრესად მნიშვნელოვანი რამ შექმნა თეატრში. მაყურებელთან დიალოგის დროს გულწრფელობა, სახიერება და მისი ნდობის მოპოვებაა მეტად საგულისხმო, აქედან იწყება, თეატრალური ჟარგონის ენაზე რომ ვთქვა, დარბაზის ყურადღების „აკრეფა", თავდაპირველად ამას მიჰყვებიან კიდეც ადამიანები, მაგრამ რომ მონუსხო, გააოცო ასეთი გათვითცნობიერებული მაყურებელი, რომ მოაჯადოვო და „დაიპყრო" დარბაზი, მოულოდნელი სვლებიც უნდა შესთავაზო. ჯერ არნახული, ჯერ კიდევ არგაგონილი გადაწყვეტა უნდა აჩვენო. ეს რომ მოხდეს — პროფესიის არსის შეცნობა, თქვენ როგორც ამბობთ, პროფესიის ანა-ბანას გაცნობიერების გარეშე — შეუძლებელია! ძალზე კატეგორიული ვარ, იმიტომ, რომ სხვაგვარად მაღალი რანგის ხელოვნებას ვერ შექმნი, სხვაგვარად სცენაზე კარგად თამაში ახლა შეუძლებელია! აი, ეს მინდა ვაგრძნობინო ჩემს შეგირდებს, მინდა საერთოდ ხელოვნების და კონკრეტულად სასცენო ხელოვნების ანა-ბანა შევასწავლო მათ. მერე თავად იციან როგორ გამოიყენებენ ამ ცოდნას. ეს ცოდნა მხოლოდ გუმანით, ქვეცნობიერი პლასტების შემწეობით ვერ მიიღწევა. აქ, გონება, მხედველობა, გამჭრიახობა, პრაქტიკა — ერთი სიტყვით, ჭკუა და შრომაა მთავარი. ნიჭი კი უმთავრესია, მაგრამ... გააზრებული თამაში სხვა ელფერს ანიჭებს მსახიობის ხელოვნებას. ეს მინდა შთავუნერგო ყმაწვილებს, ასე მოვმართო თავიდანვე მათი გონება. ისინი ნებისმიერ სარბიელზე მოღვაწეობის დროს ასევე იმოქმედებენ, სერიოზულად და გონიერად მიუდგებიან ნებისმიერ საქმიანობას, მით უფრო, თუ ხელოვნების რომელიმე დარგს აირჩევენ პროფესიად.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა ამ ცენტრის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე ვაღიარებ — უაღრესად საჭირო და კეთილ საქმეს ვემსახურები, მაინც მგონია, რომ სამსახიობო ოსტატობა რეჟისორებმა უნდა ასწავლონ. ჩემი სამსახიობო გამოცდილება ჰყოფნის ასეთ სტუდიურ მუშაობას, პროფესიონალი მსახიობი კი რეჟისორმა უნდა აღზარდოს...“

ჩემდა უნებურად სამსახიობო სკოლის პრინციპებზე დავფიქრდი. გამახსენდა მიხეილ თუმანიშვილის გაკვეთილები, მისი მიდგომა ამ საკითხისადმი, მისი „სკოლა“. გიორგი პიპინაშვილი ამ სკოლის პრინციპებს ნაზიარები ხელოვანია. ეს ჩანს, თუნდაც, მისი აზროვნებით, ამ სტუდიაში მოღვაწეობით, საერთოდ სცენაზე მისი ყოფნის ფორმითა და თამაშის წესით. მის მონოლოგს გულისყურით ვუსმენ: „ჩვენს ხელობაში, ვფიქრობ, უმთავრესია პარტნიორზე ზემოქმედება, ამ „ბილიკის“ გავლით მიდიხარ „დიდი გზისკენ“ — მაყურებელთა დარბაზზე ზემოქმედებისაკენ. ამ დროს რეპეტიციაზე, აუცილებელია მესამე თვალი — რეჟისორის. ამის ახსნა შეუძლებელია, ეს თავად ჩვენი პროფესიის განვითარებამ, ახალმა „პროფესიულმა ვითარებამ“ მოითხოვა. კარგი რეჟისორის თვალი რეპეტიციაზე გარედან კი არ უთვალთვალებს მსახიობებს, არამედ მოქმედების დროს, ურთიერთობათა სქემის აგების პროცესში, მათს შორის იმყოფება, მოვლენის შიგნით არის, იმ „წრეშია“, მსახიობები რომ წარმოქმნიან. ეს ძალზე სპეციფიკური მომენტია, შესაძლოა, გარეშე თვალისათვის მოუხელთებელიც, მაგრამ... ამის გარეშე მსახიობისა და რეჟისორის შემოქმედებითი ურთიერთობა ხელოვნურია, ფოკუსებით აღსავსეა და არა ბუნებრივად შერწყმული... რეჟისორული ფოკუსების მიღწევა მსახიობებთან მუშაობის დროს, შედარებით იოლია. სადადგმო საკითხების გადაჭრას არ ვგულისხმობ, როლზე მუშაობის კოლექტიურ ფორმაზე ვმსჯელობ... მაგრამ შეთხზვის მომენტში შეაღწიო მსახიობთა ურთიერთზემოქმედების შიგნით და იქიდან არეგულირო მოქმედება — ეს იშვიათობაა. მე ბედმა გამიღიმა, თანაც ორჯერ!..“

***

მან 1976 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და გახდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი, მოხვდა ლილი იოსელიანის ჯგუფში. ერთი წლით ადრეც აბარებდა, მაგრამ იმხანად ატესტატის ქულებს უმატებდნენ საგამოცდო ნიშნებს და ერთი ქულა დააკლდა. მაშინ მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში მოხვდებოდა, მაგრამ განგებამ სხვანაირად ინება! არ ვნანობო, ღიმილით მეუბნება და თავის მონოლოგს უბრუნდება: „თავდაპირველად მულტფილმების რეჟისორობა მინდოდა. მამაჩემმა (მამა — ნოდარ პიპინაშვილი, მაშინდელი მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი გახლდათ, დასის ნამყვან ძალად ითვლებოდა — ნ. ა.) მირჩია სამსახიობო ფაკულტეტზე ჩააბარეო. როცა ინსტიტუტში ვერ მოვხვდი, ერთი წელი კინოსტუდიაში ვიმუშავე გამნათებლად. ვიდექი აპარატურასთან, ვუყურებდი როგორ მუშაობდნენ რეჟისორები მსახიობებთან და თანდათან ვიხიბლებოდი. ზოგჯერ ყველაფრის მიტოვება და გადასაღებ მოედანზე გაჭრა, მსახიობების ნაცვლად ამ სცენის თამაში მინდოდა, ძლივს ვაკავებდი საკუთარ თავს. ამ „გამოცდილებით“ ისევ ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში, ჩემთვის მთავარი იყო ხელობის შესწავლა, რეჟისორობაზე აღარ ვფიქრობდი. მივხვდი, რომ მსახიობის პროფესია შემიყვარდა. არა, უბრალოდ კი არ მიყვარს ჩემი პროფესია, არამედ არსებობა არ შემიძლია ამის გარეშე, ძლიერად მიყვარს ჩემი პროფესია და ყველაფერზე ვარ წამსვლელი...“

გამახსენდა, პირველად სცენაზე რომ ვნახე. ამდენი წლის შემდეგ, გონებაში ნათლად მაქვს აღბეჭდილი ერთი ეპიზოდი. მიხეილ თუმანიშვილმა მირჩია საკურსო სპექტაკლის ნახვა — გერჰარდ ჰაუპტმანის „მარტოსული“. თავად აღფრთოვანებული იყო „ლილის ბავშვების“ თამაშით. ერთად ვუყურეთ და მერე კარგახანს ვისაუბრეთ ეროვნული სამსახიობო სკოლის თვისებებზე. იგი იმდღევანდელ სტუდენტურ სპექტაკლს ხშირად იმოწმებდა. სცენის მარჯვენა კუთხეში გოგა დაჩოქილი იდგა, თავი მარინე ჭიჭინაძის კალთაში ჰქონდა ჩარგული, მხოლოდ მისი პროფილი ჩანდა. შავი შარვალი, მუქი ყავისფერი სერთუკი და დიდი, შავი ბაფთა, კიდევ უფრო გამოკვეთდა და ამუქებდა მოვლენას, მძიმე განწყობილებას ჰქმნიდა. მთავარი ის კი არ იყო — შინაგანად წრფელი, გრძნობააღვსილი, სევდისაგან გათანგული რომ ჩანდა პერსონაჟი, ასეთი „ნამდვილობა“, მართალი განცდა ამ პატარა სცენაზე ბევრჯერ დაბადებულა, არამედ ის, რომ სტუდენტის დახრილი თავი, გაქვავებული პროფილი, მოხრილი ზურგი — თამაშობდა! მორჩილად დახრილი თავი, მავედრებლად მოხრილი სხეული, გაფითრებული პროფილი, გრძნეული მდუმარება... გამოსახავდა სასონარკვეთას! პერსონაჟის მონოლოგი „გვესმოდა!“ მთელი მისი ბიოგრაფია „ჩანდა!“ მისი საწუხარი „იკითხებოდა!“ მისი წამოქცეული, გაყურსული, მოდუნებული სხეული — მოქმედებდა! ის, თითქოს, სისხლისაგან იცლებოდა, მომაკვდავის რიტმით ცხოვრობდა, შემდეგ გახევებული თრთოდა და გმინავდა, თუმცა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა, თითქოს მდუმარების კალთა გადაეფარა დარბაზს. ამგვარი „წმინდა წუთების“ იდუმალება, მისტიური, გრძნეული განწყობა, მისი შექმნა და გამოსახვა სცენაზე, მით უფრო გამართლება — მეტისმეტად რთულია, განსაკუთრებით ახალბედა მსახიობისთვის.

„მესამე კურსზე ვითამაშე იაკობ ხუცესი და ლუარსაბ თათქარიძე. ამ ორ ნაწყვეტს ერთად წარმოვადგენდით ხოლმე. ახალგაზრდა ლუარსაბს ვთამაშობდი, ხორეშანთან — რუსუდან ბოლქვაძესთან მქონდა დიდი ეპიზოდი. დიდი სირთულეც გადავლახე — ხან ვძვრებოდი მის ტყავში, ხან მის ტყავს ვირგებდი, ხასიათის მრავალგვარობა და მრავალხმიანობა შევიგრძენი და წარმოვადგინე პარტნიორთან ერთად. აი, მაშინ ვიგრძენი, რომ არტისტობა — ჩემი საქმეა. როცა კათედრას ვუჩვენეთ ნამუშევარი, ერთხმად აღიარეს წარმატება, გამოითქვა მოსაზრება, რომ მთელს საქართველოს უჩვენონ, განსაკუთრებით მსახიობებს — ნახონ, როგორ უნდა ითამაშო. არ ვამეტებ, ასე ამბობდნენ.

ხომ გახსოვთ, წინათ თეატრების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ საკურსო და სადიპლომო წარმოდგენებს, სასურველ სტუდენტებს სთავაზობდნენ დასში ჩარიცხვას. როცა სადიპლომო სპექტაკლზე ვმუშაობდით, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, სადაც რომეოს ვთამაშობდი, უკვე მქონდა რამდენიმე შემოთავაზება. ახმეტელის თეატრის ხელმძღვანელს, ლერი პაქსაშვილს, თითქმის დავთანხმდი ახალ თეატრში „მისვლას“. მერე გიგა ლორთქიფანიძემ შემომთავაზა სოსოიას როლი (ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, საგასტროლო მოგზაურობისთვის აღადგინეს — ნ. ა.) და იტალიაში გამგზავრება, უარი ვუთხარი — ლერი პაქსაშვილისთვის მიცემული სიტყვის გატეხა არ მინდოდა. ბატონი გიგა გამინაწყენდა. ამასობაში უსიამოვნება მომივიდა — ვიჩხუბე. მუშტი-კრივით ურთიერთობის გარკვევა, ჩემთვის უცხო არ იყო. ამ ამბავს მიხეილ თუმანიშვილი შეესწრო და ეტყობა, ამიტომ არ შემომთავაზა თავისი თეატრი. იმ წელს დიპლომი საერთოდ არ ამიღია, ნაპო ზაქარაიას, სახელმწიფო გამოცდების თავმჯდომარეს, ვთხოვდი — ორიანი გამიფორმეთ, არაფერი ვიცი-მეთქი, ძალით გავაფორმებინე არადამაკმაყოფილებელი. მეცნიერულ კომუნიზმს რა მომამზადებინებდა! ასე დავრჩი განაწილების გარეშე და აღმოვჩნდი ლერი პაქსაშვილის ახალგაზრდულ თეატრში. ასე დაინყო ჩემი კარიერა.

ბუნებით ენთუზიასტი ვარ. ახალ თეატრში ყველანი თავგადაკლული ვმუშაობდით სპექტაკლზეც და მუშებთან ერთად, შენობას ვაწესრიგებდით. ვითამაშე მუსას როლი (ვაჟას „მთანი მაღალნი“). ქამარ-ხანჯალიც კი საკუთარი ხელით „გამოვჭედე. საერთოდ კოსტიუმს, რეკვიზიტს, სხვადასხვა დეტალს თვითონ ვარჩევ, „გადავაკეთებ“ ჩემებურად, თვითონ ვუვლი. თეატრში ატმოსფერო არ მომეწონა და წამოვედი. საერთოდ, თავისუფლებას არაფერი მირჩევნია, ადამიანს არ შეიძლება საკუთარი ცხოვრება წაართვა! აქაც ამას ვუფრთხილდები, მათში ბავშვებს კი არა, უკვე პიროვნებებს ვხედავ და მშობლებსაც ამას ვთხოვ, პატივი სცენ მათ!.. დავრჩი უთეატროდ! შენი თავის „ძიება და პოვნა“, შენი ადგილის „ძიება და პოვნა“ ძალზე ძნელია, ბევრად რთულია, ვიდრე გგონია.

ერთხელ მანანა ანასაშვილი და რუსუდან ბოლქვაძე შემხვდნენ, ორივე ლილი იოსელიანის მოსწავლეა. მითხრეს, რომ ბატონ მიშას დაელაპარაკებიან და იქნებ... დაელაპარაკნენ. მეორე დღეს უკვე მის წინაშე ვდგავარ: ხულიგნობას თავი დაანებეო — მეკითხება ბატონი მიშა და დასძენს: „ლერისთან ყველაფერი გაარკვიე? აქ ხომ არ მომივარდება, მსახიობებს მართმევო?!“ როცა დავამშვიდე, დირექტორთან წადიო, მითხრა. ეს უკვე თანხმობას ნიშნავდა. ამ ამბავში ზურა ყიფშიძეც იყო გარეული, მასაც უთხოვია ჩემი მიღება. აი, ვდგავარ ჩემს სათაყვანებელ ეროსი მანჯგალაძის წინაშე. მას პირადად არ ვიცნობდი. რამდენჯერმე ახალგაზრდულ კლუბ — „ამირანში“, გამოვსულვარ, ბატონი ეროსი გამიხმოვანებია. ასე ახლოს არასოდეს მინახავს: „რეზო ჩხეიძეს დაველაპარაკები. ერთი წელი უშტატოდ იქნები. მერე ვნახოთ“, — მეუბნება და მიღიმის. 31 დეკემბერს, ამ თეატრის ტრადიციისამებრ, შევიკრიბეთ ახალი ნლის შესახვედრად. თითოეული ჰყვება რა მოხდა მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი. ისინი სცენაზე არიან, ჩვენ, უშტატოები, დარბაზში ვსხედვართ. ეროსი სცენაზე გვეპატიჟება — უკვე შტატში მიგიღეთო! სიხარულის შეძახილები, ტაში, ოვაცია, კოცნა...

ერთი კვირის შემდეგ ბატონი მიშა მიბარებს — ლევან უჩანეიშვილი გადაღებაზეა, „ბაკულას ღორებში“ შაშა უნდა ითამაშო“. დავიბენი. მეორე დღეს ბატონი მიშა და ეროსი ფოიეში დგანან. სად გავიკეთო გრიმი? ეროსი თავის საგრიმიოროს კარს აღებს — აი, აქ გაიკეთებ გრიმს, ვასილ ჩხეიძე, ვანიჩკა საყვარელიძე და მე ვართ ამ ოთახში. იქნები მეოთხე. მერე ჩაატარეს რიტუალი — ახალი გრიმის კოლოფი გადმომცეს და გრიმი თავად გამიკეთეს — ასე მოვინათლე კინომსახიობთა არტისტად! ბატონი ეროსი მეკითხება — ხომ არ გაგვიანდებაო. შეამჩნია, რომ საათი არა მაქვს და მითხრა: „საგრიმიორო არა გაქვს — გასაგებია! შე უბედურო, საათიც არ გქონია?!“ გაეღიმა, საათი მოიხსნა (ოსკარი!) და მომცა. ასე გახდა ეროსი ჩემი შემოქმედების ნათლია. დავმეგობრდით. ერთ დღეს მეუბნება — კომშის მურაბა მაქვს, ზაზა და რეზო იქნებიან ჩემთან, შენც მოდიო. ბატონი ეროსი ზაზა მიქაშავიძის და რეზო იმნაიშვილის უფროსი მეგობარი იყო, ძალიან უყვარდა ისინი. საღამოს სახლში რომ მივედი, დედაჩემმა მითხრა: ზაზამ დაგირეკა, ეროსი მანჯგალაძე გარდაიცვალაო. არ მახსოვს როგორ გამოვვარდი ქუჩაში, მანქანას ვაჩერებ, ვიჩხუბე, მილიციაში აღმოვჩნდი, ვყვირი: „გამიშვით, ხალხი არა ხართ, ეროსი გარდაიცვალა, მის სახლში მივდივარ!..“ ჩინით უფროსი მომიახლოვდა: თუ ეს მართალი არ არის, ციხეში დაგალპობო — მითხრა, მოტოციკლეტში ჩამსვა და

ვაკისკენ გამაქროლა. გამიშვა, ხალხი უკვე იყო შეკრებილი, ის მიკროფონით ხელში ტიროდა, ღრიალებდა: „ეროსი მანჯგალაძე გარდაიცვალა!“ მთელი უბანი ახმაურდა... ასე დავკარგე თეატრალური ნათლია“. მისი მონოლოგი სევდიანი გახდა. წუთით გაყუჩდა და განაგრძო:

„სიკვდილი — ეს ცალკე თემაა ჩვენი თეატრისათვის. როცა ბატონი მიშა გარდაიცვალა ბევრმა დაკარგა პროფესია. მისი თეატრი განსაკუთრებული ცხოვრებით გამოირჩეოდა, ამ ცხოვრების წესის ავტორი წავიდა ჩვენგან! დავობლდით! ეს სულ სხვა განცდაა. მსახიობსა და რეჟისორს შორის „საიდუმლო სერობა“ უნდა აღმოცენდეს, ეს უნდა შედგეს. თუ არა, მაშინ დღე-სასწაული არ დაიბადება. ეს ურთიერთობა — მისტიურია! ეს რიტუალი სრულდებოდა თეატრში ბატონ მიშას რეპეტიციებზე. ამას ხომ ვერ გაიმეორებ! ეს დღე-სასწაული თან წაიღო, გაუჩინარდა.

ლიზანდრის როლი პირველი იყო, რაზეც ვიმუშავე ბატონ მიშასთან თავიდან ბოლომდე. შაშა, მათხოვარი — „დონ ჟუანში“, გიორგი — „ჩვენს პატარა ქალაქში“ უკვე კარგა ხანს ნათამაშებ წარმოდგენებში „შევედი“ თავიდან გაგვიჭირდა როლის „მორგება“. ერთ დღეს ბატონი მიშას კაბინეტში შევიკრიბეთ ჰერმია, ელენი, დემეტრიუსი და ლიზანდრი (ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, გია აბესალაშვილი, გიორგი პიპინაშვილი — ნ. ა.). დავიწყეთ ეტიუდების შეთხზვა. რეჟისორმა სრული თავისუფლება მოგვცა, იმპროვიზაციულად ვქმნიდით ურთიერთობების ხაზს, ვთხზავდით ამბავს, ორი შეყვარებული წყვილის გაპარვისა და ტყეში აღმოჩენილი თავგადასავლის ამბავს. ვხტოდით, გაუგონარ სვლებს, საქციელს, რეპლიკებს ვიგონებდით, დავრბოდით, ერთმანეთს ვახტებოდით, ვჩხუბობდით, ვიცინოდით, „გავაფრინეთ, ვიგიჟეთ“... ბატონი მიშა ლაღობდა, ისიც ჩვენთან ერთად დარბოდა, იგონებდა ახალ-ახალ ვითარებას და გვკარნახობდა. დაიბადა — ახალგაზრდული სილაღე, თავისუფლების განცდა! ღამის ორ საათამდე გასტანა რეპეტიციამ და ჩვენზე ბედნიერი არავინ იყო ამ ქვეყანაზე, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი! ჩვენ აღმოვაჩინეთ რას ნიშნავს სიხალისე, შინაგანი თავისუფლება, ბედნერება!.. ამისთანა, მართლაც, „სათეატრო რიტუალი“ და ამგვარი გზნება — იშვიათია. კი არ ვამეტებ, იმ რეპეტიციას ვერ ვივიწყებ. ასეთი განცდა დამეუფლა სტუდენტობისას, ქალბატონ ლილისთანაც.

ხომ იცით, ლილი როგორი ძლიერი, ჭირვეული, პედანტიც კია. ვერაფერს გამოაპარებ! არც დაგითმობს, გაიძულებს გააკეთო. დამოუკიდებლად მომზადებული ეტიუდი უნდა მეჩვენებინა. ჯიუტად ვუთხარი, რომ არ ვუჩვენებ. ორი საათი „ვებრძოლეთ ერთმანეთს“, ბოლოს მაინც მიმიყვანა ზღვარამდე და დავიწყე... ძალზე ბანალური სიუჟეტი იყო. ვითომ, გარდაცვლილი მეგობრის ოთახში აღმოვჩნდი, მისი მოლბერტი შემრჩა ხელთ, ვერ გავუძელი და ავქვითინდი. როცა ვითომ მის ოთახში აღმოვჩნდი, რაღაც სიცარიელე, მის გარეშე ყოფნის სიმძიმილი შევიგრძენი, მოლბერტი მოვისროლე და ავტირდი! ვღრიალებდი, მერე აუდიტორიიდან გავვარდი, იქვე ლიფტთან ჩავჯექი და ვღრიალებდი. რა დამემართა — მერე გავაცნობიერე. იგივე შეგრძნება დამეუფლა, რაც ბატონ მიშასთან იმ რეპეტიციაზე.

საერთოდ ლილი და მიშა ჩვენს სათეატრო, საინსტიტუტო ცხოვრების შეფასებისათვის — ცალკე თემაა. ბედმა გამიღიმა, რომ ლილის მოწაფე, მიშას თეატრში მოვხვდი.

ლილისთან მთავარია ხასიათის ძირითადი თვისების „ჩვენება“, მერე შეგიძლია იმპროვიზაციით გემოქმედა, ათასი ნიუანსით შეგევსო ხასიათი. გრძნობათა სიწრფელე — განწყობის მიგნება — ორგანული მოქმედება, მისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ასჯერ, ათასჯერ შეუძლია თავიდან დაგაწყებინოს ეტიუდი, ან ეპიზოდის თამაში. მიშასთან ხასიათის მთლიანობაში ხედვა იყო მთავარი, ფორმას თუ მიაგნებიდი, მერე ხასიათის ლაბირინთებში „გარკვევა და გაღწევა“, თავისუფლად შეგეძლო. საერთოდ, „უსაგნო“ იმპროვიზაცია კი არა, არამედ კონკრეტული, ამბიდან გამომდინარე, მიზანმიმართული იმპროვიზაციისკენ გიბიძგებდა. ლილი და მიშა ავსებდნენ ერთმანეთს. ერთი სკოლის ორი განშტოება — თუ შეიძლება ასე ითქვას. ყოველი როლის თამაშში შინაგანად ვგრძნობ ლილის, ყოველი როლის სასცენო ბიოგრაფიის შექმნისას, შინაგანად ვხედავ მიშას! არ ვიცი, ზუსტად როგორ ჩამოვაყალიბო ეს უცნაური თანხვედრა... იმ რეპეტიციაზე, მიშას კაბინეტში, შინაგანად ვგრძნობდი ლილის არსებობასაც. აი, იმ რეპეტიციის დასასრულს ვიგრძენი, რომ უსცენოდ არ შემიძლია! უთეატროდ ვერ გავძლებ! ლილიმ, თითქოს, შვა ჩემში მსახიობი, მიშამ კი გამხადა არტისტი, გამომზარდა, გამოჭედა ჩემგან არტისტი, გამოაქანდაკა ხელობის მცოდნე ოსტატი. ასე, რომ ჩემს პროფესიაში, სასცენო ხელოვნებაში, დედაც მყავს და მამაც!

როცა „ქალაქში“ გიორგის როლზე დავიწყე მუშაობა, ქორწილის დღეს, დილით ჩემი საცოლის სანახავად მივდიოდი. ამ ეპიზოდში მთავარი იყო — არ შემიძლია არ ვნახო ნესტანი! „ჩავავლე“ თუ არა ამ ღერძს, მერე ადვილი აღმოჩნდა მოქმედება: ვწრიალებ ჩემს ოთახში, ვერ ვისვენებ, სუნთქვა მიჭირს, ვღელავ, არ შემიძლია... არ შემიძლია და რა ვქნა... უცბად, ვიღებ გადაწყვეტილებას. ორიოდ ნაბიჯი და ნესტანის სახლთან აღმოვჩნდი, ვაკაკუნებ სკამზე (კარებზე), მიღებს კარს დეიდა ქეთო, არ მიშვებს: ქორწილამდე საცოლის ნახვა არ შეიძლება, ცუდის ნიშანიაო. რა მესაქმება ამ „არ შეიძლებასთან“, აკრძალვასთან! მე ნესტანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახვა მინდა! არ შემიძლია ერთი წუთის გაძლება უნესტანოდ“ ამას ვთამაშობდი, მახსოვდა, რომ 14-16 წლისას უკვე მიყვარდა ჩემი თანაკლასელი, ნესტანი. ვთამაშობდი, რომ 17-18 წლის ახალგაზრდა სხვა რიტმით, ტემპერამენტით ცხოვრობს და ვერ გაუგებს ნესტანის დედას — რატომ არ შეიძლება ნახოს საცოლე! ეს განწყობა, აზრი, ვნებათაღელვა „მიმქონდა“ თან და ასეთი ზემოქმედებით ვიწყებდი სცენას ნინელი ჭანკვეტაძესთან. არ შეიძლება განყდეს პარტნიორთან ურთიერთობის ჯაჭვი, არ უნდა დაირღვეს ატმოსფერო, განწყობა. ამას ორივე, ლილიც და მიშაც მეუბნებოდნენ...“

გამახსენდა სასაფლაოს სცენა: ნესტანის „კუბო“ ჩაასვენეს საფლავში. ახლობლებმა იტირეს და წავიდ-წამოვიდნენ. გიორგი დარჩა. იდგა საფლავთან მარტო, ფერმიხდილი, თავდახრილი და... შიგნით, მისი სულის ნაწილი კვდებოდა ჩვენს წინაშე. ისინი ერთად კი არ იყვნენ, ერთნი იყვნენ და ეს ერთნი — იშლებოდა, ირღვეოდა, ქრებოდა ჩვენს თვალწინ. მას არ სურდა, არ შეეძლო, ვერ ეგუებოდა ამ ერთიანობის დაშლას, დარღვევას, ქრობას! გიორგის ნაწილიც დარჩა აქ, სასაფლაოზე, ნესტანთან ერთად, ის სხვაგვარად იცხოვრებს ამიერიდან!.. არ ვიცი, როგორ ახერხებდა ამას მსახიობი, ის კი ვიცი — სულისშემძვრელ ზემოქმედებას ახდენდა ეს სცენა მაყურებელზე!

ჩემი რესპოდენტი გახსნილად მეუბნება: „მიუხედავად იმისა, რომ ამ დასის ნევრი გავხდი და სპექტაკლებშიც ვთამაშობდი, „ქალაქის“ განახლებული დადგმის რეპეტიციებზე ვიგრძენი, რომ ეს იყო პირველი შეხება „მიშას თეატრთან“, „თუმანიშვილის სკოლასთან“. ეს იყო ამ განსაკუთრებული დასისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, მე აღმოვჩნდი „წრის“ შიგნით, უკვე შემეძლო „მიშას ბიჭების“ გვერდით, ჩემი ადგილი მომეპოვებინა. ეს არ არის ადვილი, ეს არ იყო იოლი...“

მიხეილ თუმანიშვილი სიამოვნებას იღებდა გოგასთან მუშაობის პროცესით. ერთხელ, რეპეტიციის შემდეგ, შემოვრჩით დარბაზში. ბატონი მიშა აღგზნებულია, თვალები უბრწყინავს: „ორი დღეა ვეძებ იუპიტერის პირველი სცენის ტექნიკურ გადაწყვეტას (ჟან ჟიროდუს „ამფიტრონი-38“). ჯერ ვიფიქრე დიდი, დახრილი კიბე და ზედ წითელი ხალიჩა ხომ არ დავდგათ, მაგრამ ამ პატარა სცენაზე ეს არ შეიძლება. მერე ვიფიქრე, ჰაერში სხვადასხვა სიმაღლეზე ღრუბლები ხომ არ დავამაგროთ და ასე ჩამობრძანდეს იუპიტერი, მერე სხვა ტექნიკური გადაწყვეტა მოვიფიქრე და... აი, რეპეტიციაზე გოგა გამოჩნდა აივანზე, დიდებული ფიგურა მეწამულისფერ სამოსში გამოწყობილი! ის კი არ ჩამობრძანდა დედამიწაზე, კი არ გამოანათა მარტო, არამედ ელვარე მედიდურობით გაბრწყინებული, ამაყად დაეშვა დედამიწაზე! არც კიბე, არც ნოხი, არც ღრუბლები! მან თვითონ ითამაშა, წარმოადგინა იუპიტერის სიკაშკაშე, გასხივოსნება, დიდებულება. აი, ეს არის ნიჭი, არტისტიზმი, ოსტატობა!“ ბატონი მიშა სიხარულს ასხივებს.

იუპიტერი — პიპინაშვილი სცენაზე მართლაც, გოროზი მედიდურობით, ზვიადი ძალოვანებით, მოგიზგიზე ამპარტავნებით ეშვებოდა, თან მოჰქონდა სხივის ნათებასავით მგზნებარე ვნება და ბალღურად ატაცებული თვითკმაყოფილება. შეუვალი სიამაყით ზემოდან დაჰყურებდა თავის წყალობას — ადამიანთა ყოფას... სიამით ისმენდა მერკურის ხოტბასა და ჭორებს, მერე კმაყოფილი სტყორცნიდა მზერას მსტოვარს... უნებურად ისწორებდა მდიდრული სამოსის ნაკეცს და... უეცრივ ქრებოდა მთელი ეს დიდებულება! გაფუყული მამლაყინწა შემორჩათ ადამიანებს! რეჟისორის ჩანაფიქრი — იუპიტერის კვარცხლბეკიდან „ჩამოგდება“, მისი სავალალო მეტამორფოზის ირონიული საფარველით წარმოჩენა — მსახიობმა ერთი „უბრალო“ ხელის მოძრაობით, მიმიკითა და გამოხედვით გამოსახა. ინტელექტუალური დრამის ნიშანი — პოზიციათა დაპირისპირების კარდიოგრამა, მითის ინტერპრეტაციის ხარისხი და პოსტმოდერნიზმის მახვილი ირონიაც ხელის გულზე გადაგვიშალა მსახიობურმა სახიერმა გამომსახველობამ.

***

სამსახიობო სკოლის არსებობა, ეს საძირკველი სამსახიობო ოსტატობაა, ძალუმად შეიგრძნობა გიორგი პიპინაშვილის შემოქმედებაში. ეს გამოცდილება, ცოდნა, ხელობის ფლობა, რაც შეიძინა იოსელიანი-თუმანიშვილის „სახელოსნოში“, ნიჭთან და ინტელექტთან ერთად, მთელის ძალით გამობრწყინდა პარუმ ოსეფას როლით, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სცენაზე რაფიელ ერისთავის კომედია, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, გიორგი მარგველაშვილმა დადგა 1995 წელს.

პარუმ ოსეფა — პიპინაშვილი სანახაობის მფეთქავი ნაღმია, მისი მშვენება და გამორჩეული ნიღაბია. მასში ჭეშმარიტი პროფესიონალიზმის, ნიჭიერების, გარდასახვის ოსტატობის, პერსონაჟის დისტანციური ჭვრეტის უნიკალური უნარის, ფერმწერისა და გრაფიკოსის თანახმიერი ხედვის მიღმა, ქართული საშემსრულებლო სკოლის უმთავრესი ნიშან-თვისებაც საცნაური ხდება. სპექტაკლის წინა დღეს ბატონი მიშა თეატრის ფოიეში მხვდება, გატაცებით საუბრობს მსახიობის წარმატებაზე: „პიპინაშვილი თამაშობს მთელ XIX საუკუნეს, უფრო ზუსტად XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისურ ყოფას, ის წარმოადგენს იმ პერიოდის მსახიობ-ვარსკვლავთა დასს, ოღონდ დისტანციით შეფასებულს“... მისი ოსეფა სამუზეუმო ექსპონატიც არის და, იმავდროულად, ცოცხალი, აი,

ამ წუთებში შექმნილი პერსონაჟიც — პირველი შეფასება ასეთი იყო, სიცილისაგან ცრემლმორეულმა რომ მივახარე ბატონ მიშას.

გიორგი პიპინაშვილი ამბობს: „ვეძებდი პერსონაჟს კი არა, არამედ ჟანრს... ვეძებდი ხერხს, რომ პერსონაჟი დამენახა ამ ჟანრში. ავიღე ჩემი და მეგობრების პაპების სურათები, ჩავამწკრივე და ვუთვალთვალებდი... ოსეფა თან დამყვებოდა. ერთხელ მანქანის სარკიდან დავინახე, როგორ დაიხარა მოხუცი და აიღო დაგდებული ჩანთა... ყველგან დავდიოდი — დალაქთან, რომ მენახა, როგორ პარსავდნენ და კრეჭდნენ მოხუცებს; მკერავთან — როგორ კერავდნენ კოსტიუმს მოხუცებისთვის; კინოსტუდიაში გრიმიორებთან — როგორი გრიმი გამეკეთებინა. მინდოდა ჩოფურა ყოფილიყო. ჯერ ბამბას ვიწეპებდი სახეზე, მერე გრიმს ვიკეთებდი. რაღაც გამაღიზიანებელმა მიბიძგა და სხვა გზით დავიწყე ოსეფას ძებნა, რადიკალურად სხვა თვალით დავინახე პერსონაჟი, თითქოს, ნაჯახით გამჭრეს შუაში — ვხედავდი ტიპს, დამოკიდებულება მქონდა მასთან, განვიცდიდი, დავდიოდი, ვლაპარაკობდი, როგორც ის... მერე ვხედავდი — მეორე ტიპს, ახლა მასთან მქონდა თავსატეხი... ეს პროცესი მისტიკასთან არის ახლოს... თან ვიტანჯებოდი, თან მსიამოვნებდა ეს „გაორება", ეს ორმაგი „ცხოვრება". რა არ ვცადე, რა არ მოვიგონე. ვმუშაობთ დაძაბულად და დადგა დღე, როცა თუმანიშვილს უნდა ვუჩვენოთ...

ბატონი მიშა სიურპრიზების მოყვარული იყო. გადავწყვიტეთ, ჩვენც სიურპრიზი მოვუწყოთ. ველოსიპედით მინდოდა შემოსვლა სცენაზე, მერე ოსეფა აივნის ბოძზე ძვრება და ყვირის — „ჩამამსვითო!" როცა ბატონმა მიშამ პირველად ნახა, ამ მიზანსცენის თაობაზე გვითხრა: „ამას გამართლება უნდა, ეს მიხრწნილი მოხუცი რომ ბოძზე აძვრეს — ეს უნდა გაამართლოთ!.. დავიჩემე, რომ ეს მიზანსცენა დაგვეტოვებინა. მკერავთან დავრბოდი და ორი ზომით დიდი კოსტიუმი შევაკერინე — ამ ძველთაძველ სამოსს გადასაგდებად ვერ იმეტებს ძუნწი ოსეფა. მე თვითონ ვაუთოებდი, რომ სცენაზე აპრიალებულიყო, როგორც დიდი ხნის ხმარებისაგან პრიალებს სამოსი... აივნის ბოძზე, უკანა მხრიდან ხის პატარა ნაჭრები დავამაგრე, რომ აძრომა შემძლებოდა. მეორედ ასე ვუჩვენეთ ბატონ მიშას რეპეტიცია. როცა მომილოცა, გადამეხვია და მაკოცა, ყოჩაღო — მითხრა. ამ მიზანსცენას მხოლოდ ეროსი, ან სერგო ზაქარიაძე თუ გაამართლებდნენო. მისი ახლობელი გავხდი. ხელში ეჭირა გაწყვეტილი ვერცხლის ბურთულებიანი კრიალოსანი. ბატონი მიშას გარდაცვალების შემდეგ, მისმა მეუღლემ მაჩუქა ეს კრიალოსანი. ახლაც ჯიბეში მიდევს, თილისმაა ჩემი"...

არ ვიცი, თილისმის შედეგია, თუ... ყოველ სპექტაკლს ძველებურად ძალთა სრული მობილიზებით, ძალზე სერიოზულად, პროფესიული თვითშეგნებით თამაშობს, თამაშობს, როგორც ერთადერთ შესაძლებლობას, თითქოს სწორედ დღეს, აქ, ამ წუთში წყდება მისი პროფესიის ბედიღბალი, თამაშობს, როგორც უკანასკნელად — გზნებითა და მახვილგონიერი ნიუანსებით... არ თამაშობს „მაყურებელზე", არ კეკლუცობს მასთან...

არტისტული სილაღე, თამამი იმპროვიზაცის და პლასტიკური სიზუსტე — ასე თამაშობს პიპინაშვილი პარუმ ოსეფასაც; თამაშით ტკბობა და თამაშით შეგონება — ასე ზემოქმედებს მსახიობი მაყურებელ'ზე; გამოსახვის ფორმათა სიჭრელე და სინატიფე, რისკი და სიმწყობრე — ასე გამოსახავს მსახიობი ერთ კონკრეტულ ტიპს, რომელშიც „მთელი მოდგმის ამბავი იკითხება" (რედგრეივი). გიორგი პიპინაშვილის პერსონაჟი იმ ძველი აივნიანი ქუჩაბანდებიდან აღმდგარი ნიღაბია, ბუნებრივად რომ შეაქვს სცენაზე იმ ყოფის სურნელი და მთელის ძალით განაცდევინებს იმ ცხოვრების ტკბილ-მწარე ნიუანსებს. ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია ტრადიციის აღორძინების, გააზრების, გამდიდრების ფაქტიც. რეჟისორისა და მსახიობის გადაწყვეტაში ტრადიციის ცხოვლისმყოფელი ძალაც შეიგრძნობა, მისი ტრანსკრიფციაც ხდება, უახლოვდება და შორდება კიდეც წინაპართა მიგნებებს, ვაკვირდებით ვასო აბაშიძის, კოტე ყიფიანის, ნიკო გოცირიძის, ვასო გომიაშვილის და სხვათა მიერ შექმნილ და გავრცობილ ტრადიციას, ამასთანავე, ამ გზის დისტანციურ შეფასებასაც.

პარუმ ოსეფა სცენაზე შემოდის მსუბუქი ნაბიჯებით, თითქოს თავისი მილეული სხეულის სიმჩატითაც კი დედამინის შენუხებას ერიდებაო. ის საკუთარ ჩრდილსაც გაურბის, ემანდ ფულების დათვლის დროს არ მითვალთვალოსო. ძველი, ხმარებისაგან აპრიალებული შავი კოსტიუმი ნათხოვარივით ჰკიდია გალეულ სხეულზე. პეწიანი ჩაცმა-დახურვისათვისაც ვერ გაუმეტებია ზანდუკში ჩაწნეხილი ფულები! წლების სიმძიმილით დაგროვილი გამოცდილება და შემუშავებული „ფილოსოფია" (ბაზრიდან დაბრუნებისას კალათიან მოსამსახურე გოგოს უკან უნდა მიჰყვე, სანოვაგიდან ერთი სტაფილოც რომ არ დაგცანცლოს!), იძულებულს ხდის ფარად მოუხმოს ცბიერ ღიმილს, ტკბილ მასლაათს, გულუბრყვილო მზერას, ვირეშმაკობა იწინამძღვროს, რათა უშფოთველი ცხოვრება გაინაღდოს, გადაარჩინოს ზანდუკში მიმალული ბანკნოტები! არავინ მიუხვდეს ძველ ზანდუკში რაც ხდება! პარუმ ოსეფას სხვა დარდი, ფიქრი, საზრუნავი არ გააჩნია. მისი ცხოვრების აზრიცა და მისწრაფებაც ისაა — ოღონდ შერჩეს თავისი ნაამაგარი! უთუოდ, ამისთანებზეც უთქვამს ბრძენს: „შეხედე და განერიდე" (დანტე). რეალობის ამ მარტივი საფეხურის გადალახვა, ამ უმარტივესი სტადიიდან გაღწევა ოსეფა — პიპინაშვილს არ სურს, უფრო ზუსტად სხვაგვარი არსებობა ვერ წარმოუდგენია, ეს „სხვა" მისი

სააზროვნო სივრცის მიღმა არსებულია და ამდენად გაუგებარი მოცემულობაა. ეს, მსახიობი არღვევს რეალობის კარიბჭეს, მის საზღვრებს გარეთ დაატარებს პერსონაჟს, როგორც ფულის მარწუხებში აღმოჩენილ, საკუთარ ნიჟარაში შეყუჟულ, ცხოვრების სიბრძნისაგან გაუცხოებულ, ფუთფუთა და გახუნებული სიბერის ნიშანდობლივსა და სახიერ ნიშანს. გაუცნობიერებელი შიშია ამ ნიღბის ძირითადი ფერი, ხასიათის ძირითადი ბგერა, როლის მარცვალი. შიშის ფენომენი მრავალგზის გამხდარა ინტელექტუალთა მსჯელობის ობიექტი. მეტად საგულისხმოა შიშის ორი სახეობის გამოყოფა — უმარტივესი, „უმანკოების" საფეხურის შიში — „შიში არაფრის წინაშე" და მაღალი საფეხურის შიში — „შესაძლებლობის შიში" (კირკეგორი). დანიელი ფილოსოფოსის მოსაზრებათა გაზიარებით, ჰერმან ჰესეც შიშის დიფერენციაციას ახდენს: „ბუნებით გამოწვეული შიში" და „გონით გამოწვეული შიში". თუ მათს პოზიციას დასაშვებად მივიჩნევთ და ვაღიარებთ იმასაც, რომ ერთი მდგომარეობის შიშიდან მეორეში გადასვლა „ნახტომით ხდება, მაშინ შესაძლებელია აღინიშნოს — გიორგი პიპინაშვილი ოსეფას შიშს წარმოგვიდგენს „ცხოვრების პრიმიტიულ-ინფანტილურ" სტადიაში მყოფს, ის თამაშობს პერსონაჟს, რომლის შიში „არაფრის" წინაშე არის ინდივიდის შინაგანი ბიძგი, მამოძრავებელი „ზამბარა" და დაბალი საფეხურიდან უფრო მაღალ სტადიაში გადასვლა (გონით გამოწვეული შიში) მას არ უწერია! ოსეფა მარადიული უმწიფრობის, მარადიული „უმანკოების შიშის" სტადიაშია ჩარჩენილი. თითქოს ამ მოსაზრების ილუსტრაციას ახდენს მსახიობი სცენაზე. თითქოს, მასაც მიესადაგება ჰესეს სიტყვები: „ერთი რამე კი სრულიად ვერ წარმოუდგენიათ ამ ადამიანებს: შიშის გარეშე მინდობოდნენ და დანებებოდნენ ბუნებასა და სულთა სამყაროს ... შიში განაგებდა ადამიანთა ცხოვრებას ... შიში იყო ის ტვირთი, რომელიც მძიმედ აწვა მათ ცხოვრებას ..." შიშის „ზამბარა" ანცად ხტის პარუმ ოსეფას შინაგან სამყაროში!

არტისტი ღირსეულად დაატარებს თავის გმირს ბეწვის ხიდზე, გემოვნებითა და აზრიანი გამომსახველობით მთელი მოდგმის ნიშანს აქანდაკებს. მიხეილ თუმანიშვილი ხელოვანის სინატიფესა და გემოვნებას, ზომიერებასა და აზრიან თამაშს მეტისმეტად აფასებდა, მას „არტისტობის არისტოკრატიზმს" უწოდებდა. ამ თვისებით გამორჩეულია გიორგი პიპინაშვილიც. ეს ჩანს მის როლებში — სცენაზეც, ეკრანზეც, ესტრადაზეც... კვლავ მსახიობის მონოლოგს ვუსმენ:

„ჟანრი — მისი თავისებურება ძალზე საგულისხმოა, ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ. როცა ჯემალ ბაღაშვილთან ერთად ვმუშაობდი „იუმორინასთვის" პარუმ ოსეფას ტექსტზე, მთელი ამ საესტრადო — სალაპარაკო ჟანრის თვისებები შევისწავლე, შევითვისე, გავიაზრე. ესტრადაზე მაყურებლის „შეგრძნება" — გადამწყვეტია. ბაღაშვილმა ზედმიწევნით იცის ეს ნიუანსები, ამ ჟანრის თავისებურება, გრძნობს ესტრადის „მაყურებლის არსებობას". ოთხი თვე ვიმუშავეთ, რომ ოსეფას ახალი ტექსტი „ჩამესვა" მის ხასიათში, ორგანული რომ ყოფილიყო თანამედროვე მახვილგონიერება ოსეფას ბუნებისათვის. სლენგი, ამ პერიოდის სალაპარაკო ენა, ინტონაცია, ჩვენთვის აქტუალურ პრობლემებზე აქცენტის გამახვილება — რთული სამუშაო გახლდათ. შედეგი — მაყურებლის რეაქციამ განსაზღვრა.

თეატრი — განსაკუთრებული ფენომენია. აი, თუნდაც ეს საკითხი: იმპროვიზაცია და სპექტაკლის სტრუქტურა, დადგენილი გამჭოლი მოქმედება, საქციელთა რიგი... ეს სპეციფიკური და ურთულესი პრობლემაა. არასოდეს ვარღვევ ეპიზოდის სტრუქტურას, ლოგიკას, მთლიან მონახაზს, ხასიათის ღერძს... ეს ჩემი პრინციპია, ამას ვემორჩილები, მაგრამ ამ „წრეში" თავისუფლად ვმოქმედებ, ახალ-ახალ შეფასებებს, ტონალობას, ნიუანსებს ვაგნებ და ასე „ვაცოცხლებ", უფრო ზუსტად, ასე ვუხანგრძლივებ სიცოცხლეს პერსონაჟს. არასოდეს ვთამაშობ „მაყურებელზე", მასზე იაფფასიანი ზემოქმედებისათვის. კომედია, თითქოს, თავისით გიბიძგებს ამისკენ. ჩემთვის ეს არის ყველაზე მიუღებელი ჩვენს პროფესიაში. ჩემთვის აქ მთავრდება ჭეშმარიტი შემოქმედება, ნამდვილი თეატრი, ყოველ შემთხვევაში „თუმანიშვილის თეატრი!" ეს თეატრი კი ჩემთვის ძვირფასია"...

მახსენდება ბატონი მიშას სიტყვები, როდესაც ამ თეატრის გახსნისათვის ემზადებოდა: „სტუდიური მუშაობა, ასეთი განწყობაა ჩემთვის ახლა მთავარი. ამიტომაც მინდა დავარქვა „სახელოსნო" — კინომსახიობთა სახელოსნო. სტუდიური ატმოსფერო, სტუდიური მუშაობა ხუთ-ექვს, ან ოთხ წელიწადს გრძელდება... მერე იზრდებიან მსახიობები, ყოფა და ცხოვრების რეალობა, ზოგჯერ ამპარტავნება, ზოგჯერ სხვა „წვრილმანი" საკითხები, შიგნიდან ანგრევს ამ სტუდიურ მუშაობას. ჰოდა, აი ამდენ ხანს თუ გაძლებს სახელოსნო — სტუდია, ხომ კარგი! თუ მეტ ხანს — ხომ კიდევ უფრო კარგი! თეატრიც ასეა — გარკვეული იდეით, მრწამსით, პრინციპებით იხსნება ახალი თეატრი — არსებობს ათი-თხუთმეტი წელი, მერე უკვე ხელოვნურად გრძელდება მისი არსებობა, მაგრამ ის „რაღაც", რაც შიგნიდან ბრწყინავდა მასში — დაიკარგა! გაქრა! ვნახოთ რამდენხანს გასტანს ამ თეატრის სიცოცხლე, ახალი თეატრების დაბადება — აუცილებელია!"

გიორგი პიპინაშვილმა დღემდე შეინარჩუნა „თუმანიშვილის თეატრის" კუთვნილება.

ბერლინის „დოიჩე ოპერა“

ლასვილ კოკინოიშვილი

მოსაჩსის „დონ ჯიოვანი“ ბერლინში

ბერლინი, იმ ისტორიული გაერთიანების შემდეგ, უალტერნატივოდ გახდა გერმანიის წამყვანი კულტურული ქალაქი. დღეისათვის მასში კონცენტრირებულია სამი საოპერო თეატრი და რამდენიმე საკონცერტო დარბაზი (მათ შორის ფრიდრიხ შინკელის კლასიკური შენობა). ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა სახის ფესტივალები, რომელთა შორის ყველაზე სახელგანთქმულია ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი და ა.შ.

ჩამოსულ ტურისტს ქალაქის ღირშესანისნაობებისა და კულტურული ცხოვრების გაცნობაში ეხმარება ბერლინის ტურიზმის სამარკეტინგო ფირმა Berlin Tourismus, რომელიც თავის საქმიანობას ახერხებს და აწესრიგებს ბარათის მეშვეობით (erlin Welcome Card). ბარათი იძლევა სულ ცოტა 25% შეღავათს როგორც ქალაქის დასათვალიერებლად არსებულ (საავტობუსო, საველოსიპედო და სანაოსნო) ტურებში მონაწილეობისას, ასევე მუზეუმებსა და ბაღებში, საკონცერტო დარბაზებსა თუ რესტორნებში შესვლისას. ბარათს მოყვება პატარა ზომის წიგნაკი, სადაც დეტალურად არის მითითებული ადგილები, საშუალებები და ფასდაკლებები. ბუნებრივია, რომ იგი ასევე მოიცავს საქალაქო ტრანსპორტში უფასო მგზავრობასაც. „ბერლინ ტურიზმუსის“ ოფისის პრესასთან ურთიერთობის თანამშრომლის ქ–ნ ნიკოლ როებელის მხარდაჭერით მეც შევიარაღდი აღნიშნული ბარათით და ჩემი ხანმოკლე ვიზიტის ფარგლებში ვაპირებდი ქალაქის კულტურული და სოციალური ცხოვრების სიღრმეებში გათვითცნობიერებას...

სამი საოპერო თეატრისაგან (eutsche Oper Berlin, Staatsoper Unter den Linden, Komische Oper) 2010–11 წლების სეზონისთვის, ოქტომბრის თვეში, მეტად საინტერესოდ მომეჩვენა „დონ ჯიოვანის“ პრემიერა დოიჩე ოპერა-ში. სპექტაკლს უნდა წაძღოლოდა სახელმოხვეჭილი დირიჟორი რობერტო აბადო, მთავარ როლში უნდა გამოსულიყო იტალიელი ბანი ილდებრანდო დ’არქანჯელო. რობერტო აბადო არის სახელგანთქმული კლაუდიო აბადოს ძმისშვილი და უკვე საკმაოდ გამოცდილი საოპერო დირიჟორი. 90–ან წლებში იგი დაინიშნა მიუნხენის რადიოს ორკესტრის მთავარ დირიჟორად და სწორედ მაშინ ჩაიწერა სტუდიაში როსინისა და ბერლინის იშვიათი ოპერები ვასელინა კაზაროვასთან ერთად, რამაც დადებითი შეფასება დაიმსახურა საერთაშორისო პრესაში.

დოიჩე ოპერის პრეს ოფისის მიერ ჩემთვის დაჯავშნული ბილეთი, მათივე წერილის მიხედვით, რატომღაც წარმოდგენამდე ნახევარი საა-

თით ადრე უნდა ამეღო სალაროში. ამ მინიშნებამ ოდნავ გამაკვირვა, რადგან პრაქტიკიდან ვიცი, რომ ევროპის სხვა საოპერო თეატრში ჯავშანი დროით ლიმიტირებული არსად არ ყოფილა.

წინა დღით ჩასულს ბერლინი დამხვდა წვიმიანი, მუქ ფერებში შემოსილი. ჩემი შეხედულებით, ქალაქი გარკვეულ მეგაპოლისის შთაბეჭდილებას ახდენს – მას ევროპიული ქალაქის იერი დაკარგული აქვს: ისტორიული უბნები წაშლილია ან განადგურებული ომის შედეგად, თანამედროვე კვარტლებს ხშირად ახლავს რუხი ფერებით ჩამუქებული ინდუსტრიული შენობები. მხოლოდ აქა-იქ თუ ახარებს თვალს რომელიმე კოხტა შენობა, ან პარკი და მიუხედავად ყუოველივე ამისა, ქალაქი თავისი არქიტექტურული რაციონალიზმით, ქუჩებისა და უბნების მოწესრიგებით და ხალხის განუწყვეტელი დინებით მაინც ტოვებდა ჩემთვის ნაცნობ და ახლობელი ქალაქის შთაბეჭდილებას.

უამინდობის გადამკიდემ, მთელი დღეები მუსიკალურ და „ჰაი–ფაი" მაღაზიებში გავატარე. ამან თავისი კვალიც დამიტოვა: სათეატრო სამზადისისთვის სასტუმროში მიბრუნებულს ჩამძინებია და 15 წუთის დაგვიანებით შევძელი მხოლოდ დოიჩე ოპერასთან მისვლა.

ფოიეში შავ სმოკინგში გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცები, — თეატრის მომსახურე პერსონალი დამხვდა. ყურადღებით მომისმინეს, წერილიც წაიკითხეს, თუმცა სკეპტიციზმი ვერ დამალეს — დღეს ანშლაგია და თქვენს ბილეთს აუცილებლად გაყიდდნენო. ასეც დაადასტურა სალაროების ოფისმა ტელეფონით. თურმე ბილეთიც რომ დაეხვედრებინათ, დაგვიანებულს დარბაზში მაინც არ შემიშვებდნენ და სპეციალურ ოთახში ტელევიზორით მომიწევდა სპექტაკლის ნახვა. ეს ჩემთვის დიდი ნუგეში არ იყო... დამწყდა გული. ხელმეორედ ვუამბე სმოკინგიანებს ჩემი ამბავი და დავსძინე, რომ სპეციალურად ამ საპრემიერო სპექტაკლისთის ვარ ჩამოსული. ერთ–ერთმა პერსონალთაგანმა გულთან მიიტანა ჩემი ამბავი და მირჩია დავლოდებოდი შესვენებას, ბედი მეცადა, იქნებ ვინმეს (მაყურებელს) დაეტოვებინა დარბაზი და ბილეთი მოეცა.. ამის შანსი ძალზედ მცირე იყო, მაგრამ უკან დასახევი გზა არ მქონდა. მართლაც, შესვენების პირველივე წუთებში ერთმა მადლიანმა ქალბატონმა გადმომცა თავისი ბილეთი და მისი პარტერის ადგილიდან ჩავერთე „დონ ჯიოვანის" მეორე აქტში. სიმართლე რომ ითქვას, გამიკვირდა, როდესაც დონ ჯიოვანი და ლეპორელო დღევანდელი სტილით გამოწყობილი – ტანზე მომჯდარ შავ სპორტიულ კოსტიუმებში ჩაცმულები გამოვიდნენ სცენაზე, რადგანაც ფოიეში განფენილ მრავლობით პლაკატზე დ'არქანჯელო შესატყვისი ეპოქის ტანსაცმელში იყო წარმოდგენილი..

აქტი დაიწყო პანტომიმით – დონ ჯიოვანის კლანჭებში გახლართული ახალგაზრდა სოფლის გოგონა (თეთრებში) ხდება მისი მორიგი მსხვერპლი (შემდგომში ირკვევა, რომ ის ცერლინაა), რომლის მიწაზე გართხმულ სხეულს იგი გულგრილად გადააბიჯებს და ბარათით ამცნობს დარბაზს, რომ ეს მისი მეოთხე მსხვერპლია. ამის შემდეგ უკვე დაიწყო ოპერის მუსიკალური ნაწილი (დუეტი Eh via, buffone) და პატრონმა და მსახურმა ტანსაცმელი ერთმანეთში გაცვალეს. რეჩიტატივები მიდიოდა ფორტეპიანოსა და ჩელოს თანხლებით. შავ–თეთრ შუქ–ჩრდილში სცენა ძალზე ძუნწი ჩანდა, სიცარიელეს ავსებდა მხოლოდ პანტომიმის შავოსან მამაკაცთა გუნდი, რომელიც პრაქტიკულად პერმანენტულად დაყვებოდა დონ ჯიოვანისა და ლეპორელოს. ისინი რაღაცით მაგონებდნენ ბრეხტის თეატრის გმირებს და საერთოდ, გერმანული დრამატული თეატრის პარალელები ძალზე ნათელი იყო. ტრიოს, დონა ელვირასთან, მოყვა დონ ჯიოვანის კანცონეტა eh vieni alla finestra, რომელშიც დ'არქანჯელომ ისეთი ნელი და მოუქნელი ტემპი აირჩია, რომ მანდოლინამ რეპრიზის დროს საგრძნობლად გაუსწრო მომღერალს, ამიტომაც ჩაერია დირიჟორი და კანცონეტას ფინალი უკვე მოცარტის კი არა, არამედ მანდოლინის შემსრულებელის ინტერპრეტაცია იყო. მიუხედავად მკვრივი, დიდი ხმისა დ'არქანჯელო რეჩიტატივებისა და სცენების მიღმა ძალზე არადამაჯერებლად და მოუქნელად გამოიყურებოდა, რამაც ჩემში საფუძვლიანი ეჭვი დაბადა, რომ ეს პარტია მისთვის შესაფერისი არ იყო. ვოკალის ასეთ უსახო დონ ჯიოვანის ფონზე მეტად შთამბეჭდავი იყო ლეპორელოს შემსრულებელი — იტალიელი ბანი ალექს ესპოზიტო. ევროპის სახელგანთქმულ თეატრებში მან სახელი უკვე მოიხვეჭა მოცარტისა და როსინის ოპერებში შესრულებული მრავალი პარტიით.

შემდგომი სცენები მაზეტოსთან არც იუმორითა და არც მოქმედებით არ იყო სათანადოდ გაჯერებული, ამიტომაც ცერლინას გამოჩენა დ მაზეტოს დაწყნარება, რომელიც ლეპორელოს ტანსაცმელში გადაცმული, დონ ჯიოვანის მიერ გაილახა, არ იყო დამაჯერებელი. სოფლის გამნარებულ მაცხოვრებლებს ემატება დონა ანა და დონ ოტავიო. მათ ხელთ ჩაუვარდებათ ლეპორელო, გადაცმული დონ ჯიოვანის ტანსაცმელში. ამ სცენაში (სექსტეტი Sola sola, in buio loco) ლეპორელო ჯუჯის სახით გვევლინება და შემდგომ უკვე თავის არიაში (Ah! pietà, signori miei!) რატომღაც ნავთობის დიდ ბაკში იმალება (შავსამოსიანი ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებიც თუნუქის დიდ ბაკებში იმალებოდნენ, არც იუმორს მატებდნენ და არც ხაზს უსვავდნენ სცენიურ მოქმედებას).

დოიჩე ოპერის საშტატო ტენორი, დონ ოტავიოს როლში გახლდათ კორეელი მომღერალი

იოზეპ კანგი, იგი მეორე აქტში საერთოდ არ შეიმჩნეოდა, რადგან ცნობილი არია „Il mio tesoro“ არ შესრულდა და მოქმედება პირდაპირ გადავიდა დონა ელივირას რეჩიტატივსა და არიაში (Mi tradì quell'alma), რომელიც რუმინელმა მეცოსოპრანომ რუქსანდრა დონოზემ შეასრულა კარგ ტემპში და დრამატულად, თუმცა ამას ვერ ვიტყვით არიის ტექნიკურ მხარეზე — პასაჟები ოდნავ მძიმე აღმოჩნდა მომღერლისთვის. ამ ახალგაზრდა მომღერალს შთამბეჭდავი კარიერის გზა აქვს გავლილი. მისი რეპერტუარი მოიცავს ვივალდის ბაროკოს ოპერიდან თანამედროვე მუსიკამდე. ის, რომ დონა ელვირას პარტიას ასრულებს მეცოსოპრანო, არ არის ტრადიციული, თუმცა, ბერნარდ ჰაიტინგის აღიარებულ ინტერპრეტაციაში გამოშვებულ EMI records-ზე ამ პარტიას ცნობილი მეცო მარია ევინგი ასრულებს.

შემდგომი სცენა სასაფლაოზე მეტად უცნაურად იყო დადგმული. ლეპორელო და დონ ჯიოვანი ჯერ ერთმანეთს გადამეტებულად ეფერებოდნენ, ფემინურმა ნოტებმაც გაიჟღერა მათ ტემბრში. კომანდორის ხმას მოყვა გამოხმაურება დარბაზიდან (ვიღაცამ წამოიყვირა), რამაც მხიარულება გამოიწვია, მაგრამ ამან სპექტაკლი არ შეაჩერა და, რადგან მსგავსი კაზუსი მოგვიანებით განმეორდა, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს გენერალურ გეგმაში გაწერილი ქმედება იყო. რეჩიტატივში პატრონი და მისი მოსამსახურე (Ah! Ah! Ah! questa è buona!) ჯერ გერმანულ ენაზე გადავიდნენ (ლეპორელომ თარგმანის კითხვა წამოიწყო, რომელიც სპეციალური პროექტორით სცენის თავზე ისახებოდა), მერე კიდევ ელექტრონათურით კომანდორის მოურიდებლად ძიებამ დარბაზში — პირველ რიგში მსხდომ მსმენელებს თავი

შეაწყინა. გაფარსებული და გამოდერნისტებული მოცარტის დრამა საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურებოდა. შემდგომი დუეტი ორმა ავანტიურისტმა უკვე უნისონში შეასრულა. ასევე უცნაურად დადგმული იყო დონ ჯიოვანის სასახლეში ქეიფის სცენა. გრძელ მაგიდაზე დონ ჯიოვანი, ლეპორელო და პანტომიმის დანარჩენი პერსონაჟები შავად შემოსილნი, ყველანაირად ცდილობდნენ ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ კომპოზიციის გამეორებას. ოპერის ფინალში კომანდორის ქანდაკება საერთოდ არ ჩნდება, მაგრამ საშინელების და ბედისწერის განცდა კულმინაციას აღწევს – ლეპორელო გარბის ყვირილით და დონ ჯიოვანი ქვესკნელში ვარდება – აღსრულდა კომანდორის შურისძიება. შემდგომი ულამაზესი ფინალური ეპილოგი, რომელიც დონა ანას და დონ ოტავიოს უნდა დაეწყო (Or che tutti, o mio tesoro), არ შესრულდა და მის ნაცვლად ისევ პანტომიმა – დონ ჯიოვანი გამოჩნდება, აჩვენებს ბარათს, სადაც №1 წერია და ქრება სცენის ბოლოში. ჩემთვის მოულოდნელობა იყო დონ ოტავიოსა და ფინალის ამოღება, რადგან რვა სრული ჩანაწერიდან, რომელიც ჩემს პირად ფონოტეკას ამშვენებს, არც ერთში ამგვარი კუპიურა არ არის. საფუძვლიანად განვსაჯე, რომ შესრულდა ოპერის ვენის ვერსია, სადაც მოცარტმა ამოიღო ეპილოგი და ოტავიოს არია მეორე მოქმედებიდან, მაგრამ პრეს–ოფისმა ეს არ დაადასტურა და კუპიურები ახსნა ინსცენირების აუცილებლობით. ყველა შემთხვევაში დარბაზი გაიყო და პირველად ცხოვრებაში მომსწრე გავხდი როგორ ავლენდა შეყვირებით დარბაზის ნაწილი თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორის – როლანდ შვაბის ინტერპრეტაციის მიმართ. საბოლოოდ აპლოდისმენტებმა იმატა, რაც უკვე მომღერლებსა და დირიჟორს ეკუთნოდა. დონა ანას პარტიაში გამოდიოდა ახალგაზრდა ლატვიელი სოპრანო მარინა რებეკა, რომელმაც თავი დამამახსოვრა ლა სკალას უკანასკნელი სპექტაკლით — „როსინის მოგზაურობა რეინში“. თუკი მომღერლებს ცალკეულად განვიხილავთ (გარდა ტენორისა და დ'არქანჯელოსი) ისინი დაკისრებულ პარტიებს კარგად გაუძღვნენ. მაგრამ ყოვლად ანტიმუსიკალური მეჩვენა დადგმა. აშკარა იყო დირიჟორის დაბნეულობა და ინსცენირებაზე ხელმძღვანელობის უუნარობა, რამაც ჩააგდო სპექტაკლი და ნაცვლად კაშკაშა პრემიერისა გამოვიდა სრული ფიასკო. სამწუხაროა, მაგრამ ძალზე უკმაყოფილო და კითხვებით სავსე ვტოვებდი დოიჩე ოპერის დარბაზს, რომელიც თავის მხრივ არ წარმოადგენს კლასიკური ოპერის შენობას. იგი არის თანამედროვე საკონცერტო დარბაზი. მეორე მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული ეს შენობა, ბერლინის დაყოფის შემდეგ მხოლოდ 1961 წელს გაიხსნა, მაშინაც მოცარტის „დონ ჯიოვანით“!

მარა მიქარა

ქართული ხელოვნების დღესასწაული ნიდერლანდებში

12 ივნისი, ნიდერლანდები, ქალაქ ამსტერდამის აეროპორტი.

მოწესრიგებულ და საათივით აწყობილ გრაფიკში რაღაც უჩვეულო ცვლილებაა. ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლი, მხატვრული სახელოსნო „კვინტა ესენცია“ შორეული ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებისათვის ამსტერდამის სხიპჰოლის აეროპორტში ჯერ ჰოლანდიურ ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებს ასრულებს, შემდეგ კი... საგანგებოდ ამ დღისთვის ნასწავლი ქართული სიმღერა ჟღერს. ფესტივალ „იბერიას“ მონაწილეები და სტუმრები, სასიამოვნოდ გაკვირვებულები ასეთი მიღებით, ქართულ სიმღერას აჰყვნენ, ოღონდ, რა თქმა უნდა, უფრო თამამად და ომახიანად.

შეხვედრის ორგანიზატორი, ქალბატონი დალი უბილავა-დე გრაფი ძალიან ღელავდა — იმის მიუხედავად, რომ აეროპორტის ადმინისტრაციამ წინასწარ იცოდა ფესტივალის ორიგინალური დასაწყისის შესახებ, მაინც ასეთი „ხმაური“ სხიპჰოლში მიღებული არ არის და შესაძლებელი იყო ამას გარკვეული უსიამოვნებები მოჰყოლოდა. კანონის მიხედვით, ჰოლანდიაში საზოგადოებრივ ადგილებში ხმა გარკვეულ დეციბალს არ უნდა აღემატებოდეს, სხიპჰოლში მონიტორებზე რეკლამებიც კი უხმოდ ტრიალებს. მაგრამ ქართულმა სიმღერამ, აეროპორტის ყველა კუნჭული რომ გაავსო საამური ჰანგებით, თითქოს ყველა წესი და რიგი შეცვალა. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა და აეროპორტის მისაღები დარბაზი ნელ-ნელა დიდ, მზით გაჩახჩახებულ, იმპროვიზირებულ საკონცერტო დარბაზად იქცა.

შეიძლება ითქვას, სწორედ ამ წუთიდან დაიწყო ფესტივალი „იბერია“.

აეროპორტში ჩატარებული უჩვეულო კონცერტი ერთგვარი რეკლამაც გახდა და საღამოს ლეიდენის თეატრის გადაჭედილი დარბაზი აღფრთოვანებული აპლოდირებდა ანსამბლ „რუსთავის“ მრავალფეროვან პროგრამას, ცეცხლოვან ცეკვებსა და ყოვლისმომცველ ქართულ მრავალხმიანობას. კონცერტს არა მარტო ლეიდენელები, არამედ ჰოლანდიის შორეული ქალაქებიდან, აგრეთვე რუსეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან და იტალიიდან საგანგებოდ ჩამოსული მაყურებლებიც ესწრებოდნენ.

მაყურებლებსა და ფესტივალის მონაწილეებს საქართველოს პირველი ლედი, სანდრა ელისაბედ რულოვსი (რომლის პარტონაჟითაც ჩატარდა ფესტივალი), ფესტივალის დირექტორი დალი უბილავა-დე გრაფი და ქალაქ ლეიდენის მერის მოადგილე იან იააპ დე ჰანი მიესალმნენ.

„Georgia always on my mind“ — ბრძანა მერის მოადგილემ მისალმებისას და იმ საღამოს, ანსამბლ „რუსთავის“ საუცხოო კონცერტის შემდეგ, მაყურებლები მართლაც დარწმუნებულები იყვნენ — ნამდვილად ვერ დაივიწყებდნენ საქართველოს და ფესტივალ „იბერიის“ ლოგოტიპზე ქართულ სიმბოლოს — მზეს.

ლეიდენის უძველესი, სამსაუკუნოვანი თეატრის დირექტორმა, კონცერტით აღფრთოვანებულმა, თქვა: „ჩემს თეატრს ასეთი ოვაციები არ ახსოვს!“

ჰოლანდიური პრესის ფურცლებსა და ინტერნეტ-გვერდებზე ვრცლად გაშუქდა ფესტივალი „იბერია“ და ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი. კერძოდ, პრესტიჟული ჰოლანდიური გაზეთი „Algemeen Dagblad” წერდა: „რთული, უკიდურესად ტექნიკური მამაკაცთა ცეკვები, სადაც მეომართა ძმობა ესაზღვრება საბრძოლო სულს, ხოლო გამომსახველობის ძალა — აკრობატულ მოხერხებულობას და სიმსუბუქეს; მათ საპირისპიროდ — ქალ მოცეკვავეთა გრაციოზული, მოცურავე და ნაზი მოძრაობები, საოცარი ეროვნული კოსტიუმები და ყოველი სიმღერის განსხვავებული ისტორია — ეს ყველაფერი იყო ის ნაზავი, რომელიც პუბლიკას არ უტოვებ-

დალი დე გრაფ-უბილავა
მეუღლესთან ერთად

და გამოსავალს გარდა აღფრთოვანებისა და ტაშისა."

კონცერტს გამოხმაურებები მოჰყვა ამსტერდამ ფეშენ შოუს ინტერნეტ-მედია-გამომცემლობა „Couture krant"-ში და „Leidsch Dagblad"-ში, სადაც ცნობილი ჟურნალისტები პჰია ბარუჩი და საბინე ვან დენ ბერგი წერდნენ: „ქართული შოუს მონაწილეთა ზამბარისებური მოძრაობები, წარმოუდგენელი ტრიალები და ნახტომები გაოცებენ. ტრადიციის მიხედვით მამაკაცები ცეკვავენ შავი, თხელი ჩექმების წვერებზე, ქალები კი ნარნარად ამოძრავებენ ხელებსა და მკლავებს. მრგვალი, ტრადიციული ქუდები და მოლაპლაპე ხანჯლები საოცრად უხდებათ მამაკაცებს. მოცეკვავე ქალები კი ატარებენ ფატის მსგავს თავსაბურავს და გრძელ ნაწნავებს.

მოცეკვავეთა სწრაფი, ელვისებური მოძრაობებით აღფრთოვანებული მაყურებელი მთელი წარმოდგენის განმავლობაში აპლოდირებდა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან კოლექტივი ფანტასტიურად ცეკვავდა. ტაშს იმსახურებდნენ მუსიკოსებიც, რომლებიც შეუსვენებლად უკრავდნენ დოლებზე და აკორდეონებზე და მომღერლები, რომლებიც ცოცხლად ასრულებდნენ მრავალხმიან ქართულ სიმღერებს."

ჯერ კიდევ მარტში დაიწყო ფესტივალის სარეკლამო მედია-კამპანია ისეთ გამოცემებში, როგორებიცაა „De Telegraaf" — ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთი, რომელიც გამოდის ამსტერდამში და ჰოლანდიის გარდა, ვრცელდება ევროპის სხვა ქვეყნებშიც; „Algemeen Dagblad"-ში, რომლის მთავარი გამომცემლობა როტრდამშია და აქვს რეგიონალური გამომცემლობები რამდენიმე დიდ ქალაქში. ასევე საზოგადოებრივ ტელევიზიასა და სამ რადიოარხზე. ფესტივალი 12-20 ივნისს მიმდინარეობდა ქალაქ ლეიდენში და ძირითადი პროგრამა სამი ნაწილისგან შედგებოდა: ქართული ფოლკლორი, ქართული მხატვრობა, ქართული კინოკლასიკა.

ძირითადი პროგრამის გარდა ფესტივალი მრავალფეროვანი იყო სხვადასხვა ღონისძიებებით, რომლებიც სრულად წარმოადგენდა ქართულ სულს, ქართულ ხასიათს. ასე რომ, წარმატებული კონცერტით დაწყებული ფესტივალის შემდეგი დღეები ჩვენთვის არანაკლებ სასიამოვნო და საამაყო იყო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის კედლის გახსნა.

განმარტების სახით: ლეიდენში 1993 წლიდან მიმდინარეობდა პროექტი „კედლის პოეზია". მსოფლიო ლიტერატურის შედევრებიდან ნაწყვეტები უზარმაზარი ასოებით, ავტორთა მშობლიურ ენაზე, ქალაქ ლეიდენის შენობების კედლებზეა განთავსებული. იქვე პატარა აბრაზე ჰოლანდიურად თარგმნილია იგივე ტექსტი, რომ დაინტერესებულმა ადამიანმა ნაიკითხოს და შეაფასოს. ეს პროექტი 1993-2005 წლებში დასრულდა და მოიცავდა მსოფლიო ლიტერატურის 101 შედევრს. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, იმ წლებში პროექტში ვერ მოხვდა „ვეფხისტყაოსანი".

...და ფესტივალ „იბერიას" მესვეურთა ძალისხმევითა და ლეიდენის კულტურის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის დახურვიდან რამდენიმე წლის შემდეგ, გამონაკლისის სახით, ლეიდენში შოთა რუსთაველის პოეზიის კედელი საზეიმოდ გაიხსნა. „ვეფხისტყაოსანი" გახდა ბოლო, ასმეორე შედევრი. რუსთაველის უკვდავმა ნაწარმოებმა შუა საუკუნეების ქალაქ ლეიდენის ძველ უბანში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთი შენობის კედელი დაამშვენა. ასე გაგრძელდა მოძრაობის პოეზია სიტყვის პოეზიით და ფონდ „Tegen beeld" თანამშრომლობის შედეგად ქართული ლექსი გაჩნდა ვიტტე როზენსტრაატის ქუჩაზე.

„ვეფხისტყაოსნის" გენიალური სტრიქონები საზეიმოდ გახსნეს საქართველოს ელჩმა ნიდერლანდებში შოთა ღვინერიამ, ფესტივალის დირექტორმა დალი დე გრაფ-უბილავამ და ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.

ფესტივალი „იბერია" იყო ჰოლანდიური ფონდის „არტ-ექოს" პირველი პროექტი. ფონდის მიზანია პუბლიკას შესთავაზოს მათთვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი კულტურა და ხელოვნება. „არტ-ექოს" დამფუძნებელი და დირექტორი დალი დე გრაფ-უბილავა ჯერ კიდევ 2008 წლიდან მართავდა მოლაპარაკებებს ლეიდენის საქალაქო ადმინისტრაციასთან

ანსამბლი „რუსთავი“ ლეიდენში

ამ ფესტივალთან დაკავშირებით. მან გარშემო შემოიკრიბა ათეულობით პროფესიონალი და მოხალისე ჰოლანდიიდან და საქართველოდან, რომელთა დახმარებითაც შეძლო ამ ფესტივალის „ბრწყინვალე ორგანიზება“ (Couture Krant, 15-06-2010). „რომ არა უამრავი ადამიანის თავდადებული მხარდაჭერა და დახმარება, ფესტივალი ვერ შედგებოდა!“ — ამბობს დე გრაფ-უბილავა. ფონდის რწმუნებულთა საბჭოს წევრები გახლავთ ცნობილი ჰოლანდიელები: სილია ვან დაიკი (ოსკარისა და სხვა პრესტიჟული ჯილდოების მფლობელი ცნობილი კინოპროდიუსერი), გერიტ ვან დაიკი — ანიმაციური ფილმების რეჟისორი, რომელიც გარდა ისეთი ჯილდოებისა, როგორიცაა ოსკარი, ოქროს დათვი, ოქროს პალმის რტო, გახლავთ განსაკუთრებული ჯილდოს მფლობელი. ეს არის Leuw van Oranje — სამეფო ოჯახის ჯილდო, რომელიც უმაღლესი ჯილდოა ჰოლანდიაში და მას თავად დედოფალი ბეატრიქსი გასცემს. ზემოაღნიშნული საბჭოს წევრია აგრეთვე გერბენ შერმერი, ჰოლანდიური ანიმაციური ფილმების ფესტივალის (HAAF) დირექტორი.

ქალაქ ლეიდენის მერის მოადგილემ იან იააპ დე ჰანმა ფესტივალის გახსნის დღეს თავისი აღფრთოვანება გამოხატა ქალბატონ დალი დე გრაფით, რომელმაც უანგაროდ, დაუღალავი ძალისხმევით შეძლო ეპოვნა სპონსორები, სუბსიდიები და მობილიზება გაუკეთა თანამშრომელთა საჭირო რაოდენობას იმისათვის, რომ განეხორციელებინა თავისი დიდი სურვილი — ჰოლანდიელი ფართო საზოგადოებისთვის „ქართული კულტურის უდიდესი დღესასწაული ჰოლანდიაში“ მოეწყო. („Leidsch Dagblad“, 12-05-2010).

აღსანიშნავია, რომ ფესტივალმა პრინცესა მაქსიმას ყურადღებაც მიიქცია, რაც ძალზე იშვიათია, მით უმეტეს სრულიად ახალი და უცნობი ფესტივალისთვის. მან გამორჩეულად თბილი წერილის მეშვეობით მოუბოდიშა ფესტივალის ორგანიზატორებს, რომ დატვირთული გრაფიკის გამო ვერ ესწრებოდა ფესტივალს და წარმატებები უსურვა მათ.

„არტ-ექომ“ ამ ფესტივალით გააერთიანა სხვადასხვაგვარი ინტერესებისა და მიმართულებების ფონდები, გალერეები, საკონცერტო დარბაზები, კინოთეატრები, სამინისტროები, საელჩოები, ავიაკომპანიები, ყველა შესაძლო კომერციული თუ ფინანსური ორგანიზაცია.

ფესტივალის შემდეგი ეტაპი — „ქართული მხატვრობა“ გამოფენათა სერიის სახით იქნა წარმოდგენილი სიმბოლური სახელწოდებით, რომელიც პირდაპირ თარგმანში ჟღერს, როგორც „სინაცრისფრის წინააღმდეგ მებრძოლნი“. პატრის ვან დორსტ (Patries van Dorst), ფრედერიკ ვან დერ ვლისტ (Frederiek van der Vlist), ზონე (Zone) და კუნსტჰაუზენ ლეიდენ (Kunsthui-

დალი დე გრაფ-უბილავა, ანდრა ელისაბედ რულოფსი და [illegible]

გამოფენა ქალაქ ლეიდენის ერთ-ერთ გალერეაში

zen Leiden) გალერეები ქალაქ ლეიდენის გულშია განთავსებული. ხელოვნების მოყვარულები და ქალაქის სტუმრები ქართული სიმბოლური მზის კვალდაკვალ გამოფენიდან გამოფენაზე გადადიოდნენ, ათვალიერებდნენ ხუთი ქართველი მხატვრის: რადიშ თორდიას, ვახტანგ ონიანის, ზურაბ ნიჟარაძის, დიმიტრი ერისთავის და ლევან ცუცქირიძის ნამუშევრებს, რომლებიც გემოვნებით, ორიგინალურად იყო წარმოდგენილი გალერეებში — ნამუშევრები ერთმანეთთან ქართული ვაზის იმიტაციით იყო დაკავშირებული.

დამთვალიერებლებს ქართული სიურპრიზიც ელოდათ — გამოფენა გადმოსცემდა ქართულ გემოვნებასა და გემოს პირდაპირი მნიშვნელობითაც, რადგან შესანიშნავი მხატვრების ნამუშევრებთან ერთად მათ შეეძლოთ მთელი ფესტივალის განმავლობაში ღვინო „ბადაგონის“ ქართული პალიტრით დატკბობაც. გამოფენის საზეიმო გახსნა კი მიმდინარეობდა ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალთა გუნდის და ლეიდერდორფის სასულე კვარტეტის თანხლებით, რომელიც სპეციალურად შესწავლილი ქართული რეპერტუარით ამშვენებდა ამ მოვლენას.

ფესტივალის მესამე ნაწილი „პასტორალი“, რომელიც ქართული კინოკლასიკის რეტროსპექტივა გახლდათ, მიმდინარეობდა ლეიდენის კინოთეატრ კაიკჰაუსში. ფილმები ნაჩვენები იყო კინოფირებით, რომლებიც დაცული აღმოჩნდა ამსტერდამის ფილმების ეროვნულ ფონდში. ჩვენება ჰოლანდიური სუბტიტრებით მიმდინარეობდა. წარმოდგენილი იყო რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“, ო. იოსელიანის „პასტორალი“ და „გიორგობისთვე“, გ. შენგელაიას „ფიროსმანი“, თ. აბულაძის „ნატვრის ხე“ და აგრეთვე ახალგაზრდა რეჟისორის გ. ბაბლუანის „ცამეტი“.

ფესტივალის დღეებში ჩატარდა ორი ქართული „მასტერ-კლასი“: პირველი იყო ქართული პოლიფონიური სიმღერების შესწავლა, რომლის მსურველები ჰოლანდიის შორეული ქალაქებიდანაც კი ჩამოვიდნენ. მეორე კი — ქართული სუფრის ტრადიციები და თამადის ინსტიტუტი, სადაც მონაწილეობის მისაღებად ადგილები წინასწარ იყო დაჯავშნული. „მასტერ-კლასები“ ჰოლანდიელებისთვის ძალზე შთამბეჭდავად ჩატარდა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათი მიმდინარეობა გათვალისწინებულზე დიდხანს გაგრძელდა და სტუმრებს ეძნელებოდათ ამ არაჩვეულებრივი საღამოების დამთავრება.

ცხრა დღის განმავლობაში ქართული კულტურის პირველმა ფესტივალმა ჰოლანდიაში 7000-მდე სტუმარს უმასპინძლა, რაც „ჰოლანდიური მედიის მხრიდან არნახულ ყურადღებასთან ერთად, უცნობი კულტურის უცნობი ფესტივალის უდავოდ დიდი გამარჯვებაა“ (Eindverslag, nieuws, www. festivaliberia.nl).

ეს იყო გრანდიოზული, მხატვრულ-მუსიკალური ფესტივალ „იბერიას“ ბოლო აკორდი. რაც შეეხება შემდეგ ფესტივალს, ის 2012 წელსაა დაგეგმილი. მანამდე კი ფონდ „არტ-ექოს“ საქართველოსთან დაკავშირებული სხვა გეგმებიც აქვს, რომელთაც, დარწმუნებული ვარ, ასევე წარმატებით განახორციელებს. ჩვენ კი მათ შესახებაც აუცილებლად მოგიყვებით.

პუბლიკაციები ჰოლანდიურ პრესაში

ეკატერინე ლინგარაძე

ქართული ხატნერის ნოვატორი

(იდა თვარაძე)

ეს წერილი იდა თვარაძის ნამუშევართა დიდი პერსონალური გამოფენის შთაბეჭდილებით დაიწერა. 1994 წელი იყო. მე ადრეც მენახა მისი ზოგიერთი ნახატი, სრულიად განსაკუთრებული და საოცარი, მაგრამ, როდესაც საგამოფენო დარბაზში ერთიანად თვალს მოავლებდით ფერში ამეტყველებულ ულამაზეს სივრცეს, როგორც დაუნაწევრებელ რეალობას, მიხვდებოდით, რომ სადღაც სხვა სამყაროში აღმოჩნდით: ეს როდი იყო მხოლოდ გამოფენა სურათების, ნახატების — ხელოვანის ცხოვრების წიგნი გადაშლილიყო ხელისგულივით, ხელისგულივით, რომელზეც ყოველი ხაზი ადამიანის ბედისწერის გზაზე გადის და მისტიკოსმა კარგად იცის, რომელია სიცოცხლის ღარი — მშვიდი, მშვენიერი და რომელი ნაჭდევი — ტანჯვით აღსავსე. ყოველივე კი არის ნამდვილი, გარდაუვალი. ამას გეტყოდათ შემოქმედება უაღრესად ემოციური და მგრძნობიარე ადამიანისა, აღბეჭდილი რთული, მრავალმხრივი და მდიდარი შინაგანი თვალსაწიერით, ღრმა სულიერებით და ძლიერი გონებით, მისტიკური ხედვის სიღრმით.

იდამ მოგვიანებით წაიკითხა ჩემი წერილი და თუმცა მრავალმნიშვნელოვნად თქვა — აქამდე როგორ არ მაჩვენეთო, — მაინც, ისევე როგორც თავის ლექსებსა და დღიურებში ძალიან ცოტა ვინმეს თუ ჩაახედებდა (ან საერთოდ არავის), ეს წერილიც მის პირად არქივში დარჩა.

დღეს კი, ვიდრე იდა თვარაძის მხატვრობა კვლავ სრულად იხილავს დღის სინათლეს, გვსურს საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენეული ანალიზი და შეფასება, რომელსაც იდა, ვიცი, სიცოცხლეშივე იზიარებდა.

* * *

მხატვრის შემოქმედებითი გზის ორი მკვეთრად განსხვავებული ეტაპი შეგვიძლია გამოვყოთ: 1964-81 და 1981-94 წლები. 70-იანი წლების ნამუშევრები ძირითადად რელიგიურ თემაზეა შექმნილი. ეს არ არის უბრალო ადამიანის, თუნდაც ძალიან ნიჭიერის ცოდნისა და ფანტაზიის ნაყოფი, ისინი ნამდვილ რელიგიურ ექსტაზშია შექმნილი და იმდენად დამუხტულია შინაგანი ენერგიით, რომ ადვილად იჭრება მნახველის სულში და განსაკუთრებული სიძლიერით გვაზიარებს მიღმიერ ნათელს. ადამიანის გონებას არ ძალუძს ჩასწვდეს და განჭვრიტოს ღვთაებრივი, თუ მას არ მიუსადაგა მისთვის ჩვეული ნივთიერი სახეები. ამიტომაც „საიდუმლოდ-საბამი რჯულდებით“, როგორც დიდი ფსევდოდიონისე არეოპაგელი ამბობს, „ამ უწმიდესი გამოსახულებების გზით შეძლებისდაგვარად ზეავიზიდებით მარტივ და უსახო მსგავსებათა და ამაღლებათა წიაღ“ („ზეციური იერარქიის შესახებ“). რელიგიური ხელოვნების მთავარი მიზანიც სწორედ ის არის, რომ სახე-სიმბოლოების საშუალებით გაგვიცხადოს ზეციური საიდუმლო. საუკუნეების განმავლობაში შემოქმედნი ეძებდნენ იმ გამომსახველობით ფორმებს, რომლებიც უკეთ გვაზიარებდნენ ამ მარადიულ იდეებს. ყოველ ახალ სიტყვას, ტრადიციიდან, დოგმატურიდან გამოსვლას, ახალი ძალით ჩვენამდე მოტანას საუკუნეების სჭირდებოდა. ჩემი აზრით, იდა თვარაძემ მიაგნო იმ მხატვრულ ფორმებს, ისეთ მეტყველ გამომსახველობით საშუალებებს, რომლითაც მან ქართული ხატწერა ახალ მწვერვალზე აიყვანა. მე ხაზს ვუსვამ, რომ მან მიაგნო ფორმებს და არა ფორმას, მაგალითად, მისი „ჯვარცმა“ და „ვედრება“, ეს ორი სტილისტური თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული, ორი სხვადასხვა ახლად დაპყრობილი მწვერვალია ქართული რელიგიური ხელოვნების ისტორიაში. „ვედრება“, „კაპადოკიელი“ აღფრთოვანებას ინვევს როგორც სრულიად ახლებური, ორიგინალური მხატვრული სახე, შესრულებული ხაზისა და ფერის საოცარი ჰარმონიით. ხაზის მოძრაობაში იკითხება სულის მოძრაობა, მსუბუქ ნაცრისფერში გამოკრთის თანაბარი მშვიდი სინათლე, ქრისტიანული სიყვარული და თანაგრძნობა. მიუხედავად საოცარი სიმსუბუქისა, სინატიფისა და ჰაეროვნებისა, მათ სახეებში ამავე დროს იგრძნობა თავშეკავებული ძალა.

რაც შეეხება „ჯვარცმას“ — აქ მხატვარმა მიაღწია ფორმის ისეთ მოდელირებას, რომლითაც, შეიძლება ითქვას, ისე როგორც აქამდე ვერავინ, შეძლო გადმოეცა იესო ქრისტეს როგორც კაცის და როგორც ღმერთის ორბუნებოვნების ღვთაებრივი საიდუმლო. მან გადაჭრა ტექნიკური თვალსაზრისით ურთულესი ამოცანა, მიაღწია იმას, რომ ქრისტეს სხეული ერთი შეხედვით თითქოს რეალურადაც აღიქმება და ამით განკაცებული ღვთის სახე აქვს, მაგრამ ამავე დროს საოცრად არამატერიალურია.

იდა თვარაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრეთვე შუასაუკუნეების ქართული ქრისტიანული ხელოვნების ტრადიციებს. მისი „ღვთისმშობელი ყრმით“, „წმ. იობი“, იოანე ნათლისმცემელი“, „ეკლის გვირგვინი“, „ვედრება“ (მეორე) ტრადიციული ხატწერის პრინციპებით არის შექმნილი, რომელიც გვიზიდავს შესრულების მაღალი პროფესიონალიზმით და ემოციურობით. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მავედრებელი ღვთისმშობლის სახე სისხლიანი ცრემლებით სავსე თვალებით, რომელშიც გამოსჭვივის ადამის მოდგმისადმი სიბრალული და მათთვის უფლისადმი ვედრება.

ძალზე საინტერესოა და ამ ორივე ჯგუფის ნამუშევრებისგან სტილისტურად განსხვავებული „წმ. ილია მართლის“ ხატი. აქ გვაქვს ტრადიციული ხატწერის პრინციპისა და თანამედროვე პორტრეტის ორგანული შერწყმა, რაც ქართული ხატის კიდევ ერთ ახალ ტიპს ქმნის.

იდა თვარაძე, რელიგიურ თემაზე შექმნილი ნამუშევრებით, გვევლინება არა მხოლოდ როგორც ფორმის ნოვატორი, არამედ როგორც შინაგანად დოგმატური ჩარჩოებისაგან თავისუფალი მოაზროვნე და თანამონაწილე მარადიული იდეების ფილოსოფიური ანალიზისა. იგი ქმნის ტრადიციულისაგან მკვეთრად განსხვავებულ იკონოგრაფიულ სქემებს და გამოხატავს ცალკეული მოვლენისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებას. ამის საუკეესო მაგალითებია „გარდამოხსნა“, „მწვანე ჯვარი“, „ცისფერი ჯვარი“, „მწუხარე ანგელოზი შავი ფრთით“, „ეკლის გვიგვინი“. ეს უკანასკნელი ყურადღებას იპყრობს თავისი მონუმენტურობით, დახვეწილობით და შინაარსის ორიგინალური გადაწყვეტით. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია მაცხოვარი-ღვთაებრივი სიმშვიდით, დაშვებული ხელებით, რომლებიდანაც წვეთავს სისხლი. მის წინ რკალის ფორმის „მაგიდაზე“ ევქარისტიის სიმბოლო — თევზია გამოსახული. მარცხნივ იოანე და მარჯვნივ ღვთისმშობელი ეკლიანი გვირგვინით ხელში. მაგიდის ქვეშ, წმინდანთა მშვიდი, ნათელი ფიგურებისგან სრულიად კონტრასტული, მუქ ტონებში გადაწყვეტილი, მოკუნტული ადამიანის ფიგურაა ცრემლიანი თვალებით და საკუთარი ხელებით ორად გაპობილი თავის ქალით. შეგძრავთ სიბრალული, რომელსაც ამოიკითხავთ მხატვრის დამოკიდებულებაში თავზარდაცემული იუდას მიმართ. მხატვარმა მთლიანობაში გაიაზრა, ორგანულად გააერთიანა და ერთ ხატში გადმოგვცა ადამიანის ორად გახლეჩილი ცნობიერების გამო ჩადენილ ცოდვათაგან კაცობრიობის ხსნისათვის ღვთის განკაცების, „ეკლიანი გვიგვინით“ ჯვარცმისა და ამაღლებისაკენ განვლილი გზის ღვთაებრივი საიდუმლო. სურათში არ არის არაფერი შემთხვევითი, რაც არ ემსახურებოდეს მთავარი იდეის გადმოცემას. ხატწერაში კომპოზიციის მთავარი პრინციპი სიბრტყის ორგანიზებაა. ფიგურების სიბრტყეზე განლაგების ხასიათი განსაზღვრავს ამა თუ იმ შთაბეჭდილებას. ფიგურათა განლაგება, მათი მსუბუქი, წაგრძელებული პროპორციები, რაც მთლიანობაში ხატს პირამიდალურ ფორმას აძლევს, სწორედ ადამიანურიდან ღვთაებრივისაკენ აღმავალი „ეკლიანი გვირგვინით“ ზეაღსვლის შეგრძნებას ბადებს. ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის ამ სურათში გადმოცემული კონტრასტი სრულიად არ ნიშნავს მხატვრის აზროვნებაში კონფლიქტს „სოფელსა“ და „ზეშთასოფელს“ შორის, სულსა და სხეულს შორის, პირიქით, ღვთაებრივ ჭეშმარიტებასთან მიახლოვებამ მას დაანახა არსებული სამყაროს მშვენიერებაც, განსაზღვრა მხატვრის ფაქიზი დამოკიდებულება ადამიანური ღირებულებებისადმი, თვით ადამიანისადმი, მისი გრძნობებისადმი თუ პატარა ყვავილისა და ფოთლისადმი.

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე მის ერთ ნამუშევარზე — „ჩემი მეგობარი“, რომელშიც მეგობარი გამოსახულია ანგელოზის სახით. ნახატი სავსეა უჩვეულო ძალის მოწინებით, პოეტურობით, ჰარმონიით, სიყვარულით, სინაზით, ღვთაებრივი მშვენიერებით. რა თქმა უნდა, ეს გამოწვეულია სუბიექტური მიზეზითაც, იმით, რომ მის ცხოვრებაში მეგობრობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა, მაგრამ ამავე დროს მას აქვს გაცნობიერებული, რომ ანგელოზური არსებები სხვა არაფერია თუ არა სამყაროში არსებული თვისობრიობები, რომლებიც რაც უფრო წმინდა და მსუბუქია, მით უფრო უახლოვდება

ღმერთს, როგორც უმაღლეს სიკეთეს. ამიტომ მას მეგობრობა ანგელოზთა რანგში აჰყავს.

ხელოვანი არ ისაზღვრება ერთი სტილით, ერთი მანერით. მას ერთნაირი ძალით ხელეწიფება საკუთარი იდეის აბსტრაგირებაც და რეალისტური, მოცულობითი ფორმებით მეტყველებაც. განსაკუთრებული დატვირთვა მხატვრის შემოქმედებაში აქვს ფერს, თუმცა ასევე სიანტერესოდ მუშაობს გრაფიკაშიც და თითოეული მათგანი ხასიათდება მკვეთრი ინდივიდუალობით, ორიგინალურობით და დახვეწილი გემოვნებით. ასევე მრავალფეროვანია მისი შემოქმედება ჟანრობრივადაც — ხატი, პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი.

შემდგომ ეტაპზე მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ნატურმორტი, სადაც კიდევ ერთხელ იფეთქებს მხატვრის ფანტაზია. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სურათმა „თვითმკვლელობა“. ეს არ არის სიკვდილის შავბნელ ფერებში, უხეში ხაზებით გადმოცემა. მას აქაც არ ღალატობს აზროვნების ორიგინალობა და გემოვნება. ლარნაკში ულამაზესი ყვავილების თაიგულია, რომლიდანაც ამოცვენილი ყვავილები სკამზე აწყვია. ამ სურათმა მაფიქრებინა, რომ ეს საუცხოო ყვავილები არა მარტო დედამიწის ამ მშვენიერებისადმი მის დამოკიდებულებას გამოხატავს, არამედ ისინი მისი სულის ის მგრძნობიარე ნერვებია, რომელთაც ზოგჯერ თვითმკვლელობა განუზრახავთ (ყვავილებმა თავი მოიკლეს) და ხან სიხარულით შესციცინებენ ერთმანეთს („ყვავილები ცისფერ ვაზაში, ანუ სიხარული“), ხან სევდიანი და ტკივილიანია („გატეხილი ვაზა“), ხან მშვიდი და ამაღლებული („თეთრი ნატურმორტი“, „ნატურმორტი მწვანე სუფრით“). როდესაც შევხედე სურათს „მინდორი“, რომელზეც გამოსახულია ქალის ნაზი პროფილი, თავზე თმის მაგიერ მომხიბლავი ბაცი ღვინისფერი თეთრგულა ყვავილები რომ აფენია, მურმან ლებანიძის ერთი მშვენიერი ლექსი გამახსენდა: „ოჰ, ქალბატონო გაზაფხულო, ვიყავი ერთ დროს მე თქვენი პაჟი!“

იდა თვარაძის სიხარულის თუ დიდი ტკივილის მიზეზი ხშირად მისი საქართველოა. ეროვნული მოძრაობის დაწყება მისთვის ვარდისფერი მომავალია („იმედის დასაწყისი“) და რა სამწუხაროა, რომ ეს იმედის დასაწყისი სულ მალე „ტრაგედიის დასაწყისმა“ შეცვალა. 9 აპრილისადმი მიძღვნილ ამ სურათში არეული სახეები, ჯვარცმა, სიბრტყობრიობა-ჩამქრალი ტონალობა, ავისმომასწავებელი ლურჯი ფერი, ერთგვარი სასოწარკვეთის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ რაკი ჯვარცმაა, მაშასადამე ამაღლებაც უნდა მოხდეს...

იდა თვარაძის რელიგიურ სურათებში თუ ნატურმორტებში გამხელილი მისი რთული სულიერი სამყარო ერთხელ კიდევ გაიელვებს მის ავტოპორტრეტებში. „ძველი ავტოპორტრეტი“ — ფერთა გამა იმდენად მუქია, რომ მისი სახე თითქმის იკარგება, თითქოს სურს ჩაიკეტოს, გაერიდოს ცხოვრებას, ხან მისი შინაგანი სამყარო გაბზარულია („გახეული ავტოპორტრეტი“), ხან შემოქმედებით ანთებული და გაწონასწორებული („ავტოპორტრეტი ქუდით“). აღსანიშნავია აგრეთვე მისი პორტრეტები: „დენიზა სუმბაძის პორტრეტი“, „ნოდარ ზუმბაძის პორტრეტი“, „მალიკო-ხათუნას დეიდა“, „სოფო“ — ოთხი სრულიად განსხვავებული მხატვრული მანერით შესრულებული უაღრესად საინტერესო მხატვრული სახე.

მხატვარს აქვს განსაკუთრებული უნარი — თითქოს ყოველდღიურ, უმნიშვნელო მოვლენაში თუ ნივთში დაინახოს სილამაზე და პოეზიამდე აიყვანოს იგი. ალბათ, აქამდე არც კი დავფიქრებულვართ, თუ რა მშვნიერია სიბნელეში ჭრაქის ნათება. იდა თვარაძეს არც ეს რჩება შეუმჩნეველი („ანთებული ჭრაქი“).

იდა თვარაძე პროფესიონალი მოქანდაკეა, მაგრამ ამ გამოფენას მისი მხოლოდ ორი ნამუშევარი ამშვენებდა — „კაპადოკიელი“ (ამ სახელწოდების ფერწერული ტილოც აქვს) და „ანა კალანდაძის პორტრეტი“. ერთი სიმშვენიერისა და სიწმინდის, ხოლო მეორე — პოეზიის განსახიერება. ეს სამი უმთავრესი ნიშანი ერთიანად გასდევს იდა თვარაძის შემოქმედებას — მშვენიერება, სიწმინდე და პოეზია.

დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ იდა თვარაძის, როგორც შემოქმედის ამოუწურავ ღირსებებზე. მას თურმე რამდენი რამ გაუკეთებია ქართული ხელოვნებისათვის, რამდენი მხატვრული თუ ესთეტიური ღირებულებებით გაუმდიდრებია ჩვენი კულტურა და ვმადლობთ უფალს, რომ თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც განგვაცდევინა უსაზღვრო სიხარული იდა თვარაძის, როგორც ასეთის, არსებობით ჩვენს გვერდით.



გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ და ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ შემოქმედებითი კოლექტივი. მარჯვნიდან დავით კახაბერი, მაია მიქაია, ედუარდ უგულავა, ლექსო ოთარაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, მაიკო ჯინორიძე, სალომე ფორჩხიძე, თამუნა ოთარაშვილი, ვერიკო ზამთარაძე, ზაზა ქინქლაძე

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია”– ტელ: 95-51-70,
და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ლექსო ოთარაშვილი
სალომე ფორჩხიძე
ოპერატორები::
მაია ჯინორიძე
თამუნა ოთარაშვილი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იდა თვარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი85/46

ISSN 1512-3189 ფასი 3 ლარი